კვირის პალიტრა

გზა

N41 (331)

1168
2006

ამჯანი ცოლები და ქორწილის ღამეს წასაკითხი „გზავნილები“...

ექსკლუზიური ინტერვიუ პანდორასთან — რეალური შოუს გმირმა თავი გამოაჩინა

ციხეფერები, ტრანსსექსუალები, ნარკომანები

და

კოტიკო თოლორაიას ახალი რომანი...

რუსი „მშვიდობისმყოფელი“ ოფიცრის აღსარება

ვინ გაათავისუფლა რუსი მზვერავები

რა აკავშირებს მარიკა ვერულაშვილს ფილმთან „სიყვარული ყველას უნდა“

ნატო გელაშვილის „მიქეშილი“ თაყვანისმცემლები

18 წლის გოგონა წამალზე ქმარმა „შესვა“

განახლებული „ბომონდი“

თანამედროვე ცხოვრების სტილი!

„ბომონდი“ – ჟურნალი, რომელიც ბომონდურ ამბებს მოგითხრობთ და არა ჩვეულებრივად.

ჩვენ ვისვამთ ჰოლივუდს ჯიბეში, ნუ გაიღიმებთ, სანამ ჟურნალს არ გადაშლით, რადგან იქ მართლაც მთელი ჰოლივუდი გელოდებათ.

ჩვენ ვთავაზობთ ქალბატონებსა და ვოგონებს თანამედროვე მოდის ტენდენციებს, გიჩვენებთ მოდის კორიფეების, ცნობილი სტილისტებისა და დიზაინერების მიერ თქვენთვის შექმნილ მოდელებს.

ჩვენ არ დაგიმალავთ, პირიქით, დიდი სიამოვნებით მოგიყვებით, როგორ ზრუნავენ გარეგნობაზე მსოფლიოს ულამაზესი ქალბატონები, თანამედროვე მედიცინის, პლასტიკური ქირურგიისა თუ სხვა მეთოდების გამოყენებით.

ჩვენ ყველაფერს გავაშუქებთ ბომონდურად, რაც ქართულ შოუ-ბიზნესს, პოლიტბომონდს, მასმედიასა და ქართველ დიზაინერთა მიღწევებს შეეხება.

ყველაფერი ბომონდის შესახებ!

№41 (331)
12 ოქტომბერი,
2006
ფასი 60 თეთრი

მინიატურები

არჩევნების სიტკბო და სიმწარე ანუ „პოლიტიკური რთველი-2006“ 3

ერთი კითხვა 4

აღსარება

რუსი მეუბიდობისმყოფელი ოფიცრის აღსარება 5

უცხო თვალით

ვინ გაიმარჯვებს პოლიტიკური პიარის ომში 7

ჟურნალისტის როლში

გამეღავნებული სიყვარული, შეთავაზებული ცოლობა და დანიშნული ქორწილი... კოტიკოს თამუნა შეუყვარდა?! 8

დასვენება

მიშა ანდღულაძე და ნიკა გრიგოლია სიდედრის ბინაში ერთად ცხოვრობენ 10

უცხოური პრესა

პატარა საქართველოს დიდი გაკვეთილები 12

ემიგრანტები

„ქართულის“ მოცეკვავე რუსები, საზეიმო მილება პუტინთან და თავდამსხმელი სკინჰედები 14

გაბედული ნაბიჯი

რეალური შოუს გმირმა თავი გამოაჩინა 15

ონლაინ-ურთიერთობა

შეაბი.ge პარალელურ სამყაროში 17

კრიმინალი

„ეს დანაშაული უმძიმეს ცოდვად მაწევს“... 20

ფეხქვეშ გათელილი მასმედია

ჟურნალისტის მკვლელობის თანამონაწილე ქალი იყო 22

ამალუა

300 გოგონას შორის გამარჯვებული... 24

გზავნილები

ჩემი მეუღლე უცხოეთშია 26

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი 28

პრობლემა

18 წლის გოგონა ქმარმა წამალზე „შესვა“ 30

ნამდვილი ამბავი

„რაც არ გერგება“... ანუ თანამედროვე ზღაპარი ნაპოვნი განძის შესახებ 33

პირველი პაემანი

„ვერ ვიტან, ქალი რომ ხმამაღლა იცინის“... 34

ტაიმ-აუტი 36

რომანი

ზაზა ვაჩნაძე.
ველური წაბლის ხეივანი (გაგრძელება) 38

ჯანმრთელობა

✓ ფრთხილად — პაიმორიტია!

✓ იპოქონდრიული ნევროზი

✓ გოგრა — სამკურნალო საშუალება 42

18 წლის გოგონა ქმარმა წამალზე „შესვა“

„ყოველი დილა ჯერ ფულის, შემდეგ კი ნარკოტიკის შოვნაზე ზრუნვით იწყებოდა. წამლის გაკეთება მანამ უნდა მომესწრო, სანამ „ლომკა“ შემომიტევდა.

— რა არის „ლომკა“?

— „ლომკა“ შიმშილია, რომლის დროსაც მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობ — რის ფასადაც არ უნდა დაგიჯდეს, წამალი უნდა იშოვო და შიმშილი დაიკმაყოფილო“.

30

პატარა საქართველოს დიდი გაკვეთილები

არადა, ყველაზე მტკივნეულ საკითხში სწორედ აშშ ჩაერია: სახელმწიფო მდივანმა, კონდოლიზა რაისმა — კრემლის თხოვნით — პირადად დაურეკა საკაშვილს და დაარწმუნა იმაში, რომ უმჯობესი იქნებოდა, რუსი ოფიცრები სამშობლოში დაებრუნებინათ!..

12

მიშა ანდღულაძე და ნიკა გრიგოლია სიდედრის ბინაში ერთად ცხოვრობენ

— ნიკა, სულ ცოტა ხნის წინ, მიშა ანდღულაძე შენი ქვისლი გახდა. როგორი ნათესავები ხართ ერთმანეთისთვის?

— არაჩვეულებრივი. ჯერჯერობით ყველანი ერთად, ჯიგრულად ვცხოვრობთ. მერე ალბათ დავიფანტებით.

10

რეალური შოუს გმირმა თავი გამოაჩინა

„მსგავსი რამ ქართულ პრესაში ჯერ არ გამოქვეყნებულა და მომწონს კიდეც, რომ მისი მთავარი გმირი მე ვარ.“

15

საკითხავი ქალებისთვის

ვარდი — სახის კანის
მოვლის საუკეთესო საშუალება 44

რამდენიმე განსხვავება ქალისა
და მამაკაცის სამყაროს შორის 45

მოდის ისტორიიდან

ისტორია ჩუსტებიდან იწყება 46

შთამომავლობა

„არ ვიცი, სად არის მამაჩემის საფლავი“... 47

წმინდანები

„ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი“ 48

ქართული დეტექტივი

გოჩა მანველიძე. თეთრი სიკვდილი 50

ვარსკვლავები

რენე ზელვეგერი: „პირველსავე
შემხვედრს ცოლად არასდროს გავყვები“ 55

თინეიჯერული პონტები

„მიქექილი“ თაყვანისმცემლები და
სახლში „მიტანილი“ მეგობრები... 58

დედაშვილობა

„ბედნიერი კაცი ვარ, რომ სამი დედა მყავს“... 62

ბომონდური მოზაიკა 64

პოროსკოპი

კვირის (12-18 ოქტომბერი)
ასტროლოგიური პროგნოზი 66

ავტო 67

მინდვრებს მიღმა

არაგონესის არჩევანი გუტის არ ხიბლავს 68

✓ რონალდინიოს და მესის,
„ბარსას“ წარმატების სჯერათ

✓ ვენგერის შოკო-შოკი „მეთოფეთათვის“ 68

ტესტი 70

სკანვორდი 71

...და ბოლოს 72

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com

„ბედნიერი კაცი ვარ, რომ სამი დედა მყავს“

„არ გათხოვდნენ. ფაქტობრივად, ჩემი ბრალია. მე შემომწირეს თავიანთი პირადი ცხოვრება. განიცდიან, რომ დედაჩემი ცოცხალი აღარ არის...“

62

„ქართულის“ მოცეკვავე რუსები

მაყურებელს გაუჭირდა იმის დაჯერება, რომ ქართულ ეროვნულ კაბებში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალბატონები, რომლებიც უზადოდ ცეკვავდნენ „ქართულს“, რუსები იყვნენ.

14

„პირველსავე შემხვედრს ცოლად არასდროს გავყვები“

1999 წლის მიწურულს, ფილმის — „მე, ისევ მე და ირენი“ გადაღებების დროს, ჯიმ კერის რენე ზელვეგერი თავდავიწყებით შეუყვარდა. ჯიმი რენეს შეყვარებული ლეკვივით სულ თან დასდევდა, მაგრამ რენე ყურადღებას არ აქცევდა.

55

თეთრი სიკვდილი

— მათ ის კაცი დაიჭირეს. თავიდან, სცემეს... თანაც, ეტყობოდათ, რომ ჩქარობდნენ... სცემდნენ და რაღაცას უყვიროდნენ, რას — არ ვიცი... მერე აქეთ-იქით გადგნენ და ერთ-ერთმა ის კაცი ავტომატიდან დაცხრილა. შემდეგ მკვდარი გაჩხრიკეს და მიკროავტობუსს მიუბრუნდნენ. რა მოხდა იქ, არ ვიცი. მაგრამ იქაც რამდენჯერმე გაისროლეს, ალბათ, კიდევ ვიღაცას მოუღეს ბოლო...

50

არჩევნების სიცყბი და სიმწარე ანუ „პოლიტიკური რითველი-2006“

წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო, ძველმა ხალხმა ჯერ კიდევ მაშინ თქვა, როცა დასათვლელი წიწილაც ბევრი ჰყავდა და ჭუკიც. მაგრამ ახლა ფრინველის გრიპის პანიკამ ისე მოიცვა ყველაფერი, რომ ქათმები სათოფეზე არ იკარებენ ერთმანეთს; მამალი თუ სადმე კიდევ შემორჩა, კარგად უნდა დაათრო, რომ შიში დეზებზე დაიკიდოს და დედლის მოჩინჩვლა გაბედოს. დედალი კიდევ, ჯერ ფსიქოლოგთან უნდა ატარო, მამალს რომ დანებდეს და მერე კვერცხი საკეისროთი დაადებინო. ჰოდა, სადაა დასათვლელი წიწილა?!.

ამიტომ, ამ სიბრძნემ პოლიტიკური აქტუალობა შეიძინა და საარჩევნო დევიზად იქცა: „ვინც უფრო კარგად მოუვლის და სითბოს არ მოაკლებს კვერცხს, ის უფრო მეტ წიწილას მიიღებს“. ანუ ამ ალეგორიაში არჩევნებში მიღებული ხმა „წიწილაა“, ამომრჩეველი — ??? თუმცა, არჩევნებს მეორე საშემოდგომო რიტუალსაც — რთველსაც ადარებენ. ყველა პარტია ცდილობს, რაც შეიძლება, დიდი მოსავალი აიღოს. ბოლოს ჩადგება „საწნახელში“ ცესკო და გამოწურავს ხმებს: გამარჯვებულ პარტიას — მაჭარი და ჩურჩხელა, დამარცხებულს — თხლე...

მოკლედ, დამთავრდა ეს არჩევნებიც და როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ყველა ქალაქსა და რაიონში სახელისუფლებო პარტიამ გაიმარჯვა. არჩევნები „კაპიკად“ არ ეღირებოდა, რომ არა მუდმივად თანმხლები ორი მხიარულება — საარჩევნო კამპანია და შედეგების პროტესტი: რომ წავაგებდით, ვიცოდით, მაგრამ სულ თუ დაგვამარცხებდნენ, არ ვიცოდითო... კარგი რა, თქვე ოჯახაშენებულებო, მე ვიცოდი და თქვენ როგორ არ იცოდით?!

ერთ-ერთი პარტიის ლიდერმა ისიც თქვა, საკრებულოში ვერც ერთი ჩემი წევრი ვერ მოხვდა, არადა, სინამდვილეში ორჯერ მეტი შედეგი გვაქვსო... რას ერჩი, აქვს სათქმელგასახურებელი: სად, არც ერთი წევრი რომ გეყოლება საკრებულოში და სად — ორჯერ არც ერთი!..

ყველაზე ორიგინალური პროტესტი, რა თქმა უნდა, ლეიბორისტთა ლიდერმა გამოხატა — „სააკაშვილო, შეგაკვდები, სანამ ჩემს ქვეყანას არ მოგაშორებ“. რა ქნას კაცმა, თუ დარწმუნებულია, რომ ხმები წაართვეს. ბატონო შალვა, მერამდენე არჩევნების შემდეგ ამბობთ, გაგვიყალბესო, რატომ იღლით თავს და ხარჯავთ ნერვებს?! ჩაწერეთ ერთი პლუს-ფონოგრამა და ყოველი არჩევნების შემდეგ გამოგადგებათ. მე მგონი, იმიჯმეიკერიც არ გივარგათ: ცუდი სლოგანი აგირჩიათ — „სააკაშვილი ან ნათელაშვილი“. ისე, რა თქვენი ბრალია, თუ არ იცოდით, მერის და საკრებულოს არჩევნები რომ იყო და თქვენ კი საპრეზიდენტო გეგონათ. აბა, რაღა სააკაშვილს დაეჯახეთ, დაგეწერათ „ტალახაძე ან ნათელაშვილი“...

ერთ-ერთი პარტიის სახელწოდება ზოგიერთ უბანში საერთოდ არ ეწერა ბიულეტენზე, მაგრამ არც ამომრჩეველს და არც იმ პარტიის თავმჯდომარეს, ხმის მისაცემად რომ მივიდა, არ შეუმჩნევია. არცაა გასაკვირი: როცა კაცი არ აპირებს იმ პარტიის შემოხაზვას, რატომ დაუწყებს ძებნას?

გნებავთ, მრეწველთა სლოგანი ავიღოთ: „ჯერ საქმე, მერე ფიარი“. მართალია, ბატონო გოგი, თქვენ ისეთ კარგ ლუდს გვასმევთ, თქვენი პიარისთვის მოცდენა იქნება?! ჯერ — საქმე, საქმე!..

ყველაზე წარმატებული ეს არჩევნები კობა დავითაშვილისთვის აღმოჩნდა: კაცი საქართველოს პარლამენტის ფრაქციის ლიდერი იყო და თბილისის საკრებულოს რიგითი წევრი გახდა. საღოლ, ძმაო! — ორი ასეთი „წარმატებული“ არჩევნები უნდა კიდევ და შეიძლება, ყანის მუშობასაც მიაღწიოს...

მთავარი შედეგი: საკრებულო დარჩა ისევ ნაცმოძრაობის წევრებს, მერობა — ისევ გიგი უგულავას. ჰოდა, რატომღა ვიწვალეთ ამ არჩევნების ჩასატარებლად?! ალბათ, კიდევ ერთხელ გადავამოწმეთ საკუთარი თავები სიებში — ხომ ცოცხლები ვართ?!.

P.S. *თათბირი ოპოზიციური პარტიის შტაბში არჩევნების დღეს:*

— აბა, როგორია შედეგები უბნებზე?

— თქვენს უბანზე ორი ხმა ავიღეთ, ბატონო.

— ორი ხმა? ერთი ჩემი ხმაა, ცხადია, მაგრამ მეორე ვინ შეიძლება იყოს?.. ვის უნდა მოეცა ჩვენთვის ხმა?

— თქვენი ცოლი იქნება, ბატონო.

— არა. კაცო, ცოლი ნაციონალების აქტივისტია... ჩემი მეზობელი ციალა შემოხაზავდა, გუშინ ორი თავი ხახვი მთხოვა და მივეცი.

პროვოკატორი

„ბოიკოტი უნდა შეწყდეს, რომ ხალხის დასაცინი არ გავხდეთ“

— ოპოზიციის ხანმოკლე ერთობა ჯერ არჩევნებმა დაარღვია, ახლა ბოიკოტთან დაკავშირებით გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა. ბოიკოტმა რა შეცვალა და პარლამენტის სხდომათა დარბაზში დაბრუნებას რა იმედებს უკავშირებთ?

დავით ზურაგიშვილი, *„დემოკრატიული ფრონტის“ ლიდერი*:

— ბოიკოტმა საკუთარი თავი სრულიად ამოწურა და მის გაგრძელებას აზრი აღარ აქვს. უნდა შევიდეთ სხდომაზე და საპარლამენტო ტრიბუნა სათანადოდ გამოვიყენოთ. დღემდე ანგარიშს ვუწევდით სხვა ფრაქციების მოსაზრებებს და ბოიკოტს ვაგრძელებდით, მაგრამ ახლა საკუთარი შეხედულებებისამებრ უნდა ვიმოქმედოთ. როცა სხდომათა დარბაზი დავტოვეთ, ძალზე რთული სიტუაცია იყო გახმაურებულ მკვლელობებთან დაკავშირებით. ამას დაემატა პარლამენტიდან ვალერი გელაშვილის გაგდებაც, რაზეც უმწვავესი რეაქცია გვქონდა. მაგრამ ეს უსასრულოდ ხომ ვერ გაგრძელდება! ის მოთხოვნები, რომლებიც ოპოზიციამ თვეების წინ ჩამოაყალიბა, დღემდე აქტუალურია და ჩვენ შედეგის მისაღწევად კვლავაც ვიბრძოლეთ. სხდომათა დარბაზში დაბრუნება, ხელისუფლებასთან კომპრომისს ნამდვილად არ ნიშნავს.

გიორგი ცაგარეიშვილი, *„მრეწველთა“ ერთ-ერთი ლიდერი*:

— ოპოზიციის ნაწილი სხდომათა დარბაზში დაბრუნებას აპირებს. მე მათ გადაწყვეტილებას პატივს ვცემ, მაგრამ უფრო ეთიკური იქნებოდა, ჯერ დავმსხდარიყავით, გვესაუბრა ყველაფერზე და შემდეგ გაგვეკეთებინა განცხადებები ბოიკოტის შეწყვეტა-არშეწყვეტასთან დაკავშირებით. ჩვენ აქამდე ერთად მოვდიოდით და ამ ერთობას ალტერნატივა არა აქვს. პარლამენტში სამი ოპოზიციური ფრაქციაა და ერთმანეთს ანგარიში უნდა გავუწიოთ. ბოიკოტი, ადრე თუ გვიან, უნდა დამთავრდეს, მაგრამ არა ისე, რომ ხალხის დასაცინი გავხდეთ. ჩვენ უმრავლესობას შევთავაზეთ, რომ პარლამენტში შეიქმნას უმცირესობა. ამის მიღწევაზე მუშაობა ხომ მაინც შეიძლება?! ■

„202“- მა ოპოზიციონერის იმიჯი უნდა მოიხსნას“

— ხშირად მსმენია, რომ ტელეკომპანია „202“-ის დამფინანსებლებს შორის იგორ გიორგაძეცაა. მაუწყებლობის შეწყვეტა ამ ფაქტს ხომ არ უკავშირდება?

დავით კოხრეიძე

გოგა კოხრეიძე, *ტელეკომპანიის ხელმძღვანელი*:

— იგორ გიორგაძესთან დაკავშირებული მოთქმა-მოთქმა დიდი ხნის წინ დაიწყო, ბევრი სხვა ჭორიც ვრცელდებოდა. ადამიანების ფანტაზიას საზღვარი არა აქვს... როცა ჩვენ მაუწყებლობა შევწყვიტეთ, მთელი დღის განმავლობაში ვრცელდებოდა ინფორმაცია, თითქოს ეს ხელისუფლების ზეწოლით მოხდა, მაგრამ მსგავსი არაფერი ყოფილა. მას შემდეგ, რაც ჩვენს არხზე საინფორმაციო გამოშვება გავიდა, არანაირ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. ჩვენი ტელეკომანია ფინანსურად ისეთი ძლიერი არაა, პარალელურ რეჟიმში ვაწარმოოთ რეორგანიზაციაც და მაუწყებლობაც. ამიტომ გადავწყვიტეთ, დროებით შევწყვიტოთ მაუწყებლობა. არ ვიცი, როდის დავბრუნდებით ეთერში. მინდა, მაუწყებლობა კარგი იყოს და სანამ ამის შესაძლებლობა არ იქნება, უმჯობესია, მოვითმინოთ. რეორგანიზაციის დაწყებასთან დაკავშირებით, საქმის კურსში ჩავაყენეთ დავით კოხრეიძე და შალვა რამიშვილიც. მათ კარგად იციან, თუ რა სჭირდება ჩვენს ტელეკომპანიას და ამ გადაწყვეტილებით კმაყოფილნი დარჩნენ. არხმა ოპოზიციონერის მიკერებული იმიჯი უნდა მოიხსნას. ჩვენ შევძელით, ობიექტური და დაბალანსებული საინფორმაციო გამოშვება გაგვეკეთებინა, მაგრამ იმიჯთან დაკავშირებით გარკვეული ცვლილებებია საჭირო. ვეცდები, რომ არხის თანამშრომლებმა ადგილები შეინარჩუნონ, ეს ხალხი ქუჩაში არ უნდა დარჩეს. ■

გაერო საქართველოში ადამიანთა წამების ფაქტებით შეშფოთებულია

— გაეროს 24-პუნქტიან რეკომენდაციაში ყველაზე მეტი კრიტიკა, სპეცოპერაციებისა და ნილბიანი სამართალდამცველების მისამართითაა გამოთქმული. ადამიანთა წამების შესახებ გაეროს ანგარიში, წინა წლებთან შედარებით, უფრო კრიტიკულია?

უჩა ნანუაშვილი, *ადამიანის უფლებათა საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი:*

— წლევანდელ ანგარიშში ბევრი რამ მეორდება, თუმცა, ახალი შენიშვნებიცაა გამოთქმული. რეკომენდაციაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საკმაოდ გავრცელდა დაუსჯელობის სინდრომი. აქედან გამომდინარე, გაერო საქართველოს მთავრობას მოუწოდებს, მიიღოს ზომები, რომ პენიტენციარული სისტემის თანამშრომლები და პოლიციელები უფრო ტოლერანტულები გახდნენ. უნდა დაიხვეწოს გამოძიების წარმოება... მათ შეშფოთებას იწვევს ციხეებში მაღალი სიკვდილიანობა, უკანონო დაკავებები და სასამართლოს დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი. კიდევ ერთი მთავარი საკითხთაგანი, რომელზეც გაეროს რეკომენდაციაშია ლაპარაკი, ეს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა ქმედებებია, რომლებიც სხვადასხვა სპეცოპერაციის დროს ნიღბებს იყენებენ. საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთა რჩევით, ნიღბების გამოყენების ფაქტები მაქსიმალურად უნდა შემცირდეს და ყველა ნიღბიანს უნდა ჰქონდეს საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელიც მის ამოცნობას გააადვილებს. როცა სპეცოპერაციაში 10 და 20 პოლიციელი მონაწილეობს და ყველას სახე დაფარული აქვს, როგორ უნდა დაადგინო, რომელმა გადაამეტა უფლებამოსილებას?! თუ ჩვენი ხელისუფლება ამ რეკომენდაციებს გაითვალისწინებს, ოროსანი მოსწავლეებივით კრიტიკის მოსმენა აღარ მოგვიწევს. თუ არა და, ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯი შეილახება, ხოლო ქვეყანაში წამების მსხვერპლთა რაოდენობა გაიზრდება. ■

„რაც დავიწყეთ, იმას ბოლომდე მივიყვანთ“

— როგორი იქნება ახალი საკრებულო, რომლის თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას სახელისუფლებო პარტია წარმოადგენს და როგორ დაეხმარებით იმ ამომრჩევლებს, რომლებმაც ნდობა გამოგიცხადეს?

დავით მესხიშვილი, *საკრებულოს წევრი:*

— მოსახლეობამ თავისი მოთხოვნები წამოაყენა და ჩვენს გუნდს აქვს გეგმა, რომ ამ ადამიანებს პრობლემები მოვუგვაროთ. ოპოზიცია ბრალს გვდებდა — კარდაკარ დადიანო. პიარი საზოგადოებასთან ურთიერთობას ნიშნავს. ამომრჩევლებს რომ არ შევხვედროდით, როგორ უნდა გაგვეგო, რა აწუხებთ?.. საკრებულოში შევდივარ იმ გეგმითა და პროგრამით, რომელიც თავად მოსახლეობამ წარმოადგინა. სამარცხვინოა, როდესაც კაცი მერობაზე პრეტენზიას გამოთქვამს და საკუთარ მოსახლეობასთან პირისპირ შეხვედრით თავს არ იწუხებს. წინასაარჩევნოდ, ჩვენი ოპონენტები ტელევიზიებში ისხდნენ და ჩვენ გვლანძღავნდნენ, ნაცმოძრაობას აკრიტიკებდნენ და საკუთარი რეიტინგი ავიწყდებოდათ... როგორ უნდა მოხვდნენ ისინი საკრებულოში, როცა ხალხთან შეხება და ლაპარაკი არ ჰქონიათ. ოპოზიციურმა პარტიებმა ერთმანეთთან დიალოგიც კი ვერ მოახერხეს, სხვადახვა რაიონში ერთმანეთს საკუთარი კანდიდატურები დაუპირისპირეს. ჩვენ კი გუნდური პრინციპით ვმუშაობთ და შიდა კინკლაობას, საქმის კეთებას ვამჯობინებთ. ამიტომ მოვედით საკრებულოშიც უმრავლესობით. ამის წყალობით, აღმშენებლობის პროცესი გაგრძელდება. პირადად ჩემი მონაწილეობით უამრავ ობიექტზე ჩატარდა სამუშაო: შეკეთდა სახურავები, ლიფტები; ევროპული ქვეყნების მსგავსად, ჩვენთანაც გაკეთდა უსინათლოებისთვის შუქნიშნები. ჩვენ არ ვართ „პაკაზუხა“ ხალხი, რომელიც ვიღაცის დასანახავად რაღაცას აკეთებს. რაც დავიწყეთ, იმას ბოლომდე მივიყვანთ. ოპოზიციამ კი, ინერვიულოს — მას ხალხი არ ენდობა.

■

„მშვიდობისმყოფელი“ ოფიცრის აღსარება:

„აფხაზეთის თემაზე წიგნის დაწერას ვაპირებ...“

რუსი სამშვიდობოების მიმართ ჩვენი პრეტენზიები ცნობილია, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი კითხვა: რას საქმიანობენ ცისფერჩაფხუტიანები მაშინ, როდესაც მათი ჩაფხუტის ფერი უკვე არ ჩანს? მოსაღამოებულზე რუსი სამხედროები კონფლიქტურ ზონაში სამშვიდობო მისიას ბიზნესსაქმიანობით ცვლიან. ამის შესახებ ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ არავინ არაფერს ამბობს. ადგილობრივმა მოსახლეობამ ისიც იცის, რომ რუს სამხედროებთან როგორც ქართველი და აფხაზი კრიმინალები, ისე აფხაზური მილიციაც თანამშრომლობს...

მაშინ, როდესაც რუსეთი და სეპარატისტული რეჟიმების ხელმძღვანელები კონფლიქტურ ზონებში რუსი სამშვიდობოების ყოფნის აუცილებლობაში საქართველოსა და მსოფლიო საზოგადოებას არწმუნებენ, ერთ-ერთი „მშვიდობისმყოფელი“ ოფიცერი საზოგადოებისთვის უცნობ და საკმაოდ მნიშვნელოვან დეტალებზე გულახდილად გველაპარაკება:

ლალი პაპასკირი

— არ შეიძლება, აფხაზეთში წლების განმავლობაში ყოფნამ მოგიწიოს და მარტო სამშვიდობო მისიის შესრულებით შემოიფარგლო. 90-იანი წლების შემდეგ, ძირითადად აფხაზეთში ვარ, მხოლოდ დროდადრო, როტაციის განხორციელებისას ვბრუნდები რუსეთში. ყოველთვის, როდესაც რუსეთში ჩავდივარ, მეკითხებიან — რა ხდება რეალურად აფხაზეთსა და საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ 14 წელია იქ ვცხოვრობ, თვითონაც არ ვიცი, რა ხდება.

— ალბათ არ უარყოფთ, რომ აფხაზეთში როტაციის დროს კანონით გათვალისწინებულ სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობას, დამატებითი ნაწილი მოჰყვება...

— ეს ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია. გარდა ამისა, აქვე გეტყვით, რომ ყველაფერი აფხაზეთის თავდაცვის სამინისტროს თხოვნით ხდება. ამ ნაწილების დახმარებით, აფხაზეთის ჯარისკაცების წვრთნა ხორციელდება. გასაგებია, რომ ეს საქართველოს ხელისუფლებას აღიზიანებს, მაგრამ არც საქართველო გამოირჩევა მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებში დელიკატურობით.

— სამხედრო დაზვერვის თანამშრომლების აყვანას გულისხმობთ?

— რა თქმა უნდა. ამ ფაქტმა შესაძლოა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება დააჩქაროს.

— საბედნიეროდ, ამ საკითხში რუსეთის პოზიცია გადამწყვეტი არ არის. რაც შეეხება, რუსეთის დაზვერვის თანამშრომლების აყვანას, მაშინ ერთი ადამიანი მიმალვაში იყო და მასზე დღემდე ძებნაა გამოცხადებული...

— მისი პოვნისა და დაკავების შანსი ფაქტობრივად, ნულის ტოლია. მოგეხსენებათ, რომ რუსეთს სამხედრო საიდუმლოებების საკითხებში საკმაო გამოცდილება აქვს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ნებისმიერ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში განლაგებულ რუსეთის ოფიციალურ სტრუქტურებს აქვს რამდენიმე იატაკქვეშა გასასვლელი, რომელსაც „საგარანტიო გვირაბი“ ეწოდება.

— რა განაპირობებს ამის აუცილებლობას?

— ბევრი რამ. როდესაც საქართველოს კონტრდაზვერვის თანამშრომლებმა რუსეთის სამხედრო დაზვერვის თანამშრომლები „შპიონაჟის“ ბრალდებით დააკავეს, ერთ სამხედროს, ეჭვმი-

ტანილს, რომელზეც ძებნა იყო გამოცხადებული, ზუსტად 10 წუთი ჰქონდა დრო, რათა თავისთვის ეშველა. საიდუმლო გასასვლელი ძალიან ბევრ ფუნქციას ასრულებს, თუნდაც იმიტომ, რომ მარადიული ამქვეყნად არაფერია, მით უფრო, პოლიტიკაში.

— გამოდის, რომ თბილისში განთავსებულ რუსეთის სტრუქტურებს რამდენიმე საიდუმლო გასასვლელი სჭირდებათ...

— ირონიული შენიშვნაა, მაგრამ მართალი ბრძანდებით. ამერიკელი სპეციალისტების დახმარებით, საქართველოს კონტრდაზვერვის, უშიშროებისა და სპეცსამსახურების საქმიანობა გაცილებით დახვეწილი გახდა, თუმცა, არც ისეთი ძლიერი, რომ რუსეთს მეტოქეობა გაუწიოს. ამერიკა არაფერს იშურებს იმისათვის, რომ კავკასიაში ფეხი მოიკიდოს. შესაბამისად, რუსეთი მას ისე ებრძვის, როგორც თვითონ ამერიკა. აკრძალული თამაშებით ბრძოლა კი, საერთაშორისო პოლიტიკაში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, ამიტომაც, რაღაც ნორმების დარღვევა ჩვენი მხრიდან გაოცებას არც უნდა იწვევდეს.

— ის ფაქტი, რომ რუსი სამშვიდობოები ადგილობრივ და ენგურსგაღმელ სტრუქტურებთან შავ ბიზნესში არიან ჩართულნი, მიგაჩნიათ, რომ ჩვეულებრივი მოვლენაა?

— 30 წელია, სამხედრო სისტემაში ვმსახურობ. სამშვიდობო მისიით მუშაობამ აფხაზეთში პირველად მომიწია. საბჭოთა კავშირი რომ არ დაშლილიყო და სამსახურებრივი მივლინებით აფხაზეთში არ ჩავსულიყავით, ამ ტიპის კონფლიქტს ვერასდროს ვნახავდი. მიმაჩნია, რომ ეს არის სრულიად ანომალიური მოვლენა. იქ არანაირი, მათ შორის სამხედრო წესები არ არსებობს. იცით, ძალიან რთულია იმ ტერიტორიაზე მშვიდობის შენარჩუნება, სადაც ადგილობრივები შენ მიმართ აგრესიას გამოხატავენ და ეს მაშინ, როდესაც შენ მათთვის ერთადერთი გადარჩენის გარანტი ხარ. ოჩამჩირეში არის ასეთი ადგილი — ღალიძგა, სადაც მეგრელები (*რუსი ოფიცერი დარწმუნებულია, რომ მეგრელები ცალკე ეროვნებას წარმოადგენენ. — ავტ.*), რუსები და აფხაზები თანაბარი რაოდენობით ცხოვრობენ. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ადგილობრივი მოსახლეობა მტრად აღგვიქვამდა. აფხაზები „ბუნტოვშიკებს“ გვიწოდებენ, რუსები — უჯიშოებს, ქართველები კი — პირდაპირ მტრებს.

— როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი?

— ალბათ ის, რომ აფხაზეთის ხელმძღვანელობისა და საერთო არეულობის წყალობით, საკუთარი მოვალეობის შესრულება, ცოტა არ იყოს, სხვა ფორმით გვიწევდა. სამხედრო კარიერის დასრულების შემდგომ, საკუთარ მოღვაწეობაზე წიგნის დაწერას ვაპირებ, სადაც ალბათ ყველაზე საპატიო ადგილს აფხაზეთის საკითხს დავუთმობ. აფხაზეთი ის ადგილია, სადაც ვერ გაიგებ, ვის მშვიდ ძილზე აგებ პასუხს. მაშინ, როდესაც ქართველები და აფხაზები ერთმანეთის მტრებად მიმაჩნდა, ერთხელაც მათ შორის აღმოვჩნდი და მივხვდი, რომ ეს ასე არ იყო.

— რამდენადაც ვიცი, ჩეჩნეთში ყოფნის გამოცდილებაც გაქვთ...

— კი, მაგრამ იმდენად სხვადასხვა სიტუაციაა... იქ იყო ომი, სადაც ვიცოდით, რომ ჩეჩენ ბოევიკებს ვებრძოდით. აფხაზეთში კი, წლების განმავლობაში არც ომი იყო და არც მშვიდობა.

— რატომ, თქვენი ქვეყნის ოფიციალური წრეები ირწმუნებიან, რომ აფხაზეთში მშვიდობას თქვენ უნდა გიმადლოდეთ...

— ადგილობრივ მოსახლეობას არ უნდა, რომ იქ მშვიდობა იყოს. ეს არის ტერიტორია, სადაც პროგნოზის გაკეთება ფაქტობრივად, შეუძლებელია. 90-იან წლებში, გალის მოვლენების დროს, მახსოვს შემთხვევა, როდესაც ორმხრივი სროლისას ჩვენ შუაში აღმოვჩნდით. სრულიად მოულოდნელად, აფხაზებმა ქართველების მიმართულებით ცეცხლი შეწყვიტეს და ჩვენ გაგვიხსნეს. რა თქმა უნდა, ჩვენ იმავეთი არ გვიპასუხია. ასე რომ, ვერ გაიგებ, რა უნდა აფხაზს, რომელსაც შენ მტრისგან იცავ.

— რამდენადაც ცნობილია, რუსი სამშვიდობოს მაღალჩინოსნები ქართველ და აფხაზ კრიმინალებთან ბიზნესპარტნიორობას არ თაკილობენ. ამ შემთხვევაშიც ზედმეტად გრძნობთ თავს?

— როგორც ჩანს, საკმაოდ კარგად ხართ ინფორმირებული და ბარემ იმასაც გეტყვით — ნუ ცდილობთ, ყველაფერი კრიმინალებს გადააბრალოთ... მათ საქმიანობას ნათელი მხოლოდ სამშვიდობოების წასვლის შემდეგ მოეფინება, მაგრამ მანამდე როგორც ჩანს, საკმაოდ გრძელი გზაა.

— თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა აფხაზეთიდან გადმოტანილი „საქონელი“ ცხინვალში გადასულა?

— რამდენიც გინდათ. ძირითადად, იარაღი. მოგეხსენებათ, რომ ჩვენი კონტროლის ქვეშ მთავარი დამაკავშირებელი, ენგურის ხიდია, მაგრამ მის გარდა არსებობს რამდენიმე სამანქანო გზა, მათ შორის, ყველაზე ცნობილი ე.წ. ჭუბურხინჯის ხიდი, რომელიც დღემდე კონტრაბანდის გადატანის მთავარ საშუალებად რჩება.

— ამ შემთხვევაში, თქვენი „საგარანტიო გასასვლელები“ რა ფუნქციას ასრულებს?

— არანაირს. იქ სულ სხვა ხალხი მუშაობს და მათ ერთმანეთთან ურთიერთობა თითქმის არა აქვთ.

— გაეროს საქმიანობაზე რას იტყვით?

— არც გაეროს დამკვირვებლები იკლავენ თავს დღე და ღამე კონფლიქტის მოგვარებისა და ამ ორ ხალხს შორის მშვიდობის დამყარებით. ეს მათი სამსახურია, სადაც საკმაოდ მაღალი ანაზღაურება აქვთ და კონფლიქტის ამოწურვის შემთხვევაში, პროგრამა დასრულებული იქნება.

— ალბათ ისევე, როგორც თქვენთვის...

— გარკვეულწილად, ალბათ მართალი ხართ. ჯერ იმ ასაკში არა ვარ, აქედან წასვლის შემდეგ პირდაპირ პენსიაზე გავიდე. თუმცა, მიმაჩნია, რომ ჩემი სამხედრო კარიერა დასრულებულია. რუსეთიდან იქ დასაქმებული ქართველების მასობრივი გასახლება სწორედ იმიტომ დაიწყო, რომ როგორც ჩანს, რუსეთს უნდა, საკუთარ მოსახლეობას პენსია მაინც გადაუხადოს. ორ მილიონზე მეტ ქართველს იქ საქმე იმდენად კარგად ჰქონდა აწყობილი, რომ იქაური ბიზნესით, საქართველოში რამდენიმე ოჯახს არჩენდა.

— მათი უმრავლესობის შემოსავლის წყაროს ვაჭრობა წარმოადგენდა...

— გასაგებია, გინდათ თქვათ, რომ ჩვენ ვაჭრობისგან შორს ვართ, მაგრამ ამ ქმედებით რუსეთი ცდილობს, საქართველო აიძულოს გარკვეულ დათმობაზე წავიდეს. ცალკე საკითხია, რა მითითებას მისცემს ვაშინგტონი საქართველოს და რა მოჰყვება ამას. ■

ლალი პაპასკირი

— როდესაც ადამიანს კიდურს აჭრიან, მას ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს ეს კიდური და თითები ეფხანება, მიუხედავად იმისა, რომ კიდური აღარ აქვს. არსებობს ასეთი ტერმინი — კიდურის ფანტომის სინდრომი. სხვათა შორის, დასავლურ პრესაში ამის შესახებ უკვე დაიწერა — რუსეთს სწორედ ეს სინდრომი აწუხებს. იქ, როგორც ჩანს, რეალობის აღქმის უნარი დაკარგესო. რუსეთში რატომღაც დარწმუნებული არიან, რომ კრემლის დახმარებით, ათეულობით წლების განმავლობაში ძალიან ბევრი ქვეყანა აშენდა. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, რუსეთს მაინც იმაზე აქვს პრეტენზია, რაც უკვე მისი აღარ არის.

— შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ საქართველო პატარა სახელმწიფოა, რომელიც წლების განმავლობაში, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად რუსეთზე იყო დამოკიდებული. თუ ბოლოდროინდელ მოვლენებს გადავხედავთ, მასთან ურთიერთობის დაძაბვამ პრობლემები მაინც შეგვიქმნა...

— მე მესმის თქვენი, ამ ყველაფერთან ერთად, მას აქვს ქვეყნის შიდა კონფლიქტურ ზონებზე ზეწოლის ბერკეტები. მაგრამ საქართველომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არაფერი არ უნდა გააკეთოს. ის დინებას უნდა მიჰყვეს. პიარი, რომელსაც საქართველო რუსეთის წინააღმდეგ იყენებს, თავის საქმეს აკეთებს. საქართველომ მას იმის საშუალება უნდა მისცეს, რომ მან თავი ბოლომდე გამოამჟღავნოს. როგორ გგონიათ, ვინ იგებს ომს? რა თქმა უნდა, საქართველო.

— როგორ ფიქრობთ, რუსეთს კიდევ რისი გაკეთება შეუძლია?

— იცით, რამდენადაც ცნობილია, საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრება სურს. მას ორი გზა აქვს — ან უნდა დაიცადოს, ან შექმნას ისეთი დრამატული სიტუაცია, რომელიც ძალიან სწრაფად შეგიყვანთ ამ ორგანიზაციებში. რა თქმა უნდა, საქართველომ ყურადღება არ უნდა მოადუნოს და არ უნდა იფიქროს, რომ ყველაფერი კარგად არის, ვინაიდან რუსეთს ყოველთვის შეუძლია, საქმე გააფუჭოს და ყველაფერი აურ-დაურიოს.

— რუსეთის მწვავე რეაქცია სამხედრო დაზვერვის თანამშრომლების დაკავებას მოჰყვა...

— ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, ასე იყო საბჭოთა კავშირის დროსაც მასა და ამერიკას შორის. მაგრამ საქართველომ ეს თამაში სულ სხვა დონეზე აიყვანა. ეს არის პიარისა და დიპლომატიის თამაში.

— როგორ ფიქრობთ, დათმობს რუსეთი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს?

— მოდი, რეალისტურად მივუდგეთ საკითხს. თქვენ გგონიათ, ე.წ. სამხრეთ ოსეთი რუსეთს ძალიან სჭირდება?

— შესაძლოა, არა, მაგრამ აფხაზეთზე იმავეს ვერ ვიტყვით...

— დიახ, მესმის, სოხუმი, გაგრა, ბიჭვინთა და დანარჩენი შავი ზღვისპირა კურორტები რუსეთს აინტერესებს, მაგრამ მაინც, ჩვენ არ ვსაუბრობთ ნავთობზე და ძალიან დიდ ტერიტორიაზე, აქ სხვა საკითხზეა ლაპარაკი. ერთ მშვენიერ დღეს სოხუმი ისეთივე რომ გახდეს, როგორადაც დღეს თბილისი გამოიყურება, ისევ ქართული რეგიონი იქნება. რუსეთს უნდა, რომ საქართველო ცოტათი მაინც იტანჯებოდეს. ორი აზრი არ არსებობს — ბოლოს და ბოლოს, რუსეთს მოუწევს დათმობა და თუ კარგად დაუკვირდებით, ეს უკვე მოხდა...

— ბოლო დროს საქართველოსთან ურთიერთობის გამწვავებაში რუსეთის მთავრობა ამერიკას ადანაშაულებს, თუმცა აქვე გვეუბნება, რომ საქართველოს გამო ამერიკა დიდ სახელმწიფოსთან ურთიერთობას არ გაიფუჭებსო...

— საქართველოს გამო ამერიკა რუსეთთან ურთიერთობას არ გაიფუჭებს. მათ ერთმანეთი სულ სხვა დონეზე სჭირდებათ — ავიღოთ თუნდაც, ერაყში შექმნილი ვითარება, ატომური იარაღი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ასე რომ, მხოლოდ პოლიტიკურ პიართან გვაქვს საქმე, სადაც საქართველო საკმაოდ კარგად თამაშობს, მან დაანახვა მსოფლიოს რუსეთი, როგორც ბოროტი ძალა.

— იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს მთავრობას თეთრი სახლის იმედი იმაზე მეტად აქვს, ვიდრე ეს რეალურად ხდება.

— საქმე ისაა, რომ დღეს ამერიკულ დიპლომატიას მაგიდაზე უდევს გაცილებით მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული საკითხები, როგორიცაა: ამერიკულ-მექსიკური ურთიერთობები, ტერორიზმთან ბრძოლა, ჩინეთის სამხედრო საკითხები... თუმცა, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი საკმაოდ რთულია, მაგრამ გაცილებით დაბლა დევს ამერიკელი დიპლომატების მაგიდაზე.

— თქვენი აზრით, რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავებას უნდა ველოდეთ?

— ჩემი აზრით, ეს ისტერია კიდევ ცოტა ხანს გაგრძელდება. მთავარია, რუსეთმა საქართველოსთან კონფლიქტი უფრო დიდ, ძნელად მოსაგვარებელ პრობლემად არ გადააქციოს და საქართველომ ის პოზიცია შეინარჩუნოს, რომელიც არჩეული აქვს. ქართულმა მხარემ უნდა გამოიყენოს პიარის ყველაზე გამართლებული მეთოდი. აქვე გეტყვით, რომ რუსეთის ფედერაციას პიარზე წარმოდგენა საერთოდ არა აქვს. რუსეთი დათვია, რომელიც ტორებს იქნევს და თან — უმისამართოდ. ასე რომ, საქართველოს მართლაც დიდი სიფრთხილე მართებს. თუმცა, კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ თქვენი ქვეყნის ხელისუფლება ზუსტად გათვლილი პიარპოლიტიკით მოქმედებს, რომელსაც არ უნდა გადაუხვიოს.

■

როგორ აფასებს მსოფლიო საზოგადოება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს? კიდევ რას უნდა ველოდეთ რუსეთისგან? რა შეიძლება დაუთმოს რუსეთმა პატარა საქართველოს და რის საფასურად? როგორც ამერიკელი ჟურნალისტი და პოლიტოლოგი ბილ ტომასი აცხადებს, საქართველომ მსოფლიოს რუსეთის სახით მონსტრი დაანახვა.

როგორც ბილ ტომასმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მისთვის ყველაზე საინტერესო საკითხად დღემდე საბჭოთა კავშირი რჩება. ამერიკელ ჟურნალისტს და პოლიტოლოგს ბიუროკრატიის თემაზე წიგნიც აქვს დაწერილი. მისი თქმით, მოვლენათა განვითარების სცენარი, სწორედ საბჭოთა სისტემის რღვევამ გამოიწვია. მთელი მსოფლიო და მათ შორის, საქართველო ამ რეჟიმის დაშლის საფასურს იხდის.

ბილ ტომასი: რუსეთს მოუწევს დათმობა და თუ კარგად დაუკვირდებით, ეს უკვე მოხდა...

გამჭლავნებული სიყვარული, შეთავაზებული ცოლობა და დანიშნული ქორწილი

ლალი ფაცია

დიდი ხანი არ არის, რაც ტელეკომპანია „სტერეოზე“ ერთი ლამაზი, ენაწყლიანი წამყვანი — თამუნა მუსერიძე გამოჩნდა. ის საავტორო გადაცემა „ალოს“ უძღვება. თუმცა, ცოტა ხნის წინ, მან მაყურებელს სრულიად ახალი პროექტიც — „ცხოვრებისეული“ შესთავაზა, რომელშიც ტრაგიკული ბედის მქონე ადამიანებს იწვევს. ასეთი ფორმატის გადაცემა ამ არხისთვის ცოტა არ იყოს უცხოა (რადგან გასართობი არხია), მაგრამ მაყურებელი ისევე აქტიურად ჩაერთო მასში, როგორც სხვა დანარჩენ გადაცემაში.

თამუნა კოტიკო თოლორაიასთან ერთად მოვიწვიეთ რუბრიკაში — „ჟურნალისტის როლში“. გაირკვა, რომ თურმე, მათ ერთმანეთი უყვართ. კოტიკომ თამუნას საჯაროდ აუხსნა სიყვარული და ცოლობაც სთხოვა. ეს ყველაფერი თამუნას დაბადების დღეზე მოხდა. იმავე საღამოს, კოტიკომ კლუბ „ბერიკონში“, შეყვარებულის დაბადების დღისთვის კონცერტი მოაწყო, რომელსაც თავადვე გაუძღვა.

კოტიკოს თამუნა შეუყვარდა?!

ჟურნალისტი – კოტიკო თოლორაია
რესპონდენტი – თამუნა მუსერიძე

— თამუნა, თამუნია, როგორ ხარ, ჩემო საყვარელო ადამიანო?

— ძალიან კარგად. შენ?

— არაჩვეულებრივად. თამუნა, მეტსახელად „მავნეს“ გეძახით. ხარ თუ არა სინამდვილეში მავნე და ეს სახელი ვინ შეგარქვა?

— უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ერთ გოგონას სანთებლით თმა შევუტრუსე და ეს რომ ლაშა ხარაზიშვილმა (იმან, რომელიც დღეს „იმედში“ მუშაობს და დიდი კაცია, მაშინ კი უნივერსიტეტში სწავლობდა და „ბონძღო“ იყო) დაინახა, მავნე ხარო — მითხრა.

— შენზე რომ ამბობენ, გოგონების მიმართ აგრესიულად არის განწყობილიო, ეს ჭორია, არა?

— რა „ნაგლი“ ხარ. ის გოგო შესატრუსი იყო და თავისი მიიღო. მეუბნებოდა: გინდა თუ არა, ცხვირის ოპერაცია გაქვს გაკეთებულიო. არადა, რაღაცას იგონებდა, ეჩვენებოდა.

— მართლა, როგორი ლამაზი ცხვირი გაქვს და საერთოდ, რა ლამაზი ხარ. ძალიან მიყვარხარ. დიდი ხანია გიცნობ და ახლა მომეცა საშუალება, საჯაროდ აგიხსნა სიყვარული. ტელევიზიით რომ გიყურებ, თვალს ვერ გაცილებ... ისე, შენი ახალი პროექტი — „ცხოვრებისეული“ ძალიან საინტერესოა, ღია ეთერში სერიოზულ თემებზე საუბრობ. მოწვეული გყავდა ცისფერი, ნარკომანი და ვიცი, ტრანსვესტიტისა და ტრანსსექსუალის მოწვევასაც აპირებ. ამ გადაცემის იდეა შენ გეკუთვნის?

— კი, იდეა ჩემია.

— თამუნა, ჩვენში რატომღაც ასეთი ტენდენცია შეინიშნება — ახალგაზრდა ბიჭები გეებს ჰბაძავენ, არადა, სულაც არ არიან ასეთები. რა აზრის ხარ ამასთან დაკავშირებით?

— ჩვენ ასეთი საერთო მეგობარიც გვყავს, არა? — ცისფერი არ არის, მაგრამ ცისფერივით იქცევა. არ ვიცი, ამას რატომ აკეთებს. უცნაურია.

— შეიძლება, ეს იმის ბრალია, რომ ისინი სახლში მხოლოდ ქალების გარემოცვაში იზრდებიან და საუბრის მანერა, მიმიკები ქალებისგან აქვთ აღებული... ისე, რას ფიქრობ არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებზე? მარტო ცისფერებზე კი არა, ლესბოსელებზეც გეკითხები. როგორც ვიცი, ასეთები ჩვენთანაც მომრავლდნენ. სხვათა შორის, ორ ლესბოსელს ვიცნობ.

— მათ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება არა მაქვს. ვერ გეტყვი, რომ ვგიჟდები, ისე მომწონს ისინი-მეთქი, მაგრამ ყველა თავისი ცხოვრებით ცხოვრობს და არავის პირად საქმეში არ ვერევი...

— ნარკომანების მიმართაც იგივე პოზიცია გაქვს?

— ნარკომანების მიმართ ცუდად ვარ განწყობილი. საქართველოში სტატისტიკის მიხედვით, 350000 ნარკომანია. ეს საშინელებაა. ვფიქრობ, რომ ისინი ავადმყოფები არიან. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია ამ საშინელებას თავი დაანებოს, მაგრამ არ ინდომებენ.

— რას ურჩევ მათ? ბევრი ისეთი ნარკომანი ვიცი, რომელიც ეკლესიაში წავიდა და თავს ლოცვით უშველა.

— ალბათ, ეს გზა ყველაზე კარგი საშუალებაა. შავნაბადაზე არსებობს მამათა მონასტერი, სადაც ნარკომანები მიდიან და ლოცვის შედეგად წამალს თავს ანებებენ, მაგრამ უმეტესობას ეს არ სურს. მაგალითად, ჩემი ნარკომანი რესპონდენტი, რომელიც გადაცემაში მყავდა მოწვეული, შეწუხებული იყო იმით, რომ „კაიფობდა“, თუმცა მისთვის თავის დანებებას მაინც არ აპირებს.

— ამას გარდა, ნარკომანიას მოსდევს ის, რომ ისინი ავადდებიან შიდსით, C ჰეპატიტით. იქნებ მათაც ურჩიო რამე?

— იცხოვრონ ჯანსაღი ცხოვრებით. განსაკუთრებით, პატარებს მინდა ვთხოვო: არასდროს დაინტერესდეთ ნარკოტიკით, კაიფით. იცხოვრეთ ბედნიერად, ყოველგვარი „ლომკის“ გარეშე.

— როდესაც სტუდიაში სტუმრად მოწვეულ ცისფერს ელაპარაკებოდი, რას განიცდიდი?

— გადაცემა საოცრად ემოციური გამოვიდა — ეთერში სტუმარიც ტიროდა, ოპერატორიც, მაყურებელიც, რომელიც ჩვენთან რეკავდა და ბოლოს, მეც ავტირდი...

— როგორ ფიქრობ, ცისფერობა თანდაყოლილია თუ შემდგომ შეძენილი?

— ერთი რამ არ მესმის — როგორ შეიძლება, მშობელმა არ იცოდეს, რომ მისი შვილი გეია. ამას ვერ დავიჯერებ.

— ეტყობა, მშობელს საკუთარი შვილი ისე უყვარს, ვერც კი წარმოიდგენს იმას, რომ ის შეიძლება, არატრადიციული ორიენტაციის იყოს.

— ამის არ მჯერა. არც ის მესმის, ცისფერები რომ ამბობენ: იცით, გამაუპატიურეს და იმიტომ გავხდი ასეთიო. მოკლედ, ჩემო კოტიკო, გადაცემა ძალიან ემოციური გამოვიდა და მას საზოგადოების მხრიდან დიდი გამოხმაურებაც მოჰყვა.

— ის ადამიანები, ვინც შენი გადაცემის რესპონდენტები ხდებიან, თავიანთი სურვილით მოდიან?

— კი. რეკავენ, გვიკავშირდებიან და

მოდიან. მათი ანონიმურობა (თუ ეს საჭიროა), 100%-ით არის დაცული.

— ამ გადაცემას ხანგრძლივად არსებობის პერსპექტივა აქვს?

— აქვს, რადგან მძიმე და ტრაგიკული ცხოვრების მქონე ადამიანები, სამწუხაროდ, ამ ქვეყანაზე ბევრნი არიან...

— თამუნა, ამ სერიოზულ თემებზე საუბრის შემდეგ მინდა, რომ დაბადების დღე მოგილოცო. დღეს (10 ოქტომბერი) ხომ შენი დაბადების დღეა?

— მინდა, დიდი მადლობა გადაგიხადო და საჯაროდ გამოვაცხადო, რომ დღეს, კლუბ „ბერიკონში“ ჩემი დაბადების დღისთვის მოწვეულია ყველა ქართველი მომღერალი, ტარდება კონცერტი, რომელსაც შენ წაიყვან. ამ საღამოს ორგანიზაცია შენ გაუკეთე და ამისთვისაც დიდ მადლობას გიხდი. ასეთი დაბადების დღე არასდროს მქონია.

— რამდენი წლის ხდები?

— 22-ის. უკვე იმ ასაკში ვარ, როცა ქალს წლოვანებას არ ეკითხებიან *(იცინიან)*.

— არ გეტყობა — 19 წლის გოგონას ჰგავხარ *(იცინიან)*.

— კი, ჩემო კოტე, ჩვენ არასდროს დაებერდებით...

— „გული, გული არა ბერდება“... *(წაიმღერა)*. ისე, ჩვენი ურთიერთობები როდის გავარკვიოთ?

— ჩვენ ერთმანეთზე იმდენი რამ ვიცით და ისე ახლოს ვართ, რომ მგონი, მარტო დაქორწინებაღა დაგვრჩა.

— მართალია და სხვა გზა აღარც გვაქვს. ამიტომ ზამთრისთვის დავნიშნოთ ქორწილი. ოღონდ, თაფლობის თვე არ გვინდა, კარგი?

— კარგი. თაფლობის თვე ცუდად მაქვს დაცდილი. მოდი, 31 დეკემბერს ვიქორწინოთ.

— საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ისე, ჩემ მიმართ რა გრძნობა გაქვს?

— აღარც კი მასხოვს, როდის გაგიცანი. მაშინ შენს ძმასთან, სოსოსთან ვმეგობრობდი. შენ არც გაქცევდი ყურადღებას, რადგან პატარა იყავი, მაგრამ მერე ყველაფერი შეიცვალა, ნელ-ნელა საერთო ინტერესებიც გაგვიჩნდა და დავახლოვდით. წარმოიდგინე, რომ იმაზე მეტი ვიცი შენზე, ვიდრე შენ გგონია. მინდა, გაგახსენო ერთი ეპიზოდი: შენ ერთ-ერთ არხზე მუშაობისას, ერთ-ერთ წამყვანს უყვარდი, ის შენზე ასაკით უფროსი იყო და მე გულზე ვსკდებოდი...

— ასე რომ, ჩემო თამუნა, მკითხველს და მაყურებელს ვაცნობებ, თუკი ისინი ჩვენი სიყვარულით დაინტერესდებიან, მოგვადევნონ თვალ-ყური. ჩვენი ურთიერთობა სერიოზულ ფაზაში შევიდა.

ჟურნალისტი – თამუნა მუსერიძე
რესპონდენტი – კოტიკო თოლორაია

— კოტიკო, „ჯეიობარში“ შესვლამდე პოპულარობა არ გაკლდა. რატომ შეხვედი ამ პროექტში?

— შვედების „ჯეიობარი“ მქონდა ნანახი და ასეთ პროექტში მონაწილეობის სურვილი გამიჩნდა. პირველ ქართულ „ჯეიობარში“ ჩემი სიზარმაცის გამო ვერ მივიღე მონაწილეობა. თუმცა, მისი ნახვის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ის ჩემი პროექტი იყო: კამერასთან მიყვარს მუშაობა, ბარში მუშაობის გამოცდილება მქონდა, კონტაქტური ვარ, მხიარულიც და ვიფიქრე: „ჯეიობარ 2“-ში მაინც მივიღებ მონაწილეობას-მეთქი. შევავსე ანკეტა, გავიარე კასტინგები, მაგრამ თავიდან თამაშში არ შემიყვანეს; შემდეგ, ერთი მოთამაშე რომ გავარდა, მთხოვეს: იქნებ, პროექტში შეხვიდეო. დავთანხმდი. დიდი მონდომებით და არაჩვეულებრივი განწყობილებით შევედი „ჯეიობარში“, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, იქიდან საპირისპირო განწყობილებით გამოვედი.

— როგორ ფიქრობ, შენი თამაშიდან გამოვარდნა იმით ხომ არ იყო გამოწვეული, რომ საკმაოდ გვიან, თვე-ნახევრის შემდეგ შეხვედი?

— ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ეგეც იყო. როგორც მოთამაშე, ნაკლებად პოპულარული ვიყავი და ძლიერი კონკურენტებიც მყავდა. თან გრძნობებს ავყევი. მოკლედ, ვერ ვითამაშე. მერჩივნა, იქაც ისეთი „ტიპი“ ვყოფილიყავი, როგორიც ცხოვრებაში ვარ და ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა.

— ისე, მეგონა, რომ პროექტში სხვანაირი იქნებოდი.

— კი, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მარტო არ ვიყავი — გვერდით თამუნა მყავდა და შესაბამისად, ვერ გავიხსენი.

— ისე მოხდა, რომ „ჯეიობარის“ შემდეგ, შენ და თამუნა ერთმანეთს დასცილდით. ეს პროექტში თქვენმა ერთად ყოფნამ ხომ არ გამოიწვია?

— კი და ამას არც ვმალავ. თამუნა „ჯეიობარში“ სულ სხვანირი იყო... ყველაზე მთავარი, თანაცხოვრების მომენტია. სანამ ადამიანთან ერთ ჭერქვეშ არ იცხოვრებ, მის ხასიათს ბოლომდე ვერ ამოიცნობ. მან სიყვარულს სხვა რაღაცები არჩია... მაგრამ ჩვენ მეგობრებად დავრჩით. ისე, შენ რომ ყოფილიყავი თამუნას ნაცვლად, როგორ მოიქცეოდი?

— ალბათ, ისე არ მოვიქცეოდი, როგორც თამუნა იქცეოდა.

— ჰოდა, მეც იმას ვამბობ, რომ ყველაფერი შეყვარებულ წყვილზეა დამოკიდებული...

— ვინც „ჯეიობარში“ შევიდა, იქიდან სულ სხვანაირი გამოვიდა, თითქოს, თავში რაღაც „აუვარდათ“. მხოლოდ შენ დარჩი ისეთად, როგორიც იყავი. რატომ?

— ალბათ, რაღაც-რაღაცები ბავშვობიდან მაქვს დაბალანსებული და იმიტომ...

— ყოველთვის კარგ ხასიათზე ხარ. ცდილობ, რომ ირგვლივ მყოფები გაამხიარულო. საიდან გაქვს ამდენი ენერგია?

— ეს ალბათ, ღვთისგან ბოძებული ნიჭია. არ ვიცი, რაც თავი მახსოვს, ასეთი ვარ. დილით რომ ვიღვიძებ, ვცდილობ, კარგ ხასიათზე ვიყო, ოპტიმისტი ვარ. სახლიდან გამოსვლის წინ, ღმერთს მადლობას ვუუბნები იმისთვის, რომ ცოცხალი ვარ. ამ ბოლო დროს კი, თავს ძალიან კარგად ვგრძნობ.

— ჩემო კარგო, ასე კარგად იმიტომ ხარ, რომ მე ვარ შენ გვერდით.

— მართალია. სიცოცხლე მშვენიერია, მიყვარს ცხოვრება. შენც ხომ მიყვარხარ... სიყვარული ყველაზე მაგარი გრძნობაა. შენ არ გიყვარვარ?

— მეც მიყვარს ცხოვრება, მაგრამ ცხოვრებაზე მეტად შენ მიყვარხარ! ყოველთვის მეგონა, რომ როგორც შეყვარებული, შენ ერთგული არ უნდა ყოფილიყავი, რადგან თავს ბევრი გოგო გეხვია და გახვევია. ბევრს უნდა შენთან ურთიერთობა. თუმცა შეგამჩნიე, რომ როდესაც ვიღაც გიყვარს, მისი ერთგული ხარ. ხომ იქნები ჩემი ერთგული?

— მთელი ცხოვრება შენი ერთგული ვიქნები.

— რომ დავქორწინდებით, სხვისკენ ხომ არ გაიხედავ?

— ფიცს ვდებ. შენ?

— მეც ერთგული ვიქნები. კოტიკო, ცალკე ვიცხოვრებთ, არა?

— აუცილებლად.

— და ყოველთვის ბევრი მეგობარი მოვა ჩვენთან სტუმრად, ხომ?

— კი, ჩემო კარგო. რაც მთავარია, მივხვდი, რომ შენც გიყვარს ცხოვრება, ადამიანები, ხალხმრავლობა.

— კოტიკო, რამხელა სიურპრიზი მომიწყვე დაბადების დღეზე — ერთგულების ფიციც დადე.

— ხელიც გთხოვე, ჩემო სიყვარულო. მოდი, გაკოცო *(კოცნის)*.

— მე ბეჭედს გავაკეთებინებ შენთვის და მას „მავნეს“ დავაწერ.

— მეც გავაკეთებინებ ბეჭედს შენთვის და კოტიკოს დავაწერ.

— მოგზაურობა ძალიან მიყვარს. ამიტომ 2 იანვარს, ბედობის დღეს ზურგჩანთები ავიკიდოთ და სამოგზაუროდ წავიდეთ, რომ დაგვებედოს.

— რა კარგი იდეაა — 31 დეკემბერს ქორწილი გვექნება, მერე ახალ წელს შევხვდებით, 2-ში კი სამოგზაუროდ წავალთ...

მიშა ანდღულაძე და ნიკა გრიგოლია სიდიდის შინაში ერთად ცხოვრობენ

ალეკო მალხაზიშვილმა ჰოლანდიაში ჰომოსექსუალები მოინახულა

მიუხედავად იმისა, რომ „შაბათის შოუს“ ბიჭებიდან ყველაზე პოპულარულები ვანო ჯავახიშვილი და მიშა ანდღულაძე არიან, სხვა დანარჩენებიც არანაკლები პოპულარობით სარგებლობენ და საზოგადოების ინტერესიც მათ მიმართ ყოველთვის დიდია. განსაკუთრებით, ისეთი მხიარული ადამიანებისადმი, როგორებიც ნიკა გრიგოლია და ალეკო მალხაზიშვილი არიან. მიყვარს მათთან ინტერვიუებზე მისვლა, რადგან არასოდეს არიან ცუდ ხასიათზე და ჩვენი საუბარიც ყოველთვის საინტერესო და მხიარული გამოდის. გასული ზაფხული ორივე მათგანმა საზღვარგარეთ გაატარა. თუ რამ აღაფრთოვანათ ყველაზე მეტად და ვისთან ერთად გაემგზავრნენ უცხო ქვეყნებში, ამ ყველაფერზე თავად ალეკო და ნიკა გვიამბობენ.

ნათია ქივიძე

— როგორ დაიწყო თქვენი ახალი სამუშაო პროექტი და ამ სეზონისთვის მაყურებელს რა სიახლეებს სთავაზობთ?

ალეკო:

— ჟურნალისტო, ახლავე აგიხსნი, რაც ხდება. ჩვენ ახალი სეზონი ძალიან

ადამიანებს ოჯახის წევრების დახმარებით ვაბამთ მახეში

მოდუნებულად დავიწყეთ, რადგან მთელი ზაფხული ვისვენებდით. დასვენების მერე კი სამუშაო კალაპოტში ჩადგომა ყოველთვის ჭირს. თუმცა, უკვე ერთი თვეა, ვმუშაობთ და ახლა ცოტა აზრზე მოვედით, დავიქოქეთ. რაც შეეხება ახალ პროექტს, გვაქვს პროექტი პროექტში — ანუ „ფარულ კამერაში“ გავიდა ახალი რუბრიკა, რომელსაც „ოჯახური“ ჰქვია. ამ რუბრიკაში ცნობილ ადამიანებს ვეხუმრებით. „ოჯახური“ კი იმიტომ ჰქვია, რომ ამ ადამიანებს ოჯახის წევრების დახმარებით ვაბამთ მახეში.

ნიკა:

— ჩემკენ ახალი არაფერია. ისევ ციყვთან ერთად უნდა ვირბინო ქუჩაში და ვიგიჟო. ამას ისიც დაემატა, რომ ჩვენს გადაცემაში ხელფასი მე უნდა გავანაწილო, რადგან ალეკო ამ დროს, თავს ვერ აკონტროლებდა და ამიტომაც შევითავსე მისი ფუნქცია. აი, ასე „ვთუხთუხებთ“ „ფარულ კამერაში“.

— როგორც ვიცი, მეუღლეებთან ერთად საზღვარგარეთ იყავით. მიამბეთ, რომელი ქვეყნები შემოიარეთ და როგორ დაისვენეთ?

ალეკო:

— ნიკა საზღვარგარეთში იყო, მე საზღვარგარეთ.

ნიკა:

— როგორც იცით, სულ რამდენიმე თვეა, რაც ცოლი მოვიყვანე. იცით, რა კარგი ყოფილა? თუმცა, ჩვენს ურთიერთობაში არაფერი შეცვლილა, როგორებიც დაოჯახებამდე ვიყავით, ისევ ისეთები ვართ. ახალი დაქორწინებულები ვიყავით, როცა დასასვენებლად წავედით. სამი ქვეყანა მოვიარეთ — ავსტრია, გერმანია და საბერძნეთი. ავსტრიაში იცი, რატომ ვიყავი? ქალაქ მატიკოფენში ჩემი „მოტოციკლის“, „კატეემის“ ქარხანაში მივედით და იქ ყოფნით ძალიან ვისიამოვნე. მერე გერმანიაში გადავინაცვლეთ, სადაც ჩემი მეუღლის, იას მამა ანუ ჩემი სიმამრი მოვინახულეთ. გერმანიაში რომელიღაც უნივერსიტეტში სწავლობს, თან სხვა რაღაც საქმეებიც აქვს. ჩემი სიმამრი ჩემი „ბრატია“, თან გადაგვყვა. მერე საბერძნეთში დედაჩემი და აკროპოლისიც მოვინახულეთ. დედაც თან გადაგვყვა. მოკლედ, საზღვარგარეთ სულ 20 დღე ვიყავით და მაგარი დრო ვატარეთ.

ალეკო:

— როგორც იცი, მეც ჩემს მეუღლესთან ერთად დავისვენე — ინგლისში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, ესპანეთსა და იტალიაში ვიყავი. იქიდან მანქანით წამოვედით და საბერძნეთი და თურქეთიც გამოვიარეთ, მაგრამ იქ არ გავჩერებულვართ — ამით იმის თქმა მინდა, რომ ახალი მანქანა შევიძინე. არ უკლებდა ის ბებერი პენსიონერი, მაგრამ დავაკლებინე და 250 ევროდ ვიყიდე. სხვათა შორის, ჩემს მანქანაში არ ეწევიან.

— შვილები თქვენთან ერთად არ იყვნენ?

— არა. ბავშვებმა ზაფხული სურამში გაატარეს.

— როგორ დაგიჩაგრავთ...

— მართალი ხარ. წელს ძალიან დავჩაგრეთ.

ნიკა:

— ავსტრიაში რომ ჩავედით, აეროპორტში ქართველები გავიცანი, რომლებიც ვენაში ცხოვრობდნენ. მთელი იქ ყოფნის პერიოდში, მე და ია მათ სახლში ვცხოვრობდით. ძალიან მდიდრები არიან. ვენაში პატარა, „საკაიფო“ რესტორანი აქვთ. მერე, როგორც გითხარი, მატიკოფენში წავედით. გიჟივით დავრბოდი იმ ქარხანაში, ხალხი გაოცებული მიყურებდა, მგონი, მათ მართლა გიჟი ვეგონე. ალბათ ჩემზე რაღაცეებსაც ამბობდნენ, მაგრამ საბედნიეროდ, მათი ენა არ მესმოდა.

ალეკო:

— ამსტერდამში თათარი კაცი გავიცანი...

ნიკა:

— ჰოდა, მე ეგ თათარი მერე გერმანიაში ვნახე. დამინახა თუ არა, დამიძახა: ეს „ფარული კამერაა“. გამიკვირდა, საიდან იცის-მეთქი. თურმე ალეკოს შეხვედრია. ისე, საზღვარგარეთ ბევრი ქართველი ცხოვრობს, მაგრამ მატიკოფენში არც ერთი ქართველი არ შემხვედრია (თუმცა ის სოფელივითაა და იქ არც უნდა ყოფილიყვნენ)... იქ შიშველი კაცის ძეგლიც ვნახე, რომელიც წაკუზული იყო. მერე გავიგე, რომ თურმე წმინდანი ყოფილა. გავგიჟდი. ვერ მივხვ-

ყველანი ერთად, ჯიგრულად ვცხოვრობთ. მერე ალბათ დავიფანტებით



როცა რომელიმე რაიმეს გაკეთებას დავაპირებთ, დარწმუნებულები ვართ, რომ მეორეს ეს აუცილებლად მოეწონება.

დი, წმინდანის ძეგლი ამ პოზაში რატომ უნდა ყოფილიყო გამოქანდაკებული. მისი სახელი არ ვიცი, მაგრამ ეტყობა, კარგი კაცია. აბა, ძეგლს ისე ხომ არ დაუდგამდნენ? ბევრი საინტერესო რამ ვნახეთ მე და იამ. ძალიან კარგი დრო გავატარეთ...

ალეკო:

— ბოლოს 20 ევრო დააკლდა და იმ თათარი კაცისგან ისესხა.

ნიკა:

— გატყუებს, არაფერიც არ დამკლებია. ფული საკმარისი მქონდა... საბერძნეთში კი ზღვაში ვჭყუმპალაობდით.

ალეკო:

— ხალხნო, მინდა გითხრათ, რომ ბადენ-ბადენში ზღვა არ არის. გვატყუებენ.

ნიკა:

— ალეკო, ხელს ნუ მიშლი... სიმართლე რომ გითხრა, საზღვარგარეთ ყველაზე მეტად მოტოციკლეტის ატრიბუტები მაინტერესებდა. შევიძინე კიდეც რაღაცები, მაგრამ საზიზღარმა გერმანელებმა არ ამატანინეს თვითმფრინავში.

— შენს ცოლსაც აინტერესებდა მოტოციკლეტების ნახვა?

— ძალიან. სხვათა შორის, მომავალ წელს მას საკუთარი მოტოციკლი ეყოლება.

— ალეკო, შენ ჰოლანდიაში თუ იყავი, ალბათ, ნარკოტიკსაც გაუსინჯავდი გემოს...

— ჰოლანდიაში რომ ჩახვალ, მარიხუანა ქუჩაში რომ არ მოსწიო, თან პოლიციელს რომ არ მოაკიდებინო, ალბათ ცოდვაა. ამ ცოდვას ხომ ვერ ჩავიდენდი? ამიტომ მოვწიე. კიდევ ჰომოსექსუალების მონუმენტიც ვნახე. იცი, როგორია? ვიღაც ცისფრები სხედან და ტირიან. ოღონდ არ ვიცი, რა ატირებთ... კიდევ ვიმეორებ, რომ ბადენ-ბადენში ზღვა არ ყოფილა, ამიტომ იძულებული ვიყავი, აუზში მეჭყუმპალავა... ინგლისი ძალიან მაგარი იყო. ლონდონში მუზეუმში ვიყავი, სადაც ცნობილი ადამიანების ცვილის თოჯინებია. იქ ერთმა გოგონამ შემომხედა და უიო — თქვა. მივხვდი, რომ ქართველი იყო.

— ამდენი ქვეყანა რომ მოინახულეთ, ვინმემ მიგიწვიათ თუ თქვენი ხარჯებით წახვედით?

ნიკა:

— არა, ორივე ტურისტულად წავედით. ალეკომ ერთი კარგი კაცი იპოვა, რომელიც გამგზავრებაში დაგვეხმარა.

ალეკო:

— იქ ერთმანეთს არ შევხვედრივართ, რადგან მე გერმანიიდან რომ მოვდიოდი, ნიკა იქ მაშინ წავიდა და ერთმანეთს გზაში ავცდით.

— მოდი, ახლა აქაურ ამბებს დავუბრუნდეთ. თქვენი აზრით, ვანო ჯავახიშვილი არის თუ არა დათო გოგიჩაიშვილის ღირსეული შემცვლელი?

ალეკო:

— ამ კითხვაზე რატომ უნდა გიპასუხო? რადგან ასე გადაწყვიტეს, ე.ი. ასე იყო საჭირო. ჩემი აზრი რაში გაინტერესებს?

ნიკა:

— ჩემი აზრით, ვანო კარგი წამყვანია. დღეს დავესწარი „ღამის შოუს“ ჩაწერას და ძალიან მომეწონა. დანარჩენს ხალხი გადაწყვეტს.

— ნიკა, მოდი ახლა შენს უცნაურ ვარცხნილობაზე ვისაუბროთ. ფოტოების მიხედვით ვხვდები, რომ თმა წითლად საზღვარგარეთიდან ჩამოსვლის მერე შეგიღებავს...

— რამდენიმე წლის წინ ზუსტად ასეთი ვარცხნილობა მქონდა, ოღონდ თმა უფრო წითლად მქონდა შეღებილი (ახლა „რიჟა“ ვარ). მაშინ ვანომ და მიშამ რომ მნახეს, კინაღამ მომკლეს — ეს რა გიქნიაო და შევიჭერი. ახლა ისევ გადავწყვიტე, რომ ასეთი ვარცხნილობა მქონოდა, რადგან ეს „პრიჩოსკა“ ძალიან მომწონს. საერთოდ, სტაფილოსფერი ყველაფერი მომწონს. საცვლებიც კი ამ ფერის მაქვს... ხალხის აზრი არ მაინტერესებს. სხვათა შორის, ასეთ ვარცხნილობაში ბევრს მოვწონვარ, მათ შორის, ყველაზე მთავარს — ჩემს ცოლს.

— მას შეუთანხმდი, ასეთი ვარცხნილობა რომ უნდა გაგეკეთებინა?

— არა, ჩვენ ერთმანეთს არაფერს ვუთანხმებთ. როცა რომელიმე რაიმეს გაკეთებას დავაპირებთ, დარწმუნებულები ვართ, რომ მეორეს ეს აუცილებლად მოეწონება. მოკლედ, მე და ია კარგად ვუგებთ ერთმანეთს და მსგავსი რაღაცების გამო პრობლემები არასდროს გვექმნება.

— რადგან ცოლებს ასე ხშირად ახსენებთ, ორიოდე სიტყვით, თქვენს ოჯახებზეც გვიამბეთ.

ალეკო:

— ჩემი ცოლი რომ ვერაა, ხომ იცი? კიდევ პატარა ლიზი რომ გვყავს, რომელიც 26 აგვისტოს 2 წლის გახდა, ეგეც იცი. გეტყვი იმას, რომ ლიზი ქართულადაც და რუსულადაც ძალიან კარგად ლაპარაკობს — დედამისს რუსულად ელაპარაკება, მე — ქართულად. ერთხელ ჩემმა მეუღლემ დამირეკა და მკითხა: ალექს, „ჩტო ტაკოე“ სიმინდი? ავუხსენი, რაც იყო და მერე დავინტერესდი, რატომ მკითხა. თურმე ბავშვი ნახევარი საათი ტიროდა, სიმინდი მინდაო... ერთხელ, ღამით გაიღვიძა და ტიროდა — მამაო. მაშინვე წამოვხტი და მის ოთახში შევედი. უკმაყოფილო სახით შემომხედა და ტირილი ამ სიტყვებით გააგრძელა: დედა, დედაო. მერე გამოსავალი იპოვა და დედამისს „მამას“ ეძახის, მე კი „მამიკოს“. ისეთი ჭკვიანია, სულ მე მგავს. უფროსი გოგო, მაშაც არაჩვეულებრივად ლაპარაკობს ქართულად. უფრო მეტიც, ქართულ სკოლაში სწავლობს (უკვე მესამე კლასში გადავიდა). ის, არც მამას მეძახის და არც მამიკოს, მისთვის უბრალოდ, ალექსი ვარ.

— ნიკა, სულ ცოტა ხნის წინ, მიშა ანდღულაძე შენი ქვისლი გახდა. როგორი ნათესავები ხართ ერთმანეთისთვის?

— არაჩვეულებრივი. როცა მათ დაქორწინება გადაწყვიტეს, რა თქმა უნდა, ეს ამბავი ჩემთვის არ დუმალავთ და თავიდანვე ყველაფერი ვიცოდი. ჯერჯერობით ყველანი ერთად, ჯიგრულად ვცხოვრობთ. მერე ალბათ დავიფანტებით.

— სიდედრთან ცხოვრობთ?

— მოდი, ეს „ბაზარი“ არ გინდა. რა მნიშვნელობა აქვს, ვის სახლში ვართ. მთავარია, რომ ჯერჯერობით ერთად ვართ, მერე ცალკე გადავალთ. ისე, ერთად ცხოვრებას ძალიან შევეჩვიეთ. ალბათ, მე და მიშას ცალ-ცალკე ცხოვრება გაგვიჭირდება.

— ალბათ მალე შვილებიც გეყოლებათ.

— მართალია, მე და იას შვილები აუცილებლად გვეყოლება (მიშასა და მარიამსაც), მაგრამ ჯერ არ გვინდა. ამ ამბავზე მე და ჩემი ცოლი მომავალში ვიზრუნებთ. ■

„აბიტურიენტი 2005“ გთავაზობთ მომზადებას ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის.



15 ოქტომბერს 13.00 საათზე
ლია კარის დღეს ატარებს
თეიმურაზ ტორონჯაძე

თფთცფმდწ ზკწსუთშთ ჩუდქჯპმფტუდ-ლწტთგდეფტეშ
მაშჭ-ქფეუქფეშლშთ ქუსტყ ვწღეწკშბ
ღფკეგდ-ფქუკშლგდშ გტშმუკთშეუეშთ ზკწაუთწკშეყ
ქშთჟ ზულშტშთ ღყ 31 შშ თფვბ შმ თფკეყ
ეუდჟ „„-№.-l:ჟ .;;-„“-№„-?„

პატარა საქართველოს დიდი გაკვეთილები

საგანგაშოდ გამწვავებულ საქართველო-რუსეთის დაპირისპირებაში ოთხივე მხარეს საკუთარი ინტერესები ამოძრავებს. ოთხივეს-მეთქი, შეცდომით როდი წამომცდა. როგორც ასეთ შემთხვევებში იტყვიან ხოლმე, უკვე ბავშვმაც კი იცის, რომ კონფლიქტში, მასში უშუალოდ ჩართული საქართველოსა და რუსეთის გარდა, კიდევ ორი სუბიექტი — ევროპა და ამერიკა მონაწილეობენ. რაც შეეხება ინტერესებს, ისინი, ალბათ მრავალგვარიცაა, მაგრამ „შეუიარაღებელი თვალით“ მაინც მხოლოდ ოთხი ძირითადი ჩანს. კერძოდ: გულანთებულ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა სურს, საბოლოოდ გულგაცივებულ რუსეთს — ამის არაფრით დაშვება, პრაგმატული ამერიკა კავკასიაში საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების გასატარებლად ილვწის, საკუთარ კეთილდღეობაში ჩაძირული ევროპა (პირველ რიგში, ამავე კეთილდღეობისთვის ცივი ნიავის არმიკარების მიზნით) — ჩვენს რეგიონში სტაბილურობის შესანარჩუნებლად. მაგრამ იმაზე, თუ რამდენადაა შესაძლებელი ყველა ამ ინტერესის ერთდროულად გატარება პატარა და ფეთქებადსაშიშ კავკასიაში და რა დარჩება ამის შემდეგ კიდევ უფრო პატარა საქართველოსგან, ჯერ ხმამაღლა არავინ ლაპარაკობს. და რადგან „ძლიერნი ამა სოფლისანი“ დუმან, უბრალო ქართველებს ისღა დაგვრჩენია, გაურკვევლობით დამძიმებული გულები უცხოური პრესის კითხვით „მოვიფხანოთ“.

რუსუდან ლებანიძე

რუსი ოფიცრები ჯონდოლიზა რაისმა გაათავისუფლა (?!)

(The Boston Globe, აშშ)

სააკაშვილის მცდელობა, გააღიზიანოს რუსი დათვი და პუტინის გაუწონასწორებელი რეაქცია იმითაა სახიფათო, რომ შესაძლოა, რეგიონული მასშტაბის უთანხმოება დიდ გეოპოლიტიკურ კონფლიქტად გადაქციოს. ეს კი, თავის მხრივ, კიდევ უფრო დაძაბავს ისედაც ერთობ გართულებულ ურთიერთობებს კრემლსა და თეთრ სახლს შორის, რომელიც „ცივი ომის“ ახალ ვერსიადაც შეიძლება წარმოგვიდგეს.

სააკაშვილის პროვოკაციაზე პუტინის არაადეკვატური რეაქციის საფუძველს წარმოადგენს იმის შიში, რომ საქართველო, თავს აღწევს რუსეთის გავლენის სფეროს. 4 რუსი ოფიცერი მაშინ დააპატიმრეს, როცა სულ ცოტა დრო იყო გასული იმ მომენტიდან, რაც ნატომ დადებითად გადაწყვიტა საქართველოსთან ინტენსიური დიალოგის რეჟიმზე გადასვლის საკითხი. ეს გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ საქართველო მალე, ჩრდილოატლანტიკური სამხედრო ალიანსის წევრად მოგვევლინება.

...სააკაშვილმა დიდი დარტყმა მიაყენა კრემლის პატივმოყვარეობას, როდესაც საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, რუსი ოფიცრები ეუთოს (და არა პირდაპირ რუსეთს) გადასცა და განაცხადა: „ჩვენ გვინდა, ვუთხრათ რუსეთს — კმარა! დროა, შევცვალოთ თამაშის წესები. საბჭოთა იმპერია აღარ არსებობს, ჩვენ კი არ წარმოვადგენთ მეამბოხე ერს, რომელიც თავის ცენტრალურ მთავრობას აუჯანყდა, ჩვენ — თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ და სწორედ ამ სტატუსით ჩვენდამი პატივისცემას მოვითხოვთ“.

აი, სწორედ ეს არის საქმის არსი: საქართველოს არ სურს, რუსეთის შორეულ კუთხეში მიკუნჭულ, იმპერიის ვასალურ ქვეყანას წარმოადგენდეს. პუტინს კი შეურაცხყოფს, საბჭოთა იმპერიის უძვირფასესი ტერიტორიების — საქართველოსა და უკრაინის დაკარგვა...

ამაზე უარესი კი ის გახლავთ, რომ რუსეთის პრეზიდენტმა მიანიშნა — სააკაშვილის ქმედების მიღმა, ვაშინგტონი დგასო. არადა, ყველაზე მტკივნეულ საკითხში სწორედ აშშ ჩაერია: სახელმწიფო მდივანმა, კონდოლიზა რაისმა — კრემლის თხოვნით — პირადად დაურეკა სააკაშვილს და დაარწმუნა იმაში, რომ უმჯობესი იქნებოდა, რუსი ოფიცრები სამშობლოში დაებრუნებინათ!.. უკვე იმის შემდეგ, რაც ამერიკამ რუსეთს ამ საკითხში დახმარება გაუწია და რუსი მზვერავები შინ დაბრუნდნენ, პუტინმა გასცა ბრძანება, საქართველოს წინააღმდეგ სანქციების შემოღების შესახებ!..

საქართველოს ბლოჯადა თვალსაჩინო გაკვეთილის ჩასატარებლად ხორციელდება

(Frankfurter Rundschau, გერმანია)

ევროპის წარმომადგენლები წუხან იმის გამო, რომ სააკაშვილი უარს ამბობს რეფორმების გატარებაზე და კრიტიკას ერთი არგუმენტით პასუხობს: საქართველოსთვის მთავარი „ვაშინგტონის მხარდაჭერაა“. ასეთი მჭიდრო კავშირი წინდაუხედაობაა, რადგან ამერიკა პატარა ქვეყნებს ბედის ანაბარად ისეთივე სიმსუბუქით ტოვებს, როგორითაც მათ „იშვილებს“ ხოლმე.

თბილისს ძირითადად, ვაშინგტონთან კი არა, მოსკოვთან თანაარსებობა უწევს. იმაზე, რომ პუტინის რუსეთი ნამდვილად არ წარმოადგენს სასიამოვნო პარტნიორს, არავინ დაობს. მაგრამ საქართველო ბევრ რამეში სწორედ მასზეა დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, სააკაშვილი რუსეთის სიტყვიერი ჩაწიხვლის ნებისმიერ შემთხვევას იყენებს. გაზაფხულზე კრემლმა რეაგირება „გამაფრთხილებელი გასროლით“ მოახდინა და ქართული ექსპორტის ძირითადი საქონლის: ღვინის, მინერალური წყლისა და ხილის იმპორტი შეაჩერა. სააკაშვილი მაინც შეუვალი დარჩა და გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სეპარატისტულ რეგიონებში — სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რუსული სამშვიდობო ძალების ყოფნას „ბანდიტური ოკუპაცია“ უწოდა.

პუტინს საჯარო კრიტიკაზე ალერგია აქვს და თუ მეზობელი სუსტია, თავად კი შურის საძიებლად მტკიცედ განწყო, რუსეთის პრეზიდენტს ველარაფერი შეაჩერებს. ამის დასტურად ყოფილი ოლიგარქის — მიხაილ ხოდორკოვსკის მაგალითიც კმარა, რომელიც კრემლის გამგებლის მრისხანებას ხშირად იწვევდა და ბოლოს და ბოლოს, ციხეში ამოყო თავი... რუსეთმა ქართველებზე ნადირობა უკვე დაიწყო და ვითომდა, სავიზო რეჟიმის დარღვევის საბაბით, ქვეყნიდან ასობით ქართველი გააძევა. კრემლთან დაახლოებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კი, სამხედრო მუქარისა და თვით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ანექსიისკენაც ერთხმად მოუწოდებენ.

თუ სააკაშვილს იმის იმედი აქვს, რომ თეთრ სახლში მჯდომი მფარველი კრემლს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დამყარებული, პრაქტიკულად კოლონიური რეჟიმის გაუქმებას აიძულებს, ის ნამდვილად ცდება. ჯორჯ ბუშს რუსეთზე ზეწოლის ეფექტური ზომების მიღება რომც შეეძლოს, ორი პატარა კავკასიური რეგიონის გამო ის ამას მაინც არ გააკეთებს და რუსეთთან ურთიერთობას არ გაიფუჭებს — ყოველ შემთხვევაში, ახლა, თეთრი სახლი ყველანაირად ცდილობს, მოსკოვი ირანის საკითხში მხარდაჭერაზე დაითანხმოს და კიდევ მანამ, სანამ ამერიკას რუსეთიდან გაზისა და ნავთობის მიღების იმედი აქვს.

იმაზე უკვე აღარავინ დაობს, რომ საკუთარი სანქციებით, თანაც არა მარტო პოლიტიკური, არამედ იურიდიული თვალსაზრისითაც, კრემლი დასავლეთის თვალში რეპუტაციას კიდევ უფრო იფუჭებს, მაგრამ მოსკოვს ეს სულაც არ ანაღვლებს. რუსეთი

ნეოიმპერიულ პოლიტიკას ატარებს და საკუთარი ენერგეტიკული იარაღის „აჟღარუნებასაც“ არ ერიდება. საქართველოს ბლოკადა თვალსაჩინო გაკვეთილის ჩასატარებლად ხორციელდება: რუსეთს უნდა, დაუმტკიცოს ჭირვეულ ექსვასალსა და აჩვენოს დასავლეთს, რომ ნავთობის დოლარებში მობანავე კრემლი კვლავაც საკმაოდ ძლიერია და მისი გავლენის ზონაში ჩარევისას, საპასუხო დარტყმის მიყენებაც შეუძლია.

ტრაგიკული კონფლიქტის ყველა პირობა გამოიკვეთა

(Newsweek, აშშ)

ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ცუდი ურთიერთობა არახალია. თუმცა, ამჯერად ამერიკა შეიძლება, მაინც მივიდეს იმ ზღვრამდე, რომელსაც ცივი ომის პერიოდში ასეთი მონდომებით ერიდებოდა. ესაა შეიარაღებული შეტაკება რუსეთის საზღვარზე მოსკოვსა და იმ სახელმწიფოს შორის, რომელსაც ამერიკა მფარველობს.

კრიზისი 27 სექტემბერს — ანუ მას შემდეგ დაიწყო, რაც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ოთხი რუსი ოფიცერი დააპატიმრა. ეს ადამიანები, ნაწილობრივ ამერიკის ზეწოლის წყალობითაც, მალევე გაათავისუფლეს. მიუხედავად ამისა, მოსკოვმა მაშინვე მკაცრი სავაჭრო და ფინანსური სანქციები შემოიღო და თბილისიდან თავისი დიპლომატებიც გაიწვია. რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს ხელისუფლებას „ფაშისტური“ უწოდა, ხოლო რუსეთის პარლამენტმა კი მისი „სახელმწიფო ტერორიზმიც“ გულმოდგინედ დაგმო. სააკაშვილმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ რუსეთს „საქართველოს განადგურება სურს“.

იმავდროულად, აღსანიშნავია სხვა მოვლენებიც, რომლებიც კავკასიის რეგიონს პოტენციური კონფლიქტისკენ უბიძგებს. ეს, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ამ რეგიონიდან ასობით კილომეტრით დაშორებულ ბალკანეთში ხდება. იქ უახლოეს ხანებში, დასავლეთი სერბეთის მეამბოხე პროვინცია კოსოვოსთვის დამოუკიდებლობის მინიჭებას აპირებს...

რუსები მიიჩნევენ, რომ ბალკანეთისა და კავკასიისადმი დასავლეთის განსხვავებულ მიდგომებს ორმაგი სტანდარტის სუნი ასდის, მოსკოვი თავს ვალდებულად თვლის, მხარი დაუჭიროს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, რასაც მხოლოდ ძმური გრძნობების გამო როდი აკეთებს...

საქართველოსთან დამოკიდებულებაში განსაკუთრებულ საფრთხეს რუსეთის გადამეტებული ემოციურობა წარმოადგენს. მოსკოვს აღაშფოთებს ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველომ, რუსული გაზის სუბსიდიებისა და რუსეთში მყოფი ქართველი მუშების ფულადი გზავნილების სახით, მილიარდობით დოლარი მიიღო, მაგრამ კავშირს მაინც დასავლეთთან ეძებს, რომელმაც მას მხოლოდ მცირედი დახმარება თუ გაუწია.

პუტინი ძალზე მოწესრიგებული ადამიანია. ის სიტყვებს დაუფიქრებლად არასდროს ისვრის და არც აუწონავ ნაბიჯებს დგამს. მისი საგარეო და საშინაო პოლიტიკაც აბსოლუტურ ანგარიშიანობასა და ზომიერებაზე მიუთითებს, მაგრამ ვშიშობ, რომ საქთრველოსთან დამოკიდებულებაში ყველაფერს მაინც რისხვა გადასძალავს. და თუ ზემოთ ნათქვამს იმასაც დავუმატებთ, რომ საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება სურს, რუსეთს კი — მათი შენარჩუნება, ამერიკა საქართველოს ნატოში შესვლაში ეხმარება, რუსეთს კი ამის დაშვება არ უნდა, — შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კავკასიაში ტრაგიკული კონფლიქტის ყველა წინა პირობა გამოიკვეთა.

სააკაშვილი ან ამინივით უნდა მოკლა, ანდა მის არსებობას შეეგუო...

(Ежедневный журнал, რუსეთი)

...ეს სტრიქონები დუმის იმ საგანგებო სხდომის წინ იწერებოდა, როდესაც დეპუტატებს საქართველოსთვის ახალი სასჯელები უნდა მოეგონებინათ. თუმცა, უკვე იმასაც აღარ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, თუ რას მოითხოვდნენ ისინი: შესაძლოა, ყველა ქართველის გასახლებას, შესაძლოა, ბომბის ჩაგდებას, გაზის ან დენის გათიშვას. არ ჰქონდა მნიშვნელობა იმიტომ, რომ ქართველებმა უკვე 15 წელი იცხოვრეს უგაზოდ და უშუქოდ, მაგრამ რატომღაც არ დაიხოცნენ. ამერიკელები მთელი 50 წელი ცდილობდნენ კუბის მოდრეკას, მაგრამ მოდრიკეს?!.

ჩვენი ხელისუფალნი ეკრანიდან მონდომებით გვიხსნიდნენ, რომ ყველა მათი მოქმედება „ქართველი ხალხის კი არა, სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგაა მიმართული“. ისინი სააკაშვილს მარიონეტს ეძახიან, თუმცა თავად საკუთარი „დედოფალა“ — ზღაპრული საქართველო ჰყავთ გამოგონებული და ფიქრობენ, რომ ის სწორედ ისეთია, როგორიც მათ წარმოუდგენიათ... ამას სჯობს, 200 დოლარი დახარჯონ, ქართული ტელევიზია ჩაართვევინონ, თარჯიმანი დაისვან და იმას მაინც გაიგებენ, თუ რა ხდება საქართველოში სინამდვილეში.

საქართველოში კი, ყველაზე გამოუსწორებელმა ოპოზიციონერებმაც კი განაცხადეს — როცა სამშობლო საფრთხეშია, ყველანაირ პოლიტიკურ უთანხმოებას ვივიწყებთ და ხელისუფლებასთან ვერთიანდებითო — ანუ ქართველები რუსეთის ხელისუფალთა საქციელს აღიქვამენ საფრთხედ, რომელიც მთელ ხალხს ემუქრება. ეს გინდოდათ? ამას თვლით პოლიტიკად?! ბოლოს და ბოლოს, გამოფხიზლდით და საქართველოში თქვენს ელჩს მაინც ჰკითხეთ და გაიგებთ, რომ სააკაშვილს მარტო ნატოში შესვლა კი არ სურს — ახლახან მან სუპერთანამედროვე სამხედრო ჰოსპიტალი და ასეთივე ავტობანიც გახსნა. ცოტა უფრო ადრე გააშენა კეთილმოწყობილი პარკები, სადაც, რამდენიმე წლის მანძილზე, ბავშვებისთვის შესვლა უფასო იქნება. რეგიონში სხვადასხვა საავადმყოფო, სკოლები და უპოვართათვის და მოხუცებისთვის უფასო სასადილოები აამოქმედა, რომლებსაც ბიზნესმენების ფულით ინახავს. ბიზნესმენებზე ერთიც აუცილებელია, ვთქვათ: სააკაშვილმა მათ დაუძახა და უთხრა — საქართველოს სიყვარულს მარტო სადღეგრძელოებით კი ნუ ამტკიცებთო — და მათაც რუსეთში აკრძალული ღვინო გამოისყიდეს და დარგი გადაარჩინეს. ქვეყანაში გზები დაიგო და ტრანსპორტი ამოძრავდა. ქვეყანამ ცხოვრება დაიწყო! ეს სიმართლეა!.. ისმის კითხვა: სააკაშვილი დემაგოგია? დიახ. პოპულისტია? დიახ. მაგრამ მან ეს ყველაფერი მართლა გააკეთა!.. თქვენ კი გინდათ, რომ ქართველებმა ის დაამხონ? იქნებ, მანამდე, ამ ხალხის განწყობილებითაც დაინტერესებულიყავით? სააკაშვილი ან ამინივით *(ავღანეთის პრეზიდენტი 70-იან წლებში, რომელიც ამ ქვეყანაში საბჭოთა ჯარის შეჭრის შედეგად ჩამოაშორეს ძალაუფლებას და მოკლეს. — რედ.)* უნდა მოკლა, ანდა, ბოლოს და ბოლოს, შეეგუო იმ აზრს, რომ ის არსებობს...

ორივე მხარემ უკვე ბევრი ზედმეტი თქვა. სააკაშვილმაც ბევრჯერ შეურაცხყო რუსეთი. ანდა ოქრუაშვილი რად ღირს! მის გადასაყენებლად რუსეთის მისამართით გამოთქმული მისი ერთი ფრაზაც კი კმარა... მან კი ბოდიშიც არ მოიხადა. მაგრამ ოქრუაშვილს ისევ სააკაშვილმა უნდა მიხედოს. მე კი ჩვენს იმპოტენტ ხელისუფლებაზე ვლაპარაკობ, რომელიც საქართველოს ნატოში მიერეკება.

საქართველო პატარა, ღარიბი ქვეყანაა და ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ის ვიღაცას უნდა მიეკედლოს. მას უსაფრთხოება და მშვიდი ცხოვრება სურს. რუსეთი კი, მის ამ სურვილს თვალების ბრიალით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრაქტიკული ანექსიით, სანქციებითა და აკრძალვებით პასუხობს. ჰოდა, საქართველოც დახმარებისთვის მეორე დიდ ქვეყანას — ამერიკას მიმართავს. ის აძლევს ფულს, ჰპირდება ნატოში შეყვანას, ეხმარება და მეგობრულად ესაუბრება. ამის შემდეგ, მასობრივი ქართული შეგნებისთვის რომელი ქვეყანაა უფრო მიმზიდველი?.. ისმის კითხვა: ჩვენი პოლიტიკოსები შემთხვევით, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები ხომ არ არიან?! თუ არ არიან, მაშ, ასე გულმოდგინედ რატომ უბიძგებენ საქართველოს ნატოსკენ?..

იმიტომ, რომ ეს მათი საკუთარი პოლიტიკის კრახია. იმიტომ, რომ მათ ამ პოლიტიკის ფორმულირება აღარ შეუძლიათ. მათ ისიც კი აღარ შეუძლიათ, რომ ეკრანებზე გამოჩნდნენ და გასაგებად თქვან: ჩვენ გვინდა, რომ თქვენ, ქართველებმა, ესა და ეს გააკეთოთ და ამის შემდეგ ვიმეგობრებთო. მათ არ შეუძლიათ ამის თქმა, იმიტომ, რომ იმდენად ღრმად ჩაეფლნენ საკუთარი ადრინდელი შეცდომების წუმპეში, რომ უკვე თავადაც აღარ იციან, რა უნდათ. მათი მთავარი საჯილდაო ქვა კვლავაც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთია. მართალია, კარგად იციან, რომ არც ერთი და არც მეორე მათი არ არის, მაგრამ შელევაც რომ აღარ შეუძლიათ?.. სწორედ ეს არის პოლიტიკური ნების არარსებობა, ეს არის ხელისუფლების იმპოტენცია. ■

„ქართლის“ მოცეკვავე რუსებში, საბჭიმო მიღმა პუტინთან და თავდამსხმელი სკინჰედებში

თბილისი მომავალი წლის შემოდგომამდე დაემშვიდობა საერთაშორისო ფესტივალს „ჩვენებურები“. ერთი წლის შემდეგ ისევ შეიკრიბებიან დედამიწის სხვადასხვა კუთხეში გაბნეული ქართველები. კიდევ ერთხელ მოიწონებენ თავს იმით, რომ უცხო ცის ქვეშ ქართულად მღერიან, ცეკვავენ და ეროვნულ კულტურას ამ გზით ინარჩუნებენ. ამჯერად, ფესტივალს რუსეთში მცხოვრები უზარმაზარი ქართული დიასპორიდან მხოლოდ ორი პიროვნება ეწვია: მოსკოვში არსებული ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლის — „კოლხიდის“ დირექტორი ქეთი ჩალათაშვილი და სოლისტი დათო ფორჩხიძე. მათ ახლდათ ანსამბლის კიდევ ორი მოცეკვავე: კატია პონომარიოვა და ოლია კრიტკოვა. ფესტივალის მაყურებელს გაუჭირდა იმის დაჯერება, რომ ქართულ ეროვნულ კაბებში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალბატონები, რომლებიც უზადოდ ცეკვავდნენ „ქართულს“, რუსები იყვნენ. საინტერესოა, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგამდე, მანამ, სანამ ქართული ემიგრაციის მეორე ტალღა მიაწყდებოდა მოსკოვს, ამ ანსამბლის შემადგენლობის 90% რუსი იყო...

ეკა ლომიძე

ყველაფერი 1957 წელს დაწყებულა. ახალგაზრდა ქართველ ინჟინერს, რევაზ ჯანიაშვილს მოსკოვის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში ქართული ცეკვის შემსწავლელი წრე ჩამოუყალიბებია. თავდაპირველად, თურმე წრის წევრები საკუთარი ხელით აკეთებდნენ სავარჯიშო ძელებს, ხალხურ მუსიკალურ საკრავებს, კერავდნენ სპეციალურ სარეპეტიციო ფორმებს და თეატრალურ კოსტიუმებს. მალევე წრე ანსამბლად იქცა, რომელიც მომავალი წლისთვის 50 წლის იუბილესაც იზეიმებს, თანაც, დამაარსებელთან ერთად — ბატონ რევაზს 75 წელი უსრულდება. ამჯერად „კოლხიდას“ უზარმაზარი ოფისი, სამი სარეპეტიციო დარბაზი, მდიდარი გარდერობი და შესანიშნავი ქართული ბიბლიოთეკა აქვს.

„კოლხიდის“ თავგადასავლის შესახებ ანსამბლის დირექტორს, **ქეთი ჩალათაშვილს** ვესაუბრეთ. მან ჟურნალის გამოსვლამდე ერთი დღით ადრე დატოვა საქართველო.

— ქეთი, როგორც ვიცი, თბილისში დაიბადეთ და გაიზარდეთ, თქვენი ოჯახი დღესაც აქ ცხოვრობს, როგორ მოხვდით ემიგრაციაში, თქვენც მატერიალურმა მდგომარეობამ გაიძულათ წასვლა?

— ყველაფერი ათი წლის წინ, შემთხვევით მოხდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, თბილისში ვმუშაობდი კიდეც და საქმე საწუწუნოდ ნამდვილად არ მქონდა. ზაფხულში შვებულება ავიღე და გადავწყვიტე, მეგობართან ერთად მოსკოვში დამესვენა. როგორც სუხიშვილების ქორეოგრაფიული სტუდიის კურსდამთავრებულს, ახლობლებმა შემომთავაზეს, მოსკოვის ერთ-ერთ ქართულ სკოლაში ქორეოგრაფიული სტუდია დამეარსებინა. იდეა მომეწონა და გადავწყვიტე, ბედი მეცადა. თუმცა, პირველსავე დღეს, როცა სკოლაში მივდიოდი, ხასიათი წამიხდა. სადღაც ქალაქის ბოლოში უნდა წავსულიყავი, ქროდა საშინელი ქარი და გზაში ვფიქრობდი — რა ივლის ახლა ყოველდღე აქ, ნეტავ მეტყოდნენ, ვის დაკარგვიხარ, რა საცეკვაო სტუდია მოგინდა, წადი თბილისშიო. მასპინძლებს მსგავსი არაფერი მოსვლიათ აზრად, ხელგაშლილებმა მიმიღეს და მეც თავით გადავეშვი საქმეში. ოჯახს შევატყობინე, თბილისში გაზაფხულზე დავბრუნდები-მეთქი. გაზაფხულმაც ჩაიარა, შემოდგომამაც, მეორე გაზაფხულიც მოვიდა... ოჯახიც და თბილისის სამსახურიც ორი წელი ელოდნენ ჩემს დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ. ამასობაში დავაარსე სტუდია „არაგვი“, რომელიც მალე ანსამბლი გახდა. პირველი კონცერტი ბავშვებმა „კოლხიდის“ საცეკვაო ფორმებში გამოწყობილებმა შეასრულეს. ბატონი რევაზ ჯანიაშვილი, რომელიც არავის აძლევს ანსამბლის ფორმებს, სრულიად უცხო ადამიანს, პირველი თხოვნისთანავე დამეხმარა. მოგვიანებით, ანსამბლი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრ „არაგვად“ ვაქციე და მოსკოვის „მრავალი კულტურის ცენტრში“ შევქმენი მეორე ანსამბლი — „სულიკო“, რომელიც დღესაც არსებობს. სხვათა შორის, ამ ანსამბლში მხოლოდ ორი წევრია ქართველი, დანარჩენები სულ რუსები არიან.

— „კოლხიდაში“ როგორ მოხვდით?

— რამდენიმე წლის წინ „კოლხიდას“ სერიოზული პრობლემები შეექმნა, მას ართმევდნენ შენობას, რომელიც ბატონმა რეზომ თვითონ ააშენა. დაუნგრიეს ეს შენობა და სანაცვლოდ უნდა მიეცათ სხვა, საკმაოდ ფეშენებელური ოფისი, მაგრამ „გადაგდება“ დაუპირეს. იმდენი პრობლემა შეუქმნეს, რომ ანსამბლი კინაღამ დაიხურა. მაშინ ბატონმა რევაზმა მთხოვა — ჩვენთან გადმოდი და შენობის დასაბრუნებლად ვიბრძოლოთ, თორემ 50 წლის შრომა წყალში იყრებაო. ამის გამო დავტოვე ჩემი „შვილი“ — „არაგვი“ და გადავედი „კოლხიდის“ დირექტორად. მას შემდეგ პრობლემები აღარ გვქონია, მაგრამ ხვალ რა იქნება, არ ვიცით, რადგან მოსკოვში ქართულს ყველაფერს ხურავენ. თანაც ჩვენი ანსამბლი სახელმწიფოს დაფინანსებით არსებობს. საერთოდ, ქართული კულტურის მიმართ, რუსების ინტერესი ძალიან დიდია. იმ უბანში, სადაც „კოლხიდის“ ოფისი მდებარეობს, ყველა იცნობს ჩვენს მოცეკვავეებს. მოსწონთ მათი შემოქმედება, ძალიან ლამაზი დგომა, მანერები, სიარული. ამიტომაც ბევრი რუსი ცდილობს მისი შვილები ქართული ცეკვის ხელოვნებას დაეუფლონ. თბილისში სტუმრად მყოფი გოგონები — კატია და ოლია შესანიშნავი მოცეკვავეები არიან. თუმცა, ბევრი სხვაც გვყავს ასეთი. ამ ახალგაზრდა ქალბატონებს დღის განმავლობაში უამრავი საქმე, სამსახური აქვთ, მაგრამ საღამოობით თავქუდმოგლეჯილი მოდიან რეპეტიციებზე.

— ალბათ ბატონი რევაზის დამსახურებაც არის, რუსებს ასე რომ შეუყვარდათ ქართული ცეკვა.

— ცხადია. „კოლხიდაში“ მხოლოდ ცეკვას არ ასწავლიდნენ. მოსწავლეები ქორეოგრაფიულ ილეთებთან ერთად, ეცნობოდნენ ქართული ხალხური მუსიკის თავისებურებებს, ქართული ცეკვის წარმოშობის ისტორიულ წყაროებს და ამ ცეკვების შემქმნელი ხალხის წარსულსა და აწმყოს. ბატონი რევაზი დღემდე ცდილობს, რომ ანსამბლის წევრი, რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს იგი, მხოლოდ კი არ ცეკვავდეს, სხეულის თითოეული მოძრაობის დროს გრძნობდეს ქართულ კულტურას, მის ენერგიას და უყვარდეს ის ხალხი, ვინც ეს შესანიშნავი ხელოვნება შექმნა.

რევაზ ჯანიაშვილი შეგირდებთან ერთად

— ანსამბლი დამოუკიდებელია თუ რომელიმე ქართულ სათვისტომოს ან ორგანიზაციას ეკუთვნის?

— „კოლხიდას“ მთლიანად სახელმწიფო აფინანსებს. რაც არ უნდა კურიოზულად ჩანდეს, მოსკოვის მთავრობა ზრუნავს ქართული კულტურის პოპულარიზაციაზე. ამ ქალაქში ნაციონალურ პროგრამებზე უზარმაზარი თანხები იხარჯება, რადგან რუსეთის ხელისუფლებაში ეშინიათ ნაციონალური საკითხების გამწვავების. გრძნობენ, რომ ამ მრავალეროვან ქალაქში ეთნიკურ საფუძველზე დაპირისპირებები გაანადგურებს მოსკოვსაც და რუსეთსაც. ამიტომაც, ბავშვები თავიდანვე რომ შეაგუონ კულტურულ მრავალფეროვნებას, იმართება უამრავი ნა

ციონალური ფესტივალი, იქმნება სხვადასხვა ნაციონალური ორგანიზაცია და ყველაფერი მოსკოვის ბიუჯეტიდან ფინანსდება. რუსეთის ხელისუფლებაში საქართველოს მიმართ შეუნიღბავი აგრესიის მიუხედავად, ელიტურ მიღებაზე მსახიობები და მომღერლები ყველაზე სასურველ სტუმრებად მიიჩნევიან. შარშან, 30 დეკემბერს, რუსეთის პრეზიდენტთან ტრადიციულ საზეიმო მიღებაზე, ერთსაათიან კონცერტში ექვსი ქართული ნომერი იყო წარმოდგენილი. თამრიკო გვერდწითელმა და სოსო პავლიაშვილმა ჯერ ცალ-ცალკე იმღერეს, შემდეგ კი — ერთად. ასევე იმღერეს ვალერი მელაძემ, „ორერამ“ და ჩვენც ვიცეკვეთ. რეპერტუარი რუსული კი იყო, მაგრამ რომ არა ამ შემსრულებლების მიმართ დიდი კეთილგანწყობილება, ხომ შეიძლებოდა, იგივე სიმღერები ცნობილ რუსებს შეესრულებინათ.

— არასდროს გიცდიათ რუსებისგან ამ უცნაური სიყვარულ-სიძულვილის განმარტების მიღება?

— ამას თვითონაც ვერ ხვდებიან, რადგან მიაჩნიათ, რომ ჩვენ ვამღვრევთ წყალს რუსულ-ქართულ ურთიერთობებში. გაოცებულები კითხულობენ ხოლმე, რატომ აღარ გინდივართო? ამ საკითხთან დაკავშირებით, რუსეთის ტელევიზიაში დებატებში მონაწილეობდა ქართული სათვისტომოს პრეზიდენტი — თემურ სტურუა, რომელმაც რუსებს უთხრა: თქვენ ისე გამოგდით — მოდი ვიმეგობროთ, მაგრამ ხელ-ფეხს მოგაჭრი; ტერიტორიები რომ წაგვგლეჯეთ და დაგვაწიოკეთ, თუ მეგობრება გინდოდათ, ვინ დაგიშალათ, აფხაზეთს და სამაჩაბლოს რაღას გვართმევდითო. სამწუხაროდ, რუსებმა ყველაფერი გააკეთეს გაუცხოებისთვის. ქსენოფობი რუსები ხომ საერთოდ ქართველს, სომეხს და აზერბაიჯანელს არჩევენ ერთმანეთისგან, მათთვის კავკასიური წარმოშობის სახე ერთნაირად საძულველია. მათთან დაპირისპირება კი შეიძლება, საბედისწეროც აღმოჩნდეს. ამ მხრივ განსაკუთრებით საშიშები არიან სკინჰედები.

— თქვენ შეხვედრიხართ მათ?

— ეს ნამდვილი საშინელება იყო, რომელიც საბედნიეროდ, მშვიდობიანად დასრულდა. ქართულ სკოლაში შემოცვივდნენ სკინჰედები. ეს მოხდა სრულიად შემთხვევით, რეპერებს და მათ ჰქონდათ საშინელი შეხლა-შემოხლა. სკინჰედებმა ბრძოლის შემდეგ ჩვენი სკოლისკენ გამოიარეს. ამ დროს

გაგრძელება იხ. გვ. 61

ს ტ ს: ლმფდშაშსშგკ ლუკ?წ
კუზუეშეწკეფ აფკეწ ფკსუმფტშუ
ქეკუქეუშლეგ ღფკეგდშ გტფკ-
სმეუოშ გსრწ უტფგ შთეწკშეუ
ღფდფღოშ სტწიშდშ თფრუდუოშუ
ქკფმფდცდშფტშ ?ფქ?სვშდუოფუ
თზუსშფდგკშ აფთვფლდუოფ თეთ-შთ ფიშეგკშუტ-
ეუოშფემშთუ ჩუდქშთფცმვწქშ აფთუოშუ “??4 -
ს?4-ქვუ უკ? თფ?ფტოშშ №:?4 - №:?4
გტფკსმუოოშუ
ტელ: 226 915; 913 162

რეალური ეროს გმირმა თავი გამოაჩინა

ექსკლუზიური ინტერვიუ პანდორასთან

უკვე მეშვიდე კვირაა, „გზის“ მკითხველებს საშუალება აქვთ, რომ თვალი ადევნონ 2 ადამიანის — ზურასა და ნატალის, იმავე — პანდორას ურთიერთობას. მათი რომანი ჟურნალის ფურცლებზე ნატალის ინიციატივით მოხვდა, თუმცა, ზურამ ამის შესახებ წინასწარ იცოდა. ცოტა იყოყმანა კიდეც და ბოლოს, დათანხმდა. ახლა, როდესაც მათი რომანის ნაწილი გამოქვეყნდა, ორივე აღიარებს, რომ საკუთარ თავს შორიდან — მესამე პირის თვალით შეხედეს და საკუთარი ქმედებები სხვაგვარად შეაფასეს. ეს როდი ნიშნავს იმას, რომ რომელიმე მათგანი რაიმეს ნანობს — უბრალოდ, ურთიერთობისას დაშვებული შეცდომები დაინახეს და ახლა რომ იწყებოდეს ყველაფერი, სხვაგვარად მოიქცეოდნენ...

ბუნებრივია, რომ მკითხველს გაუჩნდა ინტერესი რეალური რომანის მონაწილეთა მიმართ და იმისათვის, რომ თქვენი ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილოთ, ნატალის ინტერვიუზე შევუთანხმდით. წყვილს ერთად შევხვდი, მაგრამ ჩემთან საუბარი მხოლოდ ნატალიმ ისურვა. ზურა კი, დროგამოშვებით, ხან თანხმობის ნიშნად დააქნევდა თავს, ხან ნატალის მიერ ნათქვამ ზოგიერთ ფრაზას ისეთი გამომეტყველებით ხვდებოდა, თითქოს ამბობდა: ეჰ, ეგ რომ მცოდნოდაო...

მარი ჯაფარიძე

— ნატალი, დავიწყოთ იმით, თუ რატომ გადაწყვიტე, რომ შენი თავგადასავალი ყველასთვის ხელმისაწვდომად გექცია..

— მე წავიკითხე „გზაში“ გამოქვეყნებული, შენ მიერ მომზადებული მასალა, სადაც ის საიტი იყო ნახსენები, რომლის საშუალებითაც, მე და ზურამ ერთმანეთი გავიცანით. საკმაოდ კარგად იყო გადმოცემული ყველა წვრილმანი, რაც იქ ხდება. შენ ამბობდი, რომ ამ საიტის მეშვეობით ადამიანები ერთმანეთს ეცნობიან, შემდეგ ხვდებიან და იმედგაცრუებას განიცდიან... ჩემი ამბით იმის დამტკიცება მინდოდა, რომ თუ ბედი გწყალობს, შენს საოცნებო ადამიანს ყველგან იპოვი. ჩემი აზრით, როცა შენ დაგირეკე, ვფიქრობდი, რომ მოგიყვებოდი ჩემს ამბავს, მესიჯებს წაგაკითხებდი, შენ ყველაფერს თავს მოუყრიდი და ერთ ჯერზე გამოაქვეყნებდი. ეს რაღაცნაირად, იმ თემის გამოხმაურება იქნებოდა. მაგრამ როგორც ჩანს, შენ აწონ-დაწონე ყველაფერი და მიხვდი, რომ ჩვენი ურთიერთობის ისე წარმოდგენა, როგორც ეს ახლა ხდება, გაცილებით უკეთესი იქნებოდა და მართალიც

აღმოჩნდი. მსგავსი რამ ქართულ პრესაში ჯერ არ გამოქვეყნებულა და მომწონს კიდეც, რომ მისი მთავარი გმირი მე ვარ.

— და მაინც, როცა ჩემს შემოთავაზებას დათანხმდი და გაირკვა, რომ შენი თავგადასავალი ონლაინ-რეჟიმში გავიდოდა, არ შეგეშინდა?

— რას გულისხმობ? რისი უნდა შემშინებოდა?

— მკითხველის რეაქციის. განსაკუთრებით — შენ მიმართ უარყოფითი აზრის ჩამოყალიბების, რადგან შენი რჩეული ცოლიანია...

— ამის გამო მე თვითონ ძალიან ბევრი ვინერვიულე. ბოლოს, ბედს შევურიგდი და რადგან საკუთარ თავში ბარიერი გადავლახე, ალბათ, ხალხის უარყოფითი აზრი დეპრესიაში არ ჩამაგდებს. ტელევიზიით რომ რეალური შოუ გადის და ხალხი მის მონაწილეებს უმესიჯებს, თუ ატყობთ, როგორ ფსიქოლოგიურ ზეწოლას უძლებენ ახალგაზრდები. მეც გავუძლებ. თუმცა, არა მგონია, რომ ძალიან გამიბრაზდნენ, რადგან თუ გარშემო მიმოიხედავთ, მიხვდებით, რომ არცთუ ისე ცოტაა მსგავს სიტუაციაში მყოფი ადამიანი. უბრალოდ, მე მეყო გამბედაობა და ამის შესახებ ხმამაღალა ვთქვი.

— მოგვიყევი შენ შესახებ.

— 32 წლის ვარ. მყავს და, რომელიც გათხოვილია და უკვე შვილიშვილიც ჰყავს. მშობლები არ მყავს. დედა და მამა გაყრილები იყვნენ. მამა რუსეთში ცხოვრობდა... ჩემი და უკვე 47 წლისაა — ე.ი. ჩემზე გაცილებით უფროსია. ჩემი დაბადება სრულიად შემთხვევით მოხდა. მამა რუსეთიდან ჩამოსულა, რამდენიმე თვით. დედას უფიქრია, რომ თუ მეორე შვილს გაუჩენდა, ის აღარსად წავიდოდა. მაგრამ მამა ჩემს დაბადებასაც კი არ დაელოდა, ისე გაიქცა. მე ის თვალითაც არ მინახავს. მას შეატყობინეს, რომ მეორე გოგო შეეძინა, მაგრამ სურვილი არ გამოუთქვამს, რომ ვენახე. დედა ამ დროს უკვე 40 წელს გადაცილებული იყო. 6 წლის ვიყავი, როცა ის კიბოთი გარდაიცვალა. ჩემმა დამ გამზარდა. დედის გარდაცვალების წლისთავზე ქეთინო გათხოვდა და რა თქმა უნდა, მე „მზითვში“ ვერგე. ძალზე კარგი ოჯახი შეხვდა. ფაქტობრივად, ჩემი სიძის ოჯახში გავიზარდე. დავამთავრე ტალინის უნივერსიტეტი, ფსიქოლოგია-ფილოსოფიის განხრით.

— რატომ წახვედი სასწავლებლად ესტონეთში?

— თქვენ უკვე იცით ჩემი მეგობრის, სონას შესახებ. ჩვენ ერთ ეზოში ვცხოვრობდით, ვიდრე დედაჩემი გარდაიცვლებოდა. სონა ფარული სიყვარულის ნაყოფი გახლდათ (არ გეგონოთ, რომ ამას მისი თანხმობის გარეშე გიყვებით). როდესაც ის დაიბადა, დედამისმა ვერ გაუძლო ნათესავებისა და ახლობლების შემოტევას და თავი მოიკლა... სონას ჰყავდა ბიძა, დედის ძმა, რომელსაც ცოლი ჰყავდა, მაგრამ შვილი — არა. რძალი ფეხმძიმობის პირველსავე თვეებიდან გვერდით ედგა მულს. იმდენი ქნა, რომ თავისი ქმარი დაარწმუნა — დის მიმართ გულისხმიერება გამოეჩინა. სონას დედა სამშობიაროდან მათ გამოიყვანეს და თავისთან წაიყვანეს. ამის გამო ნათესავები მათაც მოიმდურეს, მაგრამ და-ძმა ერთად უმკლავდებოდა ყველას შემოტევას. ბოლოს და ბოლოს, ქალი უძლური აღმოჩნდა და თავი მოიკლა. სონა კი ბიძამ გაზარდა. მამის ვინაობა დედამისს არავისთვის გაუმხელია, ეს საიდუმლო მან საფლავში ჩაიტანა... როდესაც დედაჩემი გარდაიცვალა, ხოლო ჩემი და გათხოვდა და მეც მისი ქმრის ოჯახში გადავედი საცხოვრებლად, სონასთან ურთიერთობა არ გამიწყვეტია. ერთმანეთზე ახლობელი არავინ გვყავს. თითქმის ტოლები ვართ, მე რამდენიმე თვით ვარ მასზე უფროსი და დედაჩემის ძუძუ აქვს ნაწოვი. ჩვენ ერთ სკოლაში, ერთ კლასში ვსწავლობდით და ერთ მერხზე ვისხედით წლების განმავლობაში. დამამთავრებელ კლასში რომ ვსწავლობდით, ბიძამისი სამსახურიდან ტალინში მიავლინეს, სადაც 5 წლის მანძილზე უნდა ეცხოვრათ. ამიტომ, მთელი წლით დავშორდით ერთმანეთს. როცა სკოლა დავამთავრე, სონამ დაიჟინა, რომ მასთან ჩავსულიყავი სტუმრად. თბილისიდან იმ განზრახვით გავემგზავრე, რომ მხოლოდ ერთი თვე დავრჩენილიყავი მათთან, მაგრამ ბიძამისმა დამარწმუნა, რომ ჯობდა, იქ გამეგრძელებინა სწავლა. თბილისში დავრეკეთ და ჩემს დას საბუთები გამოვაგზავნინეთ, რომ უნივერსიტეტში შემეტანა. გამიმართლა და ჩავირიცხე. უნდა ვაღიარო, რომ სონას ბიძა დამეხმარა... ასე მოვხვდი ტალინში. სონაც იმავე წელს ჩაირიცხა სამხატვრო აკადემიაში. მას ჩემზე ერთი წლით მეტხანს უნდა ესწავლა. ამიტომ, როდესაც მე უნივერსიტეტი დავამთავრე, ერთი წლის განმავლობაში იქ ვიმუშავე, ხოლო შემდეგ ერთად დავბრუნდით თბილისში. მისი ბიძა იქ დარჩა. მე და სონა ჩვენ-ჩვენს ოჯახებს დავუბრუნდით, მაგრამ ცალ-ცალკე არ გვიცხოვრია. ძირითადად, ჩემთან ვცხოვრობდით. ამ 2 წლის წინ კი, ამერიკაში წასვლა გადავწყვიტეთ, მაგრამ საელჩომ მე არ მომცა ვიზა, სონამ კი უპრობლემოდ მიიღო. ცოტა ხანში მეც უნდა წავსულიყავი, მაგრამ ჯერ-ჯერობით კვლავ თბილისში ვარ.

— და ალბათ, აღარც წახვალ, ხომ?

— ალბათ, არა.

— შენ ზურას უყვებოდი ვინმე ბაჩოს შესახებ. არ მინდა, მოვლენებს წინ გავუსწრო და თქვენი ურთიერთობის ფინალი მკითხველს წინასწარ შევატყობინო, მაგრამ მაინც, რას ნიშნავს შენთვის ის ადამიანი?

— ის ადამიანი ჩემი წარსულია, რომელსაც ვერასოდეს ამოვშლი ჩემი ცხოვრებიდან, რადგან მას ბევრი მღელვარე მომენტი უკავშირდება. მან ჩემი ცხოვრება მთლიანად შეცვალა. თქვენ ნახავთ, როგორი ინტრიგებისა და შანტაჟის ქსელში გავეხვიე მის გამო. რამდენჯერმე სიკვდილსაც კი ჩავხედე თვალებში. მაგრამ ყველასა და ყველაფერზე ძლიერი აღმოვჩნდი. ამაში თვითონაც დიდი როლი ითამაშა... ზურას არ უყვარს, როცა მასზე ვლაპარაკობ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ ბაჩოს მართლა გულწრფელად ვუყვარდი და მეც მიყვარდა.

— ახლა ზურაზე გვითხარი რამე.

— მასზე რა უნდა ვთქვა?! ყველაფერი „გზაში“ გამოქვეყნებული მესიჯებიდან ჩანს. ის ძალზე კარგი ადამიანია და ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი გზები გადაიკვეთა.

— სამომავლო გაგმებზე განგებ არაფერს გეკითხები...

— მომავალი ჩემთვისაც ბუნდოვანია... მარი, ძალიან ბევრი ადამიანი კითხულობს ჩვენს ამბავს. ხშირად ტრანსპორტშიც შემინიშნავს, რომ „გზა“ უჭირავთ ხელში და სწორედ ამ „რომანს“ კითხულობენ. ისეთ მომენტსაც შევსწრებივარ, როცა გაცხარებული კამათი მიმდინარეობდა ჩვენ გამო და ადამიანები ცდილობდნენ, ერთმანეთისთვის საპირისპირო დამტკიცებინათ. რა თქმა უნდა, არ ვამბობ, რომ პანდორა — მე ვარ და ისე ვერთვები ხოლმე საუბარში, სადაც ძირითადად, საკუთარი თავის დამცველად გამოვდივარ ხოლმე და აქედან გამომდინარე, ხალხის აზრი, ასე თუ ისე, ვიცი. მაგრამ მაინც მინდა გკითხო: რას ამბობენ მკითხველები?

— როგორც არ უნდა გაგიკვირდეს, მკითხველების აზრი საკმაოდ პოზიტიურია და მათი უმეტესობა კარგადაა განწყობილი თქვენ მიმართ. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმეს ცუდი დამოკიდებულება გამოეხატოს. ცხადია, ბევრი ალბათ, ნეგატიური აზრისაა... მე კი მაინტერესებს — თუ ამოგიცნო რომელიმე შენმა ახლობელმა პანდორაში?

— ჩემი ოჯახის წევრებმა იციან, რომ პანდორა მე ვარ. სხვას კი, არავის გამოუთქვამს ეჭვი. შესაძლოა, ხვდებიან კიდეც, მაგრამ არ მეუბნებიან. რაც შეეხება ზურას, — ჩვენ თავიდანვე მოვილაპარაკეთ: მისი ამოცნობა შეუძლებელი რომ ყოფილიყო, რაღაც-რაღაცები უნდა შეგვეცვალა. ისე კარგად ახერხებ ამას, რომ არა მგონია, ვინმემ ის ამოიცნოს.

— დაბოლოს...

— დაბოლოს, მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ბედნიერი ვარ და მკითხველს ვთხოვ, ნუ გამკიცხავს ბედნიერების გამო...

MK

შეაბი.ge პარალელურ სამყაროში

ვირტუალური წყვილის რეალური ამბავი გაგრძელებებით

დასაწყისი იხ. „გზა“, №35-40



ჩვენი ვირტუალური წყვილის ცხოვრებაში ახალი ამბები ხდება. მკითხველები აქტიურად ადევნებენ თვალყურს ზურასა და პანდორას ურთიერთობას. ამ ბოლო დროს, ბევრი მეხმიანება და უამრავ კითხვას სვამს. უმეტესობას აინტერესებს, რეალურად არსებობენ თუ არა ეს გმირები. პანდორას ინტერვიუდან უკვე შეიტყვეთ, რომ ისინი მართლაც არსებობენ და მათ ურთიერთობას თითქმის ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვებით. რეალური რომანის დღევანდელ ნაწილში ერთმანეთს სონა და ზურა გაეცნობიან. ამბის გადმოცემას კი იმ მომენტიდან გავაგრძელებთ, როდესაც ზურა და ნატალი შეთანხმდნენ, რომ შაბათს ზურა ბათუმში ჩავიდოდა, ხოლო კვირას, ისინი ერთად დაბრუნდებოდნენ თბილისში.

მარი ჯაფარიძე

7 სექტემბერი, ხუთშაბათი

03:12

ზურა: ჩემო ნატალი, სულ ტყუილად გგონია, რომ რაღაც საშინელი უნდა მეთქვა. მე მხოლოდ იმის გამეორება მინდოდა, რომ ძალიან მიყვარხარ და არ დავიღლები ამის თქმით. აი, ასე, ჩემო კარგო... შაბათს აუცილებლად ჩამოვალ ბათუმში და წამოგიყვან. დაიმახსოვრე, რომ უჩემოდ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამ. ახლა კი მეც დავიძინებ. ხვალ ბევრი საქმე მაქვს. კარგად.)))))

12:07

პანდორა: წავიკითხე შენი მესიჯი და გამეცინა. მე მეგონა, რაღაც მნიშვნელოვანი უნდა გეთქვა... რომ გიყვარვარ, ეგ უკვე ვიცი... საღამომდე...

17:34

ზურა: ვერ მოვიცალე საიტზე შემოსასვლელად. ახლაც ორიოდე წუთით შემოვირბინე, რომ შენი მესიჯი მენახა. მაშ, შენ ამბობ, რომ თუ მიყვარხარ და ამას კიდევ ერთხელ გეტყვი, ეს შენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია არ არის? ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ შენც იგივე გეთქვა... გკოცნი, საღამომდე...

22:32

პანდორა: გამარჯობა. ჩემო კარგო, აქ ხარ?

ზურა: კი, აქ ვარ. როგორ მოხდა, რომ ასე ადრე მოხვედი?

პანდორა: დღეს რაღაც „უპონტოდ“ ვიყავი. თანაც, დილით ვერ გამოვიძინე და მთელი დღე უხასიათოდ გავატარე. „ზაგარი“ უკვე აღარ მინდა, ისედაც კარგად გავშავდი. პლაჟზე გასასვლელადაც არ მიმიწევს გული. თითქმის მთელი დღე სახლში ვზივარ.

ზურა: უკვე მოიწყინე, ხომ? ვერც მე ვძლებ ზღვაზე დიდხანს — ერთი კვირა და მერე უკვე აღარ მინდა იქ გაჩერება. მით უმეტეს, თუ ოჯახთან ერთად ვარ. თუ მარტო ვარ, მაშინ კიდევ შეიძლება...

პანდორა: მაშინ კარგად ერთობი ალბათ და იმიტომ. ქალები და რამე, არა?

ზურა: რა თქმა უნდა. აბა, ზღვაზე მეგობრებთან ერთად თუ წახვალ, ბერივით ხომ არ იცხოვრებ. ამ ზაფხულს კი საერთოდ ვარ დავისვენე. არა უშავს, ზამთარში წავიდეთ სადმე... ხომ მოიცლი?

პანდორა: მოცლით კი მოვიცლი, მაგრამ წამოსვლის რა მოგახსენო...

ზურა: რატომ?

პანდორა: იმიტომ, რომ ზამთრამდე ალბათ არც მემახსოვრები...

ზურა: რას ამბობ, გოგო? ეგ რატომ მითხარი? რას ნიშნავს შენი ნათქვამი?

პანდორა: იცი, მე ძალიან ბევრს ვფიქრობ შენზე, ჩვენს ურთიერთობაზე და უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ ჩვენ ილუზიით ვცხოვრობთ. ჩვენი ურთიერთობა ერთი პატარა, ლამაზი სიზმარია, რომელიც სულ მალე გაქრება...

ზურა; არ ველოდი ასეთ სიტყვებს... ნატალი, ძალიან სასტიკი ხარ...

პანდორა: სასტიკი მე კი არა, ცხოვრებაა... გახსოვს, სულ პირველად რომ მომწერე: — ჩემო სიცოცხლეო? ეს სიტყვები მრავალჯერ მაქვს გაგონილი, მაგრამ რატომ იმოქმედა ასე შენგან მოწერილმა, არ ვიცი. მაშინ წარმოდგენა არ მქონდა, ვინ იყავი, მაგრამ ამ სიტყვებმა თავისი საქმე გააკეთა. ისინი გასაღებივით მოერგო ჩემს სულს და გახსნა რაღაც, დიდი ხნის წინ გადამალული და მივიწყებული. ამ სიტყვებმა განაპირობა ჩვენი ურთიერთობაც... სიტყვას სიტყვა მოჰყვა... ჩემი და შენი სიტყვები... ეკრანზე მოფრინავდნენ ნაზი, ტკბილი და თბილი სიტყვები, რომლებიც საბნის ბუშტებს ჰგავდნენ. ჩვენ შორის დიდი მანძილი და ღამის მარადიულობა იდგა... ჩვენ კი ერთმანეთს ვწერდით სიტყვებს, რომლებიც გვაღელვებდა, გვაშფოთებდა და ღამაზ სურათებს ხატავდა. როცა შენ გესაუბრები, დრო ისე მიქრის, როგორც არასდროს. საიტზე რომ შემოვდივარ და შენ გხედავ, ვიძაბები, გული სიხარულით მიხტის... ვსაუბრობთ ყველაფერზე და არაფერზე... მთავარია, რომ ერთმანეთს ველაპარაკოთ. თემას მნიშვნელობას არ ვანიჭებთ.... ერთმანეთთან ურთიერთობით ვტკბებით და ამ დროს ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ხელით გეხები... შენს სითბოს ვგრძნობ... ეს ჩვენი სამყაროა, მხოლოდ ჩემი და შენი, სადაც თავს კარგად ვგრძნობთ. თბილად, მყუდროდ, მშვიდად... რეალურ ცხოვრებაში ასე მშვიდად ვერ ვიქნებით... ყველაფერი დაინგრევა... სხვები ჩაერევიან... დღისით, როდესაც ვერ გესაუბრები, ჩემი გონება შენით არის დაკავებული. ფრაზები, რომლებსაც შენ მწერ, თავისით მოფრინავენ და გონებაში თანმიმდევრობით ლაგდებიან. მაშინ თვალები მიბრწყინავს... განწყობილება ისეთი მაქვს, თითქოს უნდა გავფრინდე. ყველაფერი მიხარია... ჩემმა სულმა გაიღვიძა. საღამოობით — ისევ საუბრები. ვცდილობთ, ერთმანეთი ამოვხსნათ... შეკითხვები... პასუხები... სინაზე... ჩვენ ვოცნებობთ და გვეშინია სწრაფად მიმავალი დროის. ვფიქრობთ ხვალინდელ დღეზე, მაგრამ ვერ ვხვდებით, რომ ჩვენი „ხვალე“ არ მოვა... დადგება მხოლოდ შენი „ხვალე“ და ჩემი „ხვალე“...

ზურა: არა, ნატალი, აუცილებლად დადგება ჩვენი „ხვალე“ და ძალიან კარგად ვიქნებით. თუ ხვდები, რომ შენ ახლა სიყვარულში გამომიტყდი? ბედნიერი ვარ, ჩემო სიცოცხლევ... ამ სიტყვებს ყურშიც ჩაგჩურჩულებ ძალიან ტკბილად... ნატალი, ამოიგდე თავიდან სისულელეები და მომენდე. მერწმუნე, ჩემთან კარგად იქნები.

პანდორა: მე კი ვფიქრობ, რომ ჩვენ ერთმანეთს უნდა დავშორდეთ, თუ გვინდა, რომ ყველაფერი არ გავაფუჭოთ.

ზურა: მე კი მგონია, მაგაზე ლაპარაკი უკვე გვიანია. ჩვენი ურთიერთობის დანგრევა არც ისე ადვილია. უკურნებელი სენივით შემეყარე და ამას ვერაფერი განკურნავს. ჩემო პატარავ, ძალიან დიდი ხანია,

თავი ასე კარგად არ მიგრძნია და უფლებას არ მოგცემ, რომ უბედური გამხადო. რატომ მკრავ ხელს? მხოლოდ იმიტომ, რომ მიყვარხარ და გიყვარვარ?!

პანდორა: იმიტომ, რომ ჩვენს ურთიერთობას მომავალი არა აქვს.

ზურა: აქვს, დამიჯერე, აქვს... მე შენ მიყვარხარ, შენ კი — მე და ამას ვერაფერს მოვუხერხებთ. ნუ ეწინააღმდეგები შენს თავს. მიუშვი გრძნობა და ვნება თავის ნებაზე. შენ მხოლოდ მომენდე. ყველა შენს პრობლემას ჩემს თავზე ავიღებ. ვიცი, შენი უკან დახევის მიზეზი ჩემი ოჯახია. მე მხოლოდ მსუბუქად მოგიყევი მასზე. კაცი ვარ და არ შემფერის წუწუნი და ოჯახური ამბების სხვასთან, მით უმეტეს, საყვარელ ქალთან გარჩევა, მაგრამ მერწმუნე, რომ ჩემი ოჯახი დიდი ხნის წინ დაინგრა. ის ფაქტობრივად არ არსებობს. არსებობს მხოლოდ შვილი. ჩემი და ჩემი ცოლის სარეცელი დიდი ხანია გაიყო. მე ჩემი ცხოვრება მაქვს, მას — თავისი. მდგმურებივით ვცხოვრობთ და მხოლოდ ჭერი გვაქვს საერთო. არ გამოვრიცხავ, რომ მას მეგობარი მამაკაციც ჰყავდეს, მაგრამ ეს არ მაღელვებს, რადგან ის ჩემთვის საინტერესო ქალი არ არის. ჩვენ არა გვაქვს სექსი და ბუნებრივია, წლების განმავლობაში ის მარტო არ გაჩერდება. ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ მაიძულებ. მთელი ამ წლების მანძილზე პირველად ვარ ბედნიერი და ამას არ დავკარგავ. გესმის?

პანდორა: კი, მესმის...

ზურა: ჰოდა, დაფიქრდი. რა თქმა უნდა, ყველაფერი ისე იდეალურად ვერ იქნება, როგორც ოცნებაში ხდება, მაგრამ მე და შენ ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ ერთად ვიყოთ...

პანდორა: დავიღალე...

ზურა: შემოგევლე... ახლა ჩემთან რომ იყო, გულში ჩაგიკრავდი და თვალებს დაგიკოცნიდი. ისე მინდა, ის ღამე იყოს, როცა მე და შენ ბათუმში, პლაჟზე ვისხედით... ახლა სულ სხვანაირად მოვიქცეოდი...

პანდორა: :)))) როგორ?

ზურა: როგორ და აუცილებლად მოგეხვეოდი და გაკოცებდი. შენს გლუვ კანს შევიგრძნობდი... იცი, როგორ მინდოდა, რომ შენს ტანზე შერჩენილი წყლის წვეთები, რომლებიც მთვარის შუქზე ბრწყინავდნენ, სათითაოდ შემესრუტა ტუჩებით? ნელა, ძალიან ნელა დავყოლოდი და თითოეული წყლის წვეთი გადამეყლაპა. შენი მკერდი კი მოსვენებას არ მაძლევს მას შემდეგ, რაც კაბის გარეშე, „კუპალნიკში“ გიხილე... შენ რომ ჩემი არ გახდე, მოვკვდები...

პანდორა: ზურა, საკმარისია... ამ თემაზე ნულარ ვილაპარაკებთ.

ზურა: მაპატიე... ამას ლაპარაკი კი არა, მოქმედება უნდა და რაც შეიძლება სწრაფად. შაბათს როგორც შევთანხმდით, ბათუმში მოვდივარ... ხომ, პატარავ?

ზურა: სად ხარ, გოგო? ახლა თუ შენ წასული ხარ, შეიძლება გავგიჟდე.

პანდორა: მაპატიე, სონას ველაპარაკებოდი...

ზურა: მოვიდა? ვაა, მომიკითხე... და როგორია შენი პასუხი შაბათთან დაკავშირებით?

პანდორა: მოვიფიქრებ.

ზურა: მოკლედ, ახლა სონათი ხარ გართული და მოკლე პასუხებს მცემ... წავალ, დავიძინებ და მეგობრებს ჭორაობის საშუალებას მოგცემთ. მართალია, მეუბნები, რომ სონასთვის ჩემ შესახებ არაფერი გითქვამს, მაგრამ 100%-ით ვარ დარწმუნებული, რომ მან დაწვრილებით იცის ყველაფერი... რაც შეეხება შაბათს, ამას მე გადავწყვეტ. უფრო სწორად, გადაწყვეტილია... შაბათს ცხელი ამინდი იქნება ბათუმში და შესაბამისად, ცხელი ღამე... გკოცნი ჩემო სიხარულო, დროებით.

პანდორა: ოცნებას კაცი არ მოუკლავს... 02:32

სონა: გამარჯობა, ნატალია. მოკლედ, ადრე სულ გეხვწებოდი, ღამით ისეთ დროს გაგეღვიძა, რომ ლაპარაკი შეგვძლებოდა და ვერ ახერხებდი. ახლა კი მადლობა ზურას, რომ როგორც იქნა, მისი წყალობით დაქალთან საუბარს ვახერხებ.

პანდორა: შენ მადლობას უთვლი, მან კი მოკითხვა შემოგითვალა...

სონა: ვაა, სასიძოს ვახსოვარ?

ნატალი: „ევასები“ კიდეც... :)))

სონა: რა იცი?

ნატალი: შენი სურათი გავუგზავნე და გარეგნულად შეგაფასა. თან მითხრა: ვგრძნობ, კარგი გოგოა და გამაცანიოოო... ამერიკაში ჩავაკითხოთო...

სონა: მართლა? აუუ, რა მაგარია... კარგი ბიჭი ყოფილა ეგ შენი ზურა. ვიდრე აქ ჩამოხვალთ, მანამდე გამაცანი, ყველა შენი სუსტი მხარე უნდა გავაცნო და შენი გასაღებები ჩავაბარო. ერთი სიტყვით, ხეზე ცოცვა უნდა ვასწავლო...

პანდორა: იცის, უშენოდაც მშვენივრად ახერხებს კენწეროზე მოქცევას... შენ ვისი „ბიძაშვილი“ ხარ?

სონა: შენი „ბიძაშვილი“ რომ ვარ, იმიტომ ვამბობ ამას... ხომ ვიცი, რომ მასთან ურთიერთობა და მისი სიყვარულის მორევში გადაშვება გინდა... მიდი, დაუფიქრებლად, პირდაპირ თავით გადაეშვი.

პანდორა: სონა, გუშინ ბევრი ვიფიქრე და მგონი, მივიღებ შენს წინადადებას — შენთან ჩამოსვლასთან დაკავშირებით.

სონა: მერე ზურა?

პანდორა: ზურა? ისევე ვიცხოვრებ მის გარეშე, როგორც 32 წელი მიცხოვრია...

სონა: არა მგონია, რომ ეგ მოახერხო. შენ უკვე გღრღნის სიყვარულის ჭია და იმიტომ გინდა გამოქცევა... დაფიქრდი, მე შენთვის მხოლოდ კარგი მინდა. ჩემი ოცნებაა აქ, ჩემ გვერდით გიხილო, მაგრამ მერე არ ინანო... მართალია, ტასოს მეძახდი, მაგრამ ახლა უკვე გავიზარდე, დიდი გოგო ვარ და მეც დამეჯერება რაღაც. ჩემო ფსიქოლოგო... რა გეშველება, რა? ასეთი ხართ ყველა ფსიქოლოგი — სხვებს ჭკვიანური გამოხედვით კომპეტენტურ რჩევებს აძლევთ და სწორი გზისკენ მიუთითებთ, მაგრამ როგორც კი საკუთარ პრობლემას წააწყდებით, მთელი თეორია გავიწყდებათ და ბრინჯივით იბნევით... აქეთ-იქით ეხლებით და ბრმებივით ხელის ცეცებით ეძებთ ფონს... გაიხსენე, რაც 5 წლის განმავლობაში გისწავლია და ამ წლების განმავლობაში პრაქტიკულად გამოგიცდია. იქნებ, მაშინ მაინც გამოფხიზლდე ტკბილი სიზმრიდან... შენ შეყვარებული ხარ და მე ვიცი, როგორია შეყვარებული ნატალი — ჩაფიქრებული, ტუჩებგაბუსხული... ასეთი უნახავხარ, იმ შენს ზურას? ალბათ არა, თორემ უკვე გადაგყლაპავდა... გაიღიმე, გოგო...

პანდორა: :))) ვიღიმი...

სონა: არ მომწონს შენი ღიმილი...

პანდორა: ახლა ღიმილიც დამიწუნე...

სონა: მთავარია, ზურამ არ დაგიწუნოს. მე კი ისე მიყვარხარ, რომ... „დაჟე სლოვ ნეტ...“ სხვათა შორის, ძალიან მენატრები. მანდ ვიდეოთვალი არ არის, რომ დამენახვო?

პანდორა: არა, არ არის...

სონა: დროზე წადი თბილისში. კომპიუტერი იმიტომ გიყიდე, რომ როცა მომინდება, მაშინ დაგინახო... როდის მიდიხარ?

პანდორა: კვირას.

სონა: მაშასადამე, ზეგ...

პანდორა: ჰო, ზეგ... ხვალ კი ზურა ჩამოდის...

სონა: ვაუ... ზურამ უნდა წაგიყვანოს?

პანდორა: კი... ასე ამბობს...

სონა: ნატალი, რაღაც მინდა გთხოვო...

პანდორა: მთხოვე.

სონა: ზურას მისამართი მომეცი, ინტერნეტის, რა თქმა უნდა...

პანდორა: რად გინდა?

სონა: მინდა, გავიცნო. შევაფასებ და ჩემს აზრს გეტყვი... მართალია, მე შენსავით „ველიკი“ ფსიქოლოგი არა ვარ, მაგრამ მაინც მაინტერესებს...

პანდორა: შენ „ველიკი ხუდოჟნიკი“ ხარ, ვიცი... კარგი, გეტყვი, მაგრამ იცოდე, ზედმეტი არ მოგივიდეს...

სონა: აბა, რას ამბობ? უბრალოდ, გავიცნობ... თუ თვითონ არ იქნება წინააღმდეგი, რა თქმა უნდა... ჰო, მართლა, ახლა გავალ და ფულს გადმოვრიცხავ. დილით დაგირეკავ და კოდს ჩაგაწერინებ...

პანდორა: მაინც არ იშლი შენსას? მაქვს ფული...

სონა: შვებულებაში ხარ და პაციენტები არ გეყოლება. თბილისში რომ ჩახვალ, მშიერი ხომ არ დარჩები? თანაც, ერთი თხოვნა კიდევ მექნება...

პანდორა: რამდენი თხოვნა გაქვს? გისმენ.

სონა: 500 დოლარს გიგზავნი და მინდა, ხვალ ფულს რომ აიღებ, მაღაზიაში წახვიდე, რათა საუკეთესო კაბა და ფეხსაცმელი იყიდო... ფული გულიანად დახარჯე, ერთ კვირაში კიდევ გამოგიგზავნი. ზურას რომ შეხვდები, ისეთ ფორმაში უნდა იყო, რომ დაეცეს და ფეხზე ველარ ადგეს...

პანდორა: არა მგონია, რომ მაგას კიდევ მეტად უნდა გავეპრანჭო. თან ისიც არ ვიცი, ვნახავ თუ არა. ახლა პარასკევი თენდება. ის შაბათს ჩამოდის. შესაძლოა, ამაღამ მატარებლით წავიდე ისე, რომ მას არ ვუთხრა...

სონა: აბა, რას ამბობ? არ გრცხვენია?

პატარა ბავშვივით იქცევი... ამხელა გზაზე უნდა ჩამოიყვანო და მერე უთხრა, რომ უკვე თბილისში ხარ? რა გემართება? მოკლედ, ფეხს ვერსად გაადგამ და როგორც გითხარი, ისე მოიქცევი...

პანდორა: ტანისამოსის მეტი რა მაქვს? შენ რომ ვერცხლისფერი კაბა გამომიგზავნე, იმას ჩავიცვამ. ძალიან მიხდება.

სონა: არა, მე მინდა, რომ ახალი გეცვას. ახლა კი დაიძინე. მე კი ბანკში წავალ. გკოცნი, ჩემო მშვენიერო. მიყვარხარ... შენზე ახლობელი ვინ მყავს?

პანდორა: ორივე ობლები რომ ვართ, ალბათ იმიტომ შევესისხლხორცეთ ერთმანეთს... მე და მაინც მყავს, შენ კი სუუულ მარტო ხარ. ახლა რობა გყავს და მშურს მისი...

სონა: მარტო რატომ ვარ? შენ ხომ მყავხარ. გკოცნი მაგ ლამაზ ცხვირზე. კარგად, ხვალამდე... ზურაზე ვეჭვიანობ... ჩემზე მეტად ხომ არ გიყვარს?

პანდორა: აბა, რას ამბობ? ყველას დავთმობ ქვეყნად და შენ კი არა... კარგად, მეც გკოცნი...

8 სექტემბერი, პარასკევი.

11:02

ზურა: ოოოო, გაგითენებია, ჩემო ნატალი. 6 საათზე წასულხარ საიტიდან. ახლა ალბათ მშვიდად გძინავს... რა ილაპარაკეთ ამდენი? გამჭორეთ, არა? ნეტავ, როგორ გძინავს ახლა? მგონია, რომ გულაღმა წევხარ, ცალი ფეხი მოკეცილი გაქვს, მეორე გამართული, ხელები კი თავს ზემოთ გაქვს აწეული, კისერი გვერდზე მოღერებული, შენი ტალღოვანი თმა ბალიშზეა დაყრილი და თან, იღიმი. ხომ არ ხვრინავ, გოგო? არ გადამრიო... ხვალ გავიგებ მაგას. გკოცნი... უფფფ, როდის მოვა „ხვალ“?

13:45

ზურა: არ გამოჩენილხარ. ისევ გძინავს? მაშ, საღამომდე. ცოტა გვიან მოვალ ალბათ და დამელოდე, უჩემოდ არ დაიძინო... ვგიჟდები ასეთ სიტყვებზე...

სონა: გამარჯობა, ზურა!

ზურა: გაგიმარჯოს! სახელის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შენ ნატალის მეგობარი უნდა იყო...

სონა: კი, მე ვარ...

ზურა: თუ არ ვცდები, ახლა ნიუ-იორკში შუაღამეა... როგორ ხარ? ძალიან მინდოდა შენი გაცნობა...

სონა: მეც... ნატალიმ მომცა შენი მისამართი და მთელი საღამო გდარაჯობდი, რომ დამეჭირე. როგორც იქნა, გამოჩნდი.

ზურა: მე კი შენი დაქალის მესიჯებს ვდარაჯობ ხოლმე, მაგრამ ის როგორც ყოველთვის, უმოწყალოა. დღეს მთელი დღე არ გამოჩენილა... წუხელ დილამდე გიჭორავიათ.

სონა: ჰო, თითქმის გაათენა ჩემთან საუბარში.

ზურა: ჩვენ შენთან ჩამოსვლას ვგეგმავთ და ალბათ, ზამთარში ჩამოვალთ კიდეც...

სონა: კარგს იზამთ. ნატალი ძალიან მენატრება. სულ ვეუბნები — ფულს გამოგიგზავნი და ჩამოდი-მეთქი, მაგრამ ერთხელ უარი უთხრა საელჩომ და იმის მერე ველარ მივიყვანე იქამდე.

ზურა: გპირდები, კაცურ სიტყვას გაძლევ, რომ დაქალს უახლოეს მომავალში გაჩვენებ. მთავარია, თვითონ მოინდომოს.

სონა: შენ უნდა მოანდომო. მაპატიე, რომ „შენობით“ მოგმართავ...

ზურა: არა უშავს, ჩვენ მომავალი მეგობრები ვართ და გაშინაურდებით... რა გითხრა ნატალიმ ჩემზე?

სონა: სიმართლე გითხრა, ბევრი არაფერი. უბრალოდ მითხრა, რომ მოსწონხარ და ისიც ვიცი, რომ ხვალ მასთან ჩასვლას აპირებ.

ზურა: კი, ვაპირებ და ჩავალ კიდეც. უკვე დროა, რომ ჩვენს ურთიერთობაში რაიმე შევცვალოთ.

სონა: ნატალი გაურკვეველ სიტუაციაშია. მითხრა, რომ ჩემთან უნდა ჩამოსვლა. ვფიქრობ, ვერ გარკვეულა, რა უნდა და ვერც შენთან დაკავშირებით იღებს გადაწყვეტილებას. თუმცა ვგრძნობ, რომ შეყვარებულია... ალბათ მართლა კარგი ადამიანი ხარ, რადგან ასე შორიდან შეაყვარე თავი.

ზურა: ჩემო სონა, აქ, ვირტუალურ სამყაროში ძნელი სულაც არ არის ის, რომ ადამიანს თავი შეაყვარო. გაცილებით იოლია, ვიდრე რეალურ ცხოვრებაში. განსაკუთრებით — ქალისთვის... 1-2 ლამაზ სიტყვას ეტყვი, შენს მამაკაცურ სიძლიერეს დაანახვებ და ჩათვალე, რომ შენია...

სონა: და ნატალიც წამოეგო მაგ ანკესს?

ზურა: მისთვის ანკესი არ გადამიგდია. ჩვენ ყველაფერი თამაშით დავიწყეთ და აღმოჩნდა, რომ თურმე ერთმანეთს ვეძებდით. მომწონდა მისი ხასიათი, სიჯიუტე, იუმორი. მასთან ურთიერთობა სასიამოვნო იყო, მაგრამ მე რომ ის ფიზიკურად არ მომწონებოდა, ალბათ ყველაფერი იქ დამთავრდებოდა. მისით მოვიხიბლე და მინდა, რომ ჩემი იყოს.

სონა: ის ნივთი არ არის, ასე ნუ ამბობ.

ზურა: სიტყვა „ჩემი“ ნიშნავს იმას, რომ მე მეკუთვნოდეს ფიზიკურად, სულიერად. რომ მისი გული და გონება მხოლოდ ჩემით იყოს დაკავებული. ჩემი იყოს მისი სიხარულიც და მწუხარებაც. რაღაც ამბავს მიყვება, ვიღაც ბაჩოზე. ვხვდები, უჭირს ამ თემაზე საუბარი და მაინც დაწვრილებით ჰყვება. რა თქმა უნდა, მაინტერესებს, მაგრამ უზომოდ ვეჭვიანობ.

სონა: ის კაცი წარსულს ჩაჰბარდა. იქ მისი ერთი სიცოცხლე დამთავრდა... შენთან კი მეორე სიცოცხლე დაიწყო.

ზურა: მიხარია, მაგას რომ მეუბნები. ხვალ ვნახავ შენს დაქალს და შენ მაგივრადაც ჩავეხუტები.. :)))

სონა: ეს „ც“ იმას ნიშნავს, რომ შენ მაგივრად ჩაეხუტები და მერე ჩემ მაგივრადაც?

ზურა: ვინ იცის, რა მოხდება, წინასწარ არაფერს ვგეგმავ. ვნახოთ...

სონა: კარგი, იმედია, თქვენ შესახებ მხოლოდ კარგ ამბებს გავიგებ. ახლა კი წავედი, თავს არ მოგაბეზრებ. დროებით.

ზურა: ძალიან გამიხარდა, რომ გაგიცანი. კარგად... ეს კი ჩემი ტელეფონის ნომერია. გქონდეს, ყოველი შემთხვევისთვის...

სონა: :)))

00:51

ზურა: როგორ ხარ, სიხარულო? ვხედავ, აქ ხარ და მელი...

პანდორა: აქ ვარ, კი... სად ბრძანდებოდი აქამდე?

ზურა: ხომ მოგწერე, რომ დამაგვიანდება-მეთქი? საქმეზე ვიყავი.

პანდორა: ქალებში, ხომ?

ზურა: ოოო, რა ეჭვის ბუდე ხარ! რა მინდოდა ქალებში, გოგო... ხვალ შენთან ვაპირებ ჩამოსვლას და დღეს ქალებში რა მინდოდა?

პანდორა: ჩემთან ჩამოსვლა რა შუაშია?

ზურა: იმ შუაშია, ჩემო ოცნებავ, რომ ამ დილით 6 საათზე გამოვალ თბილისიდან და შუადღისას მანდ ვიქნები. მთელ დღეს ერთად გავატარებთ. საღამოს რესტორანში წავალთ და ჩვენი პირველი ღამის სადღეგრძელოს შევსვამთ. მერე კი დილამდე და კიდევ მეორე დილამდე ერთად ვიქნებით. ჰოდა, სწორედ ამიტომ სხვა ქალები აღარ მაინტერესებს... აი, ამ შუაშია...

პანდორა: ასეთი არაფერი მსმენია, რომ კაცი წინასწარ გითანხმდებოდეს ასეთ ინტიმურ საკითხზე...

ზურა: უბრალოდ მინდა, შეეჩვიო ამ აზრს და ჩუმად რომ ჩაგჩურჩულებ, ჩემი უნდა გახდე-მეთქი, გული არ წაგივიდეს...

პანდორა: მეც წინასწარ მინდა გითხრა, რომ მერე შენთვის მოულოდნელი არ იყოს და გული არ წაგივიდეს, რომ როცა შენ ყურში ჩამჩურჩულებ: ჩემი უნდა გახდეო, ეს სასაცილოდ არ მეყოფა და გეტყვი: ტყუილად აწყობ გეგმებს-მეთქი...

ზურა: კარგი, შენ იქამდე მიმიშვი, რომ ჩაგჩურჩულო და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ. თანახმა ხარ?

პანდორა: ტვინი ნუ წაიღე, თემა შეცვალე, თორემ წავალ და დავიძინებ...

ზურა: არ შევცვლი თემას! უნდა მომისმინო... ჩვენ შორის რაღაც უნდა შეიცვალოს, ასე გაგრძელება არ შეიძლება. ვიტანჯები და ვგრძნობ, რომ შენც იტანჯები...

პანდორა: რამე უნდა შეიცვალოს? ამისთვის ლოგინი რა საჭიროა? დავშორდეთ ერთმანეთს-მეთქი, — გითხარი... ცვლილება არ იქნება?

ზურა: ნუ მიედ-მოედები რაღაცას და ისე ნუ იქცევი, როგორც სასიკვდილოდ განწირული, რომელმაც იცის, რომ სიკვდილი გარდაუვალია და მაინც ფართხალებს, მისი კლანჭებიდან თავის დაღწევას ამაოდ ცდილობს... ჩვენ ერთად ვიქნებით და ეს საკითხი ამოწურულია. ხვალ და ზეგ თუ არა, ერთი კვირის შემდეგ, ერთი თვის შემდეგ ან თუნდაც ერთი წლის შემდეგ მაინც... მე მზად ვარ, დაგელოდო... ასე მგონია, რომ ჩვენ შორის ის ბაჩო დგას და ერთმანეთთან მიახლოების საშუალებას არ გვაძლევს...

პანდორა: თუ 2 ადამიანს შორის ცარიელი, თავისუფალი ადგილი არ არის, იქ ვერავინ ჩადგება...

ზურა: ჰოდა, მეც მაგას ვცდილობ, რომ ეს ადგილი შევამცირო და საერთოდ გავაქრო. მინდა, შენზე ყველანაირი უფლება მქონდეს, რომ მასზე ფიქრიც კი აგიკრძა-

ლო. ისე ახლოს მინდა იყო, რომ ჩვენ შორის ჟანგბადის მოლეკულაც კი ვერ ჩაეტიოს.

პანდორა: ჩვენ შორის ბაჩოს გარდა კიდევ დგას რაღაც...

ზურა: ისევ ჩემი ოჯახი.... ვერ მოგატყუებ, ჯერჯერობით მაგ მხრივ არაფერი შეიცვლება. ჯერ მზად არა ვარ, რომ ჩემი ცხოვრება ასე ძირფესვიანად შევცვალო. მომავალი კი ყველაფერს დაგვანახვებს. მენდე, ნატალი... მთელი არსებით მიყვარხარ... შენი გულისთვის სიცოცხლეს დავთმობ...

პანდორა: ზურა, მეძინება, უნდა წავიდე... თანაც საფიქრალიც ბევრი მაქვს... გმადლობ, რომ ასე გულახდილი იყავი. სხვა ალბათ ოცნების კოშკებს ამიგებდა... კარგად...

ზურა: მოიცადე, არ წახვიდე... ვგრძნობ, რომ ნაწყენი დარჩი... ტყუილი გირჩევნია, ნატალი? როგორ გითხრა, რომ ოჯახს მივატოვებ... უფრო სწორად, შვილს... ის უჩემოდ ვარ გაძლებს... ის ხომ ავად არის...

ზურა: მაინც წასულხარ... კარგი, რა გაეწყობა, ხვალამდე, ჩემო სიცოცხლევ...

02:03

სონა: რა იყო გოგო, რა ფეთიანივით მელაპარაკე? სიმართლე რომ გითხრა, შენს ზარს არ ველოდი... აბა, მითხარი რა დაგემართა, რატომ ტირი ამ შუაღამისას?

პანდორა: ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს. ხმამაღლა მინდა ვიტირო.

სონა: მოხდა რამე?

პანდორა: კი, საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ დიდი სისულელეა ეს ყველაფერი და წერტილი უნდა დავუსვა. ხვალ დილით თბილისში მივდივარ...

სონა: რატომ? ზურა ვეღარ მოდის?

პანდორა: კი, მაგრამ მე არ დაველოდები... ყველაფერი დამთავრდა... თუმცა ეს მე გადავწყვიტე ასე და მან ამის შესახებ არაფერი იცის...

სონა: კარგი, დამშვიდდი, ნუ ინერვიულებ, გადაწყვიტე და გადაწყვიტე... როგორც შენ გინდა, ისე მოიქეცი. ახლა ტირი, ხომ? ისევ ისე, ხელის ზურგით იწმენდ ცრემლს? გკოცნი ცრემლიან თვალებში... ხვალ რითი მიდიხარ?

პანდორა: ალბათ „მარშრუტკით“...

სონა: ფული ხომ აიღე დღეს? ტაქსით წადი... იყიდე კაბა?

პანდორა: კი, ვიყიდე... მაგრამ რაღად მინდა?

სონა: სხვა დროს გამოგადგება... ნუ ტირი... ახლა დაიძინე, ხვალ კი დაგირეკავ და გავიგებ, რითი წახვალ. გკოცნი და გეფერები, ჩემო ტკბილო... გაიღიმე, ცხოვრება ხომ მშვენიერია, თუნდაც იმიტომ, რომ ამ შუაღამისას სიყვარულის გამო მოთქვამ... გკოცნი...

პანდორა: კარგად. ცოტა დავმშვიდდი... მეც გკოცნი...

03:17

სონა: ღამე მშვიდობის, ზურა. დილით ბათუმში წასვლამდე თუ წაიკითხავ ჩემს მესიჯს, აუცილებლად დამირეკე ..... ამ ნომერზე... თუ არადა, დილით მე დაგირეკავ... კარგად...

■

"ეს დანაშაული უმძიმეს ცოდვად მაწევს..."

31 წლის განსასჯელი ახალგაზრდა ცოლის მკვლელობისთვის სამუდამო პატიმრობას ელის

„...რაც ჩავიდინე, ამის პატიება შეუძლებელია. ეს დანაშაული უმძიმეს ცოდვად მაწევს... სანამ ცოცხალი ვარ, სინდისი არ მომასვენებს და ჩემს შვილებს თვალს ვერასდროს გავუსწორებ. ეს ამბავი რომ მოხდა, მას შემდეგ ისინი არც მინახავს. მათი ნახვა არ მინდა, რადგან უფლება არ მაქვს და თან მეშინია. არ ვიცი, რა ვუთხრა ან თავი რით გავიმართლო. მე მათ დედა მოვუკალი...“

მეგი ცანავა

ვერავინ იფიქრებდა, თუ სასამართლო პროცესზე, რომელიც სისასტიკითა და სადიზმით გამორჩეულ, ალბათ, ბოლო პერიოდის ყველაზე სისხლიან ბოროტმოქმედებას ეხებოდა, ასეთ გულისამაჩუყებელ მონანიებას მოისმენდა. შემზარავი და შემაღონებელი ფაქტებით აღსავსე საბრალდებო დასკვნის წაკითხვის შემდეგ, ერთადერთი სურვილი, რაც ადამიანს შეიძლებოდა გასჩენოდა, სადისტი დამნაშავის კანონის მთელი სიმკაცრით დასჯა და მისი საქვეყნოდ გაკიცხვა იყო. სასამართლო დარბაზში მყოფებმა პირველსავე სხდომაზე გამოუტანეს განსასჯელს უმკაცრესი განაჩენი. მოსამართლეს ხმამაღალი შეძახილებით სთხოვდნენ — ამ საქმეს გამოძიება რად უნდა? სადისტი დამნაშავეა და მთელი ცხოვრება საპყრობილეში უნდა გამოკეტოთო!.. დამსწრეთა ნაწილს უფრო რადიკალური გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული. ისინი დამნაშავის ლინჩის წესით დასჯას მოითხოვდნენ. ეს ხალხი სწორედ იმ სოფლის მცხოვრებლები იყვნენ, სადაც საშინელი ტრაგედია დატრიალდა. გაუბედურებულმა და შურისძიების სურვილით შეპყრობილმა დაზარალებულმა, ნათესავებთან ერთად, დამნაშავის მშობლების სახლკარს ბენზინი მიასხა და ცეცხლი წაუკიდა. ამბობენ, რომ იმ ოჯახის წევრებმა განრისხებულ ხალხს ძლივს, როგორღაც დააღწიეს თავი და გაიქცნენ. მას შემდეგ სოფელში აღარ გამოჩენილან...

აღიარებითი ჩვენება 31 წლის ვასილ დვალიძემ მხოლოდ სასამართლოს მისცა. წინასწარი გამოძიების პერიოდში სამართალდამცველებისთვის ჩვენების მიცემაზე მან უარი განაცხადა და დუმილის უფლება გამოიყენა. ამის გაკეთება მას კერძო ადვოკატმა ურჩია, რომელიც მისი ნათესავი იყო და შემთხვევის პირველსავე დღიდან საქმის კურსში გახლდათ. ამბობენ, ის თავისი კლიენტისა და ნათესავის სასიკეთოდ საქმის შემობრუნებას წინასწარი გამოძიების პერიოდშივე ცდილობდა, მაგრამ როგორც ჩანს, ვერაფერს გახდა. დვალიძეს ბრალი 109-ე — განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის მუხლით მაინც წაუყენეს. საბრალდებო დასკვნაში წერია, რომ მკვლელობა შურისძიების მოტივითა და განსაკუთრებული სისასტიკითაა ჩადენილი. გამოძიების მასალებში კი ამის დამადასტურებელი, შემზარავი დეტალებია დაფიქსირებული...

დილით, დაახლოებით 11 საათისთვის, სისხლისგან მთლად დაცლილი და დასახიჩრებული ხათუნა ცხომელიძის გვამი მისსავე სახლის მეორე სართულზე, საძინებელ ოთახში, გვერდით მცხოვრებმა მეზობელმა აღმოაჩინა. მოკლული ქალის ცხედარი გულაღმა ესვენა იატაკზე და სისხლში ცურავდა. მეზობლის თქმით, ოთახი მთლიანად იყო სისხლით მოსვრილი, შხეფები კედელსაც მისხმოდა, იატაკზე კი გუბე იდგა...

„...ამ საშინელი სურათის წინაშე რომ აღმოვჩნდი, თვალებში დამიბნელდა... გარდაცვლილი ადამიანის დანახვის ისედაც ძალიან მეშინია და ამის გამო, სამძიმრებსა და დაკრძალვებზე ვერ დავდივარ ხოლმე, რას ვიფიქრებდი, თუ ოდესმე ასეთი კოშმარის მომსწრე გავხდებოდი?.. ოთახის კარი მოხურული იყო. ჯერ დავაკაკუნე, მომერიდა საძინებელი ოთახის კარის პირდაპირ შეღება. არავინ რომ არ გამომეხმაურა, შევაღე. პირველი, რაც დავინახე, ხათუნას სახე იყო. იატაკზე გულაღმა იწვა და თვალები ამოტრიალებული ჰქონდა. სახეც და თმაც სულ სისხლით ჰქონდა მოსვრილი. თვალებში დამიბნელდა და კარს მივეყუდე. ვგრძნობდი, რომ გული მიმდიოდა, მაგრამ ისევ შიშმა გამომიყვანა მდგომარეობიდან. იქ, იმ საშინელ სიტუაციაში გონების დაკარგვისაც კი საოცრად შემეშინდა და თავს როგორღაც ვძლიე. არ ვიცი, როგორ მოვიკრიბე ძალა, რაც შემეძლო გავიქეცი, სასწრაფოდ გავვარდი ეზოდან და მხოლოდ ამის შემდეგ შევძელი კივილი... გამოცვივდნენ მეზობლები და მერე აღარაფერი მახსოვს. მე გული წამსვლია და ძლივს მოსულიერებული, სახლში შევუყვანივარ. იმ სახლში მას შემდეგ არ შევსულვარ...“ — მოჰყვა სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაკითხულმა **ნაჩი გუგელაძემ**.

შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა საძინებელ ოთახში დანაშაულის იარაღი — სისხლში მოსვრილი წალდი იპოვეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ მკვლელმა ახალგაზრდა ქალი სწორედ ამ წალდით გამოასალმა სიცოცხლეს. ხათუნა

ცხომელიძე საშინლად იყო დასახიჩრებული, გვამი წალდით იყო აჩეხილი და დაზიანებები მოკლულს მთელ სხეულზე ეტყობოდა, როგორც თავის არეში, ასევე სხეულზე. ექსპერტიზამ დანაშაულის ჩადენის სავარაუდო დროც განსაზღვრა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების თქმით, ხათუნა ცხომელიძე გამთენიისას, დაახლოებით 5-6 საათისთვის უნდა ყოფილიყო მოკლული. ყველა დაზიანება მას ცოცხალს მიაყენეს...

გარდაცვლილს თავიც გაჩეხილი ჰქონდა და ჭრილობები კისრის არეშიც ეტყობოდა, გადაჭრილი იყო საძილე არტერია, დაზიანებული იყო თავის ტვინი, დაფიქსირდა ქვედა ყბის ძვლის მოტეხილობები და ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობები მუცლისა და ზურგის არეში...

მეზობლები ამბობენ, რომ არც იმ ღამით, არც გამთენიისას, დვალიძეების სახლიდან ჩხუბის, ყვირილისა და კივილის ხმა არ გაუგონიათ. მათი თქმით, ცოლ-ქმარი არცთუ ისე იშვიათად ჩხუბობდა, მაგრამ იმ ღამეს საეჭვო არაფერი შეუნიშნავთ და სმენიათ. გვერდით მცხოვრებმა მეზობელმა იცოდა, რომ ორი დღის წინ ხათუნამ თავისი ორი მცირეწლოვანი შვილი — ქალ-ვაჟი დედამისს გაატანა. ბავშვები ბებიასთან ერთი კვირა უნდა დარჩენილიყვნენ. ჩვეულებრივ, მასთან ხშირად რჩებოდნენ და არც ამჯერად ჰქონია მათ წასვლას რაიმე განსაკუთრებული მიზეზი. მეზობლებმა ისიც იცოდნენ, რომ ვასილ დვალიძე იმ დღეებში არსად წასულა და სახლში იმყოფებოდა. დვალიძე ოჯახში სამეურნეო საქმით იყო დაკავებული, სხვაგან არსად მუშაობდა, თავისუფალ დროს კი მეზობლებთან მასლაათში კლავდა. ბოლო დროს თურმე, სმას უმატა, რის გამოც მეუღლე ხშირად საყვედურობდა...

იმ დილას ნაზი გუბელაძეს ვასილ დვალიძე შინ არ დახვედრია. ვიდრე სახლში შევიდოდა, გუბელაძემ მთელი ეზო მოიარა, თან ხათუნასა და მისი ქმრის სახელებს მონაცვლეობით გაიძახოდა, მაგრამ არავინ გამოეხმაურა. *„ხათუნას ჩემგან ყოველ დილით რძე მიჰქონდა. იმ დილით რომ დაადგვიანა, ვიფიქრე, თავად გადავუტანმეთქი. ჭიშკრიდანვე დავიწყე ძახილი, მაგრამ არავინ გამოჩნდა და ეზოში შევედი. რძიანი ქილა სახლის წინ, შესასვლელთან დადგმულ პატარა ხის მაგიდაზე დავდე და ოთახებში შევედი. ერთმანეთთან ძალიან ახლოს ვიყავით, გაშინაურებულები გახლდით და ამიტომაც გავბედე ოთახებში შესვლა. გამიკვირდა, რომ ხათუნა არ ჩანდა. სახლის კარი ღია იყო, სადმე თუ წავიდოდა, აცილებლად დაკეტავდა“,* — ამბობს მოწმე.

ვასილ დვალიძის გაუჩინარება მაშინვე საეჭვოდ ეჩვენათ შემთხვევის ადგილზე შეკრებილ მეზობლებსა და იქ მისულ სამართალდამცველებს. იმავე დღეს, ნაშუადღევს, დვალიძე ნათესავის ოჯახში დააკავეს...

იმის გამო, რომ წინასწარ გამოძიებას ჩვენება არ მისცა, სასამართლო პროცესამდე, ყველასთვის ბუნდოვანი რჩებოდა, თუ რა მოხდა იმ ღამით ცოლ-ქმარს შორის. საბრალდებო დასკვნაში წერია, რომ დვალიძეს ცოლთან შელაპარაკება მოუხდა და ამ დროს, შურისძიების მოტივით, მან მეუღლის მოკვლა გადაწყვიტა. ამ მიზნით, სახლის მეორე სართულიდან ჩავიდა ეზოში, სარდაფიდან წალდი გამოიტანა და ასე, საშინელი იარაღით ხელში წამოადგა თავს ცოლს. გაბრაზებულმა, საკუთარ მეუღლეს წალდი მოუქნია. დაჭრილი ქალი საწოლზე დავარდა. ის ცდილობდა, გამხეცებული ქმრისთვის წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ ამისთვის ძალ-ღონე არ ეყო. დვალიძემ დაჭრილი და დასისხლიანებული ცოლი საწოლიდან გადაათრია, იატაკზე დაადგო და წალდი, მჭრელი პირით, პირდაპირ თავში ჩაარტყა. ალესილი იარაღი უკვე მომაკვდავ ცოლს მან რამდენჯერმე ზედიზედ კიდევ მოუქნია. როცა დარწმუნდა, რომ მეუღლე არ ინძრეოდა, აღარც სუნთქავდა და ნამდვილად გარდაცვლილი იყო, წალდი იქვე დააგდო და სახლიდან წავიდა...

ბიძაშვილის ოჯახში მისულ დვალიძეს ჩადენილი დანაშაულის შესახებ არაფერი უთქვამს. როცა ოჯახის წევრებს მისი სახის გამომეტყველება საეჭვოდ მოეჩვენათ, თანაც პერანგზე სისხლის წვეთებიც შეამჩნიეს, დვალიძემ იცრუა და ეს ყველაფერი ერთ-ერთ მეზობელთან ვითომდა მომხდარ ჩხუბს დააბრალა.

სასამართლოს წინაშე წარმდგარმა განსასჯელმა თქვა, რომ როცა გონს მოეგო და გაიაზრა, თუ რა ჩაიდინა, მაშინვე პოლიციაში მისვლა გადაწყვიტა, მაგრამ სამართალდამცველებმა დაასწრეს და დააკავეს... საბრალდებო დასკვნის თანახმად, დანაშაულის ჩადენის მომენტში ვასილ დვალიძე მთვრალი იყო. ეს პროცესზე განსასჯელმაც დაადასტურა.

სასამართლოზე ვასილ დვალიძემ ჩვენების მიცემა ისე დაიწყო, რომ მის მიერ დანაშაულის აღიარებაში ეჭვი არავის შეეპარვია. მაგრამ ასე არ მოხდა. მართალია, დვალიძემ მის მიერ მკვლელობის ჩადენის ფაქტი დაადასტურა და ისიც გარკვევით თქვა, რომ წალდი მეუღლეს თავად, თანაც რამდენჯერმე მოუქნია, მაგრამ წარდგენილ ბრალდებაში თავი მან დამნაშავედ არ ცნო. განსასჯელის თქმით, ცოლი თავად დაესხა თავს, მან კი თავი დაიცვა და დანაშაული ძლიერი, სულიერი აღელვების მდგომარეობაში მყოფმა ჩაიდინა.

განსასჯელის ჩვენებიდან:

„...საერთოდ, ძალიან ნერვიული ვარ. ამას ჩემი ახლობლები დაგიდასტურებენ. განსაკუთრებით მაშინ ვკარგავ წონასწორობას, როცა ნასვამი ვარ. ასეთ დროს აგზნებული ვარ და ნებისმიერ წვრილმანზე ადვილად ვლიზიანდები. მე და ჩემს ცოლს ბოლო დროს პრობლემები გვქონდა. იმის გამო, რომ სმას მოვუხშირე, მსაყვედურობდა და იმაში, რომ მატერიალურად გაგვიჭირდა, მადანაშაულებდა. მეც ვეპასუხებოდი, ის კი ისტერიკაში ვარდებოდა ხოლმე. მეც ვკარგავდი თავზე კონტროლს. წინა დღეებში ხელი გავარტყი... იმ საღამოს ბიძაშვილის ოჯახში დავლიე არაყი, შინ გვიან მივედი. ხათუნა გაბრაზებული დამხვდა. ლანძღვა დამიწყო და მითხრა, შენთან აღარ გავჩერდები, ხვალ დილით დედაჩემთან წავალო. შინ რომ მივედი, დაახლოებით ღამის 3 საათი იქნებოდა. ცოლი მეკითხებოდა, სად ერთობოდი, სად გაატარე დროო? ჩხუბში ერთმანეთს შევყევით, თავი ვერ მოვთოკე და მის საცემრად გავიწიე, სწორედ ამ დროს დავინახე მის ხელში წალდი. ცდილობდა, დაერტყა. ამის შემდეგ რა მოხდა, ზუსტად არ მახსოვს. რას ვაკეთებდი, ვერ ვაცნობიერებდი. არც ის მახსოვს, რა მომენტში ან როგორ გამოვტაცე ხელიდან წალდი, რამდენჯერ დავარტყი, არც ის დამითვლია. არ ვიცი, როგორ აღმოჩნდი ბიძაშვილის სახლში. მასთან რომ მივედი, უკვე გათენებული იყო. სახლიდან გასულმა, დიდხანს ვიარე, მახსოვს, რომ ქუჩაში არ გავსულვარ, ყანებით მივედი ბიძაშვილის სახლამდე...“

განსასჯელის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ფსიქიკური ჯანმრთელობის შესამოწმებლად, ექსპერტიზის დანიშვნაც მოითხოვა. ასეთი ექსპერტიზა ჩატარდა, პასუხი კი დაცვის მხარის პოზიციის საწინააღმდეგო აღმოჩნდა: ექსპერტთა თქმით, დვალიძე შერაცხადია და მას დანაშაულის ჩადენის მომენტშიც შეეძლო გაეკონტროლებინა საკუთარი ქმედება.

დაზარალებული მხარის თქმით, ამ ექსპერტიზის ჩატარებით დაცვის მხარე დამნაშავისთვის მოსალოდნელი პასუხისმგებლობის აცილებას შეეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მოკლულის ოჯახის წევრები ამბობენ, რომ დვალიძე თავის ცოლს ცუდად ექცეოდა და ბოლო დროს სცემდა კიდეც. ეს ფაქტი ჩვენებაში განსასჯელმაც დაადასტურა, თუმცა, თავისი ქმედება გაუწონასწორებელი ხასიათით ახსნა და არა შურისძიებითა და მკვლელობის განზრახვით. განსასჯელი იმასაც აცხადებს, რომ ის პასუხისმგებლობას არ გაურბის: *„იმის გამო, რაც მოხდა, უკვე მწარედ დავისჯე. ცოლი მოვკალი და ამის გაცნობიერება ჩემთვის უმძიმესი სასჯელია“.* მაგრამ ფაქტია, რომ ბრალდების მიერ წაყენებული მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიღების სურვილიც არ გააჩნია. კანონი ამ შემთხვევაში 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

საბოლოო განაჩენს დვალიძეს საოლქო სასამართლო გამოუტანს. მანამდე დაცვის მხარე თავისი პოზიციის დამტკიცებას კიდევ შეეცდება. დაზარალებული მხარე აცხადებს, რომ ამ სადისტური მკვლელობისთვის კანონით გათვალისწინებული უმაღლესი სასჯელიც კი ლმობიერია. მოკლულის ნათესავებს იმედი აქვთ, რომ ოჯახში დატრიალებულ შემზარავ ტრაგედიას სასამართლო ობიექტურად შეაფასებს და დამნაშავეს სასტიკი დანაშაულისთვის, 29 წლის ახალგაზრდა ქალის, ორი მცირეწლოვანი შვილის დედის ვერაგული მკვლელობისთვის, სამუდამო პატიმრობით დასჯის.

ჟურნალისტის მკვლელობის თანამონაწილე ქალი იყო

პოლიტკოვსკაიას მკვლელობის ძირითადი ვერსია – „ნოვაია გაზეტა" ეჭვმიტანილს ასახელებს

2006 წლის 7 ოქტომბერს, მოსკოვში, ცნობილი რუსი ჟურნალისტი, გაზეთ „ნოვაია გაზეტას" პოლიტიკური მიმომხილველი — ანა პოლიტკოვსკაია მოკლეს. ცეცხლსასროლი იარაღიდან მკვლელმა (თუ მკვლელებმა) ჟურნალისტს მისი საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში, ლიფტში ესროლეს. გამოძიების ვერსიით, მკვლელის ერთ-ერთი თანამზრახველი, ქალი უნდა ყოფილიყო. სამართალდამცველების მიერ დაკითხული მოწმეების ჩვენებებით ირკვევა, რომ იმ დღეს უცნობი, საეჭვო ქალბატონი ჟურნალისტს ფარულად უკან დაჰყვებოდა...

პოლიტკოვსკაიას ადევნებული ქალი დაახლოებით 30 წლის უნდა ყოფილიყო. ის ჟურნალისტს სუპერმარკეტ „რამსტორშიც" შეჰყვა. მაღაზიაში პოლიტკოვსკაიამ პროდუქტები და სხვა საჭირო ნივთები შეიძინა და იქიდან პირდაპირ ლესნაიას ქუჩისკენ — შინისკენ გასწია. მაღაზიიდან საეჭვო ქალბატონი ჟურნალისტს ფეხდაფეხ აედევნა. ამის შემდეგ, ქალი მარტო აღარ მოქმედებდა. ლესნაიას ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ კორპუსთან წინასწარ ჩასაფრებული მკვლელი უკვე ინფორმირებული იყო. სუპერმარკეტში შენაძენით დატვირთულ პოლიტკოვსკაიას შეიარაღებული დამნაშავე უკან გაჰყვა, ჯერ სადარბაზოში, შემდეგ — ლიფტში შეჰყვა და იქ მოკლა... ბოროტმოქმედები შემთხვევის ადგილიდან უკვალოდ გაუჩინარდნენ...

დაახლოებით საღამოს 5 საათისთვის, მოკლული პოლიტკოვსკაია ლიფტში მეზობელმა იპოვა. შოკში ჩავარდნილმა, მაშინვე ყვირილი ატეხა. ხმაურზე გამოსულმა კორპუსის მცხოვრებლებმა ამ საშინელი სურათის ნახვის შემდეგ, პირველი, რაც მოიმოქმედეს, მილიციაში დარეკეს. შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა ლიფტში სავარაუდოდ, დანაშაულის იარაღიც — „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი და 4 მასრა იპოვეს. იარაღი იქვე, მოკლულის გვერდით ეგდო...

ცნობილი რუსი ჟურნალისტის შოკის მომგვრელ მკვლელობასთან დაკავშირებით, სხვადასხვა ვერსია ვრცელდება. სამართალდამცველები, როგორც თავად აცხადებენ, ჯერ-ჯერობით არაფერს გამორიცხავენ. აქედან გამომდინარე, საგამოძიებო ჯგუფი არ გამორიცხავს, რომ დანაშაულს შესაძლოა, პირადი მოტივი ედოს საფუძვლად. მომხდარით აღშფოთებულ საზოგადოებაში კი ვერსია ერთია — მკვლელობა პოლიტიკას უკავშირდება. აღსანიშნავია ისიც, რომ სამართალდამცველებმა ჟურნალისტზე ყაჩაღური თავდასხმა გამორიცხეს. ამბობენ, რომ მოკლულს პირადი ნივთები უკლებლივ თან ჰქონდა და არც მისი საცხოვრებელი ბინიდან დაკარგულა რაიმე ძვირფასეულობა. დანაშაულის რაიმე პირადი მოტივით ჩადენა დაუშვებლად და წარმოუდგენლად მიაჩნიათ პოლიტკოვსკაიას ახლობლებსა და თანამშრომლებსაც. მათი თქმით, ამის საფუძველი რეალურად არ არსებობდა. ჟურნალისტის უახლოესი მეგობრების თქმით, ანა ახლობლებთან, მეგობრებთან, ნათესავებთან თუ მეზობლებთან საოცრად თბილი და ამასთანავე, დამთმობი ადამიანი იყო. პირად ურთიერთობებში კონფლიქტი არასდროს ჰქონია, მტრები მხოლოდ პოლიტიკოსთა წრეში ეყოლებოდა...

დანაშაულის ძირითადი ვერსიაც დღესდღეობით, სწორედ ეს გახლავთ — შეკვეთილი მკვლელობა პოლიტიკური მოტივით. მკვლელობა რომ ჟურნალისტის პროფესიონალურ საქმიანობას უკავშირდება, ამაში თითქმის აღარავის ეპარება ეჭვი. გაზეთ „ნოვაია გაზეტას" რედაქცია ხელისუფლებას და მას დაქვემდებარებულ რუს სამართალდამცველებს უნდობლობას უცხადებს და დამოუკიდებელ გამოძიებას იწყებს. „ანას მოღვაწეობა, მისი პუბლიკაციები ყოველთვის გამოირჩეოდა ობიექტურობით. ეს მთავრობაში ბევრს არ მოსწონდა, მისი მიუკერძოებელი ჟურნალისტური გამოძიებები ძალზე ბევრ მაღალჩინოსანს არ აძლევდა ხელს. ამის გამო ანა არაერთხელ აღმოჩენილა საფრთხის წინაშე და სიკვდილსაც არაერთხელ გადაურჩა. ბოლოს და ბოლოს, განზრახვა სისრულეში მოიყვანეს. მაგრამ სანამ „ნოვაია გაზეტა" იარსებებს, მკვლელები მშვიდად ვერ დაიძინებენ..." — აცხადებს გაზეთის მთავარი რედაქტორი დმიტრი მურატოვი. გაზეთის გამომცემლებმა მკვლელობის შემკვეთებისა და შემსრულებლების შესახებ ინფორმაციისთვის სოლიდური ფულადი ჯილდოც დააწესეს.

ერთ-ერთ ორშაბათს ანა პოლიტკოვსკაიამ ტაქსი დაიქირავა და ჩეჩნეთში გაემგზავრა.

ზემოთ აღნიშნულ ვერსიას საფუძველი ნამდვილად აქვს. ანა პოლიტკოვსკაია რუსეთის პოლიტიკურ ჟურნალისტიკაში მკვეთრად გამორჩეული პიროვნება გახდა, განსაკუთრებით — ბოლო წლებში, რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დაწყებიდან მოყოლებული. პოლიტოლოგებისა და საერთაშორისო ექსპერტების თქმით, რუს პოლიტიკურ მიმომხილველთა შორის, ის უიშვიათესი ჟურნალისტი იყო, რომელიც ობიექტურად ასახავდა ჩეჩნეთში განვითარებულ მოვლენებს, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე აღწერდა ჩეჩნეთში საკუთარი თვალით ნანახ შემზარავ სურათებს და ჩეჩენი სეპარატისტების, ტერორისტებისა და ბოროტმოქმედთა სადიზმის გვერდით, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა რუსი ჩინოვნი-

C M Y K

კების სასტიკ, თავისი არსით ნაცისტურ ბრძანებებსა თუ რუსი სამხედროების აღვირახსნილ ქმედებებს... პოლიტკოვსკაია ფლობდა უამრავ მაკომპრომეტირებელ მასალას, როგორც ჩეჩნეთის, ასევე რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა წინააღმდეგ და ამას ყოველთვის დაუფარავად და უშიშრად აქვეყნებდა გაზეთის ფურცლებზე. მუდამ მოვლენათა ეპიცენტრში მყოფი ჟურნალისტი ამხელდა ჩეჩნეთის მთავრობას, მაგრამ ამავე დროს, თავგამოდებით იცავდა ჩეჩნეთიდან რუსეთის ტერიტორიაზე გახიზნულ ლტოლვილთა უფლებებს და თავისი ქვეყნის მთავრობას ადამიანის უფლებათა დარღვევაში ადანაშაულებდა. სკანდალური პუბლიკაციები, რომლებიც პოლიტკოვსკაიას კალამს ეკუთვნოდა, საქმის კურსში აყენებდა საერთაშორისო ორგანიზაციებს, ევროსაბჭოს; დეტალურ ინფორმაციას აწვდიდა მთელ მსოფლიოს ჩეჩნეთში განვითარებული მოვლენების შესახებ და დღითი დღე სულ უფრო გამაღიზიანებელი ხდებოდა როგორც რუსეთის, ასევე ჩეჩნეთის მთავრობისთვის... „ნოვაია გაზეტას“ ვერსიაც ამას ეყრდნობა: რედაქცია სავარაუდო ეჭვმიტანილს ასახელებს. ის ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრი — რამზან კადიროვი გახლავთ. მთავარი რედაქტორის აზრით, თუ მკვლელობაში კადიროვის ხელი არ ურევია, მაშინ დამნაშავეები სწორედ ის ადამიანები იქნებიან, ვისაც სურთ, რომ კადიროვზე მიიტანონ ეჭვი.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მკვლელობამდე ორი დღით ადრე — 5 ოქტომბერს ჟურნალისტი რადიო „თავისუფლების“ გადაცემაში მონაწილეობდა და კავკასიაში ბოლო დროს შექმნილ სიტუაციაზე ლაპარაკობდა. მაშინ პოლიტკოვსკაიამ ისიც თქვა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ადამიანების გატაცებისა და ძალადობის გახშირებული ფაქტები სწორედ კადიროვს და მის მიერ გაცემულ ბრძანებებს უკავშირდება. „ამის დამადასტურებელი მასალები რეალურად არსებობს. ინფორმაცია, რომელსაც ჩვენ ვფლობდით, „ნოვაია გაზეტას“ ბოლო სამ ნომერში გამოქვეყნდა. სწორედ ამ პუბლიკაციების საფუძველზე, უშუალოდ კადიროვის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. რამზან კადიროვი ეჭვმიტანილია ორი ადამიანის გატაცებაში, ერთ-ერთი ასეთი დანაშაულის მომსწრე თავად გახლავართ“, — აღნიშნა რადიოგადაცემაში პოლიტკოვსკაიამ.

დაბადების დღე კი, ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრს ჟურნალისტმა ასე მიულოცა: „ის კბილებამდე შეიარაღებული მხდალი კაცია, რომელსაც კიდევ უფრო მეტად შეიარაღებული პირადი დაცვა ახვევია გარს. მის დაბადების დღეს ვუსურვებ, რაც შეიძლება მალე აღმოჩნდეს განსასჯელის სკამზე, სასამართლო დარბაზში კი, მის მიერ ჩადენილი უკლებლივ ყველა მხეცური დანაშაული ჩამოთვალონ...“

ანას მკვლელობას თავად კადიროვიც გამოეხმაურა. მისი თქმით, მიუხედავად



ანა პოლიტკოვსკაია გასროლამდე ორიოდე წუთით ადრე (სათვალთვალო ვიდეოკამერის მიერ დაფიქსირებული კადრი)

იმისა, რომ ჟურნალისტის პუბლიკაციები ყოველთვის არ გამოირჩეოდა ობიექტურობით და უფრო მეტიც, ხშირად ცილისმწამებლურიც იყო, ის გულწრფელად წუხს მომხდარის გამო და თანაუგრძნობს მის ახლობლებს. რაც შეეხება ეჭვს მის მიმართ, — კადიროვი, როგორც თავის მოკლე კომენტარში აღნიშნა, ამას სერიოზულად არ აღიქვამს.

გაზეთ „ნოვაია გაზეტაში“ ანა პოლიტკოვსკაია 1999 წლიდან მუშაობდა. ამ დროიდან მოყოლებული, ის არაერთხელ წასულა „ცხელ წერტილებში“. მისი გვარი პირველად, 2001 წლის თებერვალში გახმაურდა. ერთ-ერთ ორშაბათს ანა პოლიტკოვსკაიამ ტაქსი დაიქირავა და ჩეჩნეთში გაემგზავრა. წინა დღეებში ჟურნალისტმა ადგილობრივი მოსახლეობის, კერძოდ მაკხეტის დასახლების მცხოვრებთა წერილი მიიღო. მოქალაქეები იტყობინებოდნენ, რომ 1996 წელს რუსმა სამხედროებმა ბრძანება შეასრულეს და მათი დასახლებული პუნქტი დაბომბეს. იმ დროიდან მოყოლებული, ამ ტერიტორიის დასაცავად დარჩნენ. მოსახლეობა ჩიოდა და პროტესტს გამოთქვამდა სამხედროების მისამართით. ასევე იტყობინებოდა, რომ გაუსაძლის პირობებში ცხოვრება მისთვის დღითი დღე აუტანელი ხდებოდა და რუსეთის ტერიტორიაზე საცხოვრებლად გადაყვანას ითხოვდა... ჩეჩნეთში ანას მივლინების მიზანს სწორედ ამ ხალხთან შეხვედრა წარმოადგენდა. ჩეჩნეთის მთავრობასთან შეთანხმების თანახმად, მაკხეტის დასახლებაში ის ხელისუფლების წარმომადგენელთან — ილიასოვთან ერთად უნდა ჩასულიყო, მაგრამ სიტუაცია მოულოდნელად შეიცვალა. პოლიტკოვსკაიას არავინ გაჰყოლია, სოფელში ის მარტო გაუშვეს. იმ დღიდან, გარკვეული ხანი პოლიტკოვსკაია არავის უნახავს: ის რამდენიმე დღის მანძილზე იყო გაუჩინარებული და მის კვალს ვერსად მიაგნეს. შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჟურნალისტი ჩეჩნებმა გაიტაცეს. ჩეჩნების მიერ მისი დაკავების შესახებ გაუჩინარებიდან რამდენიმე დღეში შეიტყვეს. მოგვიანებით, ტყვეობიდან გათავისუფლებული ანა, კოლეგებისთვის მიცემულ ინტერვიუებში და საკუთარ სტატიებში მომხდარის შესახებ დეტალურად წერდა. ჩეჩნეთის სამხედრო პროკურატურას მან მიმართა მოთხოვნით, დაუყოვნებლივ აღეძრათ სისხლის სამართლის საქმე მისთვის უკანონოდ თავისუფლების აღკვეთის ფაქტზე. მაშინ ხელისუფლებამ ჟურნალისტის დაკავების მიზეზად, მისი მოუწესრიგებელი საბუთები, კერძოდ — აკრედიტაციის უქონლობა დაასახელა.

მოკლული ჟურნალისტის სადარბაზოსთან უმალ ცოცხალი ყვავილები გაჩნდა

საფრთხის წინაშე ანა პოლიტკოვსკაია 2004 წლის სექტემბერში, საყოველთაოდ ცნობილი, ბესლანის ტრაგედიის დროსაც აღმოჩნდა. ჟურნალისტის კოლეგები ამბობენ, რომ მის მოკვლას მაშინაც შეეცადნენ, ოღონდ — სხვა ხერხით: პოლიტკოვსკაიას მოწამვლა დაუპირეს. ტრაგიკული მოვლენების გაშუქება ჟურნალისტმა ითავა და დაუყოვნებლივ ბესლანში გამგზავრება გადაწყვიტა. თვითმფრინავში მყოფს კი, არათუ წინააღმდეგობა შეხვდა, არამედ მის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე დაემუქრა. „უნდოდათ, რომ უკან გავბრუნებულიყავი. მაშინ ვიფიქრე, რომ საჭირო იყო, დაუყოვნებლივ დავკავშირებოდით მასხადოვს და გვეთხოვა მისთვის, როგორმე დაეყოლიებინა ის ხალხი, სკოლიდან უდანაშაულო და უმწეო ბავშვები გამოეშვათ. ეს რომ არ გამეკეთებინა, მობილური ტელეფონიც წამართვეს...“ — ჰყვებოდა ჟურნალისტი.

„ნოვაია გაზეტას“ ინფორმაციით, ანა პოლიტკოვსკაიას მოკვლით ემუქრებოდა მილიციის უფროსი ლეიტენანტი სერგეი ლაპინიც (მეტსახელად, კადეტი). მიზეზი, ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებული რამდენიმე საგაზეთო რეპორტაჟი გახლდათ, რომელიც ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ განხორციელებულ ძალადობას, უდანაშაულო ადამიანთა გატაცებასა და მკვლელობას ეხებოდა. სწორედ ამ პუბლიკაციების „წყალობით“, ლაპინი დააკავეს და გაასამართლეს კიდეც. მის თანამზრახ

ველებსა და სამხედრო დანაშაულებში თანამონაწილე ორ პირზე — მილიციის ოფიცერ პრილეპინსა (მეტსახელად, ალექსი) და ასევე ოფიცერ მინინზე ფედერალური ძებნა გამოცხადდა. ასეთი შედეგით გაღიზიანებულმა ლაპინმა, როგორც ამბობენ, პოლიტკოვსკაიას მოკვლის მუქარა რამდენჯერმე შეუთვალა...

გამოძიებისთვის საინტერესო დეტალს უნდა წარმოადგენდეს ისიც, რომ ბოლო დროს, პოლიტკოვსკაია რუსეთის თავდაცვის სამინისტროს საქმიანობით ინტერესდებოდა და აღნიშნულ უწყებაში არსებულ კორუფციაზე, ისევე, როგორც ჩეჩნეთში ფედერალური ჯარების მიერ განხორციელებულ კანონდარღვევებზე, საკმაოდ ბევრს ლაპარაკობდა.

ჟურნალისტის მკვლელობას ბევრი, „ნორდ ოსტის" ტრაგედიასა და მასთან დაკავშირებით პოლიტკოვსკაიას ჟურნალისტურ გამოძიებასაც უკავშირებს...

„ის ძალიან ლამაზი იყო და რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო მშვენდებოდა. იცით, რატომ? იმიტომ, რომ სული ჰქონდა ასეთი: ადამიანის სახეზე ყოველთვის აისახება ის, თუ როგორ ცხოვრობს და რას აკეთებს. ის საოცრად ქალური იყო და ამასთანავე, მამაცი. ფაქიზი ბუნების გახლდათ. შეეძლო, გულიანად ეცინა რაიმე ხუმრობაზე და ეტირა უსამართლობაზე. უსამართლობას ვერასდროს ურიგდებოდა, ბოლომდე იბრძოდა მის დასამარცხებლად. ასეთ შემთხვევებში, ის შესაშურად ვაჟკაცური და გაბედული იყო, გაცილებით ვაჟკაცური ბევრ იმ ჩინოსანთან შედარებით, ვინც დღეს დაჯავშნული ჯიპებითა და პირადი დაცვით გარშემორტყმულნი დადიან... მას აშინებდნენ და აკავებდნენ, ჩხრეკდნენ და დაცხრილვით ემუქრებოდნენ ჩვენივე მედესანტეები ჩეჩნეთში... ის ბოროტებას თვალებში უყურებდა და უშიშრად, მაინც ყოველთვის სიმართლეს წერდა. ჩვენთვის ის მუდამ ცოცხალი დარჩება. მის სიკვდილს არასდროს შეეურიგდებით. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ აიყვანს კონტროლზე საქმის გამოძიებას, ჩვენ ამ მხეცურ დანაშაულს დამოუკიდებლად გამოვიძიებთ. მათ მოკლეს არა მარტო ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე და ადამიანის უფლებათა დამცველი, არამედ ულამაზესი ქალბატონი და საუკეთესო დედა..." — წერს მთავარი რედაქტორი გაზეთის პირველ გვერდზე.

ოფიციალური ინფორმაციით, პოლიტკოვსკაია „ნოვაია გაზეტას" უკვე მესამე თანამშრომელია, ვინც სიცოცხლეს გამოასალმეს. პირველი იყო იგორ დომნიკოვი, მეორე — იური შჩეკოჩიხინი (საქმე დღემდე გაუხსნელია), მესამე კი — ანა პოლიტკოვსკაია აღმოჩნდა. ჩეჩნეთის რეპორტაჟებისთვის 2000 წლის იანვარში ანა პოლიტკოვსკაია რუსეთის „ოქროს კალმით" დაჯილდოვდა. ეს ერთადერთი ჯილდო არ იყო. პრემიები მან კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში შეტანილი წვლილისთვისაც მიიღო. ■

300 ეოგონას შორის გამარჯვებული, „სიყვარული ყველას უნდა" და მარიკა ვერულაშვილის უახლოესი ქალბატონი...

ჩემი რესპონდენტი პროფესიით გერმანისტია და ლექციებს სახელმწიფო უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ფაკულტეტზე, გერმანული ენის კათედრაზე კითხულობს, ამასთანავე, რეექტორის გიორგი ხუბუას ერთ-ერთი თანაშემწეც გახლავთ. „ძირითადად, საორგანიზაციო საკითხებს ვკურირებ. უამრავი კითხვა, თხოვნა, საჩივარი, კორესპონდენცია შემოდის, რომელსაც ვეცნობი. ჩვენ, თანაშემწეებს, ასე ვთქვათ, ფილტრის როლი გვაკისრია, ყველაფერი რექტორამდე არ უნდა მივიდეს, რადგან უბრალოდ, ვერ გასწვდება" — აღნიშნავს ქალბატონი მზექალა აჭაიძე.

ლალი ფაცია

— ახალი სასწავლო წელი დაიწყო, როგორი სიტუაციაა სახელმწიფო უნივერსიტეტში, ვნებათაღელვა ჩაცხრა?

— ნორმალური სიტუაციაა, საქმე ბევრია. მალე ადმინისტრაციულის არჩევნები ჩატარდება, და ალბათ, ბევრი რამ შეიცვლება. სანამ რეორგანიზაციის პროცესი არ დასრულდება, ძნელია რაღაც-რაღაცების განსაზღვრა.

— დიდი ხანია, რექტორის თანაშემწე ხართ?

— ამ თანამდებობაზე მუშაობა წელს, მაისში დავიწყე. შეიძლება ითქვას, რომ ბრძოლის ველზე მოვედი, გახსოვთ, ალბათ, თუ რა ხდებოდა უნივერსიტეტში. მანამდე 9 წელი გერმანიაში ვიყავი, თუმცა წასვლამდე, უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ფაკულტეტზე ვმუშაობდი, პარალელურად, ქავქავაძის სახელობის უცხო ენათა უნივერსიტეტსა და გოეთეს ინსტიტუტშიც ვკითხულობდი ლექციებს. თბილისში დაბრუნების შემდეგ, დავუბრუნდი ძველ სამსახურს და ამასთან ერთად, ახალი ფუნქციებიც დამემატა.

მზექალა აჭაიძე შვილებთან ერთად

— როდესაც რექტორის მისამართით პრეტენზიები გაისმის, რას განიცდით თქვენ, მისი თანაშემწეები?

— გააჩნია, რა პრეტენზიებია წაყენებული. თუ უსაფუძვლოა, ცხადია, ძნელია ამის მოსმენა... როდესაც ამ გუნდში მუშაობა დავიწყე, ისეთი გარემო დამხვდა, სადაც ყველანი დიალოგისთვის იყვნენ მზად. რექტორატში ოპოზიციის წარმომადგენლები მოდიოდნენ. იყო როგორც ჯგუფური შეხვედრები რექტორთან, ისე ინდივიდუალური მოლაპარაკებები. პროცესი მტკივნეულად არ მიმდინარეობდა და გვეგონა, რომ საერთო ენის გამონახვა შესაძლებელი იყო, მაგრამ უეცრად ისე დაიძაბა სიტუაცია, რომ გაოცებული დავრჩი. რატომღაც შეთანხმება არ შედგა, რაც ორივე მხარისთვის ძალიან მტკივნეული იყო.

— ქალბატონო მზექალა, ახლა მინდა, გაგახსენოთ თქვენი ბავშვობა და ის პერიოდი, როდესაც რეჟისორებმა — გიორგი შენგელაიამ და მიშიკო ჭიაურელმა გადაგიღეს ფილმში — „სიყვარული ყველას უნდა", სადაც თქვენ პატარა კახელი გოგონა განასახიერეთ.

— ამ ფილმისთვის სცენარი ჩემმა ბიძაშვილმა — ლეილა ბეროშვილმა დაწერა, თუმცა ამის გამო როდი მოვხვდი ფილმში. მთავარი და გადამწყვეტი, ბატონი გიორგის არჩევანი იყო. ფილმი ჩვენს სოფელზეა გადაღებული — ახალსოფელზე, სადაც დავიბადე და გავიზარდე. როდესაც ბატონი გიორგი თავიდან სოფლის სანახავად ჩამოვიდა, სტუმრად ჩვენთან მოვიდა, ჩვენ გავუმასპინძლდით. სწორედ მაშინ მითხრა, რომ ეძებდა ჩემნაირ პატარა გოგონას და მთხოვა, თბილისში სინჯებზე ჩამოვსულიყავი. ჩემმა ბიძაშვილმა წამომიყვანა. ამ როლზე სულ 300 ბავშვი გაისინჯა. ბოლოს მე, ერთი ქუთაისელი და ფოთელი გოგონა დავრჩით. მათ რომ კახურ ლაპარაკში ვაჯობებდი, ცხადია (*იცინის*). ასე რომ, გავიმარჯვე. მაშინ 9 წლის, ძალიან ახტაჯანა ბავშვი გახლდით. ფილმის გადაღებებზე მონაწილეობა ჩემთვის სასიამოვნო სიახლე იყო. საოცარი გარემო იყო შექმნილი, გადამღები ჯგუფის წევრები თავს მევლებოდნენ, მეფერებოდნენ. სინჯები ზამთარში ჩატარდა, გადაღებები ზაფხულში დაიწყო, ოღონდ, არა ჩვენს სოფელში, არამედ ყვარლისა და თელავის რაიონების სოფლებში. მიუხედავად იმისა, რომ გადაღების პროცესი ძალზე სასიამოვნო იყო, ამავე დროს — დამღლელიც. თავიდან, ჩემი როლი ისე

მე და მარიკა თავიდანვე განუყრელი მეგობრები ვიყავით.

იყო, დაგეგმილი, რომ მთავარი გახლდათ, შესაბამისად ბევრ ეპიზოდშიც ვითამაშე. მაგრამ როდესაც შემოდგომაზე, თბილისში გახმოვანებაზე ჩამოვედი, სრულიად შეცვლილი ვარიანტი დამხვდა: სურათი მიუზიკლის სტილში გადაკეთდა, სიმღერები ჩაემატა და მხოლოდ ორი-სამი ეპიზოდი დარჩა, სადაც მე ვთამაშობდი, რამაც ცოტა არ იყოს, გული მატკინა, ლამის ვიტირე.

— მართალია, ეპიზოდური როლი გაქვთ, მაგრამ თქვენი პერსონაჟი მაყურებელს თავისი სახასიათო ფრაზებით არ ავიწყდება.

— ჩემდა გასაოცრად, ეს ბავშვი ბევრს ახსოვს... ცოტა ხნის წინ პატრულმა მითხრა — ქალბატონო, თქვენ ის პატარა გოგონა არ ხართ, ფილმში „სიყვარული ყველას უნდა“ რომ თამაშობთო? გავოცდი: ამხელა ქალი როგორ მიმამსგავსა? ბუნებრივია, ბავშვობაში უფრო ხშირად მცნობდნენ. თან გამოსაჯავრებლად დააყოლებდნენ ხოლმე ჩემს ფრაზას, რომელსაც ფილმში ვამბობ: „პაპი, პაპი, უთხარ ელიზბარაანთ გივიასა, იმის შიშით ვეღარ ავიარ-ჩავიაროო?!“

— მოდი, თქვენი პერსონაჟის კიდევ ერთი ცნობილი ფრაზაც გავიხსენოთ, რომელსაც, თუ არ ვცდები, ერთ-ერთ მთავარ გმირს — მაყვალას ეუბნება: „რაი გადაგვეკიდნენ, გო, ი უჯიშოები, იმი ძმაი კიდე მე უყვარვარ...“

— (*იცინის*) „პაპი, პაპი“ — ამ ფრაზას ასეთი გაგრძელება მოსდევდა: მე მივრბოდი პაპასთან, ის ბიჭი, ვისაც ვუყვარდი, ბუჩქებში იყო ჩამალული და ქვებს ვესროდი... მიუხედავად იმისა, რომ სოფლელი ბავშვი ვიყავი, ქვის სროლა არ ვიცოდი, ამიტომ რეჟისორები „მწვრთნიდნენ“. მიშიკო ჭიაურელი ბუჩქებში ჩაჯდა, გამომიქანე კარგად ქვაო, — მეუბნებოდა, მეც ავდექი და პირდაპირ თავში გავარტყი (*იცინის*)...

— რადგან კინოში როლის თამაში არ გაგიჭირდათ, სამსახიობო კარიერაზე არ გიფიქრიათ?

— გადაღებების შემდეგ გიორგი შენგელაიას კიდევ ჰქონდა ჩემთან თანამშრომლობის სურვილი. კარგად ვითვისებდი, რასაც მეუბნებოდა და ადვილად ვაკეთებდი ყველაფერს. მაგრამ ჩემს ოჯახს არ ჰქონდა სურვილი, რომ სამსახიობო კარიერა გამეგრძელებინა. მეც ხელი ჩავიქნიე.

— რა მოხდა მაშინ, როდესაც ფილმი კინოეკრანებზე გამოვიდა?

— როდესაც ფილმი გამოვიდა, სოფლის კლუბში მის სანახავად მთელ ჩემს ნათესაობასთან ერთად წავედი. მახსოვს, მე და ბებია გვერდიგვერდ ვისხედით. დარბაზში დიდი აჟიოტაჟი იყო. ყველას მაინც „პაპი, პაპი...“ — ამ ფრაზით დავამახსოვრდი. ჩემი სკოლელები, ბიჭები „პაპი, პაპის“ ძახილით დამდევდნენ. დატანჯული ვიყავი.

„რაი გადაგვეკიდნენ, გო, ი უჯიშოები, იმი ძმაი კიდე მე უყვარვარ...“

— დღეს თქვენი სტუდენტებიდან რამდენმა იცის თქვენი კინოწარსულის შესახებ?

— (*იცინის*) უმეტესად არ იციან ხოლმე, მერე რაღაცნაირად იგებენ: ხომ იცით, საქართველო პატარაა. თან, სხვათა შორის, ამ ფილმს ახლა უფრო ხშირად უჩვენებენ ტელევიზიით, ვიდრე ჩემს ბავშვობაში. ისე, იშვიათად მეგულება ადამიანი, რომელსაც ეს ფილმი არ უყვარს.

— როდესაც ფილმი გამოვიდა, როგორც ვიცი, კახელები ძალიან გაბრაზებულან — გაგვაშაყირესო. მართალია?

— მართალია. კახელები მისი ნახვის შემდეგ გაბრაზდნენ. ფილმში გამოყენებულია იმ ადამიანთა სახელები, რომლებიც რეალურად არსებობდნენ, ამიტომაც, გაბრაზების მიზეზი ჰქონდათ.

— პრინციპში, გასაბრაზებელი რა იყო? რეალური არ არის კახელების ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები?

— კი, რეალურია, მაგრამ იუმორმა ცოტა ირონიული სახე მიიღო. მაგალითად, გაბრაზდნენ ეპიზოდზე, სადაც ხირხალა ქეთოსთან გოგრით ხელში მიდის და მერე უკან წამოსვლისას, უკანვე წაიღებს ამ გოგრას. ამაზე თქვეს — ჩვენ ასეთი ძუნწები არ ვართ, თუ კახელმა გაიღო, ბოლომდე გაიღებს, უკან აღარ წაიღებსო... გაღიზიანდნენ იმ მეტსახელებზე, რომელიც გამოყენებულია ფილმში — მაგალითად, პაკიპუკა, ბანლო. არადა, ისინი რეალურ ადამიანებს ჰქვიათ... მიუხედავად ამ ყველაფრისა, მაყურებელმა ძირითადად ზეპირად იცის ფილმის ფრაზები და მიხარია, რომ „სიყვარული ყველას უნდა“ ასეთი პოპულარულია.

— როგორც ვიცი, თქვენ პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსის, დეპუტატ მარიკა ვერულაშვილის კლასელი ხართ. დღეს ის პოპულარული ქალბატონია და მუდამ მნიშვნელოვანი მოვლენების ეპიცენტრშია... გაიხსენეთ ის პერიოდი, როდესაც მარიკას არავინ იცნობდა — ისევე, როგორც თქვენ...

— (*იცინის*) მე და მარიკა თავიდანვე განუყრელი მეგობრები ვიყავით. მარტო კლასელები კი არა, ოჯახებით ვახლობლობდით, ნათესავები ვართ. მთელი ბავშვობა ერთად გვაქვს გატარებული. მე მისი შვილის, სალომეს ნათლიაც ვარ. მისი უფროსი ძმა ჩემი უფროსი დის კლასელია, მისი მეორე ძმა — ჩემი ძმის კლასელი. დედამისი თუშია, თუშია მამაჩემიც. ესეც გვაახლოებდა. ბავშვობის პერიოდი ამ ადამიანის გარეშე არც მახსოვს... ბავშვობაში ისიც ჩემნაირი ახტაჯანა იყო. ჰოდა, რომ გითხარით, სკოლის ბიჭები „პაპი, პაპის“ ძახილით დამდევდნენ-მეთქი, მათ მე და მარიკა ერთად ვიგერიებდით.

— მარიკას თუ უწინასწარმეტყველებდით ასეთ მომავალს? თუ გიფიქრიათ, რომ ის ოდესმე ქვეყნის პირველი პირის „მარჯვენა ხელი“ შეიძლებოდა გამხდარიყო?

— მარიკა ნიჭიერი ადამიანია. სკოლაში კარგად სწავლობდა, თუცა მისთვის ამბიციურობა არ შემიმჩნევია. ისე ყოველთვის ძალიან მონდომებული იყო. ის ალბათ თავისი ნიჭიერების, სიბეჯითისა და მონდომების წყალობით დაწინაურდა. მან ცხოვრებაში ბევრი რამ გამოიარა — კარგიც და ცუდიც. ბევრი ჩავარდნა ჰქონდა, მორალური ზიანიც მიადგა, თუმცა ამან მას ხასიათს სიმტკიცე შემატა. როგორც მისი მეგობრისთვის, მისი ძლიერი ნებისყოფა ჩემთვის მოულოდნელობას არ წარმოადგენდა. გასაჭირმა ბევრი რამ შეაძლებინა. საოცარი სიცოცხლისუნარიანი გახდა მას შემდეგ, რაც შვილი შეეძინა. მას დიდი შინაგანი ძალა აღმოაჩნდა, თუმცა ჰქონდა ისეთი პერიოდები, როცა ამ შინაგან ძალას ეძებდა და იპოვა კიდეც საკუთარ თავში. ეს ყველას არ შეუძლია. მე მეამაყება, რომ ასეთი მეგობარი მყავს. სამწუხაროდ, დღეს ჩვენ ისე ხშირად ვეღარ ვხვდებით ერთმანეთს. თუმცა, კვლავაც გვაკავშირებს ერთმანეთთან ის სულიერი ძაფები, რომლებიც ადრე იყო ჩვენ შორის გაბმული. ერთმანეთს ვეხმიანებით მესიჯებით, ტელეფონით ვლაპარაკობთ... მასთან ხშირი კონტაქტი ნამდვილად არ მაქვს. ტელევიზიით ვადევნებ თვალყურს მის საქმიანობას.

— ვერც თქვენს საყვარელ სოფელ ახალსოფელში ახერხებთ ჩასვლას?

— ვერა, ვერც მე ჩავდივარ ხშირად და მარიკაც იშვიათად ჩადის იქ... როცა დროს გამონახავს ხოლმე, მოულოდნელად მესტუმრება, ხან სახლში, ხან სამსახურში. შეიძლება დილაუთენია ან გვიან ღამითაც მესტუმროს. ის უფრო ახერხებს, მობილური ადამიანია. მე პატარა შვილები მყავს და მოძრაობა მიჭირს.

— რით ჰგავხართ ერთმანეთს თქვენ და მარიკა?

— ამაზე არ დავფიქრებულვარ (*იცინის*). ალბათ შინაგანი სამყაროთი. თუმცა, ამავე დროს, ძალიან განსხვავებულებიც ვართ... ერთმანეთს იცით, რით ვგავართ? ძალიან მგრძნობიარეები და ერთგულები ვართ. ერთგულების ფასი ნამდვილად ვიცით. ■

ჩემი მეუღლე უცხოეთშია

მოკითხვა ყანაში ანუ ქორწილის ღამეს წასაკითხი „გზავნილები"

ნახევარი საქართველო რომ უცხოეთშია, ეს ახალი აღმოჩენა არ გახლავთ. მიდის ყველა, ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ლეგალურად თუ არალეგალურად... სოციოლოგები ამტკიცებენ, რომ ბოლო დროს საქართველოში განქორწინების რიცხვი გაიზარდა... შე დალოცვილო, გაიზრდება, აბა, რა იქნება, როდესაც ცოლ-ქმარი ერთმანეთს წლობით შორდება. წასული ქმრების დარჩენილი ცოლების პოლიტიკა ასეთია: ფული გამოგზავნოს და რაც უნდა, ის ქნას... ალბათ დამეთანხმებით, რომ აქ სიყვარულზე ლაპარაკი ზედმეტია, ამიტომაც ერთი იქ ეძებს სიყვარულს, მეორე — აქ და ოჯახიც ინგრევა... ჩვენი რესპონდენტების უმეტესობა კმაყოფილია, რომ მეუღლე უცხოეთში ჰყავს და შვილები — უზრუნველყოფილი. ზოგიერთი კი იმაზე ოცნებობს, რომ როგორმე მოიშოროს თავიდან აბეზარი ქმარი და ცხოვრება მოიწყოს. დააკვირდით, რა მაგარია: ქმარი ნერვებს გიშლის და ვერაფერს უხერხებ? გაუშვებ უცხოეთში, შორსაც იქნება, არც მისი გაუთავებელი ბუზღუნი შეგაწუხებს და უზრუნველადაც იცხოვრებ...

მახსოვს, წინათ ადამიანი სამშობლოსთან დიდი ხნის განშორების შემდეგ, უკან რომ ბრუნდებოდა, მიწას კოცნიდა. ახლა ძია პუტინმა ქართველები სამშობლოში რომ დააბრუნა, ყველა დეპორტირებულს ცრემლი ჰქონდა თვალზე მომდგარი... სინანულის, რუსეთთან განშორების ცრემლი.

მარი ჯაფარიძე

სიყვარულმა პოლიტიკა არ იცის

„გამარჯობათ. როდესაც „გზის" წინა ნომერი გამოვიდა და „გზავნილების" თემა ვნახე, დავალაგე აზრები, რა უნდა მომეწერა ჩემი რუსეთში წასული ქმრის შესახებ, მაგრამ ის რამდენიმე დღეში ჩამოვიდა იმ დეპორტირებულებთან ერთად, რომლებიც საბარგო თვითმფრინავით ჩამოიყვანეს და ახლა თემას ასეთი სათაური უფრო დაამშვენებს — ჩემი მეუღლე უცხოეთში იყო... ის უკვე 7 წელია, მოსკოვში ცხოვრობს. რაც წავიდა, მეც და ბავშვებმაც ამოვისუნთქეთ. ძალზე უხასიათო კაცია, მსმელი, ჯუჯღუნა და აუტანელი. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან მშრომელია. საქმეს თუ მიადგება, სანამ ბოლომდე არ მიიყვანს, თავს არ დაანებებს. მოკლედ, როგორც იქნა, გაემგზავრა შორეულ რუსეთში და წლების განმავლობაში დაგროვილი ვალებიც გავისტუმრეთ, ბინაც ვიყიდეთ და გოგონებიც უმაღლესში მოვაწყვეთ. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ სამჯერ იყო ჩამოსული, თითო თვით და ერთი სული გვქონდა, როდის წავიდოდა. ვგრძნობდი, რომ როგორც ქალი, აღარ ვაინტერესებდი — იქ კარგი რუსი ნაშა ჰყავდა და აბა, მე იმასთან რას მივიდოდი? ჰოდა, და-ძმასავით ცალ-ცალკე გვეძინა. ბავშვების დასანახავად ერთ ოთახში ვიძინებდით, მაგრამ სხვადასხვა საწოლში... იმ დღეს კი არც ველოდი, ისე მოვიდა სახლში. არ ვიცოდი, მეცინა თუ მეტირა. ჩვენი ოჯახი ფაქტობრივად, არ არსებობს. არადა, ერთ ჭერქვეშ უნდა ვიცხოვროთ. ვიცი, ის ჩვენთან დიდი ხნით არ გაჩერდება და თავის გზას მოძებნის, მაგრამ ახლა უკვე იმის შიში მაქვს, რომ ძალიან გაგვიჭირდება მე და ჩემს შვილებს. ჩემი ქმარიც ძალიან განიცდის საქართველოში დაბრუნებას. ყოველდღე ურეკავს ვიღაცას და საათობით ელაპარაკება ისე ხმადაბლა, რომ სიტყვებს ვერ ვარჩევ... თუ შეყვარებულია, ცუდად აქვს საქმე, რადგან ამას იქით აღარ გაუშვებენ, იმას — აქეთ და მოუწევთ მონატრებულ ჩიტუნებს ცრემლების ღვრა... რა ვქნა, ძალიან უბედურად ვგრძნობ თავს, მაგრამ იმის იმედი მაქვს, რომ ჩემი ქმარი დაჟინებით გაიძახის: მაინც წავალ, რადაც უნდა დამიჯდესო... სიყვარული რას არ გააკეთებინებს კაცს! ოღონდ, ოჯახის სიყვარული კი არა, იმის სიყვარული, ვინც საზღვარს იქით დარჩა. სიყვარულმა პოლიტიკა და საზღვრები არ იცის, მ

პატარა რქებუნები

„27 წლის ვარ. ჩემი ქმარი უკვე 5 წელია, რაც უცხოეთში ცხოვრობს. 17 წლის გავთხოვდი. ერთმანეთი მეგობრის დაბადების დღეზე გავიცანით. იმავე დღეს სიყვარული ამიხსნა და ჩემი ლოგინში ჩაკოტრიალებაც მოინდომა. ისეთი სილა გავაწანი, რომ მთელი თვე მოსაკლავად დამდევდა... ამდენ სირბილში შევუყვარდი კიდეც და მთელი 2 თვის განმავლობაში შერიგებასა და ცოლობას მთხოვდა. ავდექი და დავთანხმდი... ბედნიერი ცოლ-ქმარი ვიყავით, სანამ ნიკუშა არ გამოჩნდა. მთელი თვე ვხვდებოდით ერთმანეთს. მერე ჩემი ქმარი ვაიძულე, რომ უცხოეთში წასულიყო. მალე წავიდა კიდეც და შვება ვიგრძენი. ნიკუშას უკვე ყოველდღე ვხვდებოდი. შარშან კი ჩემმა ქმარმა დამირეკა და მითხრა: შეგიძლია, დამივიწყო და სხვა კაცის ძებნას შეუდგე, რადგან აღარ მიყვარხარ, აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ და მალე ცოლსაც მოვიყვან, ფულს კი ყოველთვე გამოგიგზავნი, ჩვენი შვილი რომ გაზარდოო... ვიცი, „გზავნილებს“ ჩემი ქმარიც კითხულობს და მინდა გაიგოს, რომ რქებდადგმული გავუშვი საბერძნეთში. ახლა 2 „მეწველი ძროხა“ მყავს. ერთი საბერძნეთიდან იწველება, ერთი კი თბილისიდან. იზუნა“.

ბევრი ქალის აზრით, ქმარი გახლავთ ბანკომატი — ვიბრატორით... თუ მამაკაცმა



უამრავი წითელი ვარდი მოგართვათ, ეს ნიშნავს, რომ მას უყვარხართ; თუ მხოლოდ ერთი წითელი ვარდი — უყვარხართ რომანტიკოს სტუდენტს. თუ საჩუქრად შოკოლადი და კონიაკი მიიღეთ, ეს ნიშნავს, მას თქვენთან სექსი უნდა, ხოლო თუ მამაკაცი არანაირ საჩუქარს არ გიძღვნით, ტელევიზორთან, დივანზეა წამოწოლილი, ლუდის ბოთლით ხელში და მთელ სახლში მისი გასარეცხი წინდები ყრია, თქვენ ყოფილხართ ის ერთადერთი, ვინც მან ათასში გამოარჩია და გაგაბედნიერათ. ახლა კი ამბავი მოსიყვარულე ცოლ-ქმრისა, რომელიც პაემანს ამერიკაში ნიშნავს.

განავალი 500 დოლარად

„ჩემი ქმარი უკვე 12 წელია, ამერიკაში ცხოვრობს და საკმაოდ შემოსავლიანი ბიზნესიც აქვს. მასთან ხშირად ჩავდივარ, 1-2 თვით და მერე უკან ვბრუნდები. ასეთი ცხოვრება ჩვენს ურთიერთობას უფრო საინტერესოს ხდის. უკვე შვილიშვილებიც გვყავს, მე მათ ვუვლი, ჩემი მეუღლე კი იქიდან გვიწყობს ხელს. ძალიან მიყვარს ეგზოტიკური სამზარეულო და ამერიკაში ყოველი ვიზიტის დროს, აუცილებლად ვვახშმობთ ხოლმე ძვირად ღირებულ რესტორნებში. ბოლო ვიზიტისას (გაზაფხულზე), ვიეტნამურ რესტორანში ვიყავით. მენიუ გადავშალეთ და ბატებივით დავიწყეთ შიგ ყურება, რადგან ჩვენთვის გაუგებარ ასოებს ჩავშტერებოდით. ორიენტაცია ფასებზე ავიღეთ. უცებ, დავინახე, რომ ერთი „ბლუდა“ ძალიან ძვირი — 500 დოლარი ღირდა... ვთქვი: ეს მინდა-მეთქი, რადგან მეგონა, რომ ამ ფასად გემრიელ კერძს მოგვიტანდნენ. ოფიციანტს დავუძახეთ... ის უცებ მოსწყდა ადგილს და სამზარეულოსკენ გავარდა. რამდენიმე წუთის შემდეგ, იქიდან მზარეულთან ერთად გამოვიდა. ის კარგა ხანს გვათვალიერებდა, შემდეგ სამზარეულოში გაუჩინარდა. კიდევ რამდენიმე წუთი გავიდა და მოზრდილი თეფშით შეკვეთა მოიტანეს. თეფშს ზევიდან თავსახური ეხურა. ის შუა მაგიდაზე მოათავსეს. ოფიციანტმა ნელა ახადა თავსახური. თეფშზე უამრავი მწვანილისა და სალათის ფოთოლი, კომბოსტოს ფურცლები, დაჭრილი სტაფილო მოჩანდა. შუაში კი კარგად ჩასუქებულ-ჩაპუტკუნებული, ასე, 15 სმ სიგრძის ცოცხალი მუხლუხო იჯდა. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ შიშისგან შევხტი. ვიდრე მე და ჩემი ქმარი ერთმანეთს და მუხლუხოს ვუყურებდით, ამასობაში ამ საძაგელმა არსებამ დაიწყო ბოსტნეულის ჭამა. მეუღლემ მითხრა: მიდი, ჭამე ახლა, ამდენი ფული უნდა გადავიხადო და რომ არ შეჭამო, საქმე ცუდად გექნებაო. მუხლუხო კი ისე მადიანად მიირთმევდა ბოსტნეულს, რომ ცოტა ხანში, ჩვენ აღარაფერს დაგვიტოვებდა. ჩემმა ქმარმა თეფშიდან ბოსტნეული დაითრია და თავის თეფშზე გადაიღო, თან თვალს არ ვაშორებდით მუხლუხოს. ოფიციანტი და მის ზურგს უკან მდგომი მზარეული გაშტერებული იყურებოდნენ. ალბათ აინტერესებთ, როგორ შევჭამეთ — დაასკვნა ჩემმა ქმარმა. ვიეტნამელებს რომ არ ეფიქრათ, ჩვენ ეგზოტიკურ კერძებს არ ვაფასებდით, თან, ამ საზიზღრობაში 500 დოლარი უნდა გადაგვეხადა, ჩემმა ქმარმა ჩანგალი მოიმარჯვა და ტკაც! — პირდაპირ თავში ჩაარჭო იმ მსუქან ჭიას. ამას მზარეულისა და ოფიციანტის შეძახილები მოჰყვა. გაკვირვებულებმა შევხედეთ, ისინი კი ხელებს იქნევდნენ და რაღაცას გვუუნებოდნენ. ჩვენს საქმეში რესტორნის ადმინისტრატორი ჩაერია, რომელმაც აგვიხსნა, რომ თურმე ეს საგანგებო ჯიშის მუხლუხო ყოფილა, რომელსაც მთელი 6-7 წლის განმავლობაში ზრდიან და ძალზე ძვირად ღირებულია. თურმე მუხლუხო არ იჭმება. დელიკატესად მიიჩნევა ის, რასაც ბოსტნეულის ჭამის შემდეგ იზამს ანუ მისი განავალი. როგორც კი თეფშს მოასუფთავებს, თურმე იწყება კუჭის მოქმედება. შენ კი ჩანგლით უნდა აიღო და შეჭამო. აბა, რომელ ქართველს მოუვა აზრად, რომ ჭიის განავალი მიირთვას და თან ამაში 500 დოლარი გადაიხადოს? მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ქმარი ამდენი წელია, ამერიკაში ცხოვრობს, მისთვისაც კი მიუღებელია განავლის ჭამა... ეს ხუმრობით, ისე კი ძალიან მენატრება ჩემი გიზო და იმედია, მალე ვნახავ. აი, ეს მინდოდა, მომეყოლა. კარგად“.

ამ რამდენიმე ხნის წინ ჩატარდა კონკურსი მსოფლიოში საუკეთესო ხუმრობაზე. კონკურსში მონაწილეობდა თითქმის ყველა ქვეყანა, სადაც ინტერნეტი და კომპიუტერი არსებობს. დაწერდით თქვენს ხუმრობას და მერე 20 მილიონი ადამიანი შეაფასებდა 10-ბალიანი სისტემით. მოკლედ, 3 თვის შემდეგ, როგორც იქნა, გამოვლინდა გამარჯვებული ხუმრობა: 2 ნიუჯერსელი (ჩვენს ენაზე რომ ვთქვათ — სვანი) მონადირე ტყეში წავიდა. უცებ ერთს გული შეუწუხდა, სუნთქვა შეეკრა, თვალები გადაატრიალა და ძირს დაეცა. მეგობარმა ვერაფერი უშველა და მობილური ტელეფონით ერთ-ერთ კლინიკაში დარეკა: „უკაცრავად, სანადიროდ ვიყავით, ჩემი მეგობარი ცუდად გახდა და მგონი, მოკვდა. როგორ მოვიქცე?“ — პირველ რიგში, დარწმუნდით, რომ ნამდვილად მოკვდაო — მიიღო რჩევა. კლინიკის თანამშრომელს ყურმილში ჯერ არაფერი ესმოდა, შემდეგ სროლის ხმა გაიგონა. მერე კი კვლავ ალაპარაკდა მონადირე: „ახლა დარწმუნებული ვარ, რომ მოკვდა... მერე?“

იმედია, გაგელიმათ მაინც მსოფლიოში საუკეთესო ხუმრობაზე... თუმცა ამით მინდოდა მეთქვა, რომ გაითვალისწინეთ, ვიდრე არ დარწმუნდებით, თქვენი მეუღლე ნამდვილად საზღვარგარეთ წავიდა, მანამდე ისე იცხოვრეთ, თითქოს ის კვლავ თქვენთანაა.

მგზავრობა გადაიდო

„გამარჯობათ. ამ 2 წლის წინ ჩემმა ქმარმა ქუვეითში წასვლა გადაწყვიტა (ჩვენ ზუგდიდში ვცხოვრობთ). ყველა საბუთი მოაწესრიგა და წასვლის თარიღიც გადაწყდა. დიდი ამბით გავაცილე და დავიწყე იმაზე ფიქრი, როგორ ვიცხოვრებდი მის გარეშე. მისი წასვლა მიხაროდა კიდეც, რადგან უკვე 2 წელი ხდებოდა, რაც ერთ ძალიან საყვარელ და სიმპათიურ კაცს ვხვდებოდი. ახლა კი ხელ-ფეხი გამეხსნებოდა. საკმაოდ დიდი, კერძო სახლი გვაქვს და მხოლოდ მე და ჩემი 3 წლის შვილი დავრჩით. ჩემს საყვარელს თავისუფლად შეეძლო, ღამით შემოპარულიყო და დილით შეუმჩნევლად წასულიყო. სამი დღე იყო გასული ჩემი ქმრის წასვლიდან, როცა პაემანი დავთქვით. ბავშვს ეძინა, მე კი საგანგებოდ ვიპრანჭებოდი, როცა კარი გაიღო და ჩემი ქმარი შემოვიდა. ლამის თვალები ბუდიდან გადმომიცვივდა. თურმე, ერთი კვირით გადაუდიათ გამგზავრება. ახლა რა უნდა მექნა? როგორ გამეფრთხილებინა საყვარელი, რომ აღარ მოსულიყო? ერთი საათიღა რჩებოდა მის გამოჩენამდე. ჩემი ქმარი კი დაძინებას

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეიზა დვალის **უბის წიგნაკიდან:**

1. ყინული წყალში არ იძირება.
2. „მდოგვი“ და „ხარდალი“ სინონიმებია.
3. ჭრელ (შავ-თეთრ-ყვითელ) კატას ხატაურას ეძახიან.
4. „მიმრქმელი“ ძველი ქართული სიტყვაა და ნათლიას ნიშნავს.

5. აფხაზეთის ომი 13 თვე და 13 დღე გაგრძელდა.
6. მანჰეტენზე მდებარე თოთოეული „ტყუპი“ 110-სართულიანი იყო.
7. ნავთობის დიდ ტანკერს პორტში დასადგომად 4 მილის სივრცე ესაჭიროება.
8. გოდების კედელი — მხოლოდ ესღა დარჩა იერუსალიმის ტაძრის საფუძვლიდან.
9. ინგლისის პრემიერ-მინისტრ ბლერს რუსი პოლიტიკოსები დაცინვით „იობლერს“ ეძახიან.
10. ჟან ივ კუსტო ფანქარსა და თეფშს წყალქვეშ საკონტაქტოდ, მიმოწერისთვის იყენებდა.
11. არმადილი (ჯავშნოსანი) ერთადერთი ცხოველია, რომელიც ადამიანის მსგავსად, კეთრით ავადდება.
12. ადამიანის სხეულზე უფრო მეტი ცოცხალი ორგანიზმი ბინადრობს, ვიდრე დედამიწაზე — ადამიანი.
13. ვისაც ყველაფერი ენაზე ადგას და არაფრის დამალვა არ შეუძლია, მას ხბოყვირიას ეძახიან.
14. რიჩარდ ნიქსონი ერთადერთი პრეზიდენტი იყო შეერთებული შტატების ისტორიაში, რომელიც გადადგა.
15. „სახიფათოა აზროვნება სწავლების გარეშე, ამაოა სწავლა აზროვნების გარეშე“, — ამბობდა კონფუციუსი.
16. „მის შემოქმედებაში არის შესანიშნავი მომენტები და საშინელი საათები“, — ამბობდა როსინი ვაგნერის მუსიკის შესახებ.
17. სერგეი ჩიკოტილო — შვილი ანდრეი ჩიკოტილოსი, რომელმაც 52 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს, საკუთარ თავს მამის ორმოცდამეცამეტე მსხვერპლს ეძახის.
18. „თუკი ჩემი ნამუშევრის ნახვის შემდეგ ვინმე თავს უბედურად იგრძნობს, ჩავთვლი, რომ კარგად შევასრულე სამუშაო“, — ამბობს რეჟისორი ვუდი ალენი.
19. „იზ ნორი ვივოდიტ ზმეია — კრასნარეჩია დივნი დარ“, — ასეა ნათარგმნი რუსულად სტრიქონი „ვეფხისტყაოსნიდან“: „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“.
20. ლონდონის ციხეებში ქურდებს შორის, პოპულარობით სარგებლობს მილ-

არ აპირებდა. მოკლედ, ერთი საათი უცებ გავიდა და ჩუმი კაკუნი გაისმა. კარის გასალებად ქმარი წამოდგა, მის დანახვაზე ჩემი საყვარელი არ დაბნეულა (ისინი ერთმანეთს იცნობდნენ) და უთხრა: გავიგე, დაბრუნებულხარ და ამბის გაგება მინდოდა, რადგან მეც ვაპირებ ქუვეითში წასვლას და იქნებ მითხრა, ღირს თუ არაო... იმ ღამეს კარგა ხანს ისაუბრეს... ერთ კვირაში ჩემი ქმარი მართლაც გაემგზავრა და ვიდრე ქუვეითიდან არ დამირეკა და არ დავრწმუნდი, რომ ნამდვილად იქ იყო, პაემანი აღარ დამითქვამს. ის ახლაც იქ არის და ჯერ არ აპირებს ჩამოსვლას. ნეტავ, არც ჩამოვიდეს!“

ახლა კი, მოკლე მესიჯების დროც დადგა

ამტანი ცოლები

„სახლში მოწყენილი ვზივარ. გარეთ გადაუღებლად წვიმს. ძალიან მინდა „გზავნილების“ წაკითხვა. ვინ იცის, იქნებ ჩემი მესიჯიც მოხვდა, მაგრამ ჩემს სვან ქმარს ახლა ჟურნალის საყიდლად გარეთ გააგდებ? სვანის ცოლი, ნია“.

„უკვე 16 დღეა, ჯოჯოხეთში ვცხოვრობ. მიუხედავად იმ დიდი ტკივილისა, რომელიც შენ მომაყენე, მაინც სიცოცხლის ბოლომდე მეყვარები. მაგ ქალმა უსირცხვილოდ წამართვა შენი თავი, მაგრამ გულს ვერ წამართმევს. ჯერ კიდევ ვერ ვიჯერებ, რომ ცოლი მოიყვანე, თანაც ისე, რომ არ გვიჩხუბია და არც ერთმანეთს დავშორებულვართ. ბარტყო, მე მჯერა ჩვენი სიყვარულის. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მეყვარები. კუდრაჭა“.

„ჩემი ქმარი უკვე 5 წელია, უცხოეთშია და მინდა, ერთადერთ სიურპრიზზე მოგიყვეთ. 13 წელია, ცოლ-ქმარი ვართ, მატერიალურად არ გვიჭირდა, მაგრამ ჩემს ქმარს არასდროს მოსვლია აზრად, რომ რაიმეთი გავეკვირვებინე. ვიცოდი, რომ ამ ზაფხულს ჩამოსვლას აპირებდა, მაგრამ როდის, ეს თვითონაც არ იცოდა. ერთმანეთს მესიჯებით ვეხმიანებოდით. ერთხელ კი, მთელი 3 დღის განმავლობაში აღარ დაუმესიჯებია. ძალიან ვინერვიულე, რა არ ვიფიქრე, ერთ მშვენიერ დღეს კი კარზე ზარის ხმამ გამაღვიძა. კართან ბავშვები მიცვივდნენ და იკითხეს, — ვინ არისო? მამიკო ვარო, — უპასუხა. ბავშვები მომაშტერდნენ. მე კი ყურებს არ ვუჯერებდი. ძალიან გაგვიხარდა მისი ჩამოსვლა და მინდა, ვუთხრა, რომ ძალიან გვიყვარს და ვენდობით. ბაბული“.

„მეუღლე არა, მაგრამ ძალიან ძვირფასი ადამიანი ამ დილით გერმანიაში გაფრინდა. 3 თვე ველარ ვნახავ. უკვე უზომოდ მენატრება ჩემი ბუთხუზა. ასეთი რამ პირველად მემართება. ი.“

„მინდა, ხმამაღლა განვაცხადო: თუ ჯერ არ არსებობს „გზავნილების“ ფანკლუბი, უახლოეს მომავალში დაუყოვნებლივ შეიქმნას. ამას ერთგულ მკითხველთა საყურადღებოდ ვამბობ. მარი, „გზავნილებს“ გაფიცებ, დამიბეჭდე. პატარა სვანი“.

„ისეთი შეყვარებული მყავს, რომელიც გინდ, აქ მყოლია და გინდ — აფრიკაში. ცუდო ბიჭო, იცოდე, რომ თუ მალ-მალე არ მნახე, დამკარგავ. კიკიტო“.

„ჩვენი საყვარელი მეუღლეები უცხოეთში კი არა, ყანაში არიან, მაგრამ ძალიან გვენატრებიან. დიდი მოკითხვით, თქვენი ამტანი ცოლები“.

„ჩემი საყვარელი ადამიანი რუსეთში მიდიოდა. ჰოდა, წინასწარ გამოვიგლოვე თავი, რადგან ვიცოდი, რომ მის გარეშე ვერ ვიცოცხლებდი. ლამის „ვენოკი“ შევუკვეთე და ისიც წარმოვიდგინე, ჩემს პანაშვიდზე მოსული ხალხი როგორ დამიტირებდა. ჰოდა, მოხდა სასწაული და რუსეთსა და საქართველოს შორის სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ ლამის ომი დაიწყოს. ვინ გაუშვებს მას იქით? ასე მხოლოდ ზღაპრებში ხდება. ჩემი თავი სერიალის გმირი მგონია“.

„ჩემი ქმარი ამერიკაშია და მას ერთგულად ველოდები — მხოლოდ ერთთან ვღალატობ. იმიტომ კი არა, რომ აქ არ არის და დრო ვიხელთე. არა, მასთან ადრეც ვღალატობდი. თათია“.

„მარი, ეს მესიჯი მაინც დამიბეჭდე, თორემ გავკოტრდი, იმდენჯერ მოგწერე. ერთ ბიჭს მინდა ვუთხრა: პუპსიკ, მგონი, შემიყვარდი. პუპსიკა“.

„აუ, კარგი რა, მარი! ეს რა თემა მოიგონე? თინეიჯერებმა რა ვქნათ? ჩვენ ხომ მეუღლეები არ გვყავს?! ჩვენზეც ხომ უნდა იფიქრო? მინდა, „გზავნილების“ მეშვეობით, ახალი ნაცნობები გავიჩინო. თუ ვინმეს მსგავსი სურვილი გაქვთ, დამიმესიჯეთ. მარიშკა“.

„ვისაც მეუღლე არ გვყავს, რა ვთქვათ? მინდა, ერთ „შავ“ ბიჭს მივმართო: შმაგი სირბილაძეე, თუ ჩემი გულის მოგება გინდა, დროზე ჩამოდი სოფლიდან, თორემ ჩიტუნა გაგიფრინდება. დადუნა“.

„ბესო, ძალიან მიყვარხარ, მიყვარდი და მეყვარები სიცოცხლის ბოლომდე. ახლა ერაყში მიდიხარ და თან მიგაქვს ჩემი გული. შენზე ფიქრით გავერთობი ძალიან დიდხანს და არასდროს, არასდროს ვიქნები მარტო. უფალი იყოს შენი მფარველი. მშვიდობით დაბრუნებულიყავი სამშობლოში. ირმა“.

„ამ კვირის „გზავნილებიც“ ისევე ყურადღებით წავიკითხე, როგორც სხვები და ერთი აზრი გამიჩნდა: იმედია, „მონასტრის ბიჭი“ არასდროს გახდება მერი, ხოლო „სტიქია“ — პოეტობაზე არ განაცხადებს პრეტენზიას. ჩვენ ჩვენი გაჭირვებაც გვეყოფა...“

„მალე ჩემი იკუნა საქართველოს დატოვებს, მაგრამ ჩვენი სიყვარული არ გაქრება. დაველოდები და მისი ერთგული ვიქნები. თაკო“.

„ახლა ძალიან ცუდ დღეში ვარ — ჩემი ძვირფასი ქმარი უკრაინაში წავიდა ერთი თვით. მინდა, ვუთხრა: ირაკლი, უზომოდ მიყვარხარ და მენატრები. ხათუნა“.

„მთელი სექტემბერი მიყრუებულ სოფელში გავატარე და ძალიან მომენატრა „გზავნილები“. ახლა ჩამოვედი და ლამის გავგიჟდი, ქვეყანა თავზე გვექცევა და ხალხი იუმორის გრძნობას არ კარგავს. მიყვარხართ ყველა. თამთა“.

„მეუღლე არა, მაგრამ ერთი „თავგასივებული“ შეყვარებული მყავს და ისიც ერაყში წავიდა. ყველაფერს ბედი უნდა. ზოგს 30 ჰყავს და ყველა აქ არის, მე კიდევ, ერთი და ისიც — უცხოეთში. არადა, რა მოიცდის მარტამდე? მარტში რომ ჩამოვა, მერე

დაწვრილებით მოგწერთ ყველაფერს და მარი, ქორწილშიც დაგპატიჟებ“.

„რა ამ თემის პასუხია და იცით, რა მიკვირს? ყოველი მე-4 დოცენტია, ყოველი მე-3 — პოეტი, ყოველი მე-2 — მომღერალი და საოცარია, ყველა მათგანი თავს ადამიანს უწოდებს. ჟურნალისტკა“.

„ეჰ, ჩემი ქმარი მივლინებაში კი არა, ჰორიზონტზეც არ ჩანს. როცა გამოჩნდება, მივლინებაში არ გავუშვებ. მაგათ ისეთი მოღალატე ბუნება აქვთ, არსად არ უნდა გაადგმევინო ფეხი“.

„12 წლის ვიყავი, როდესაც რუსეთში ჩამოვედი და 12 წელია, აქ ვარ. ამ წლების განმავლობაში, ჩემ შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ახლა, ნაცნობების საშუალებით ჩემი ოჯახის ტელეფონის ნომერი გავიგე, დავრეკე და ჩემ შესახებ შევატყობინე. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა... ახლა დაბრუნება მინდა, მაგრამ არანაირი საბუთი არა მაქვს. ამ საქმესაც მოვაგვარებ და მაინც დავბრუნდები. ამ 12 წელიწადში 3-ჯერ გამოვიცვალე საცხოვრებელი ადგილი. ვცხოვრობდი სტავროპოლში, როსტოვსა და დაღესტანში. ძალიან ბევრი მტერი გავიჩინე და სწორედ ამიტომ მიწევს ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა. ნაძირალა არ გეგონოთ, უბრალოდ, სიმართლის პირში მიხლა მიყვარს და არავის ვემორჩილები. ბავშვობიდან მივეჩვიე დამოუკიდებელ ცხოვრებას, ბავშვობა კი თითქმის არ მქონია. ამაზე გული მწყდება. ახლა ჩემიანები აღარ მასვენებენ, ჩამოდი და ჩამოდიო... მარი, როცა ჩამოვალ, აუცილებლად გინახულებ. კარგად“.

„ქუთაისში ვარ. ჩემი შეყვარებული ახლა თბილისშია და ეს ჩემთვის იგივეა, რაც ის, რომ უცხოეთში იყოს. გივი, რა დრო იყო, აქ რომ იყავი? ეშმაკუნა“.

„ჩემი ქმარი რუსეთიდან უკვე დამიბრუნდა და მითხრა: მიუხედავად იმისა, რომ იქ მაგარი ქალები არიან, შენ ერთადერთი და განუმეორებელი ხარო. თუმცა, წასვლის სურვილი კიდევ აქვს და ალბათ, ეს სურვილად დარჩება. გელა, საყვარელო, საქართველო სჯობია, დამიჯერე... გიული“.

„მეუღლე არ მყავს, მაგრამ რომ მყავდეს, უცხოეთში ნამდვილად არ გავუშვებდი. ხომ იცით, იქ რა პონტები „იწევა“? იმას უნდა გართობა და მე არა? „პადუმაეშ“! ხატია“.

„ბერძენ ბიჭს გავყევი ცოლად. ეს ჩემი მორიგი ქორწინება იყო. მალე ერთად მივემგზავრებით საბერძნეთში. ძალიან ბედნიერი ვარ. ლეონოვა იანნის, უზომოდ მიყვარხარ! ნატო, ოზურგეთი“.

„ჩემი ქმარი უცხოეთში არ არის, მაგრამ ნეტავ, სადმე შორს იყოს... ოჰ, როგორ დავისვენებდი! მომბეზრდა ყოველდღე მისი ბუზღუნი და ლოთობა. აღარ შემიძლია. მიშველეეეეეეეეთ!“

„მარი, რომ იცოდე, ამ თვეში რა გადამხდაააა... კაცმა, რომელიც სიგიჟემდე მიყვარს, მომიტაცა იმის გამო, რომ მეორე დღეს სხვა ქალაქში მიდიოდა და ჩემი აქ დატოვება არ უნდოდა. მე სულელმა კი, უარი ვუთხარი და მასთან არ დავრჩი. ახლა კი, ვზივარ მარტო და იდაყვს ვწვდები საკბენად. ასე დავრჩი უქმროდ“.

„სიყვარული კაცობრიობის გამრავლებას ემსახურება, ხოლო მეგობრული სიყვარული — სრულყოფს მას“.

„პრივეტები“. რა მოხდა? ჭკუამხიარულის გარდა არავის გინდათ ჩემთან მეგობრობა? მივმართავ ჭკუამხიარულს. ძალიან გამიხარდა, რომ გამომეხმაურე. ჩემს ნომერს მარი მოგცემს. გკოცნი. ემქეი“.

„ჩემი მეუღლე პატიმარია, ამიტომ ჩემთვის ციხე ნამდვილი უცხოეთია. ლელა“.

მუზა

„სული მეყინება, ისე მენატრები/ თვალებს უშენობა ცრემლად დასდენია/ ვიცი, სულ ბოლომდე ასე მეყვარები/ მე ხომ შენს თვალებში გული დამრჩენია. ეძღვნება ჩემს დიდ სიყვარულს, კუსუნას. მირანდა“.

„რა ვქნა, ხალხო, ცოლი არ მყავს/ ჯერ არც კი მაქვს სურვილი/ ვეძებ გოგოს, რომ დავიცხრო/ სიყვარულის წყურვილი./ ვინატრებდი, ჩვენი სული/ სამუდამოდ შეუღლდეს/ არასოდეს არ გავუშვებ/ საზღვარგარეთ მეუღლეს/ გვერდიდან არ მოვიცილებ/ მისი ეშხით დავტკბები/ ძალზედ ნაზი სხეულისგან/ სურნელებით დავტკბები. სტიქია“.

„განა მართლა მიყვარხარ და/ განა მართლა მწამხარ/ არ გკითხულობ, ვისთან ხარ/ როგორ ხარ და სად ხარ/ თავი როგორ მომაწონე/ ეს რა დამემართა/ შენს მახეში მომაქციე/ რათა, რათა, რათა?/ მხოლოდ ერთს გთხოვ/ როცა გრძნობის დაგიბერავს ქარი/ მოდი ჩემთან, მომიტანე/ ნატახ-ტახ-ტახ-ტარი. ჩემი ყოფილი მეუღლე „ღამის შოუშია“. ნანული“.

„ვეხმაურები ამჯერად/ მე „გზავნილების“ გოგონას/ და ყური კარგად დამიგდოს/ ახლა დავიწყებ მოყოლას/ ასე ამბობენ, კაი მთქმელს/ კაი გამგონე უნდაო/ ხუმრობას ვიღა გაიგებს/ ცხოვრება შემობრუნდაო.../ ვიხუმრე, რად ვერ გაიგეთ/ რას მერჩით, ნეტავ ვიცოდე/ სულ მინდა, რომ გოგოების/ სიყვარულისგან ვიწვოდე... სტიქია“.

„ჩემო ძვირფასო ემქეი/ გეხმაურება „სტიქია“/ კარგად აზროვნებ, ამიტომ/ შენი გონება მიქია/ ერთი მითხარი, იმ ევამ/ რატომ დაღუპა ადამი/ მას ხომ მხურვალედ უყვარდა/ რად გაუჩინა ვარამი?/ ქალები ამ ქვეყანაზე/ გაჩნდნენ კაცების მწვალებლად/ მკითხავ, კაცები რად გაჩნდნენ?/ მხოლოდ კაცების მყვარებლად“.

დაბოლოს ერთი გამორჩეული მესიჯი, კვლავ მოცემულ თემაზე:

„მეუღლე არა, მაგრამ საქმრო წავიდა იტალიაში, 2 კვირით. ბებია ჰყავს იტალიელი და უნდა ჩამოიყვანოს. იცი, რატომ? — 1 თვეში ქორწილი გვაქვს. მომილოცე, მარი... თუ ამ მესიჯს დამიბეჭდავ, ჩემს მეუღლეს ქორწილის ღამეს წავაკითხებ“.

ვიცი, რომ „გზავნილების“ ყველა მკითხველს გაუხარდება შენი ბედნიერება. ამიტომ მათი და ჩემი სახელით გილოცავ და ულევ სიყვარულს გისურვებ. ახლა კი შემდეგი ნომრის თემა: ქალური აგრესია. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელ. მისამართზე: marorita77@yahoo.com. მე კი ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

ერის წიგნი ანტიკვარიატის შესახებ. კრიმინალები დიდი ენთუზიაზმით ეწევიან თვითგანათლებას, რათა სამომავლოდ იცოდნენ, როდესაც საქმე საქმეზე მიდგება, რას უნდა სტაცონ ხელი.

21. მსახიობის თამაშით უკმაყოფილო მიხეილ თუმანიშვილსა და ამავე თეატრის მსახიობს შორის, ხშირად იმართებოდა ასეთი დიალოგი: — თქვენ არ მითხარით, ასე ითამაშეო?! — მე გითხარი?! — დიახ, თქვენ! — როდის გითხარი?! — გუშინ! — მიმიქარამს!

22. ევროპის ქვეყნებში ზომაზე მეტად გამხდარ მოდელებს პოდიუმზე გამოსვლა მას შემდეგ აუკრძალეს, რაც ათასგვარი დიეტისაგან ღონემიხდილი და დაუძლურებული ურუგვაიელი მოდელი პოდიუმზე წაიქცა და გარდაიცვალა. 178 სანტიმეტრი სიმაღლის სამხრეთამერიკელი ლამაზმანი მხოლოდ და მხოლოდ 42 კილოს იწონიდა.

23. ყველაზე სახელგანთქმულ გლადიატორებს რომაელები ბოლოს და ბოლოს, მონობისაგან ათავისუფლებდნენ, ხის ხმალს — თავისუფლების სიმბოლოს აძლევდნენ და უშვებდნენ, მაგრამ ბევრი მათგანი საკუთარი ნებით უბრუნდებოდა საბრძოლო არენას, რათა კვლავ და კვლავ ეგემა გამარჯვების სიხარული.

24. ინგლისში 3 წლის ბავშვმა ვარდისფერი რეტრო-კაბრიოლეტი იყიდა. დაუჯერებელი არაფერია, უბრალოდ, მშობლებს დაავიწყდათ ინტერნეტის გამორთვა, ბავშვი კი, თამაშ-თამაშით, რომელიღაც საიტში შევიდა და ერთ-ერთ ღილაკს დააჭირა თითი... ამ ამბავს „ჰეფი ენდი“ არ მოჰყოლია: მშობლებმა დროულად ვერ შეძლეს ამ შენაძენის ანულირება და იძულებული გახდნენ, 9 ათასი გირვანქა სტერლინგი 3 წლის განმავლობაში იხადონ.

25. თერმოპილეს ხეობაში მისული ქსერქსე არ ჩქარობდა ლეონიდეს მეომრებთან შებმას. ის უბრალოდ, ელოდებოდა, როდის გაიქცეოდნენ მისი ჯარის სიმრავლით შეშინებული სპარტელები. მაგრამ სპარტელები არასდროს გარბოდნენ ბრძოლის ველიდან და მით უმეტეს — ბრძოლის დაწყებამდე... მეხუთე დღეს, ქსერქსეს მიერ გაგზავნილ მზვერავებს სპარტელებმა საშუალება მისცეს, დაეთვალიერებინათ მათი ბანაკი, სადაც ისინი მშვიდად ივარცხნიდნენ და ინნავდნენ გრძელ თმას, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ მათ არავისი ეშინოდათ. P.S. სულ მალე ქსერქსე დარწმუნდა, რომ სპარტელები არა მხოლოდ უშიშარი მეომრები, არამედ კარგად გაწვრთნილი და დისციპლინირებული მკვლელები იყვნენ.

C M Y K

18 წლის გოგონა ვაჭრობს ნამალზე „ბანკად“

„ყარადაში ინსულინის შპრიცი ვიპოვე, მერე მის ხელებზე სისხლჩაქცევებიც შევნიშნე“...

ვინ არის ნარკომანი — ავადმყოფი თუ დამნაშავე? მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს დიდმა ქვეყნებმა ეს მავნე ჩვევა მძიმე დაავადებად აღიარა, საქართველოში ამ საკითხზე დღემდე კამათობენ. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით, ბოლო 15 წლის მანძილზე ნარკომანთა რიცხვი 9-ჯერ გაიზარდა და დღეს მათი საერთო რაოდენობა 250000-ს აჭარბებს. მათ შორის, 90000 ინექციური ნარკოტიკის მომხმარებელია. რამდენად ზრუნავს სახელმწიფო ამ პრობლემის მოგვარებაზე? როგორია და რას ითვალისწინებს ახალი კანონმდებლობა? რას ფიქრობენ და რაში ხედავენ გამოსავალს ამ დარგის სპეციალისტები? — სანამ ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად სხვადასხვა ინსტანციას მივაკითხავდი, მეგობრის დახმარებით ერთ ყოფილ ნარკომანს დავუკავშირდი. „თუ ჩემი მონათხრობი ვინმეს მაინც დააფიქრებს და ჭკუას ასწავლის, მოხარული ვიქნები“, — მითხრა მან და როდესაც ჩემგან სრული ანონიმურობის დაცვის გარანტია მიიღო, ინტერვიუზე დამთანხმდა.

თამუნა კვინიკაძე

გიორგი, *36 წლის:*

— სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ, სწავლის დაწყების მიზნით რუსეთში დავრჩი. იმავე წელს, მშობლების დახმარებით, უმაღლეს სასწავლებელში ჩავირიცხე და ორ ქართველ ბიჭთან ერთად დავბინავდი. ერთ დღეს, ერთ-ერთი მათგანი ბინაში რომ დაბრუნდა, უცნაურად იქცეოდა. ვკითხე: რა გჭირს-მეთქი? წამალი „გავიჩხირე“ და კაიფში ვარო, — მიპასუხა. ვურჩიე, რომ ეს აღარასოდეს გაეკეთებინა, მაგრამ... შენ რომ იცოდე, რა არის კაიფი, ეგრე არ ილაპარაკებდიო, — მეუბნებოდა. ყველა მავნე, უკულმართ ჩვევას ადამიანი ადვილად იღებს და მეც ისე აღმოვჩნდი ნარკოტიკის ტყვეობაში, რომ აზრზე მოსვლაც ვერ მოვასწარი.

— პირველად რატომ გაიკეთე?

— ცნობისმოყვარეობის გამო. „შენ რომ იცოდე, რა არის კაიფი“ — ამ სიტყვების ყოველდღე მოსმენამ ინტერესი აღმიძრა და პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე და ასე თანდათანობით ჩავეფალი საზიზღარ ჭაობში. ყოველი დილა ჯერ ფულის, შემდეგ კი ნარკოტიკის შოვნაზე ზრუნვით იწყებოდა. წამლის გაკეთება მანამ უნდა მომესწრო, სანამ „ლომკა“ შემომიტევდა.

— რა არის „ლომკა“?

— „ლომკა“ შიმშილია, რომლის დროსაც მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობ — რის ფასადაც არ უნდა დაგიჯდეს, წამალი უნდა იშოვო და შიმშილი დაიკმაყოფილო.

— რომ ვერ დაიკმაყოფილო?

— მერე იმდენად ცუდად ხარ, რომ სიტყვებით ამის გადმოცემა შეუძლებელია.

— ზედმეტი დოზით ცუდად თუ გამხდარხარ?

— ერთხელ წამალი ვერ ვიშოვე, ძალიან ცუდად ვიყავი. მერე ერთმა ნაცნობმა მანაგუა მოიტანა და შემომთავაზა: არ გინდა, ერთად დავლიოთო? მან ცოტა მოსვა, მე კი დავეხარბე და... მთელი ღამე ვიხეტიალე, მერე მხედველობაც გამიორდა, მოჩვენებები დამეწყო.

— რა გეჩვენებოდა?

— მეგონა, რომ წიგნი ვიყავი, რომელიც თაროზე იდო. ხალხი ირეოდა, სხვა წიგნებს იღებდნენ და მიჰქონდათ, მე კი ხელს არავინ მკიდებდა. არადა, დიდი სურვილი მქონდა, რომ ჩემი ფურცლები ვინმეს გადაეშალა... ასეთი რამე სხვა დროსაც დამმართვია, ბევრჯერ ღრუბლებშიც მისეირნია, მაგრამ დამიჯერეთ, ეს არ ღირს საკუთარი ღირსების, საყვარელი ადამიანების ტანჯვის, ჯანმრთელობის დაკარგვის ფასად.

— ვიცი, რომ ახლა წამალს აღარ იკეთებ. როგორ გამოხვედი მდგომარეობიდან?

— 3 წლის მანძილზე, თითქმის ყოველდღე ვკაიფობდი. ინსტიტუტში სიარული მესამე კურსიდან მივატოვე და იმავე წელს, ჩემმა მშობლებმა ყველაფერი გაიგეს.

— როგორ?

— იმ სასწავლებელში ერთი ქართველი გოგონა სწავლობდა, რომელიც მიყვარდა. ის ცდილობდა, ნარკოტიკზე უარი მეთქვა, მაგრამ რამდენჯერაც დავპირდი — აღარ გავიკეთებ-მეთქი, იმდენჯერ დავარღვიე პირობა. სწორედ მან უთხრა სიმართლე ჩემს მშობლებს. მეორე დღესვე ჩამომაკითხა მამაჩემმა და კერძო კლინიკაში მიმიყვანა. მამა თანამდებობის პირი იყო და მალევე მოუწია საქართველოში დაბრუნებამ. დრო ვიხელთე, კლინიკიდან გამოვიპარე და ჩემს ძველ „მეგობრებს“ დავუბრუნდი. კლინიკიდან იმ დღესვე შეატყობინეს მშობლებს ჩემი გაპარვის შესახებ. მეორე დღეს, სიძემ ჩამომაკითხა. 4 დღის განმავლობაში მეძებდა და ვერ მიპოვა. ბოლოს, ჩემს ადგილსამყოფელს ისევ ჩემი ძველი შეყვარებულის დახმარებით მოაკვლია და შეიძლება ითქვას, რომ იმ დღის მერე გვერდიდან აღარ მომშორებია. კლინიკაში დამაბრუნა, სადაც 6 თვის განმავლობაში ვმკურნალობდი.

— 6-თვიანი მკურნალობის კურსი საკმარისი აღმოჩნდა?

— კლინიკიდან გამოსვლის შემდეგ, ყველა ახლობელი მხარში ამომიდგა. ჩემს სიძეს კერძო ბიზნესი აქვს (მაშინ ახალი დაწყებული ჰქონდა). ამ ბიზნესში ჩამრთო, დამასაქმა. ვგრძნობდი — როგორ ვუბრუნდებოდი ადამიანურ ცხოვრებას. თითქოს ხელახლა დავიბადე. როცა იმ საშინელ წლებს და ჩემს მდგომარეობას ვიხსენებ, საკუთარი თავი მებრალება, რადგან იმ ადამიანზე საცოდავი, რომელიც წამალზეა დამოკიდებული, არავინაა. საუბრის დასაწყისში გითხარი — ბინაში ორ ქართველ ბიჭთან ერთად ვცხოვრობდი-მეთქი. მათგან ერთ-ერთი „კაიფში“ გაიპარა, მეორეს — ხეიბარი ბავშვი გაუჩნდა. დედაჩემმა კი, ჩემ გამო ორჯერ ინფარქტი გადაიტანა. იმ საშინელ წლებს დიდი სიამოვნებით ამოვშლიდი ჩემი ცხოვრებიდან...

ექსპერტთა მონაცემებით, ბოლო ორი წელია, რაც არა მარტო იმატა ნარკომანთა რიცხვმა, არამედ 2 წლით გაახალგაზრდავდა მომხმარებელთა ასაკიც. ჩვენი შემდეგი რესპონდენტი მაგდა გახლავთ. 17 წლის იყო მისი ძმა, როდესაც წამალი პირველად გაიკეთა და... რა მოხდა შემდეგ, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.

ერთ-ერთი „კაიფში“ გაიპარა, მეორეს — ხეიბარი ბავშვი გაუჩნდა.

მაგდა, *23 წლის:*

— სკოლა რომ დავამთავრე, იმ წელს ინსტიტუტში ვერ ჩავაბარე — ფასიან სექტორზე რომ მესწავლა, ოჯახს ამის საშუალება არ ჰქონდა. ჩემი მამიდაშვილი გერმანიაში ცხოვრობდა. მან ფული გამომიგზავნა და მასთან ჩავედი. იქ ერთ-ერთ ოჯახში მომვლელად დავიწყე მუშაობა. პარალელურად, გერმანული ენის შემსწავლელ კურსებზეც დავდიოდი. ოჯახში თანხის გამოგზავნასაც ვახერხებდი. მერე მამა საბერძნეთში წავიდა, დედამ მუშაობა დაიწყო და

ოჯახს მატერიალურად აღარ უჭირდა. ზუსტად იმ წელს, ჩემმა ძმამ — ზაზამ სკოლა დაამთავრა, რაღაც საგნებში კერძო მასწავლებლებთან დაიწყო მომზადება (მშობლები ამისთვის საკმაოდ სოლიდურ თანხას, საგანში 60 დოლარს იხდიდნენ). დედას საკმაოდ დატვირთული დღის გრაფიკი ჰქონდა, ზაზას კონტროლს ვეღარ უწევდა და მანაც შემთხვევით ისარგებლა — თურმე იმ ფულით, რომელსაც მასწავლებელთან ატანდნენ, ნარკოტიკს ყიდულობდა.

— ეს ამბავი როგორ გაიგეთ?

— გერმანიიდან რომ ჩამოვედი, ზაზა შეცვლილი მომეჩვენა. ეს რომ დედას ვუთხარი, მიპასუხა: ბევრს მეცადინეობს და გადაღლილია, თან ნერვიულობს, რომ ვერ ჩააბაროსო. ჩემი ძმა სახლში რომ ბრუნდებოდა, ოთახში იკეტებოდა. ყოველთვის გაღიზიანებული იყო. ვკითხე: პირად ცხოვრებაში ხომ არ გაქვს პრობლემებიმეთქი? არაო, — მიპასუხა. ის ყოველთვის ძალიან თბილი და ყურადღებიანი ძმა იყო, მაგრამ გერმანიიდან ჩამოსულს, ზაზა კი არა, ვიღაც სხვა დამხვდა. ერთ დღეს ბებიამ ჰკითხა: ის ბიჭები, შენთან რომ მოდიოდნენ და ერთად მეცადინეობდით, რატომ აღარ მოდიანო? ამ ამბავმა დამაეჭვა და ბებიას ყველაფერი დაწვრილებით გამოვკითხე, მაგრამ ხელჩასაჭიდი ვერაფერი გავიგე. ერთ დღეს, მასთან ვიღაც ბიჭი მოვიდა. ისინი ოთახში შევიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ მათთან შევედი და თვალი მოვკარი, რომ რაღაც გადამალეს, მაგრამ რა, ვერ დავინახე. რას აკეთებთ-მეთქი? — ვიკითხე. მიპასუხეს: ვმეცადინეობთო, თუმცა მაგიდაზე არც წიგნი იდო და არც რვეული. შევეცადე, სიმშვიდე შემენარჩუნებინა. ღამით, როცა ზაზას ეძინა, მის საძინებელში შევედი და ოთახი გავჩხრიკე. კარადაში ინსულინის შპრიცი ვიპოვე, მერე ძმის ხელებზე სისხლჩაქცევებიც შევნიშნე... ის ღამე ტირილში გავათენე. მეორე დღეს, დილაადრიან ზაზა წასასვლელად მოემზადა. ვკითხე: სად მიდიხარ-მეთქი? მასწავლებელთანო, — მიპასუხა. ვუთხარი: ვიცი, რასაც აკეთებ, ამიტომ არსადაც არ წახვალ-მეთქი და ცრემლები მომერია. არც კი მკითხა, — რა გატირებსო. ამან სულ გამაგიჟა. გასასვლელი კარი გასაღებით ჩავკეტე. ფანჯრიდან გადავხტებიო, — დამემუქრა. არ მინდოდა, დედას გული სტკენოდა, ამიტომ არაფერი ვუთხარი. მეგონა, მარტო მივაღწევდი მიზანს, მაგრამ უძლური აღმოვჩნდი. როცა ეს ამბავი დედამ გაიგო, კინაღამ გაგიჟდა, მერე მამასაც დავურეკეთ საბერძნეთში. ფული გამოგზავნა და კლინიკაში მივიყვანეთ სამკურნალოდ. იქ „ლომკა“ მოუხსნეს, მაგრამ თვითონ აღარ ისურვა გაჩერება. თვალებში ვერ გვიყურებდა, დარცხვენილი იყო. მერე გავიგეთ, რომ წამლის საყიდლად დედისთვის ორი ოქროს ბეჭედიც მოუპარია და გაუყიდია (ეს თვითონ აღიარა). ახლა უკვე 3 წელია, რაც მამასთან ერთად საბერძნეთში ცხოვრობს.

— მომხდარის შესახებ რას ამბობს?

— ყველას ბოდიშს გვიხდის, მაგრამ წარსულს ვეღარავინ შეუცვლის.

— მაგდა, რას გვეტყვი შენს თაობაზე, ბევრს იცნობ ისეთს, ვისაც ეს პრობლემა აქვს?

— დღეს წამლის „გაჩხერა“ და პლანით „დაბოლება“ მოდაშია. სამწუხაროდ, ამას გოგოებიც აკეთებენ. ცხოვრების ამ სტილით ერთმანეთს თავს აწონებენ და ჰგონიათ, რომ მაგარი „ტიპები“ არიან.

— ნარკომან გოგონებს იცნობ?

— ნარკომანებს არა, მაგრამ ვიცნობ ისეთებს, რომლებიც პლანს ეწევიან.

— არ გიცდია, რომ მათთვის რჩევა მიგეცა?

— ეს სასაცილოდ არ ჰყოფნით. როდესაც ერთ-ერთს ამ საკითხზე ლაპარაკი დავუწყე, მკითხა: შენ რა, გოიმი ხომ არა ხარო?

— გერმანიაში ყოფნის დროს, ურთიერთობა გექნებოდა გერმანელ თანატოლებთან. როგორ ცხოვრობენ, რითი ერთობიან, რა ინტერესები აქვთ?

— ეს პრობლემა იქაც აქტუალურია. ახალგაზრდობა ძირითადად ღამის კლუბებში ერთობა. მეც ვყოფილვარ ღამის კლუბში და იქ ფხიზელ მდგომარეობაში თითქმის არავინ მინახავს... ერთი კვირის წინ, ღამით ქუჩაში, მეგობრებთან ერთად ვსეირნობდი. ერთ-ერთ შადრევანთან ახალგაზრდობა იყო შეკრებილი, მათ შორის, ბავშვებიც იყვნენ. შევნიშნე, რომ იქვე კუთხეში, ორი, 15-16 წლის გოგო ჩამომჯდარიყო. ერთმანეთს ეყრდნობოდნენ, რომ არ წაქცეულიყვნენ. მათ წინ დაცლილი არყის ბოთლი ედოთ. იქვე ბატიბუტი ეყარა. ის გოგონები კი არ უნდა გაკიცხო, მათ უნდა უშველო. ვიცი, რომ ნებისმიერ მავნე ჩვევასთან ბრძოლა რთულია, ამიტომ ის, ვინც ნარკომანი იყო და პრობლემა დასძლია, ჩემს თვალში ძლიერი ადამიანია.

საინტერესოა, რამდენად ზრუნავს დღეს სახელმწიფო ამ პრობლემის მოგვარებაზე? შესაძლებელია თუ არა საქართველოში მოხდეს ნარკომანის განკურნება? ფუნქციონირებს თუ არა შესაბამისი დონის სარეაბილიტაციო ცენტრი? რა თანხასთანაა დაკავშირებული დეტოქსიკაციის 10-დღიანი კურსი (იგივე „ლომკის“ მოხსნა) — ამ კითხვებს ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო დირექტორი — **ხათუნა თოდაძე** *პასუხობს.*

— ნარკოტიკის მომხმარებელთა საშუალო ასაკი 25-დან 40 წლამდე მერყეობს. შრომისუნარიანობის და გამრავლების თვალსაზრისით, ეს პერიოდი ყველაზე რეპროდუქციულ ასაკად მიიჩნევა. თუ სახელმწიფო და საზოგადოება დროულად არ მიხედავს ამ პრობლემას, ეს უთუოდ მძიმედ აისახება ერის მომავალზე.

— დღეს რამდენად ზრუნავს სახელმწიფო ამ პრობლემის მოგვარებაზე?

— ჯანდაცვის სამინისტრომ ამ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ 40.000 ლარი გამოყო (მთელი ქვეყნის მასშტაბით) და დასკვნა თქვენ თვითონ გამოიტანეთ. პროექტს, რომელიც უფასოდ ხორციელდება (მეტადონით ჩანაცვლების თერაპია), შიდსის, ტუბერკულოზის და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდი აფინანსებს.

— რამდენად ამართლებს მკურნალობის ეს მეთოდი? მეტადონი ხომ იგივე ნარკოტიკია და პაციენტი მასზე დამოკიდებული ხდება..

— მეტადონით მკურნალობა ენიშნებათ იმ პირებს, რომლებიც უკვე დამოკიდებულნი არიან წამალზე. მეტადონი ისეთივე პრეპარატია, როგორიც ჰეროინი, მაგრამ ეს არის სინთეზური ნივთიერება, რომელსაც 24-საათიანი მოქმედება ახასიათებს.

— რაში მდგომარეობს მისი უპირატესობა?

— იგი სხვა ნარკოტიკებთან შედარებით, ნაკლებ ზიანს აყენებს ორგანიზმს — არ იწვევს ადამიანის გუნება-განწყობილების შეცვლას, გაღიზიანებას, ახშობს ლტოლვას ნარკოტიკული ნივთიერებისადმი. ჩვენ დაკვირვებებს ვაწარმოებთ პაციენტებზე — როგორები იყვნენ ჩვენთან მოსვლის დროს და როგორები არიან მეტადონის მიღების შემდეგ — განსხვავება აშკარად იგრძნობა. ეს პროგრამა არ ისახავს მიზნად პიროვნების სრულ განკურნებას. მისი მთავარი ფუნქცია ზიანის შეჩერებაა. მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ პაციენტთა ნაწილი, რომელიც ასეთი მეთოდით მკურნალობს, კვლავ ნარკოტიკების მიღებას იწყებს. ამიტომ ჩვენ რეგულარულად ვუტარებთ იმ პირებს ანალიზს, ვინც ამ პროგრამაშია ჩართული. თუ აღმოჩნდა, რომ კვლავ ნარკოტიკი აქვთ მიღებული, პირველ შემთხვევაში ვაძლევთ მკაცრ გაფრთხილებას და მასთან ექიმი-თერაპევტი გაძლიერებულად იწყებს მუშაობას. ასეთი ფაქტის განმეორების შემთხვევაში კი, განვიხილავთ იმ პირის პროგრამიდან გაგდების საკითხს.

— გქონდათ ასეთი შემთხვევა?

— დიახ, ორმა პიროვნებამ დატოვა პროგრამა. მათ ჰეროინი ჰქონდათ მიღებული...

— ამჟამად, რამდენი პაციენტი გყავთ კლინიკაში?

— სულ 20 პაციენტი გვყავს. მიუხედავად იმისა, რომ მკურნალობის ხარჯს პაციენტი ფარავს, ბოლო ორი წელია, რაც განკურნების მსურველთა რიცხვმა იმატა. ხშირად, პალატებში ადგილის არქონის გამო, ავადმყოფებს მიღებაზე უარსაც ვეუბნებით.

— რა ღირს კლინიკაში მკურნალობა?

— ეს პაციენტის მდგომარეობაზეა დამოკიდებული. პირველი 10-დღიანი დეტოქსიკაციის კურსი ე.ი. „ლომკის“

მოხსნა, 750-800 ლარის ფარგლებში მერყეობს. შემდეგ პაციენტს ვთავაზობთ, ჩაიტაროს ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია. ეს პროცესი ზოგჯერ თვეობით გრძელდება და სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს იმის საშუალება, რომ ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის შემდეგ, პაციენტს სოციალური სამსახურიც გავუწიოთ.

— რა იგულისხმება სოციალურ სამსახურში და რატომ არის იგი ასეთი მნიშვნელოვანი ყოფილი ნარკომანისთვის?

— თუ პიროვნებამ „ლომკა“ მოიხსნა, განიკურნა, აღარ არის დამოკიდებული ნარკოტიკზე, აუცილებელია მისი დასაქმება. ვილნიუსში, ყოფილმა ნარკომანებმა გახსნეს კაფე, სახელწოდებით — „ნარკოტიკებისგან თავისუფალი კაფე“. იქ ალკოჰოლიც კი არ იყიდება და მენეჯერიდან დაწყებული, დამლაგებლით დამთავრებული, ყველა ადგილი ყოფილი ნარკომანებით არის დაკომპლექტებული. მათ ამ საქმის წამოწყებაში სახელმწიფო დაეხმარა. ამ პროგრამის მსგავსი რამ ჩვენც უნდა შევიმუშაოთ. ადამიანებს ხელი არ უნდა ვკრათ. ხშირად, როდესაც ჩვენთან ერთხელ უკვე ნამკურნალები პაციენტი ხელმეორედ მოსულა და გვიკითხავს თუ რატომ გაიკეთა? — მისგან პასუხად მიგვიღია: აბა, რა მეკეთებინაო? განკურნების შემდეგ, იმ ადამიანისთვის სამსახური რომ შეეთავაზებინათ, ხელმეორედ აღარ მოექცეოდა ნარკოტიკის ტყვეობაში. დაუსაქმებლობა ისევე, როგორც ყველა ადამიანში, მათშიც დეპრესიას იწვევს და ამ დეპრესიიდან ნარკოტიკის მიღებით გამოდიან... ჩვენ რამდენჯერმე დავუკაშირდით ქართველ ბიზნესმენებს, შევთავაზეთ, გაეღოთ თუნდაც მცირეოდენი თანხა მკურნალობისთვის ან დაესაქმებინათ უკვე განკურნებულები, მაგრამ მათი მხრიდან თანხმობა არც ერთხელ არ მიგვიღია.

— თქვენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული, სახელმწიფო ნარკოპოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭოს წევრი ბრძანდებით. როგორც ვიცი, მომზადებული გაქვთ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც პარლამენტს განსახილველად გადაეცა. რას გვეტყოდით ამის შესახებ?

— ჩვენმა საბჭომ შეიმუშავა ანტინარკოტიკული სტრატეგია. მოვიწვიეთ კონსულტანტები, იურისტები და ვთხოვეთ, მოემზადებინათ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი. ჩვენი მოთხოვნაა, რომ ნარკოტიკის მომხმარებელს მოეხსნას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და დაწესდეს ადმინისტრაციული ჯარიმა, პირველ შემთხვევაზე 750 ლარის, ხოლო განმეორებით, 15.000 ლარის ოდენობით. ამ თანხის დიდი ნაწილი ჩაირიცხოს სპეციალურ ფონდში და მოხმარდეს ამ სენით დაავადებულთა განკურნებას. ამასთან ერთად, მათ შევთავაზეთ მეორე წინადადებაც — თუ დაკავებულ პიროვნებას ექნება განკურნების სურვილი, თანხა მთლიანად მის მკურნალობას მოხმარდეს. რა იქნება მომავალში, ეს უკვე პარლამენტის გადასაწყვეტია.

2006 წლის 15 აგვისტოდან, როგორც იურისტმა ზურაბ წითელაურმა განგვიმარტა, ამოქმედდა ახალი კანონი. ამ კანონის მიხედვით, ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენა ან შენახვა (გასაღების მიზნის გარეშე), ან ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე, თუ წინა წლებში 75 ლარით ჯარიმდებოდა, დღეს ეს თანხა 500 ლარამდე გაიზარდა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საქმის გარემოებისა და დამრღვევი პიროვნების გათვალისწინებით (თუ იგი ადრე ნასამართლევი იყო ამავე ბრალდებით), ადმინისტრაციული ჯარიმის გადახდა არასაკმარისად ჩაითვლება, მაშინ 30-დღიანი პატიმრობა ელის.



სისხლის გამოცვლით ნარკომანიას თავს ვერ დააღწევ. ამ გზით, ორგანიზმიდან მხოლოდ ტოქსიკური ნივთიერებები გამოიდევნება.

გაზრდილი ჯარიმა და გამკაცრებული კანონი — შეძლებს თუ არა სახელმწიფო ამ ფორმით პრობლემის მოგვარებას? სად უფრო მართებულია დაკავებული ნარკომანის გადაყვანა — ციხეში თუ სარეაბილიტაციო ცენტრში? რატომ არის რთული ქალ ნარკომანებთან მუშაობის პროცესი? — ამ და სხვა საკითხებზე ნარკოლოგი **ზურა სიხარულიძე** *გვესაუბრება.*

— ორი დღის წინ, ერთმა ნაცნობმა „იხუმრა“: ჩვენს ქვეყანაში ნარკომანიის პრობლემა არ არისო. რას ნიშნავს არ არის-მეთქი? — შევეკამათე. ყველა ნარკომანია და პრობლემა ვიღასთვის უნდა იყოსო?! რატომღაც ჩვენმა მთავრობამ ჩათვალა, რომ რაც უფრო გაზრდის ჯარიმის ოდენობას, ნარკომანთა რაოდენობა შემცირდება. პირადად მე, ამ აზრს არ ვემხრობი. როგორ შეიძლება, ავადმყოფს ჯარიმა გადაახდევინო?! დაისაჯოს ის ნარკომანი, რომელიც კრიმინალს ჩაიდენს, დანარჩენს კი დახმარების ხელი უნდა გავუწოდოთ. დიაბეტით დაავადებულებიც იკეთებენ ყოველდღე წამალს, მათ რატომ არ იჭერენ?

— რას გვეტყოდით ქალ ნარკომანებზე?

— მათმა რიცხვმაც იმატა. შარშანწინ გვყავდა 2 ნარკომანი ქალი, წელს ჩვენთან 8 ქალი მკურნალობს. მათთან მუშაობა განსაკუთრებით რთულია, ძალიან ჩაკეტილები არიან, მაქსიმალურად ცდილობენ, დამალონ თავიანთი მდგომარეობა. ქართულ მენტალიტეტში არ დევს, რომ გოგომ ნარკოტიკი მიიღოს ან ალკოჰოლიკი გახდეს, მშობლებიც ნაკლებად ფრთხილობენ. მეც მამა ვარ და სიფრთხილეს ბიჭის მიმართ უფრო ვიჩენ. არადა, ამ დროს ამერიკანიზაციამ და თავისუფალი ცხოვრების წესმა ახალი განცდებისა და ემოციების სიჭარბე მოუტანა საზოგადოებას. ფსიქოსტიმულატორების, კოკაინის, ექსტაზის მოხმარება ევროპის ქვეყნებშიც გლობალურ პრობლემას წარმოადგენს.

— რა ასაკის პაციენტი ქალები გყოლიათ და როგორია მათი ოჯახური მდგომარეობა?

— 18 წლის პაციენტიც მყავდა, რომელიც ქმარმა „შესვა“ წამალზე. მყოლია 60 წლის პაციენტიც, რომელიც 25 წლის განმავლობაში ნარკოტიკის მომხმარებელი იყო. მყავს 35 წლის პაციენტიც. საერთოდ, უმეტესობა ნარკოტიკთან შეხებას პლანით იწყებს, იგი დიდი ჭიშკარია ნარკოტიკების სამყაროში. რატომღაც მას უვნებლად მიიჩნევენ, მაგრამ მერწმუნეთ, იგი ყველაზე მძიმე ნარკოტიკია, აზიანებს კოგნიტიურ ფუნქციებს, რაც ილუზიური სამყაროს შექმნას განაპირობებს. ალკოჰოლიც იგივე ნარკოტიკია, ოღონდ ლეგალური. ისეთ დროს, როდესაც მონაცვლეობით ხდება ხან ნარკოტიკის, ხან კი ალკოჰოლის მიღება, ორგანიზმი „ინგრევა“ ფიზიკურადაც და ფსიქიკურადაც.

— მსმენია, რომ ნარკომანები სისხლს იცვლიან, იმისთვის, რომ განიკურნონ...

— სისხლის გამოცვლით ნარკომანიას თავს ვერ დააღწევ. ამ გზით, ორგანიზმიდან მხოლოდ ტოქსიკური ნივთიერებები გამოიდევნება. წამლის მიღების სურვილი, იგივე „ლომკა“ ტვინის უჯრედებიდან მოდის. იგი ცვლის ყველაფერს — აღქმას, ქცევას, სიამოვნებას. ნარკოტიკის გარეშე ვეღარ აზროვნებ. „ლომკის“ გადაგდების 80% ფსიქიკაზეა დამოკიდებული. შეიძლება ისტერიკა მოაწყოს მან, ვინც 1 აბ ტრამალს იღებს და შედარებით ადვილად გადააგდოს მან, ვინც 2 გრამ ჰეროინს იღებს. მთავარია, თუ რამდენად არის პიროვნება მონდომებული. ის თვითონ უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ ასეთი ცხოვრება აღარ სჭირდება. ჩვენ იმისთვის ვართ, რომ ეს ყველაფერი გავუადვილოთ. ზოგჯერ, ისინი ამით ბოროტად სარგებლობენ. ფიქრობენ, ერთხელ ხომ გადავაგდე, ახლა წავიკაიფებ და მერე კიდევ გადავაგდებო. მათ არ

გაგრძელება იხ. 68-ე გვ.

„რასც ვრ გერგება... „ანუ თანამედროვე ზღაპარი ნაპოვნი განძის შესახებ

ინგა ჯაყელი

მუშაობა არც მაშინ უყვარდა ჩვენს გმირს, მთელი ქვეყანა რომ კომუნიზმს აშენებდა, თორემ მას შემდეგ ხომ არც უოცნებია სამსახურზე და თვიდან თვემდე ხელფასის ცდაზე, როცა მილიონი სამუშაო ადგილის დაპირებამ ათასობით ქართველის ნერვები და ზოგის სიცოცხლეც შეიწირა...

ადრეც თაღლითობისკენ ეჭირა თვალი, როცა კანონი ასე თუ ისე, კანონობდა და ჩვენს დროში ხომ ფრთები შეისხა მისმა ფანტაზიებმა, მით უმეტეს, რომ დოყლაპიებიც მომრავლდნენ, განსაკუთრებით იმ ადამიანთა კატეგორია, ვინც სამუშაოს პოვნის იმედით ნებისმიერ განცხადებას ეხმაურებოდა და საამისოდ, არც გარკვეული თანხის გადახდაზე ამბობდა უარს...

ბევრიც აღარ უფიქრია და შექმნა ფირმა: „შრომამ შექმნა ადამიანი“ — რეკლამაც გააკეთა იაფფასიან გაზეთებში და საქალაქო — ე.წ. „ხაზის“ რადიოში, რომელსაც დღემდე უსმენენ ქალაქელები: „დასაქმება სწრაფად და გარანტიით, როგორც საზღვარგარეთ, ასევე საქართველოში, შეღავათიან ფასებში!“ — მხოლოდ მობილური ტელეფონის ნომერი მიაწერა, რომელიც სხვის სახელზე ჰქონდა გაფორმებული და საჭიროების შემთხვევაში ადვილად მოიშორებდა თავიდან, კვალის წასაშლელად...

ასეც გააკეთა რამდენჯერმე... შერჩა ხახვივით, გაჭირვებული ხალხისთვის აფცქვნილი „კაპიკები“, რომლებიც ამაოდ ეძებდნენ და ებღაუჭებოდნენ იმედს, რომ ფულს მაინც დაიბრუნებდნენ, თუ სამუშაოს ვერ მიიღებდნენ...

ბოლოს, სამი კაცი გამოიჭირა — ორი რაჭველი და ერთიც — სვანი. მთიდან წამოსულები, ქუთაისში დაახლოებოდნენ ერთმანეთს და დარდს გაეერთიანებინა სამი დევივით ღონიერი, მაგრამ ბავშვივით გულუბრყვილო არსება: მაიზერი, სიმონიკა და ვაჟიკუნა. სამივეს სხვა არაფერი ედარდებოდა, ოღონდაც სამუშაო ეშოვათ და ოჯახებისთვის პურის ფქვილი შეეშველებინათ დროზე, არაფერს ითაკილებდნენ.

სიმონიკას ჩავარდნოდა ხელში იმ გაზეთის ნაგლეჯი, სადაც ჩვენი აფერისტი, რომელსაც პირობითად კვაჭის დავარქმევ, სამუშაოს ჰპირდებოდა ხალხს. საზღვარგარეთ წასვლის არც სურვილი და არც საშუალება არც ერთს არ ჰქონდა, ის კი არა და, არც თბილისისკენ ეწეოდათ გული, მათთვის ისიც „გადასაკარგავი“ იყო, ამიტომ სასწაულივით მოებღაუჭნენ კვაჭის ქუთაისურ ფირმას. თხოვნა-თხოვნით მიაგნეს სატელეფონო ჯიხურს, კვაჭის დაუკავშირდნენ და ჰკითხეს: — სად მევიდეთო?

— იყავით მანდ, ფეხი არ მეიცვალოთ, თავად მოგაკითხავთ! — უბრძანა კვაჭიმ, როცა გაიგო, ჯაჭვის ხიდის მახლობლად ტრიალებდნენ არც იმის კითხვა დავიწყნია — როგორ გიცნოთო?

— ჩვენს ცნობას ქვე რა უნდა, ბოშო?! არც ჩვენი ზომა-ნონის დეიარება არემარეზე ვინმე და არც ჩვენსავით მათხოვრულად ჩაცმული! — უპასუხა სიმონიკამ.

...მართლაც, „დევების“ დანახვაზე ღამის გადაიფიქრა კვაჭიმ მათთან საქმის დაჭერა, მაგრამ მთელი თვე სხვა ვერავინ წამოეგო ანკესზე და ორიოდე „კაპიკი“ რომ არ ეშოვა სასწრაფოდ, დენსაც კი ჩაუჭრიდნენ მის ოჯახს გადაუხდელობის გამო. ჰოდა, გარისკა...

კაცები რომ მანქანაში ჩაისვა, თითქოს დაიკვნესა მისმა ძველმა „24“-მა. გული მოეწურა კვაჭის მისი საცოდაობით, ამიტომ იჩქარა ვითარების გარკვევა. მეტი დამაჯერებლობისთვის საქაღალდე გადმოიღო და ცხვირწინ უამრავი ბეჭდიანი ქაღალდი აუფრიალა სამუშაოს მაძიებლებს: 1.500 დოლარი დაგიჯდებათ ამერიკაში გამგზავრება, ისიც, იმ შემთხვევაში, თუ საბუთები გაქვთ მზად, 1.000 დოლარად გერმანიაში გაგიშვებთ, ორ დღეში გამყავს ერთი ჯგუფიო...

— გერმანიაში რა გვინდა?! — წარბი ასწია მაიზერმა.

— აბა, ა, იტალია იქნება ორ კვირაში, ესპანეთი — თვის ბოლოს..

— არა, ბატონო და ქვე შენი ჭირიმე, დოლარი დახატულიც არ გვინახავს არც ერთს; მე პირადად, 30 ლარი მაქვს ჯიბეში და ამდენივე ვაჟიკოს, მაიზერისას ვერაფერს გეტყვი, რამეფრათ ქუთეისში უნდა გვიშოვო საქმე და თუ კაი ფულს გვაშოვინებ, მერე მოგცემთ წილს! — შეაწყვეტინა სიმონიკამ.

მაიზერს 20 ლარი აღმოაჩნდა და ჩაფიქრდა კიდევაც კვაჭი: ღირს ვითომ 80 ლარისთვის წვალებაო?! მაგრამ გაახსენდა, რომ 2 დღეში ტელეფონიც გაეთიშებოდა, თუ სასწრაფოდ არ შეავსებდა კრედიტს და ვეღარც ახალი დოყლაპიები დაუკავშირდებოდნენ...

— 80 ლარად, რა ვიცი... ძნელია რამის პოვნა, თუმცა... ერთი ჩემი ახლობელი იწყებს მშენებლობას და ნაკვეთის ნანგრევებისგან გათავისუფლება უნდა, დღეში 10 ლარზე მეტს ვერ მოგცემთ, თან ერთ თვეზე მეტს არ გაგრძელდება ალბათ თქვენი საქმე! — თავად გაუკვირდა ისე უცებ შეთხზა ტყუილი.

— მეტი რა გზა გვაქ! — თქვა ვაჟიკუნამ და დაამატა: — მე თანახმა ვარ!

არც სიმონიკას და მაიზერს უფიქრიათ ბევრი: თვის ბოლოს სამას ლარს თუ დავაგროვებთ, ახლა ეგეც სანატრელი გვაქვსო, — იფიქრეს.

გამოართვა კვაჭიმ ფული კაცებს და

მანქანა დაძრა. თუმცა კი აზრზე არ იყო, სად მიჰყავდა ისინი: ღმერთო, შენ მიშველე და მომაფიქრებინე რამე! — ევედრებოდა არსთა გამრიგეს, რომელმაც თითქოს მართლა შეისმინა მისი ვედრება და კვაჭის თავისი საძულველი მეზობელი გაახსენდა, რომელმაც ყოფილი მილიონერის და „განკულაკებული“ ძველი მთავრობის კაცის აგარაკი შეიძინა და მართლა უპირებდა სახურავის გარეშე დარჩენილი კედლების დემონტაჟს, რათა მომავალი წლის ზაფხულში ახალი სახლი წამოეჭიმა: „დავტოვებ იქ და მოსთხოვონ მერე პასუხი გურამია „ყველა დროის „პრობკას“...

მიიყვანა და ფარდულის კარი გაუღო (კიდევ კარგი, ბოქლომი არ ედო): სკამებიც არი და „სტოლიც“, დეისვენეთ, შეიძლება, მოსვლა დამიგვიანდეს, შეგიძლიათ მუშაობა დეიწყოთ, იარაღები აგერ აწყვიაო! — უთხრა მუშებს, ჩახტა მანქანაში და სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას...

არც იკითხავდა მოტყუებულების ამბავს, უბანში რომ არ დარხეულიყო ხმა:

— რავა მართალი ყოფილა, ქონება ქონებას ემეტებოდესო!.. „დაჩა“ რომ იყიდა ამ ჩვენმა მეზობელმა, სამი კაცი მისულა, ვინცხას დოუქირავებია, ვითომ პატრონის სურვილით, არადა არც უფიქრია ამის მსგავსი, ამიტომ იძახის — თავად განგება ჩეერია როგორც ჩემი, ისე იმ ალალი და პატიოსანი ხალხის საქმეშიო! დოუნგრევიათ ერთი კედელი, მეორე და არ გადმოვარდნილა ფეხსაცმელების ძველი ყუთი, შიგ „ჩაპაჩკული“ მწვანე დოლარებით?! ეტყობა, ძველ პატრონს ჰქონდა დამალული და ვერ მოასტრო გაქცევისას წაღება... თან, მპოვნელებსაც რომ არ მოსვლიათ აზრად წაღება და დამალვა?! იჟდენ თურმე, მშიერ-მწყურვალები და ელოდენ მიმსვლელს. ეს ჩვენი მეზობელიც შემთხვევით მისულა და დოუდვეს თურმე წინ დოლარებით სავსე ყუთი: რა ვქნათ, ამდენი ფული ვნახეთ, არ დაგვიჭირონო!..

— მაინც რამდონი ყოფილა თუ იცით, ფულის რაოდენობა?! — იკითხა თურმე ნერწყვგამშრალი ხახით და ჩავარდნილი ხმით კვაჭიმ.

— მაგას ჩვენ ვინ გაგვიმხელს?! ის ვიცით, რომ ის ხალხი გამოუწყვია, „დოუგრუზია“ დიდი მანქანა შაქრით და პურის ფქვილით, ფული ცალკე უჩუქებია და გოუსტუმრებია სოფლად. რავა ფიქრობ, თავისთვინ აფერს დეიტოვებდა?! — უპასუხეს აჭარხლებულ კვაჭის, რომელსაც ამ დროს შეტყობინება მოუვიდა მობილურ ტელეფონზე: ფულს თუ არ შემოიტან, ტელეფონი გაგეთიშებაო! — სამი დღის წინ მითვისებული 80 ლარიდან 60 მაღაზიაში ამოაცალა ვიღაცამ, ხორცის საყიდლად რიგში რომ ჩადგა...

— თუ კაცი ხარ, დოუძახე ბოვშვს, წყალი მეიტანოს, გული მაქ გლახათ! — შეეხვეწა ამბის მთხრობელ მეზობელს... ■

„ვერ ვიტყვი, ქალი რომ ხვალაღლა იტირის“...

ჩელეს ჯანმრთელი გოგონები მოსწონს

„პირველად 4 წლის ასაკში შემიყვარდა 22 წლის გოგო“ — ამბობს „ვეეობარი 2“-ის გამარჯვებული დათო გელაძე, მეტსახელად ჩელე. მას შემდეგ ის არაერთხელ ყოფილა შეყვარებული და ბევრი პაემანიც ჰქონია. როგორია ჩელე რეალურ ცხოვრებაში? როგორი გოგონები მოსწონს? ემზადება თუ არა განსაკუთრებულად პაემნისთვის? ამ და სხვა საინტერესო კითხვებზე თავადვე უპასუხებს.

ეკა მინდაძე

— პირველად 4 წლის ასაკში შემიყვარდა 22 წლის გოგონა. ის ჩემი ბიძაშვილის კურსელი იყო. მართალა ისე ძალიან მიყვარდა ის გოგო, რომ მისი გულისთვის თავსაც გავწირავდი. სერიოზულად ვიყავი გრძნობებში შეჭრილი, რაზეც უფროსები ხალისობდნენ ხოლმე.

— სკოლაში ბევრი გოგო მოგწონდა?

— სხვათა შორის, არ ვიცი რატომ, მაგრამ შეყვარებული არც ბაღში მყოლია და არც სკოლაში. ცეკვის წრეზე რომ დავდიოდი, იქ კი ნამდვილად შეყვარებული ვიყავი.

— შენი ინტერესი ალბათ კარგი ცეკვით დაიმსახურე, არა?

— ალბათ, მაგრამ მე მაინც დიდ მნიშვნელობას გარეგნობას ვანიჭებდი. ამიტომაც ანსამბლში ყველაზე ლამაზი გოგო ვინც იყო, სწორედ ის მიყვარდა.

— გოგონებზე სერიოზულად ფიქრი როდიდან დაიწყე?

— 16-17 წლისას თუ რომელიმე გოგო მომეწონებოდა, მასზე უკვე სერიოზულად ვფიქრობდი. მახსოვს, იმ პერიოდში ერთი გოგონა გავიცანი და ისე მომეწონა, რომ მის გამო მოსვენება დავკარე. თითქმის ყოველდღე ყვავილებს ვუძღვნიდი, მაგრამ ვერ ვბედავდი მისთვის სიყვარულის ახსნას. ერთ მშვენიერ დღეს, როგორც იქნა, გავბედე მისი ბარში დაპატიჟება და სიმართლის თქმა. იცი, იმ დროს რამდენი ვინერვიულე? ბარში დავსხედით თუ არა, ამოვიღე სიგარეტის კოლოფი და ღერს ღერზე ვეწეოდი. არადა, არც მაშინ და არც დღეს სიგარეტს არ ვეწევი, უბრალოდ ამას ნერვიულობის გამო ვაკეთებდი. ისე ვღელავდი, რომ გული გამალებით მიცემდა. არ ვიცოდი, მისთვის როგორ მეთქვა, რომ ძალიან მომწონდა. დღეს ამაზე ბევრს ვიცინი, მაშინ კი მართლა ვინერვიულე.

— პაემნისთვის როგორ ემზადები ხოლმე?

— დიდი ამბით (*იცინის*). აბა, როგორ შეიძლება, პაემანზე წასვლის წინ, წინასწარ არ მოემზადო?! თუ იმ ადამიანს ხვდები, რომელიც ძალიან მოგწონს, ბუნებრივია, შეეცდები, რომ თავი მოაწონო. მინდა, გავიხსენო ერთ-ერთი პაემანი, რომლისთვისაც საკმაოდ სერიოზულად ვემზადებოდი. უნდა შეეხვედროდი გოგოს, რომელიც ძალიან მომეწონა და მინდოდა, მასაც გასჩენოდა ანალოგიური გრძნობა. სპეციალურად იმ დღისთვის შევიჭერი თმა და გავიპარსე წვერი. საგულდაგულოდ შევარჩიე ტანისამოსი და სუნამოც.

— მერე როგორ განვითარდა მოვლენები?

— ჩვეულებრივად, მას შემდეგ ჩვენ ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით, მაგრამ დღეს ერთად აღარ ვართ.

— რომანტიკოსი თუ ხარ? გეხერხება ლექსების ან სასიყვარულო ბარათების წერა?

— რომანტიკოსი ვარ, მაგრამ ლექსის წერის ნიჭი არ მაქვს. აქედან გამომდინარე, არც ლექსი და არც რაიმე სასიყვარულო ბარათი დამიწერია ოდესმე.

— მესიჯების წერაც არ გიყვარს?

— მიუხედავად იმისა, რომ მესიჯი საუკეთესო საკონტაქტო საშუალებაა შეყვარებული ადამიანისთვის, მინდა გითხრა, რომ სასტიკად არ მიყვარს მესიჯების წერა. მირჩევნია, გოგოს დავურეკო და 10-15 საათი ველაპარაკო,

ვიდრე მესიჯები ვუგზავნო.

— ალბათ, შენი თაყვანისმცემ-ლებისგან ბევრი მესიჯი მოგდის...

— კი. რა თქმა უნდა, უამრავი მესიჯი მომდის, მით უფრო მას შემდეგ, რაც „ჯეიობარში“ გამოვჩნდი. მინდა, ყველას დიდი მადლობა გადავუხადო, ვინც მე მესიჯებს მწერდა და მწერს. თუ ვინმეს გწყინთ საპასუხო წერილს რომ არ წერთ, გთხოვთ, ამას გაგებით მოეკიდეთ.

— რა, თავს ხომ არ იფასებ?

— მე ამით თავს კი არ ვიფასებ, უბრალოდ, არ მიყვარს მესიჯების წერა და მეტი არაფერი! თავი რატომ უნდა დავიფასო, მე ხომ ისეთი არაფერი გამიკეთებია, რომ თავი დასაფასებელი მქონდეს?!

— ჩელე, მაინც როგორი გოგონე-ბი მოგწონს?

— ჯანმრთელი გოგონები მომწონს. მეგობრები დამცინიან ხოლმე, ჯანმრთელ გოგოს რომ ვამბობ, მაგრამ მართლა ასეა.

— ჯანმრთელ გოგოში რას გულისხმობ?

— ფერხორციან გოგონას. არ მომ-წონს ზედმეტად გამხდარი ან ზედმეტად მსუქანი გოგონები.

— ქერა გოგონები უფრო მოგ-წონს თუ შავგვრემნები?

— ორივე. რა მნიშვნელობა აქვს, ქერაა თუ შავგვრემანი. მთავარია, ლამაზი გოგო იყოს. პირადად მე, შავგვრემანიც მომ-წონებია და ქერაც. ჩემი აზრით, ქალი ქალური, ლამაზი, ქერაც შეიძლება იყოს და შავგვრემანიც.

— გარდა ამისა, როგორი უნდა იყოს ქალი?

— ჭკვიანი და ინტელექტუალური. არ მიყვარს ცანცარა და უჭკუო გოგონები.

— ბევრი მამაკაცი იმასაც ამ-ბობს, რომ ქალი ჭკვიანი არ უნდა იყოს. შენ რას ფიქრობ?

— მე არ ვეთანხმები მათ. სულელ ქალთან ურთიერთობას არავის ვურჩევ.

— დამეთანხმები ალბათ, რომ ბევრ გოგონას თავის დაფასება უყვარს. შენ თუ მოგწონს მათი საქციელი ანუ ქალი თამამი უნდა იყოს თუ მორიდებული?

— ჩემი აზრით, გოგო ჩაკეტილი არ უნდა იყოს. სრულიად არ მესმის იმ გოგონების, რომლებიც თავს იფასებენ. ბევრი გოგოსგან ვიცი, რომ მოსწონდათ ესა თუ ის ბიჭი, მაგრამ მაინც თავს იფასებდნენ. ამგვარი თავის დაფასება ნამ-დვილად სისულელეა. თუ მოგწონს, მიდი და უთხარი, არ მესმის რა საჭიროა დამალვა. ასეთი გოგონები ხშირ შემთხ-ვევაში, ბიჭებსაც მალე ჰბეზრდებათ.

— ოდესმე, რომელიმე ჰოლი-ვუდელი ლამაზმანი თუ ჩაგვარდ-ნია გულში?

— ეკრანზე ბევრი ქალი მომწონებია, მაგრამ უმეტესობას დიდ პატივს ვცემ, როგორც პროფესიონალს. ისე, როგორც ქალი, ძალიან მომწონს კამერონ დიასი და ანჯელინა ჯოლი.

— ასაკით შენზე უფროსს თუ მოიყვან ცოლად?

— ამაზე ჯერ არ მიფიქრია, მაგრამ თუ ვინმე შემიყვარდება, ასაკის გამო უკან არ დავიხევ. მე ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. მთავარია, ერთმანეთი გვიყვარდ-ეს.

— განათხოვარ გოგოს თუ მოიყვან ცოლად?

— მიუხედავად იმისა, რომ ტრა-დიციების მოყვარული ვარ, მე ამგვარ რამეს ყურადღებას არ ვაქცევ. ბევრის-გან მსმენია, განათხოვარ გოგოს სახლში ვერ შევიყვანო. ეს დიდი სისულელეა. არავინ იცის, ცხოვრებაში რა ელის, იგივე შეიძლება დაემართოს შენს დას, ნათე-სავს ან ახლობელ გოგონას. მთავარია, თავიდანვე ერთმანეთს გული გადაუშა-ლონ და საიდუმლოდ არაფერი დარჩეს. თუ ის გიყვარს, მისმა წარსულმა მასთან არ უნდა დაგაშოროს — წარსულში ჩადენილი შეცდომის გამო ვერ დავი-წუნებ.

— ქალში ყველაზე მეტად რას ვერ იტან?

— ხმამაღლა სიცილს. გარდა ამისა, ვერ ვიტან, როცა გოგონა მეტლიკინება. ქალი უნდა იყოს ქალური, ნაზი და არა ძველბიჭური.

— შენი აზრით, რა არის სიყ-ვარული?

ჩემი ცოლი თუ კარგი მზარეული არ იქნება, იმ დღესვე ოჯახი დაგვენგრევა

— სიყვარულია, როცა ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარს და ჰგონიათ, რომ მსოფლიოში ყველაზე მაგრები და ბედ-ნიერები არიან.

— ოდესმე თუ გიმღერია გოგ-ონასთვის სერენადები ფანჯრის წინ?

— არ მიმღერია, მაგრამ ბევრჯერ მი-ფიქრია ამაზე. ალბათ მომავალში ამასაც გავაკეთებ.

— ჩელე, საშუალება რომ გქონდეს, რა ძვირფას საჩუქარს მოუმზადებდი შენს შეყვარებულს?

— ძვირფასი საჩუქარი ბევრია. მა-გრამ მაინც, დიდი სიამოვნებით ვაჩუქებ-დი კარგ მანქანას. ვიცი, რომ ეს ყველა ქალს ძალიან გაუხარდება.

— ალბათ, ამიტომაც გოგონებ-ის უმეტესობა ცდილობს, ისეთ მამაკაცთან ჰქონდეს ურთიერთობა, რომელიც მატერიალურად უზრუნ-ველყოფილია.

— ასეთ გოგონებთან ურთიერთობაც არ მსურს.

— კი, მაგრამ დამეთანხმები, ალბათ, რომ პირველ რიგში მთა-ვარია, ოჯახი მატერიალურად უზრუნ-ველყოფილი იყოს.

— რა თქმა უნდა, გეთანხმები. მამაკა-ცი, როცა ოჯახის შექმნას დააპირებს, მატერიალურად ნამდვილად უზრუნველყ-ოფილი უნდა იყოს. ბევრი მამაკაცი ამის გამო კომპლექსდება და მიაჩნია, რომ თუ ფული არა აქვს, გოგოს არ უნდა შეხედოს, იმიტომ, რომ იმ გოგოსაც ფულიანი ბიჭებისკენ გაურბის თვალი. ასე არ შეიძლება. არავინ იცის, ცხოვრე-ბა ვის რას უმზადებს. ნათქვამია: „დრო-ნი მეფობენ და არა მეფენი“. შეიძლება ისე შეიცვალოს, რომ ფულიანი უფულო გახდეს, უფულომ კი ფული იშოვოს. ამრიგად, ადამიანი ფულით კი არა, ად-ამიანობით ფასდება. ფული შეიძლება იშოვოს, მაგრამ ადამიანობას ვერ იშო-ვის.

— შენი აზრით, აუცილებელია, რომ ქალი კარგი მზარეული იყოს?

— აბა რა, ჩემი ცოლი თუ კარგი მზარეული არ იქნება, იმ დღესვე ოჯახი დაგვენგრევა (*იცინის*). ის უნდა ამზადებ-დეს გემრიელ კერძებს. ამრიგად, ჩემი ცოლო, არ ვიცი, სად ხარ და როგორი ხარ, მაგრამ თუ ჯერ არ იცი კერძების მომზადება, გირჩევ, აიღო რეცეპტების წიგნი და ისწავლო.

— კიდევ რა უნდა იცოდეს შენმა მომავალმა მეუღლემ?

— რა ვიცი, ყველაფერი უნდა იცოდეს. მეხანძრესავით უნდა იყოს, როცა დამ-ჭირდება, უცებ უნდა მოაგვაროს საქმეე-ბი.

— გოგონების მიმართ ყურა-დღებიანი ხარ?

— მგონი, კი. თუმცა გოგონები ხშირ-ად უყურადღებობაში მადანაშაულებენ, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ცდებიან. უფრო მეტიც, ძალიანაც ყურადღებიანი ვარ.

— დაბოლოს, რას ურჩევდი ბიჭებს, რომლებიც პაემანზე პირვე-ლად მიდიან?

— ბიჭებს ვურჩევდი პირველსავე პაე-მანზე ბუნებრიობას. იყავით ისეთები, როგორებიც ხართ. არაბუნებრივად ნუ მოიქცევით. რა საჭიროა, ნიღბის გა-კეთება და თამაში. ადრე თუ გვიან, თქვენს ნამდვილ სახეს მაინც გამოამჟღავნებთ და ჯობია, თავიდანვე ისეთი იყოთ, როგო-რიც საერთოდ ხართ. დაბოლოს, ეცა-დეთ, ქალის მიმართ ყოველთვის ყურა-დღებიანები იყოთ.

M K

ჟურნალის საჭარჭელო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეცეთ თვალი.

1. ვის ეძახიან ინგლისის მუსიკალურ წრეებში სათვალიან კარტოფილს?

2. „მე ახლა მთის წვერზე ვდგავარ. მალე ქვიშიანი ბორცვების ქვეყანაში დავეშვები (იგულისხმება სიკვდილი) და როდესაც ჩემი შვილი ჩემს კვალს გამოჰყვება, აღარავინ დარჩება მოჰიკანთა ტომიდან. ჩემი შვილი...“ დაასრულეთ ჩინგაჩგუკის ცნობილი მონოლოგი.

3. რა არის აბსტინენცია?

4. რომანი — „ქალი კამელიებით“, ალექსანდრე დიუმა-უმცროსმა მოგვიანებით პიესად გადააკეთა და „მარგარიტ გოტიე“ უწოდა. რომელი მუსიკალური ნაწარმოები შეიქმნა ამ სიუჟეტზე?

5. ერთხელ მოსკოვში კახი კავსაძეს ჰკითხეს — საქართველოში როგორ ცხოვრობთო? „ხუჟე, ჩემ ვ მასკვე, ი ლუჩშე, ჩემ...“ — დაასრულეთ ბატონი კახის სიტყვები.

6. სად და როგორ დაიღუპა მიხეილ ხერგიანი?

7. ეს ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლი ლათინურ ენაზეც არის თარგმნილი.

8. საბჭოთა პერიოდში, მოდების ამ ჟურნალის რუსული ვარიანტი გერმანიაში, 100000-იანი ტირაჟით იბეჭდებოდა. ეს ჟურნალი 5 მანეთი ღირდა და თავისუფალ გაყიდვაში არასდროს ყოფილა.

9. „ანა აკაზივაეტ პრედპაჩტენიე მნე...“ — ეს სიტყვები წარმოთქვა უკანასკნელად ანდრეი მირონოვმა. რა ვითარებაში გარდაიცვალა იგი?

10. მათ დაცინვით ციურიხელ გნომებს ეძახიან.

11. ერთხელ ჰიტლერს ასეთი ფრაზა წამოსცდა: „წარმოიდგინეთ ცათამბჯენები და ბომბები... რა სილამაზეა!..“ რას გულისხმობდა იგი?

12. ამ ქვეყანას უინსტონ ჩერჩილი ევროპის დაუცველ მუცელს ეძახდა.

13. სანამ პეტერბურგში მოხვდებოდა და სამეფო კარს დაუახლოვდებოდა, გრიგოლ ექვთიმეს ძე ნოვიხი ერთ-ერთ სექტაში იყო გაერთიანებული, სადაც აღვირახსნილი ცხოვრების გამო ეს სახელი დაარქვეს. ამ სახელითვე შემორჩა იგი ისტორიას.

14. რა ჰქვია ქართულად პარფიუმერიას?

15. ეს რუსი მწერალი თეირანში, რელიგიური ფანატიკოსების მიერ რუსული მისიის დარბევის დროს დაიღუპა. ამ ინციდენტის შემდეგ, ირანის შაჰმა გამოსასყიდი ძღვენის სახით რუსეთის მეფეს 88,7-კარატიანი ალმასი გაუგზავნა.

ანეკდოტები

***

ცოლ-ქმარი თეატრშია. ქმარი:

— სიხარულო, მოხერხებულად ზიხარ?

— ძალიან.

— კარგად ხედავ?

— გადასარევად.

— არავინ გეფარება?

— არა.

— მაშინ, გამიცვალე ადგილი!

***

— მე წესიერი ადამიანი ვარ: არც ვსვამ, არც ვეწევი, არც ცოლს ვღალატობ, დილის რვა საათზე ვდგები და საღამოს ცხრაზე უკვე ვიძინებ, მაგრამ ამ ყველაფერს ბოლო მაშინ მოეღება, როგორც კი ციხიდან გამოვალ.

***

— ძვირფასო, ვგავარ იდეალურ ქალს?

— არა, შენ უფრო მეტი ხარ!..

— რამდენად მეტი ვარ?

— ასე, 50 კილოთი!

***

— სარა, თქვენმა მოშემ წინა შაბათს გოგო გააუპატიურა!

— რაო, შაბათ დღეს ეს როგორ გაბედა!

***

— რატომ გადაწყვიტე სტიუარდესობა?

— იმიტომ, რომ ცაში შეიძლება ბევრ მამაკაცს შევხვდე.

— მიწაზე ვერ შეხვდები?

— ცაში უფრო საიმედოა — დაბმულები არიან და თანაც ვერსად გაიქცევიან.

***

— ჭიჭიკია, წინ რომ ოქროს კბილი გქონდა, რა უყავი?

— ბიჭიკიას ვათხოვე, გუშინ ქორწილში მიდიოდა.

***

80 წლის კოვბოი თანამედროვე ბარში ახალგაზრდა ქალს კერავს.

— ტყუილად კარგავ დროს, მე ლესბოსელი ვარ, — ეუბნება ქალი.

— ეგ რაღას ნიშნავს?

— რა და დღე და ღამე ლამაზი ქალები მელანდება, მათ გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. შენ ვინ ხარ?

— რა ვიცი, 80 წელი თავი კოვბოი მეგონა, თურმე, მეც ლესბოსელი ვყოფილვარ.

***

— ჩემი მეგობარი გოგო დაწყებითი კლასების მასწავლებელია.

— მერე რა?

— რა და შემიკლა ხელში: „კოცნის დროს ენას ნუ აწკლაპუნებ, მხრებში გასწორდი, ტანსაცმელს რომ გაიხდი, უნდა დაკეცო და სკამზე ისე დადო, საწოლში ბევრს ნუ ხმაურობ. მორჩა, დაჯექი, ოთხიანს გიწერ!“

***

განცხადება: კეთილი ადამიანების საყურადღებოდ: გავაჩუქებ კატის კნუტს. იცოდეთ, თუ არავინ მოაკითხავს, დავახრჩობ.

***

განცხადება: გოგონებო, თუ თქვენი ფიგურა არ მოგწონთ, მოგვმართეთ ჩვენ! ჩვენ მოგვეწონება!

C M Y K

***

კაცი აფთიაქში შევიდა და გამყიდველს თავის ტკივილის წამალი სთხოვა. ფული მიაწოდა და აბი იქვე, უწყლოდ გადაყლაპა. მადლობა გადაიხადა და ქუჩაში გამოვიდა. ცოტა ხანში ზურგს უკან ხმა შემოესმა:

— მოქალაქეე, მოქალაქეე, მოიცადეთ! თავის ტკივილის წამლის მაგივრად შეცდომით დარიშხანი მოგეცით.

— კი, მაგრამ, როგორ, მე რომ ვერაფერს ვგრძნობ?

— ჰოდა ჩქარა, სანამ რამეს იგრძნობდეთ, ოთხი ლარი და ორმოცდაათი თეთრი გადაიხადეთ!

***

მოსაზრება: თვეები რომ ასეთი გრძელი არ იყოს, ხელფასები ასე პატარა არ მოგვჩვენებოდა.

***

ორი ლოთის საუბარი არყის მაღაზიაში:

— რამდენი ავიღოთ?

— ალბათ, ორი.

— ორი რა ამბავია, ერთი გვეყოფა.

— ერთი მარტო მე მინდა.

— რა გჭირს, რამ გაგაღორა?!

— კარგი, ჯანდაბას, იყოს ერთი.

— ქალბატონო, ოთხი ბოთლი არაყი და ერთი პეჩენია მოგვეცით.

***

მიხომ თავის ექვსი წლის ბიჭს დაუძახა და აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებას შეუდგა.



— შვილო, შენ უკვე დიდი ხარ და სერიოზულად უნდა გელაპარაკო. უკვე უნდა იცოდე, როგორ ჩნდებიან ბავშვები ქვეყნად.

— ეგ არი, რა, სამი წლისამ გავიგე, რომ თოვლის პაპა არ არსებობს, ოთხისამ — ჯუჯების ამბავიც რომ გამოგონილი ყოფილა. ხუთი წელი შემისრულდა თუ არა, ეგრევე მომახალეთ, კუდიანი დედაბრებიც მეზღაპრეების მოგონილიაო. ახლა თუ ისიც მითხარი, სექსიც არ არსებობსო, რაღად მინდა სიცოცხლე?!

***

დედა შვილს ციხეში სწერს: „შვილო, ძალა აღარ მაქვს, ბოსტნისთვის ხელი აღარ მომიკიდებია, მიწის დამუშავება აღარ შემიძლია, ამიტომაც ვერაფერი დავთესე. რა ვქნა, აღარ ვიცი“. შვილი პასუხობს: „დედი, ბოსტანს არ მიეკარო, თორემ ისეთ რამეს ამოთხრი, ინანებ“. დედა: „შენი წერილი როგორც კი მოვიდა, ჩვენს ბოსტანს პოლიცია დაესია და სულ გადათხარა. ვერაფერი ნახეს და გაბრაზებულები წავიდნენ“. შვილი: „რითიც შემეძლო, დაგეხმარე, დათესვა შენზეა“.

***

— შენ თუ იცი, ჯემალა ქალებს როგორ აბამს?

— არა.

— შევა ხოლმე ბარში ან რესტორანში, რომელიმე ქალს თვალს დაადგამს, მერე გვერდით მიუჯდება და ეუბნება: იცით, სინამდვილეში მე ასეთი მაღალი როდი ვარ, უბრალოდ, ამწუთას ჩემს საფულეზე ვზივარ.

***

— ბოლოს და ბოლოს, ქალთევზა ქალია თუ თევზი?

— გააჩნია, მაძღარი ხარ თუ მშიერი...

***

— თამუ, საიდან მოდიხარ?

— სილამაზის სალონიდან.

— შესვენება იყო?

ჯერნალის საკანონიერი

„ეზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ელტონ ჯონს.
2. „...უკანასკნელი მოჰიკანია“.
3. სამედიცინო ენაზე ე.წ. „ლომკას“ აბსტინენცია ჰქვია.
4. ოპერა „ტრავიატა“, რომელიც ჯუზეპე ვერდიმ შექმნა.
5. „...ვ რასი“.
6. 1969 წელს იტალიაში, მწვერვალ სუ-ალტოზე ასვლისას ხერგიანი ქვათაცვენაში მოყვა, თოკი გადაეჭრა და ისე დაილუპა. იგი მესტიაში გადმოასვენეს და იქვეა დაკრძალული.
7. „შუშანიკის წამება“.
8. „ბურდა“.
9. მირონოვი 46 წლის ასაკში, 1987 წელს, სპექტაკლ — „ფიგაროს ქორწინების“ თამაშის დროს, სცენაზე წაიქცა და გარდაიცვალა.
10. ამ სახელით შვეიცარიელ ბანკირებს მოიხსენიებენ (გნომებს ხომ მიწისქვეშ არსებული აურაცხელი სიმდიდრის მფლობელებად და დარაჯებად მიიჩნევენ).
11. ნიუ-იორკის შესაძლო დაბომბვას.
12. იტალიას.
13. რასპუტინი.
14. ინანთეული.
15. ალექსანდრე გრიბოედოვი.

უკომენტაროდ

veluri wablis xeivani

„pantera“

დასაწყისი იხ. „გზა“, №24-40

მაგა ვაჩნაძე

თაზო და მისი ტელეჟურნალისტი ცოლი ანი დროებით თაზოს მამასთან, გაიოზთან და მის ქალიშვილ ნუციკოსთან ცხოვრობენ. გაიოზსა და მის შვილებს ერთმანეთთან საკმაოდ გულგრილი ურთიერთობა აქვთ. გარდა ამისა, ის ეჭვობს, რომ ქმართან გაყრილ და მარტოხელა დედად ქცეულ ნუციკოს საყვარელი ჰყავს. ეს მართლაც ასეა: ახალგაზრდა ქალის საყვარელი, მასზე ბევრად უფროსი ასაკის კაცი — ბიზნესმენი ლევან იაშვილია.

ქმრის ბინაში გადასვლის მეორე დღეს, ტელესტუდიაში მყოფი ანი საინფორმაციო პროგრამიდან შეიტყობს, რომ ლევან იაშვილი დილით მკვდარი იპოვეს და გადაწყვეტს, ჟურნალისტური გამოძიება ჩაატაროს. მთავარ რედაქტორთან ამ საკითხის შეთანხმების შემდეგ, ანი ტელეოპერატორ ვასიკოსთან ერთად, გამომძიებელ მურად ოქროპირიძეს მიადგება.

— ეს ხომ არ მუშაობს, ბიჭო, რომ მომიშვირე ეს ცხრამეტკალიბრიანი ლულა?.. — გამომძიებელმა კამერაზე მიუთითა ვასიკოს.

— არა, როგორ გეკადრებათ, გამორთულია, ა, ბატონო, აქეთ მოვატრიალებთ... — და ვასიკომ კამერა მიატრიალა.

— რა ვიცი, რამე ისეთი რომ წამომცდეს და მერე თქვენ სიტყვაზე დამიჭიროთ... — და ანის მიმართა. — აი, თქვენ დანაშაული ახსენეთ და მე მგონი, ამ საქმესთან დაკავშირებით, ასეთი სიტყვა საერთოდ არ თქმულა... არა, თვითმკვლელობაც დანაშაულია, სხვათა შორის, და კანონითაც არის ნამდვილად, ეს სასჯელი გათვალისწინებული, თუ ცოცხალი გადარჩა კაცი, რა თქმა უნდა. მაგრამ მე მაინც ვერ გავიგე, თქვენ რა გაინტერესებთ კონკრეტულად?

— ნუ, რა უნდა მაინტერესებდეს, ბატონო...

— მურადი... — წაეშველა გამომძიებელი ანის.

— ბატონო მურად! მაინტერესებს, ნამდვილად თავი მოიკლა ამ კაცმა თუ მოკლეს, სხვა რა?!

მურადი სკამის საზურგეზე გადაწვა და მარჯვენა მტევნის არათითზე გაკეთებულ ოქროს ბეჭედს დაუწყო წვალება.

— მკვლელობის მოტივი აბსოლუტურად გამორიცხულია, ეგ თავიდან ამოიგდეთ, თორემ, იაშვილი იმხელა პიროვნება იყო, მანდ რომ იოტისოდენა ხელმოსაჭიდი გვქონოდა რამე, საქმეს დავხურავდით? ასეთ შანსს ხელიდან როგორ გავუშვებდით?!.

— საქმე უკვე დახურულია? — წამოხტა სკამიდან ანი. — გუშინ კაცი მოკვდა და დღეს საქმე დახურეთ?

— ნუ, ფორმალურად არ არის დახურული, მაგრამ თუ ყველა მიზეზი გამოირიცხა და თუკი არ არსებობს არავითარი სამხილი, თავისთავად დაიხურება, თავდაყირაც რომ დავდგე, მე რას ვუშველი, ვუშველი რამეს? — გაიკვირვა მურადმა.

— სამაგიეროდ, ჩვენ გვაქვს სამხილი, — თქვა ანიმ და მურადს თვალი თვალში გაუყარა.

— ოჰ, კარგი ერთი, რა, არ გინდათ ეს ზღაპრები... — გამომძიებელს ირონიულად გაეცინა.

— რა ზღაპრები! — ანი გაცხარდა. ფეხი ფეხზე გადაიდო და ლამის კაბა წამოიხადა. „ვა, რა კაი „ლიაშკები“ აქვს!“ გაიფიქრა მურადმა. — ზღაპრებს და იგავებს თქვენ უყვებით ხალხს, თორემ ჩვენ ნამდვილი სამხილი გვაქვს, მაგარი ხელჩასაჭიდი! — მკაცრად წარმოთქვა ანიმ და წელში გასწორდა, რადგან ასე ბევრად კარგად იკითხებოდა, მისი ორი მრგვალი ძუძუს პლუსები და მურადმაც დიდი გაჭირვებით მოსწყვიტა მისი ღია მკერდის ღარს თვალები.

— თქვენ ისეთი დარწმუნებული ლაპარაკობთ, თითქოს მკვლელობის მომენტი ფირზე გქონდეთ გადაღებული... — ჩაილაპარაკა მან და ისევ მის ბარძაყებს „დააცხრა“. ანიმაც, ვითომ კაბა გაისწორა.

— მკვლელობის მომენტი რომ გვქონოდა გადაღებული, აქ კი არ მოვიდოდით, მივცემდით პირდაპირ ეთერში და დავუსვამდით წერტილს... — გვერდზე გაიხედა ანიმ.

— კაი, რა, გენაცვალე, ისე მელაპარაკები, თითქოს ყველა ტელემაუწყებლობის გენერალური დირექტორი იყო. ჩვენ ყველაზე „მხეცი“ ექსპერტები ჩავრთეთ ამ საქმეში და მაინც ვერაფერს მივაკვლიეთ და თქვენ რა გაქვთ ისეთი, აღარ იტყვით? — მიაშტერდა ორივეს მურადი.

— ვიდეომაგნიტოფონი გაქვთ? — იკითხა ანიმ.

— მე? არა, — უპასუხა მურადმა.

— არც თქვენს უფროსს? ან ვინმეს, სხვას... — არ მოეშვა ანი.

— ჯერ მე თუ არ ვნახე და არ გავერკვიე, უფროსთან რა მინდა, ზღაპრები მოვუყვე? — მხრები აიჩეჩა მურადმა.

— მაშინ ჩვენთან ერთად უნდა წამოხვიდეთ, — უთხრა ანიმ.

— სად? — იკითხა მურადმა.

— სტუდიაში... ფირი რომ გაჩვენოთ... — უპასუხა ანიმ.

— და რა გაქვთ მაგ ფირზე გადაღებული, არ გამაგიჟოთ, ხალხო! — შეიცხადა მურადმა.

— ის, რომ ლევან იაშვილმა თავი კი არ მოიკლა, მოკლეს... — მოკლედ მოჭრა ანიმ. მერე, რატომღაც, ორივე ძუძუ მოიჭყლიტა ხელებით, რის გამოც მურადს ოდნავ შეაჟრჟოლა.

— მე სადღაც ერთ საათში გავთავისუფლდები, დაიცდით? — იკითხა მან.

— მაშინ, იცით, რა? ჩვენ წავალთ და თქვენ მობრძანდით. საშვი დაშვებული იქნება, ხომ იცით, როგორ უნდა მოგვაგნოთ? — ახლა ბარძაყები მოისრისა ხელებით ანიმ, რაზეც მურადი ისევ წამოენთო, მერე მზერა მაგიდის მინის ქვეშ ამოდებულ ფურცელზე გადაიტანა და რაღაც წარწერას დაადო თითი.

— მესამე სართული, ოთახი სამას შვიდი, „ელიტქრონიკა“. ხომ ეს არის? — იკითხა მან.

— დიახ, არ გემშვიდობებით, მაშინ, გელოდებით.

ანი და ვასიკო წამოდგნენ. მურადმა კი საათზე დაიხედა.

— ახლა პირველის ნახევარია, ზუსტად ორის ნახევარზე თქვენს განკარგულებაში ვარ.

— მაშინ, დროებით! — თვალებით რაღაც იმნაირი თანხმობის ჟესტი გამოხატა ანიმ, რომელიც მამაკაცს იმწამსვე ინტიმზე აფიქრებინებს და კარი გაიკეტა.

„ეს, მგონი, კაი ჩიტი დავიჭირე“, — გაიფიქრა მურადმა და რამდენიმე წუთით ბრიყვივით მიაშტერდა ერთ წერტილს.

როგორც კი პოლიციის შენობიდან გამოვიდნენ, ვასიკო იმწამს ანის მიუბრუნდა.

— რა ყველაფერი წინასწარ გადმოუწყვე, რა საჭირო იყო?

— ოჰ, გამომიხვედი, რა, შენც... იმიტომ, რომ თავიდანვე უნდა მიაყენო კედელთან... აი, ეს არის ასპროცენტიანი მკვლელობა და თქვენ „პროსტა“ აჩმახებთ... თორემ, თუ ახლა ჩვენ ამათ „ვაკრუგ და ოკოლო“ ვუარეთ... ეე, ვასო, მე შენ გასწავლი, ფოკუსი როგორ დაიჭირო ან დიაფრაგმა რა ზომაზე დააყენო? ჰოდა, შემეშვი რა! ახლა რა ვქნათ?

— სტუდიაში არ მივდივართ?

— შენ წადი და მე სადღაც ნახევარ საათში მოვალ, საქმე მაქვს... — თქვა ანიმ და ჩანთიდან სარკე ამოიღო.

— კაი... — თქვა ვასიკომ და ტაქსის ხელი აუწია. მანქანა გაჩერდა. ვასოც ჩაჯდა და წავიდა.

ანიმ თმა გაისწორა, სარკე ჩანთაში ჩააგდო და გზა ფეხით განაგრძო. თან მაღაზიების ვიტრინებში საკუთარ თავს აკვირდებოდა.

ანიმ ტელევიზიის ვესტიბიული ჩქარი ნაბიჯით გადაჭრა, სწრაფად აირბინა კიბე და საგრიმიოროში შექანდა. სამწუხაროდ, სკამი დაკავებული დახვდა. დარეჯანი ეჯდა და საშა მას თავს ულამაზებდა.

— აქ კიდევ სულ დაკავებული უნდა იყოს ეს სკამი?! — მოურიდებლად გამოაცხადა ანიმ.

— მალე მოვრჩები... — ჩაილაპარაკა საშამ, ისე, რომ თავი არ აუწევია.

— ცოტა ჩქარა, რა, ძალიან გეხვეწები... — ყელი გამოუწია ანიმ.

ამის გამო, სკამზე მჯდომი დარეჯანის თავი „აფეთქდა“.

— რას ნიშნავს — ცოტა ჩქარა, ანი? საშა, შენც რა? მე აქ „პრობკა“ ვარ თუ „პროპოშნიკი“? მე, ბიჭო, მთელი დღე ეთერში ვზივარ და ეს თვეში ერთხელ თუ გამოაჭყიტეს ეკრანიდან, მადლობა უნდა თქვას...

— ოჰ, დედას გაფიცებ, დარეჯან! მთელი დღე ეთერში ზიხარ? ნუთუ მართლა? დიდი ხანია? — მიჰბაძა დარეჯანს ანიმ.

— არც ისე... — ირონიულადვე უპასუხა დარეჯანმა.

— ოჰ, კარგით, რა! აი, რა დამემართა... — თქვა საშამ და სავარცხლიანი და მაკრატლიანი ხელები მაღლა ასწია.

— რა დაგემართა? გამომაჭერი? — გადაირია დარეჯანი, თავი ასოთხმოცი გრადუსით შეაბრუნა და სარკეში დაინახა გამოჭრილი ადგილი. ღმერთო ჩემო, რამხელაზეა!.. — ბღავილით წარმოთქვა მან.

— ჩემი ბრალია? — თავი იმართლა საშამ.

— „ნაჭერ-ნაჭერ ღრუბელი მოდის, მაღლა ციდანა, დაბეჭდილი წერილი მომდის საყვარლისგანა“... — წაუღიღინა ანიმ.

— ოჰ, გაგიხარდა, არა? ამღერდი, არა? — ლამის დასაბმელი გახდა დარეჯანი.

— რატომ უნდა მწყენოდა, რა? — მხრები აიჩეჩა ანიმ.

— საშკა, შენ იცი, რომ შენამდე ამ საგრიმიოროში ერთი ცხრა „პარიკმახერში“ მაინც გამოიცვალა?.. — ისევ საშას მიუბრუნდა დარეჯანი.

— მე სტილისტი ვარ, — თქვა საშამ.

— ჰოდა, რა მიყავი ეს, ტო! — წამოხტა და ორივე ხელით თმა აიწეწა დარეჯანმა. — როგორ გავიდე, ხალხო, ამ თმით გარეთ, ამ თავით დავჯდე ეთერში? ამ თავით?

— მდაა, „უმნიე ვოლოსი დურნომუ გოლოვუ დასტალოს“... — გააგრძელა დაცინვა ანიმ.

— რა სისულეებს როშავ შენ კიდევ, ანი ხარ თუ თეკლა, მოკეტე, რაა, ძალიან გთხოვ! ჰო, ჰო, ადგები და ამ თმას თავის პირვანდელ სახეს დაუბრუნებ, გაიგე? — ისევ საშას მიუბრუნდა დარეჯანი და შავი, მსხვილი წარბები ერთმანეთს მიატკუცა.

— რას ნიშნავს — პირვანდელი სახე? მოჭრილი თმა უკან მივაწებო? — განცვიფრდა საშა.

— საშკა, ჩამოგიტანო წებო? სცადე, იქნებ მართლაც მიწებდეს, ცდა ბედის მონახევრეაო, ამბობენ... — კაიფობდა ანი.

— ასე, ხომ? — წამოფრინდა სკამიდან დარეჯანი. მოიხსნა ყელიდან წინსაფარი და პირდაპირ სახეში მიათხლიშა საშას. — ახლა მე ამ თმით ავალ გენერალურ დირექტორთან და ვინ ვის დასცინებს, მაგასაც ვნახავთ. ჰო, ჰო, იცინის ის, ვინც ბოლოს გაიცინებს... შენ კიდევ, ასე რომ „გაგულავდი“, ანი ხარ თუ ბანი, შენ არ იყავი, პირველად რომ მოხვედი, კატების ნათრევს რომ ჰგავდი?!

— არ გინდათ, რაა! — სცადა დარეჯანის დაშოშმინება საშამ.

— შენ კიდევ, საშა ხარ თუ ჟოზეფინა, მოკეტე, რაა! — დარეჯანმა ჩანთა აიღო და ტყვიასავით გავარდა კარში. ანი კი გამოთავისუფლებულ სკამზე შესკუპდა.

— აუ, საშკა, რა მაგრად გაასწორე, მოდი, რა, ერთი უნდა ჩაგპროშნო. — ჰაეროვანი კოცნა დაირტყა საშამ.

— კაი, რა, ეგ ახლა ნიშადურამოსმულივით მთელი კვირა წინ და უკან ირბენს, ტვინი უნდა შეჭამოს. რა გაუძლებს ამდენ გიჟს?!. — სინანულით თქვა საშამ. — ყველა გიჟია სათითაოდ, ჰო, ჰო, თავისებური გიჟი, დედას გეფიცები. ნერვები სულ ასე „სტრუნებივით“ მაქვს დაჭიმული, ერთხელ მეც გავუფრენ სულყველას და მერე მდიონ... შენ რა ქენი, მოიფიქრე, როგორ გავკრიჭოთ?

— საშკა, მაგარი „სტრელკა“ მაქვს, რა... ძალიან მაგარი და მაგრად მინდა გამკრიჭო, რა! — შეეხვეწა, ანი.

— მაშინ, მოდი, ჩავკუწოთ, ავჭრათ და დავაუთოოთ, მოსულა? — ურჩია საშამ.

— „დავაი“! — თქვა ანიმ და ბედს დამორჩილდა.

საშა ერთხელ კიდევ ყურადღებით დააკვირდა ანის თმას და მაკრატელი აკრიჭინა.

ნიკო თავის სკამზე იჯდა და მუშაობდა. ოთახში ვასიკო შემოვიდა. ნიკოს არც მისალმებია. კამერა მაგიდაზე დადო. ამოიღო ჩანთიდან გაზეთი, გაშალა და კითხვა დაიწყო. ამის შემხედვარე ნიკო მთლად გადაირია, წამოუხტა ვასიკოს და ყვირილი მორთო, თან ხელებსაც იშველიებდა.

— შენ კიდევ, შვილო, მეტი წასაკითხი ადგილი ვერსად ნახე?! არ მომიწყო აქ, საჯარო ბიბლიოთეკა?!

— მოხდა რამე? — ბრინჯივით დაიბნა ვასიკო.

— რომ არაფერი მომხდარიყო, მაშ, რა ამაყვირებდა დამდუღრულივით ამ დილაადრიან?! — ისევ გადაირია ნიკო.

— და რა მოხდა მაინც ისეთი? — გაიმეორა ვასიკომ.

— გვშლიან, რედაქციას შლიან... ახალი სახეები დამანახვეთო, ახალ შეფს უბრძანებია.

კარი გაიღო და ოთახში მაგრად ჩაზმანული ანი შემობრძანდა.

— ვა, ეს „მაინჩ, ტო“! ეს რა „შიკ და ბლესკში“ გამოგვეცხადე, სიმონ, შენა ხარ თუ სხვა ხარ, ტო?! აი, ბატონო, ახალი სახე! — მიუთითა ნიკოს ვასიკომ ანიზე.

ხოლო თვითკმაყოფილი ანი, სავარძელში ამაყად ჩაჯდა და ფეხი ფეხზე ისე გამომწვევად გადაიდო, ლამის უკანალიც გამოაჩინა.

— გადაიღეთ ქალაქის პრემიერი? — საქმეზე გადავიდა გაბრაზებული ნიკო.

— თვითონ პაატა — არა, გაგვასწრო პაატამ, არ დაგველოდა. გელა ჩავწერეთ და ლოლამაც მოახერხა რაღაც... ერთი

ხუთწუთიანი წყალწყალა სიუჟეტი გვაქვს... პაატა გველოდება მერიაში სამ საათზე და იმასაც ჩავწერთ, ლოლა პირდაპირ იქ მოვა... — მოახსენა ანიმ.

— რედაქციაში არ უნდა მოსულიყო? ვერ გავიგე რა! ვისაც როგორ უნდა ისე დასეირნობს... უნდათ, მოვლენ... არ უნდათ, არ მოვლენ... — ჩაფიქრდა ნიკო.

— რა მნიშვნელობა აქვს, რომ?.. თქვენ არა თქვით, გვშლიანო? — თქვა ვასიკომ.

ამის თქმა იყო და ანი სკამიდან წამოფრინდა და სულ თითის ქნევით მიაყარა ნიკოს:

— ვიცოდი, ვიცოდი, რომ მაინც დაგვშლიდნენ, თქვენი ბრალია ყველაფერი, თქვენი! ვიცოდი, ვიცოდი, რომ ყველანი ჩასაფრებული იყვნენ!..

ამ დროს კარი გაიღო და რედაქციაში თავი მურად ოქროპირიძემ შემოყო.

— „ელიტქრონიკის“ რედაქცია ეს არის, ხომ? — იკითხა მან და იქ მყოფთ დააკვირდა.

— დიახ! — დაასწრო სხვებს პასუხი დაეჭვებულმა და შეშინებულმა ნიკომ.

— დღეს ჩემთან თქვენი ჟურნალისტი იყო... — მურადი ანის დაუკვირდა, მაგრამ ვერ იცნო.

— დიახ, დიახ, მე ვიყავი... — გაეკეკლუცა იმწამს ანი.

— თქვენ? — მურადი ცოტა დაეჭვდა. — აააა!

— და მე... — ფეხი ფეხზე შემოიკრა და მხედრული სალამი მისცა გამომძიებელს ვასიკომ.

— ჰო, აი, კი... შეიძლება? — გაუხარდა ვასიკოს დანახვა მურადს.

— შემობრძანდით, შემობრძანდით! აი, აქ დაბრძანდით! ეს ჩვენი მთავარი რედაქტორი, ბატონი ნიკო მიქაძე გახლავთ... ბატონო ნიკო, გამომძიებელი მურად ოქროპირიძე...

ნიკომ და მურადმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. ნიკო ცოტა დაიბნა.

— გამომძიებელი? რა ხდება?

— როგორ, თქვენ არა ხართ საქმის კურსში? — გაუკვირდა მურადს.

— კი, კი, როგორ არა! — დაასწრო ისევ ყველას ანიმ. — ბატონო ნიკო, ლევან იაშვილის მკვლელობა...

— ა, კი, კი... — შეაწყვეტინა ნიკომ.

— იცით, მე უფრო სხვანაირად მქონდა თქვენი რედაქცია წარმოდგენილი... — თქვა გამომძიებელმა.

— სხვანაირად, რანაირად? — დაინტერესდა ანი.

— უფრო კომფორტულად, თანამედროვედ...

— ჰოო, არა? — ისევ ჩაერთო ანი. — კი, კი, ამბობენ, ზოგ ციხეში ისეთი კამერებია, ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს ნომრები იმასთან მონაგონიაო. მართლა ასეა?

— არ ვიცი, მაგრამ მაქეთ რომ მიდის ყველაფერი, ეს თქვენც მოგეხსენებათ, — დაუდასტურა მურადმა.

— ე, ვასია, ჩადე, რა, ფირი, რაღას უყურებ? — მიუბრუნდა ვასიკოს ანი.

— რა ვიცი, თქვენ ისეთ საინტერესო თემაზე საუბრობდით, ვერ შეგაწყვეტინეთ, — თქვა ვასიკომ, უჯრიდან კასეტა ამოიღო და ვიდეომაგნიტოფონში ჩადო.

— გავუშვა? საიდან, თავიდან? — იკითხა მან.

— თავიდან, აბა, შუიდან?! — ისევ მისცხო ანიმ.

ვასიკომ კასეტა ჩადო.

— ხმა? — ჰკითხა მან ანის.

— არა, ხმა არ გინდა... — უპასუხა ანიმ.

ეკრანზე რაღაც შეხვედრის კადრები გამოჩნდა, რომელიც ნორმალურ, არცთუ ურიგო დარბაზში მიდიოდა.

— აი, ეს გახლავთ საზეიმო შეხვედრა, — დაიწყო ანიმ კომენტარის კეთება, — რომელიც ერთ-ერთმა ფირმამ, კერძოდ, ფირმა „ნეპტუნმა“, — არის ასეთი ფირმა, რა ვიცი, „ნეპტუნი“ ჰქვია — მოაწყო ტენდერში გამარჯვებასთან დაკავშირებით. მოკლედ, შავი ზღვის ფსკერზე არსებული წიაღისეული უნდა გამოიკვლიონ, თუ რაღაც ამდაგვარი რამ, ამას არა აქვს ახლა არსებითი მნიშვნელობა. აი, ლოლაც გამოჩნდა, ჩვენი ჟურნალისტი, იცანით?

— რა თქმა უნდა... — დაუდასტურა მურადმა.

— ჰოო... — რატომღაც ტუჩი აიბზუა ანიმ. როგორც ჩანს, ძალიანაც არ ეჭაშნიკა მურადის დასტური. — აი, სწორედ, აი, ვასო, გააჩერე, ბიჭო, ფირი... დაატრიალე ცოტა უკან... ჰოო. აი, ხედავთ, ლოლას ზურგს უკან, ხედავთ? — ანი მივიდა ეკრანთან და წინ გადაიხარა, რომ თითით ეჩვენებინა, რის გამოც მურადს თვალში მისი უკანალი შეეჩხირა.

— კი, მერე? — იკითხა მურადმა.

— აი, ეს კაცი — ბატონი ლევანია, იაშვილი. ხომ იცანით? — იკითხა ანიმ. — ჯერ კიდევ ცოცხალია, როგორც ხედავთ...

— კი, კი... — კარგად დააკვირდა მურადი.

— ჰოდა, ახლა უყურეთ, რა ხდება. — განაგრძო ანიმ. — აი, ხედავთ, აი, ნამდვილი ჭიდაობა მიდის, აი, ეს ორნი, აი, ზურგით რომ დგანან, აი, ხედავთ, მიათრევენ... აი, გაათრიეს...

— სულ ეს იყო? — იკითხა მურადმა.

— რა, არ არის საკმარისი? — თვალები დააელმა ანიმ.

— მეგონა, მართლა რაღაც გქონდათ... კარგი, რა! იცით ვინ არიან ეგ ტიპები? — მხრები აიჩეჩა მურადმა.

— რომლებმაც ბატონი ლევანი გაათრიეს? არა, საიდან?.. სახეები ცუდად უჩანთ... — უპასუხა ანიმ.

— ჰოდა, იქნებ ძმაკაცები არიან და რესტორანში წაათრიეს? ან ქორწილში, ან ნათლობაში, რა ვიცი... — თქვა მურადმა.

— გამორიცხულია! — დაასკვნა ანიმ.

— რატომ? — იკითხა ისე, სასხვათაშორისოდ მურადმა.

— არ ეტყობათ? ნახეთ, რამხელები, რა ძლიერები არიან და რა ადვილად გააქროლეს... — არ ეშვებოდა ანი.

— ნუ, რაღაც ეჭვზე შეიძლება ვიფიქროთ... — თავი გვერდზე გადასწია მურადმა.

— რატომ ეჭვზე? ეს ყველაფერი ხომ სულ რამდენიმე დღის წინ მოხდა?! — გაიკვირვა ანიმ.

— თუნდაც ერთი დღის წინ... არა, არა, თქვენც ასევე ფიქრობთ, ბატონო ნიკო? — მიუბრუნდა ფიქრში წასულ ნიკოს მურადი.

— როგორ? — ძლივს გამოერკვა ფიქრიდან ნიკო.

— რომ თვითმკვლელობა კი არა, მკვლელობა იყო, — ჰკითხა მურადმა.

— მილიონ პროცენტში... — თქვა დარწმუნებით ნიკომ.

— მაშინ იქნებ გაგვეცვალა პროფესიები? — დაცინვით თქვა მურადმა. — თქვენ თქვენი ხალხით ჩვენთან გადმოდით და ჩვენ კიდევ აქ გადმოვალთ და ჟურნალისტობას დავიწყებთ. ასეთი სამხილით რომ საქმეები იხსნებოდეს, მაშინ ერთი საქმეც არ დარჩებოდა გაუხსნელი... ძალიან სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა, განსაკუთრებით — თქვენი, ქალბატონო ანი. ყოველთვის მზად ვარ, გემსახუროთ, მაგრამ მოდით, რა, ჩვენ-ჩვენი საქმე ვაკეთოთ... პური მეპურემ უნდა გამოაცხოს...

— რა? — არ მოეწონა მურადის ნათქვამი ანის. — „პური მეპურემ უნდა გამოაცხოს, პური მეპურემ უნდა გამოაცხოს“, მთელი თბილისი ამას გაიძახის... ნუ გამიჭირდება, თორემ, ისეთი პური გამოვაცხო... — და მურადს მიუბრუნდა. — თქვენ ალბათ, მანქანით ხართ...

— კი, სამსახურის „ნოლსემით“... — უპასუხა მურადმა.

— თუ სამსახურში მიბრძანდებით, ეგებ მე და ვასიკოც გაგვიყოლოთ, შეიძლება? იქვე ახლოს გვაქვს რაღაც გადასაღები, ჩვენი მანქანა, უბრალოდ, დაკავებულია, — სთხოვა ანიმ.

— კი, ბატონო, როგორ გეკადრებათ, დიდი სიამოვნებით, რაზეა ლაპარაკი?! — ესიამოვნა მურადს.

— მაშინ ჩვენ წავედით, ბატონო ნიკო, ლოლა პირდაპირ იქ მოვა... თუ მანქანა გათავისუფლდა და გამოგვიგზავნით, მაგრად გაასწორებს... — თქვა ანიმ და კარი გამოაღო.

— კი, ბატონო, ერთ, ნახევარ საათში

კიდევ გადავრეკავ ფარეხში... — თქვა ნიკომ.

— აი, თქვენ ჩემი „ვიზიტკა“ და თუ რამეში დაგჭირდეთ... კარგად ბრძანდებოდეთ. — „ვიზიტკა“ მაგიდაზე დაუგდო და ხელი ჩამოართვა ნიკოს მურადმა.

— ნახვამდის, — წამოდგა ნიკო.

მურადმა მანქანის წინა კარი გამოუღო ანის. ისიც ჩასკუპდა და ფეხი ფეხზე გადაიდო, ისე, რომ შიშველი კანჭები გამოაჩინა, რაც მურადს, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩენია. ვასიკო კი უკანა სკამზე მოთავსდა.

მურადმა მანქანა დაძრა, თან, მალ-მალე, ცერად ანის კანჭებს გადახედავდა ხოლმე.

— რა მაგის პასუხია და, ხომ შეიძლება, ჩვენი მეგობრობა გავაგრძელოთ? — ამოთქვა მურადმა.

— რა გვიშლის რომ ხელს?! — წააქეზა ანიმ.

— ჰოდა, თუ ასეა... — გამხნევდა გამომძიებელი. — რომ გათავისუფლდებით, დამირეკეთ. ჩვენ გვერდით პატარა ბარია და ორივეს იქ გეპატიჟებით...

— ანი შეგიძლიათ დაპატიჟოთ და მე რა მინდა იქ, გჭირდებათ მურმანის ეკალი?.. — გაეცინა ვასიკოს.

— ეგ კი ვიცი... მაგრამ მარტო ანის ხომ ვერ დავპატიჟებდი, ქართველი ქალების ამბავი არ იცი? რას იფიქრებს, როგორ მიიღებს... — თავი იმართლა მურადმა.

— კი, აბა... მე კი ვატყობ კოჭებში, რომ ცოტა ხანში ევროპა და ამერიკაც უკან დაგვრჩება... — ჩაილაპარაკა ვასიკომ.

— ნუ დაუგდებთ ყურს, — სარკეში თვალი ჩაუკრა მურადს ანიმ. — ამან თუ ქალებს არ წაუმწლაკა, ისე როგორ იქნება...

— ჰო, სიმართლე ყოველთვის მწარე მოსასმენია... — წაიფილოსოფოსა ვასიკომ.

— მოიცა, რა, არ მომახსნევინო ახლა ქართველ კაცებზე პირი, — გააჩუმა ანიმ.

— მოდით, ნუ დახოცავთ ერთმანეთს იმის გამო, რომ ბარში დაგპატიჟეთ, — ჩაერია მურადი.

— ჰოდა, ძალიან კარგი... ერთ საათში დაგირეკავთ. გაგვიჩერეთ აქ, ჩვენ მოვედით! — თქვა ანიმ.

მურადმა დაამუხრუჭა და ანი და ვასიკო მანქანიდან გადავიდნენ.

ანიმ ლამაზად დაუქნია მურადს ხელი, იმანაც მიუსიგნალა და წავიდა.

— აუ, მე ეს უნდა ვაწრუწუნო!.. — თქვა ანიმ, თან ისევ იმ გზას გასცქეროდა, საითაც მურადი და მისი მანქანა გაუჩინარდა.

— მაგრად მეცოდება, — თანაგრძნობით თქვა ვასიკომ.

— მოიცა, რა, ეგეც კაი შებერტყილი ჩანს, ნუ გეშინია... — ხელი აუქნია ანიმ.

— შენთან შედარებით? — გაიკვირვა ვასიკომ. — რაღაც, არა მგონია...

— რა ვარ ამისთანა?!. — წარბი აზიდა ანიმ.

— არ ვიცი, მე ჯერ სახელი ვერ მოგიძებნე, შენისთანა ჰიბრიდებს ძნელად თუ მოუძებნის კაცი სახელს... — უპასუხა ღიმილით ვასიკომ.

— რას? რას? ჰიბრიდიცა ხარ, ბიჭო, და ნამყენიც, თუ გამოგიქანე ახლა! — ანიმ მართლაც მოუქნია ვასიკოს ჩანთა და კეფაში ღენწა.

— კაი, ნუ მომკლავ ახლა ერთი სიტყვის გულისთვის, მაპატიე, — დაპატარავდა და თავზე ხელი დაიფარა ვასიკომ.

თაზომ ქვეყანა შეაწრიალა, მაგრამ გაიოზის კვალს ვერსად მიაგნო. „თავის მომკვლელი ეგ არ არის, ისე უყვარს თავისი თავი“, — ფიქრობდა თაზო. გაიოზი რაც არ უნდა უგონოდ მთვრალი ყოფილიყო, სახლს ყოველთვის აგნებდა. „მაშ, სად ჯანდაბაშია“, — თაზოს მამის ლოდინში გული გაუწვრილდა და რომ არა და არ გამოჩნდა, ადგა და პოლიციაში დარეკა. როგორიც აღუწერა, ასეთი კაცი მართლაც აღმოჩნდა დაკავებული, თუმცა ვერც გვარი უთხრეს მისი და ვერც სახელი.

— ანი, ისევ შენი იმიჯი თუ გაჭრის, თორემ, მე მამაჩემს არავინ გამომატანს, — შეეხვეწა ცოლს თაზო და ანიც პოლიციაში გაჰყვა. თაზო მანქანაში დარჩა, ანი კი სამორიგეოს ფანჯარასთან მივიდა და მორიგე პოლიციელს გამოელაპარაკა.

— არავინ არ არის, გენაცვალე, ტყუილად უნდა ამატკივო თავი. — მოურიდებლად უთხრა მორიგემ და კროსვორდების ამოხსნა განაგრძო.

— რას ნიშნავს, არ არიან? არც უფროსი, არც მოადგილე, არც სხვა ვინმე, ვისაც შეიძლება, რომ დაველაპარაკო? — განცვიფრდა ანი.

— მოვლენ, ქალბატონო, ოპერაციაზე არიან ყველანი გასულები და მოვლენ... მე მეტი არაფერი შემიძლია, პოსტს ხომ არ დავტოვებ, არა?! — აუხსნა მორიგემ.

— იქნებ სულაც სხვა არის, იქნებ, ის არ არის, მე ვისაც ვეძებ და აქ ტყუილად ვდგავარ? — აღშფოთდა ანი.

— თქვენ როგორც ამიწერეთ, ეგ უნდა იყოს... მოითმინეთ, მოვლენ-მეთქი და მე სხვა არაფერი შემიძლია... — ცოტა სიბრაზე დაეტყო მორიგეს.

— კი, ბატონო, უნდა მოვითმინო, სხვა რა გზა მაქვს, მაგრამ ან სკამი იყოს, ან რაიმე ჩამოსაჯდომი, ასე რანაირად მოვითმინო და მოვიცადო?! — მიიხედ-მოიხედა ანიმ.

— ქალბატონო, ეს არც კაფეა და არც რესტორანი, რომ სავარძელში ჩაგსვათ და ყავა და კაკაო მოგართვათ... ეს გახლავთ პოლიციის განყოფილება და თავისი წესი და კანონი აქვს ყველა დაწესებულებას... ჯერ ხომ მაგ კაცმა გაგვიშრო მთელი ღამე სისხლი და ახლა კიდევ თქვენ... — ხელი აუქნია მორიგემ ანის.

— როდის ეშველება ამ ქვეყანას... — ნერვიულობისგან ფეხის ტერფი ააკაკუნა იატაკზე ანიმ.

— როცა კანონი იკანონებს და როცა მოისპობა ბიძაშვილმამიდაშვილობა... ეს კი საქართველოში არასოდეს მოხდება... — მშვიდად უპასუხა მორიგემ.

— მე თქვენთვის არ მითხოვია, ამიხსენით-მეთქი, ჩემთვის ჩავილაპაკე... — მი-

უგდო ორი სიტყვა მორიგეს ანიმ.

— თქვენთვის კი არ ჩაილაპარაკეთ, პოლიციას უკბინეთ... — არ დაუთმო მორიგემ.

— კბენაზე მაინც ნუ ვილაპარაკებთ, თორემ ჩემზე კარგად იცით, ვის რა ჰქვია და რას ეძახიან ჩვენში... — პირში მიახალა ანიმ.

— ქალბატონო, მიბრძანდით, რა, გარეთ! ძალიან გთხოვთ, გარეთ მოიცადეთ, — მეტს ვეღარ გაუძღო მორიგემ. — ხელს ხომ არ მოგკიდებთ, მიბრძანდით! მე რას მელაპარაკებით, იმას ელაპარაკეთ, ვისთანაც საქმე გაქვთ...

— მართლაც, თქვენ რომ კაცი თავს გაგიყადრებთ!.. — რატომღაც ენა გამოუყო მორიგეს ანიმ.

— ჰოდა, მიბრძანდით, თორემ ახლა სხვანაირად მოვიქცევი... — ხმას აუწია მორიგემ.

— მოიქცევი და წამოვა კიდეც, ვინ გგონივარ მე შენ! არ აუწია ხმას?! — აღშფოთდა ანი.

— ქალბატონო, მე უფლება მაქვს, რომ ავუწიო, მე ჩემს პოსტზე ვდგავარ და ჩემს მოვალეობას ვასრულებ, სულ არ მაინტერებს, ვინ ბრძანდებით და რა საკითხზე ხართ მოსული... — მიაშტერდა მორიგე ანის.

— ვიცი, ძალიან კარგად ვიცი, რა ცივსისხლიანებიც ხართ... — არ გატოკდა ანი.

— ჰოდა, მოგვეცით საშუალება, რომ ვიმუშაოთ, თორემ... — დაემუქრა მორიგე.

— სასაცილოა პირდაპირ! — ჩაილაპარაკა ანიმ.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა დერეფანში პოლიციის უფროსი ფელიქს სიდამონიძე და, საკუთარი პერსონის ღირსებამოსილებით, თავისი კაბინეტისკენ გაემართა, უკან კი მლიქვნელთა მთელი ჯგრო მისდევდა. მორიგე წამოხტა და გაიჯგიმა. როცა ფელიქსი და მისი „სვიტა“ კაბინეტში შევიდნენ, მორიგე ანის მიუბრუნდა.

— ახლა შებრძანდით და რაც გინდათ, ის ელაპარაკეთ!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ფრთხილად — ჰაიმორიტია!

თავის ტკივილის მიზეზი დაახლოებით 200-მდე დაავადება შეიძლება იყოს. ამ შავ სიაში ერთ-ერთი „საპატიო“ ადგილი უკავია ჰაიმორიტს. ჰაიმორიტი ორგვარია — მწვავე და ქრონიკული. მწვავე ჰაიმორიტი, ჩვეულებრივი გრიპის ფონზე ვითარდება. არის შემთხვევები, როცა მწვავე ჰაიმორიტი ტრავმის ან დაავადებული კბილის გართულების შედეგია. ჩირქოვანი ჰაიმორიტის გამომწვევი შეიძლება იყოს სტაფილოკოკი და სტრეპტოკოკი. მწვავე ჰაიმორიტის ქრონიკულში გადასვლას ხელს უწყობს ცხვირის ხრტილის გამრუდება, ადენოიდები (პოლიპები), ქრონიკული სურდო, შაქრიანი დიაბეტი.

ჰაიმორიტისთვის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი სიმპტომია თავის ტკივილი, რომლის ინტენსიურობა დამოკიდებულია პროცესის სიმწვავეზე. თავის ტკივილის გარდა ჰაიმორიტისთვის დამახასიათებელია: ცხვირიდან ჩირქის გამოყოფა, არასასიამოვნო სუნის შეგრძნება ცხვირიდან, ორგანიზმის საერთო სისუსტე.

ჰაიმორიტის ყველაზე მწვავე გართულებაა მენინგიტი და ენცეფალი. ამ დროს ინფექციურ-ანთებითი პროცესი შლის ხრტილოვან ძგიდეს და ტვინის სტრუქტურების ჩირქოვან ანთებას იწვევს. ასე რომ, თუ ზემოთ აღნიშნული სიმპტომები შენიშნეთ, დაუყოვნებლივ მიმართეთ ყელ-ყურ-ცხვირის ექიმს, დროული მკურნალობისთვის. ■

იპოქონდრიული ნევროზი

ნევროზი ნერვული მოშლილობაა, რომელსაც ფსიქიკური გადაღლა იწვევს და რომლის დროსაც, არ ირღვევა სამყაროს აღქმის უნარი, არ შეინიშნება ქცევის მკვეთრი ცვლილებები, მაგრამ ქვეითდება შრომისუნარიანობა. პაციენტი გაღიზიანებულია, უკმაყოფილოა საკუთარი თავითა და გარშემო მყოფებით, ერღვევა ძილი და ეკარგება მადა.

ნევროზის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა იპოქონდრიული ნევროზია, რომლის დროსაც, ავადმყოფი პათოლოგიურად განიცდის თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობას. ამის მიზეზი ხშირად შეიძლება გახდეს რომელიმე სომატური დაავადება, ახლობლის სიკვდილი ან სხვა სტრესი. იპოქონდრიული ნევროზისთვის დამახასიათებელია ვეგეტატიური დარღვევები, რაც ტაქიკარდიით (გულის აჩქარებით), ოფლიანობით, კიდურების დაბუჟებით, გულის წასვლის შეგრძნებით ვლინდება. ზემოთ ჩამოთვლილ სიმპტომებს ზედმეტი ყავის, ალკოჰოლის მიღება, ემოციური დაძაბულობა ამძაფრებს.

ნევროზის პროფილაქტიკა პირველ რიგში გახლავთ ცხოვრების ჯანმრთელი წესი — დილით სირბილი, ზომიერი კვება, სამუშაო რეჟიმი და დასვენება. ისწავლეთ თავის მოთოკვა, არ აჰყვეთ ემოციებს კონფლიქტურ სიტუაციებშიც კი.

ნევროზისაგან საუკეთესო დაცვაა მუშაობა, მაგრამ არა როგორც ფულის შოვნის წყარო, არამედ როგორც სიამოვნება. რაც უფრო ფართოა ინტერესების სფერო, მით უფრო გაწონასწორებულია ადამიანი და უფრო ადვილად იტანს ცხოვრებისეულ უსიამოვნებებს და წარუმატებლობას. დღეს ექიმების არსენალში ურიცხვი წამალი მოიპოვება ნევროზთან საბრძოლველად, მაგრამ ყველაზე უებარი საშუალება მაინც გამოჯანმრთელების რწმენა, ახლობლებისა და ნათესავების თანადგომაა. ■

გოგრა — სამკურნალო საშუალება

ბოლო ხანს ძალიან პოპულარული გახდა გოგრით მკურნალობა. მაგალითად, ინდოეთში გოგრით კურნავენ ტუბერკულოზს, იაპონელებს კი მიაჩნიათ, რომ მისი რეგულარულად მიღება ონკოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა. გოგრა მდიდარია ვიტამინებით, ცხიმებით, ცილებითა და ნახშირწყლებით, ცელულოზით, გლუკოზით, მინერალური ნივთიერებებით და მიკროელემენტებით — კალიუმით, კალციუმით, რკინით. კაროტინი გოგრაში 5-ჯერ მეტია, ვიდრე სტაფილოში და 3-ჯერ მეტი, ვიდრე ღვიძლში. იგი კუჭში მსუბუქად გამხსნელი და შარდმდენია, რითიც ხელს უწყობს ორგანიზმიდან წიდების გამოდევნას. თანაც არ აღიზიანებს თირკმლებს. გოგრის კერძები, პროფილაქტიკის მიზნით, საუკეთესოა მწვავე, ქრონიკული ნეფრიტის, პიელონეფრიტის, გულსისხლძარღვთა სისტემის დავადებების, ჰიპერტონიის, ქრონიკული შეკრულობის, შარდსადენი სისტემის ანთების, ჰემოროის დროს. განსაკუთრებით სასარგებლოა ორსულთა ტოქსიკოზის შემთხვევაში.

● თუ ყოველ დილას, უზმოზე 1 ჩ/კ გოგრის წვენს მიიღებთ, იგი იმოქმედებს, როგორც მსუბუქი გამხსნელი საშუალება.

● ერთი კვირის განმავლობაში ყოველდღიურად სვით თითო ჩ/ჭ გოგრის წვენისა და 1 ცალი ლიმონის წვენის ნარევი. ეს კოქტეილი კარგად მოქმედებს სახის კანზე.

● გოგრის თესლი ჭიების საწინააღმდეგო საშუალებაცაა. 200-250 გრამი უმი თესლის გული გახეხეთ ისე, რომ ერთგვაროვანი მასა მიიღო. გემოსთვის დაამატეთ მურაბა ან თაფლი (3 წილი გოგრის თესლი, 1 წილი მურაბა). ერთი საათის განმავლობაში მიიღეთ ფაფა პატარა ულუფებად.

● უმი თესლის გულის რძე ძალიან სასარგებლოა თირკმლის, შარდის ბუშტისა და სანაღვლე გზების დაავადებების დროს. გოგრის რძე ასე მზადდება: 50 გ თესლის გული გახეხეთ, დაუმატეთ 80 მლ წყალი, 20 გ შაქარი და მიიღეთ უზმოზე.

● გოგრის ემულსია სახის გასაწმენდად: უმი გოგრის თესლის გული დანაყეთ, დაასხით წყალი (1:10) და წაისვით სახეზე. 10-15 წუთის შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ. ■

რას გვეუბნება ენა?

დაკვირვებული ექიმი ავადმყოფის გასინჯვისას აუცილებლად ათვალიერებს მის ენას, რადგან ენის საშუალებით ბევრი დაავადების დიაგნოსტირება შეიძლება. ზოგჯერ ამა თუ იმ დაავადების კლინიკურ გამოვლინებამდე რამდენიმე დღით ადრე, ენა იძლევა საგანგაშო სიგნალს.

● მოლურჯო ენა გულის მოახლოებული შეტევის ნიშანია;

● ენის ალაპლაპებული ზედაპირი კუჭის წვენისა და სეკრეციის დაქვეითების მაუწყებელია;

● ყვითელი ნადები ენაზე საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობის დარღვევაზე მიუთითებს;

● თეთრი ნადები ორგანიზმში წიდებების ჭარბი რაოდენობით დაგროვებას გვაუწყებს;

● მოშავო ნადები ორგანიზმში წყლის ნაკლებობაზე (დეჰიდრატაციაზე) მეტყველებს;

● ენის წვერის სიწითლე და სუსტი ტკივილი (წვა) სწორი ნაწლავის, შარდის ბუშტის ან საშვილოსნოს დაავადებას ახასიათებს;

● ენის მარცხენა მხარის შესივება და სიწითლე ღვიძლის ანთების ნიშანია, მარჯვენა მხარისა — ნაღვლის ბუშტის ანთების;

● თუ ნადები წებოვანია, ნაცრისფერი და პაციენტს პირში ცუდი გემო აქვს, შესაძლოა, ამის მიზეზი კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება იყოს;

● „გეოგრაფიული“ (რუკასავით აჭრელებული) ენა ალერგიის მაჩვენებელია. ■

ვიმკურნალოთ წვენებით

● გოგრა ძალზე სასარგებლო, დიეტური და სამკურნალო პროდუქტია. იგი მდიდარია პექტინებითა და ასკორბინის მჟავათი. ღვიძლის დაავადებების, უძილობის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევისას დღეში სამჯერ უნდა მიიღოთ ნახევარ-ნახევარი ჭიქა გოგრის წვენი. თირკმლებში და შარდის ბუშტში კენჭების დროს — დღეში 3-ჯერ თითო ჭიქა. მკურნალობის კურსი 10 დღეა. მამაკაცებმა, რომელთაც აწუხებთ პროსტატიტი, 2-3 კვირის მანძილზე ყოველდღე უნდა სვან თითო ჭიქა გოგრის წვენი. იმავე თვისებებისაა ყაბაყის წვენი. C ვიტამინი მასში გოგრაზე ორჯერ მეტია.

● უმი კარტოფილის წვენით მკურნალობენ გასტრიტს, კოლიტს, კუჭის წყლულს, თორმეტგოჯა ნაწლავის ანთებასა და წყლულს. ის დაბლა სწევს სისხლის წნევას, სტაფილოს წვენთან შერეული კი წმენდს ორგანიზმს.

გასტრიტის დროს, როცა მომატებულია მჟავიანობა, დალიეთ ნახევარი ჭიქა წვენი. დღეში 2-3-ჯერ, ჭამამდე 20 წუთით ადრე. მკურნალობის კურსი ერთი თვეა. კარტოფილის წვენს მიაყოლეთ ნებისმიერი ხილის წვენი.

● პომიდვრის წვენი შეიცავს აქტიურ ანტიოქსიდანტებს, ასკორბინის მჟავას (C ვიტამინს), რკინას და კაროტინს. ტომატის წვენს ნიშნავენ ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, კუჭის, გულის დაავადებების და ზედმეტი წონის დროს. იგი ანთების საწინააღმდეგო და შარდმდენი საშუალებაა. მიირთვით კვირაში ერთხელ, 200 გ.

● ჭარხლის წვენის მიღება იწყება მინიმალური დოზით და თუ ორგანიზმს არ ექნება უკურეაქცია, შეიძლება დოზის მომატება. წითელი ჭარხლის წვენი აუმჯობესებს სისხლძარღვების მუშაობას, საჭმლის მონელებას, აწესრიგებს წნევას.

სურდოს სამკურნალოდ ცხვირში იწვეთებენ 5-7 წვეთ ჭარხლის წვენს, 3-ჯერ დღეში. მეტად სასარგებლოა ჭარხლის წვენისა და თაფლის ნარევი სტენოკარდიის დროს. უნდა მიიღოთ თითო ჩ/კ 3-5-ჯერ დღეში, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. სისხლის გასაწმენდად იყენებენ ჭარხლისა და სტაფილოს წვენების ნარევს. იგი უნდა მიიღოთ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, 100-150 გ, 2-3-ჯერ დღეში. მკურნალობის კურსი 20 დღეა.

● კომბოსტოს წვენით მკურნალობენ კუჭის წყლულს, გასტრიტს, დაბალ მჟავიანობას, ღვიძლს. სვით თითო ჭიქა 2-3-ჯერ დღეში, ჭამამდე 20-30 წუთით ადრე. შესანიშნავია კომბოსტოს წვენი წონის დასაკლებად, ყაბზობის დროს.

● კიტრის წვენი შარდმდენი საშუალებაა. სტაფილოს წვენთან ერთად, ეფექტურია რევმატიული დაავადებების დროს, ჰიპერტონიისას. აუმჯობესებს კბილების მდგომარეობას, რეკომენდებული თმის ცვენისას. მწვანე ბულგარული წიწაკისა და სტაფილოს წვენის ნარევი (1:4) ხელს უწყობს ფრჩხილებისა და თმის ძირების გამაგრებას, წმენდს ორგანიზმს წიდებისაგან. ■

როგორ მოვერიოთ შაკიკს

ამ ვერაგ დაავადებასთან ბრძოლისას, წამლების მიღებასთან ერთად უნდა დავიცვათ შემდეგი პირობები:

● შაკიკის გამომწვევი მიზეზები, უძილობა, სტრესი, მოწყენილობა, ჰიპოდინამია, ფიზიკური გადაღლილობა გახლავთ. ისინი რომ თავიდან აიცილოთ, მოიწყვეთ კომფორტული საყოფაცხოვრებო პირობები.

● უარი თქვით ისეთ პროდუქტებზე, რომლებიც თავის ტკივილს იწვევს. ესენია: კაკაო, შოკოლადი, რძე, ყველი, კაკალი, კვერცხი, სოია, ციტრუსები, პომიდორი, ნიახური, წითელი ღვინო, ცხიმიანი საკვები.

● იკვებეთ რეგულარულად! ტრაპეზებს შუა დიდი შუალედი და მასთან დაკავშირებული ყაბზობა (კუჭში შეკრულობა) იწვევს შაკიკს.

● ხშირად მიიღეთ შხაპი, რადგან წყალი ხსნის სტრესსა და დაღლილობას.

● გაითვალისწინეთ, რომ ჩასახვის საწინააღმდეგო და სისხლძარღვების გასაფართოებელი ზოგიერთი წამალი იწვევს თავის ტკივილს.

● გახსოვდეთ, ალკოჰოლი კი არ ანელებს თავის ტკივილს, პირიქით, აძლიერებს.

● შეზღუდეთ ტელევიზორთან და კომპიუტერთან ურთიერთობის საათები.

● უარი თქვით რბილ, ფაფუკ ბალიშზე, რადგან ეს აძლიერებს საძილე არტერიაში სისხლის მიწოდებას.

● ჭამეთ ბანანი, რადგან ის შეიცავს ისეთ ნივთიერებას, რომელიც ტკივილს ამსუბუქებს.

● კატეგორიულად მოერიდეთ მძაფრ არომატს — ყვავილების, ბენზინის, საღებავების, აცეტონის, ახალი ავეჯის და ა.შ.

ახლა კი გთავაზობთ შაკიკის სამკურნალო ფიტორეცეპტებს:

● კატაბალახას 2 ჩ/კ დაქუცმაცებულ ფესვებს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, ადუღეთ 15 წუთი და გადაწურეთ. მიიღეთ ნახარშის 1 ს/კ, 3-4-ჯერ დღეში, ჭამის წინ.

● დაქუცმაცებულ 1 ს/კ ყვითელ ძიძოს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 4 საათი და გადაწურეთ. მიიღეთ 1/4 ჭიქა ნაყენი 3-4-ჯერ დღეში.

● დაქუცმაცებული 3 ჩ/კ ლავანდის ყვავილს დაასხით 2 ჩ/ჭ მდუღარე, გააჩერეთ 10 წუთი და გადაწურეთ. მიიღეთ ნაყენი ყლუპ-ყლუპად, დღის განმავლობაში.

● გვირილის ყვავილების 0,2 გ ფხვნილი დაღეჭეთ 2-3-ჯერ დღეში, ჭამამდე 20 წუთით ადრე.

● შუბლი და საფეთქლები დაიზილეთ იასამნის მალამოთი (დაქუცმაცებული 2 ს/კ ყვავილი კარგად დასრისეთ 2 ს/კ კარაქში).

● შაკიკის დროს დაღეჭეთ ანისულის თესლი. ■

C M Y K

ვარდი – სახის კანის მოვლის საუკეთესო საშუალება

ნებისმიერი ყვავილი ძალიან ლამაზია და ისინი ასეთად უფალმა შექმნა. ვერავინ შეძლებს მათი მომხიბვლელობის საიდუმლოს ამოცნობას, მაგრამ მისი სილამაზის „მოპარვას“ ყველა დროის და ეროვნების ლამაზმანები ცდილობდნენ.

„პატარა უფლისწულს არასდროს ენახა ასეთი დიდი ვარდის კოკორი და გრძნობდა, რომ სასწაულს იხილავდა, ხოლო იდუმალი სტუმარი ამისთვის სულ უფრო ემზადებოდა, თანდათანობით ლამაზდებოდა... ის აუჩქარებლად იმოსებოდა, ხან ერთ ფურცელს მიიზომებდა, ხან მეორეს... მას უნდოდა, თავისი სილამაზე მთელი ბრწყინვალეებით ეჩვენებინა... და აი, როგორც იქნა, დილას, როცა მზე ამოდიოდა, ვარდის ფურცლები გაიშალა... პატარა უფლისწულმა აღფრთოვანება ვერ დამალა: რა ლამაზი ბრძანდებით!“ (ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი — „პატარა უფლისწული“).

ვარდი უნიკალური ყვავილია. კაცობრიობის ისტორიაში არ არსებობს სხვა მცენარე, რომელიც ასეთი უნივერსალური სილამაზითაა დაჯილდოებული. მან სილამაზის სიმბოლოს სახელი დაიმსახურა სხვადასხვა ქვეყნის პოეზიაში, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ არაბეთში, სადაც ის ქვეყნის სახელსაც განაპირობებდა და მის გერბზეც კი იყო გამოსახული. უძველესი ინდური ლეგენდის თანახმად, სილამაზის ქალღმერთი — ლაკშიმი ვარდის კოკორისგან იშვა.

ვარდს, უპირველეს ყოვლისა, აქვს გამაცოცხლებელი ეფექტი და კარგია ნაზი, მგრძნობიარე, ალერგიული კანისთვის. გარდა ამისა, მისი ფურცლები შეიცავს მაღალი ხარისხის ნატურალურ ცხიმოვან მჟავას, რომელიც კანის დამცავ ფუნქციას აღადგენს. გამოკვლევებით დადგენილია, რომ ის ეფექტური საშუალებაა კანის დაბერების საწინააღმდეგოდ. აღმოსავლეთის ლამაზმანებმა იცოდნენ ამ ყვავილის სასწაულმოქმედი ძალის შესახებ და ამიტომაც მას ყველანაირად იყენებდნენ...

ვარდის წყალი (გაღიზიანებული კანისთვის)

4-5 ცალი ვარდის (ბორდოსფერი ან მუქი წითელი) ფურცელი მოათავსეთ ქილაში და დაასხით 1 ლ წყალი, დაამატეთ 200 გ შაქარი (სასურველია შაქრის ლერწამი), დააყენეთ 2 საათის განმავლობაში, კარგად შეანჯღრიეთ, გადაწურეთ და შეინახეთ გრილ, ბნელ ადგილას.

ეგვიპტური კრემი (მშრალი, აქერცლილი კანისთვის)

2 საშუალო ზომის ალოეს ფოთლის წვენი (2 დღის განმავლობაში მცენარე არ მორწყათ, რათა აქტიური ნივთიერებები ფოთლებში დაგროვდეს) შეურიეთ 2 ს/კ გაფილტრულ წყალს. დაამატეთ 3 ს/კ ვარდის წყალი ან მისი დაქუცმაცებული ფურცლები და 1 ჩ/კ თაფლი. დაუმატეთ 100 გ შემთბარი ღორის ქონი. მომზადებული მასა მოათავსეთ ქილაში (ოღონდ არა ლითონის ჭურჭელში), თავზე მჭიდროდ დაახურეთ და შეინახეთ გრილ ადგილას. კრემის თხელი ფენა დღეში ერთხელ უნდა წაისვათ.

შენიშვნა: ეს კრემი კარგი საშუალებაა გამონაყარის, ფერიმჭამელების საწინააღმდეგოდ, მაგრამ მას უკუჩვენებაც აქვს, რადგან ის თაფლსაც შეიცავს, რომელიც სისხლძარღვების გაფართოებას უწყობს ხელს.

ვარდის ლოსიონი ფერიმჭამელების საწინააღმდეგოდ

აიღეთ 2 ცალი დარბილებული ავოკადო, დაამატეთ თეთრი შროშანის 2 ცალი ფურცელი და 4 ცალი დიდი ზომის ვარდისფერი ვარდის ფურცელი, დაასხით 1/2 ლ არაყი და გააჩერეთ 3 კვირის განმავლობაში. შემდეგ გადაწურეთ და გამოყენებამდე შეაზავეთ: 1/2 ჭ მომზადებულ სითხეს დაამატეთ 1/2 ჭ გაფილტრული წყალი და 1 ს/კ გლიცერინი ან ლიმონის წვენი.

შენიშვნა: შესანიშნავად წმენდს და კვებავს სახეს, აცოცხლებს კანს და ამავე დროს, ხელს უწყობს ფერიმჭამელების გაქრობას. ლიმონის წვენი კი კანს C ვიტამინით ამდიდრებს.

ვარდის ფურცლების ტონიკი

5 საშუალო ზომის წითელი ვარდის ფურცელს დაასხით 0,5 ლ ვაშლის მჟავა, ჩაასხით მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში (მხოლოდ, არა ლითონის), გააჩერეთ 3 კვირის განმავლობაში, შემდეგ გაწურეთ და იმავე რაოდენობის გაფილტრულ წყალში გაუზავეთ. ასეთი მეთოდით მომზადებული ტონიკი ნებისმიერი ტიპის სახის კანს კარგად ასუფთავებს და კვებავს.

დაიმახსოვრეთ: ერთადერთი პირობა, რომელიც ტონიკის და ლოსიონის მომზადებისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ისაა, რომ ვარდი „ცოცხალი“ უნდა იყოს, თუმცა არაა სავალდებულო, რომ ის მაინცდამაინც ჰოლანდიიდან ჩამოიტანოთ. მართალია, ადგილობრივი ჯიშის ვარდი მას სილამაზით ვერ ჯობნის, მაგრამ მასზე უფრო სასარგებლო თვისებებით გამოირჩევა.

სალათა „ფანტაზია“

მასალად საჭიროა: 4 კვერცხი, 200-250 გ ლორი ან ძეხვი, 150 გ დაკონსერვებული სიმინდის მარცვალი, ხახვი და მაიონეზი (გემოვნებით).

აიღეთ 4 ცალი კვერცხი, კარგად ათქვიფეთ და გამოაცხვეთ 4 ცალი თხელი „ბლინჩიკი“, რომელიც გაცივების შემდეგ უნდა დაჭრათ საშუალო ზომის ნაჭრებად. აიღეთ ხახვი, დაჭერით მრგვლად, დაასხით მდუღარე წყალი, შემდეგ კი გაწურეთ და ზემოდან მოაყარეთ შემწვარ კვერცხს. ლორი ან ძეხვი დაჭერით პატარა კუბურებად და ყველაფერი ერთად აურიეთ. დაამატეთ ტკბილი, დაკონსერვებული სიმინდის მარცვალი, მაიონეზი. სანამ სუფრასთან მიიტანთ, მას ზევიდან წვრილად დაჭრილი მწვანილი (ოხრახუში, თუ გნებავთ კამაც) მოაყარეთ.

M K

რამდენიმე განსხვავება ქალისა და მამაკაცის სამყაროს შორის

სახლი:

ქალი ყოველთვის ცდილობს, რომ სახლში მყუდრო გარემო შექმნას. მისთვის აუცილებელია სუფთა იატაკი და მოდური ჟურნალებით სავსე ლამაზი მაგიდა.

მამაკაცი მიიჩნევს, რომ ბუნებამ მძიმე მისია დააკისრა — შინ მხოლოდ სანტექნიკისა და ელექტროგაყვანილობის პრობლემების მოგვარება ევალება.

საუზმე:

ქალი ფიქრობს, რომ საწოლში მირთმეული ყავა ძალიან კარგია, ხოლო თუ ამას მისი საყვარელი მამაკაცი გააკეთებს, ეს იდეალური ვარიანტია.

მამაკაცების უმეტესობას უჭირს იმის აღიარება, რომ სამზარეულოში გაზეთის კითხვა ურჩევნია, ვიდრე ცოლთან ერთად ფუსფუსი.

სადილი:

ქალი უპირატესობას ბოსტნეულის სალათას ანიჭებს, რომელსაც გაზგასულ მინერალურ წყალს აყოლებს.

მამაკაცი იმაზე ოცნებობს, რომ წვნიანში რაც შეიძლება მეტი ხორცის ნაჭერი იყოს, თავად წვენი კი, ალკოჰოლსაც შეიცავდეს, უკიდურეს შემთხვევაში, ლუდს მაინც.

საოჯახო საქმეები:

ქალი თუ სამსახურში დადის, ის საოჯახო საქმეებს დღეში 5 საათს მაინც უთმობს. თუ არ მუშაობს — მთელ დღეს.

მამაკაცს სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ აუცილებლად სჭირდება გემრიელი საჭმელი, დივანზე წამოწოლა და ფიქრი. ამასთან მიიჩნევს, რომ საოჯახო საქმეები ცოლ-ქმარს შორის თანაბრადაა განაწილებული.

სარკის წინ:

ქალი სარკეში საგულდაგულოდ ათვალიერებს სახის უმნიშვნელო დეტალებსაც კი. აღმოაჩენს ახალ ნაოჭს, საკუთარ თავს აკრიტიკებს და საბოლოოდ ასკვნის, რომ ლამაზი არ არის და ამიტომაც ვერ იპოვის ღირსეულ მამაკაცს. ტირის, ურეკავს მეგობარს, რათა ყველაფერი გააანალიზოს.

მამაკაცი სარკეში ჩახედვისთანავე კმაყოფილია, რომ მაიმუნივით გამოიყურება და რაც არ უნდა ასაკოვანი იყოს, მაინც მიაჩნია, რომ სექსუალურია.

მაღაზიაში:

ქალი მაღაზიაში იმიტომ დადის, რომ ფსიქოთერაპევტთან ვიზიტისთვის დრო და ფული დაზოგოს. მაღაზიების ვიტრინების უბრალო თვალიერებაც კი, მისთვის ფსიქოლოგიური თერაპიაა.

მამაკაცი მაღაზიებს უფრო მსუბუქად უყურებს. მიაჩნია, რომ ისინი მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ იყიდოს წყვილი წინდა, კოსტიუმი, ქუდი და ა.შ. როგორც წესი, მამაკაცი ქალთან შედარებით უფრო სწრაფად იღებს გადაწყვეტილებებს და არც უკეთესის ძებნისთვის იკლავს თავს.

პირველი პაემანი:

ქალი პაემნამდე 3 დღით ადრე, დაქალს ურეკავს, რათა ყველა დეტალი გაანალიზოს. შემდეგ კოსმეტოლოგთან მიდის და ლამაზდება, უამრავ ტანსაცმელს იზომებს. იმ დღეს არაფერს ჭამს, რათა ზედმეტი კილოგრამები არ შეეტყოს.

მამაკაცი პაემნისთვის მზადებას 1 საათით ადრე იწყებს, აუთოებს შარვალს ან თუ ეს პროცესიც ეზარება, ჯინსის შარვალს იცვამს.

პაემნის შემდეგ:

ქალი დაქალს ურეკავს და შეხვედრის დეტალებზე ესაუბრება. აწვდის ინფორმაციას მისი რჩეულის ინტელექტუალური შესაძლებლობების შესახებ და ა.შ.

პაემნიდან დაბრუნებული **მამაკაცი** კი მეგობრებს ეუბნება, რომ არცთუ ისე ცუდ ქალს შეხვდა.

ტელეფონზე საუბარი:

ქალის შინაგანი მოთხოვნილებაა ტელეფონზე ელაპარაკოს მამაკაცებს და დაქალებს. როგორც წესი, ჭორები სწორედ სატელეფონო საუბრისას ვრცელდება. ქალი, რომელსაც ტელეფონით საუბარი არ უყვარს, მეგობრებთან 40 წუთის განმავლობაში მაინც ჭორაობს.

მამაკაცი ტელეფონზე საუბრისას მსოფლიო მოვლენებზე, სამუშაოზე, ფულსა და სასმელზე აკეთებს მოკლე ანალიზს და 4 წუთში ამთავრებს ლაპარაკს.

დიეტა:

ქალი თვეში ერთხელ მაინც ფიქრობს საკუთარ წონაზე და ახალ დიეტურ საშუალებებს ეძებს. თუ ამან არ უშველა, მაშინვე აერობიკის ჯგუფში ეწერება.

მამაკაცი მხოლოდ მაშინ ამჩნევს, რომ კარგად ვერ გამოიყურება, როცა 10 კილოგრამს მოიმატებს. თუმცა, მაშინაც უჭირს ლუდთან და მსუყე საჭმელთან განშორება.

ტელევიზორთან:

ქალი დიდი ენთუზიაზმით და ემოციით უყურებს ტელესერიალებს, დეტექტივებს, ტელეთამაშებს და იუმორისტულ გადაცემებს.

მამაკაცი უმეტეს შემთხვევაში, მშვიდად უყურებს მძაფრსიუჟეტიან ფილმებს, სპორტულ შეხვედრებს და პოლიტიკურ გადაცემებს.

ზღვა:

ქალი მიიჩნევს, რომ ცივი, იოდის შემცველი წყალი ჯანმრთელობისთვის კარგია, თუმცა მზეზე წოლა ურჩევნია.

მამაკაცისთვის ზღვა მხოლოდ მაშინაა საინტერესო, თუ აკვალანგით ზღვის ფსკერზე დაშვების შესაძლებლობა აქვს.

ჩემოდანი:

როცა **ქალი** სადმე მიემგზავრება, თან რამდენიმე ჩანთა მიაქვს, რომელშიც ჩალაგებულია უამრავი ტანსაცმელი, ფენი, ფოტოაპარატი, სხვადასხვა დაავადების სამკურნალო წამალი...

მამაკაცი გამგზავრებამდე ნახევარი საათით ადრე ალაგებს სპორტულ ჩანთას — ქაოსურად ყრის თეთრეულს, საპარს მოწყობილობას და პირსახოცს. ■

გოგრის წვენი

1 ცალი საშუალო ზომის გოგრა გაასუფთავეთ, დაჭერით პატარა ნაჭრებად, ჩაანყვეთ ქვაბში და დაასხით იმდენი წყალი, რომ კვახი დაიფაროს. ხარშეთ მანამ, სანამ არ დარბილდება. შემდეგ, გემოვნების მიხედვით დააყარეთ შაქარი (რაც განპირობებულია გოგრის რაოდენობით და მისი ხარისხით), გადმოიღეთ ცეცხლიდან და ჯერ კიდევ თბილი მასა ათქვიფეთ მიქსერით. დაამატეთ ლიმონის წვენი (გემოვნებით) ან ლიმონმჟავა, შეიძლება ვაშლის ძმარიც და მიირთვით.

რჩევა: თუ გოგრის წვენის მომზადებას შესანახავად (ზამთრისთვის) აპირებთ, მაშინ მას მეტი შაქარი და ლიმონმჟავა გაუკეთეთ. ხოლო ქილა, რომლითაც მის შენახვას აპირებთ, 30 წთ-ის განმავლობაში გამოხარშეთ. ■

რამზეს მეორეს უუვარდა ოთახის ჩუსტები

ჩუსტების ისტორია არაერთ ათასწლეულს ითვლის. მის წარმოშობას ექსპერტები ეგვიპტის ფარაონის — რამზეს მეორის მმართველობის ხანას მიაკუთვნებენ. სწორედ მისი მეფობის დროს გამოჩნდა უმსუბუქესი ფეხსაცმლის პირველი წყვილი. ეს იყო ლერწმისა და ბუმბულისგან დაწნული და ოქროს ფარჩით გაწყობილი ფეხსაცმელი. ამ მშვენიერი „ჩუსტების“ დიზაინი დღემდე „აგიუებს“ დიასახლისებს, რომელთაც კაიროს მუზეუმი დაუთვალიერებიათ.

ფარაონის დიდი შეურაცხყოფა

ფარაონების სასახლეებში მათ სტუმრებს გამოსაცვლელი ფეხსაცმლის მთელი ნაკრები ელოდათ. მიწვეულ პიროვნებას ფეხების განბანის რთული რიტუალის შესრულება ეკისრებოდათ. მმართველთა მოსასვენებელი დარბაზების შიდა ეზოებში სეირნობა ხომ მხოლოდ ჩუსტებით შეიძლებოდა. ფეხზე გამოცვლის პროცესს ადვილს ვერ ვუწოდებთ. ის საკმაო მოხერხებულობასა და გაწაფულობას მოითხოვდა: კატეგორიულად იკრძალებოდა გარშემო მყოფთათვის ფეხისგულების ჩვენება, რადგან ეს ეგვიპტის სამეფოს ზნეობრივი კანონების უდიდეს შეურაცხყოფად მიიჩნეოდა.

ევროპელებმა ჩუსტებამდე ხანგრძლივი „შემოვლითი“ გზით იარეს. ახალ ერაში შესულმა ევროპამ სწრაფად დაივიწყა ძველი საბერძნეთის თხელი დაწნული სანდლები. ევროპელებმა მათ მაგარ ძირზე „აღმართული“ ხის ფეხსაცმელი ამჯობინეს. მხოლოდ ხალიჩების და თხელი ქსოვილის გამოჩენასთან დაკავშირებით დაფიქრდნენ ევროპელი ქალბატონები იმ ჩვეულებრივ ჭუჭყზე, რომელიც მათ რაინდ ქმრებს შეჰქონდათ შინ ჩექმით, ქუჩიდან თუ საჯინიბოებიდან. პრობლემა ჩუსტებმა გადაწყვიტა.

რაინდებმა, რომლებმაც კულტურული ჩვეული ჯვაროსნულ ლაშქრობებში შეითვისეს, ნელსაცხებელთა არომატი ჩაისუნთქეს სულთანთა სასახლეებში და აღმოსავლეთის ბაზრებში, ევროპაში საჩუქრად ჭრელი, ქუსლამოჭრილი ფეხსაცმელი ჩაიტანეს. თავიდან მას ვერც ქუჩაში იყენებდნენ და ვერც შინ. მაგრამ XV საუკუნის დასაწყისში ვენეციელმა და მილანელმა მოდის მიმდევრებმა აქტიურად დაიწყეს მათი ხმარება, თუმცა, ოდნავ „სრულყვეს.“ ამ „ფლოსტების“ ჭვინტი იმდენად გრძელი იყო, რომ იძულებულნი იყვნენ, ისინი ძეწკვით მუხლებზე დაემაგრებინათ, ხოლო ფეხიდან რომ არ გასძრობოდათ, „ქუსლიც“ მიაეკერეს. ასეთ ოთახის ჩუსტებში გამოჩენა დიდ რამედ მიაჩნდათ.

ჩვენთვის ჩვეული ჩუსტები, ბრტყელი და ღია ქუსლით, მეტისმეტად „თავდაჭერილი“ XV საუკუნის „მემკვიდრეა“ — იმ ეპოქის, როცა ჰერცოგებისა და მარკიზების ცოლები მთელ დღეებს ვენზელების ქარგვაში ატარებდნენ, მათ შორის ოთახის ჩუსტებზეც.

XX საუკუნის არისტოკრატიულ სალონებში — ისევე, როგორც ისეთი ემანსიპირებული ქალების, როგორებიც იყვნენ ჟორჟ სანდი და სარა ბერნარი — საზოგადოებაშიც მიღებული არ იყო ჩუსტების ხსენება. მათ მორცხვად მალავდნენ საწოლის ქვეშ და საძინებლებში ჰქონდათ გამოკეტილი. მაგრამ გასულ საუკუნეში ფრიად დახვეწილი ქალბატონებიც აღარ ერიდებოდნენ თავიანთი პორტრეტებისთვის ჩუსტებში პოზირებას. მართალია, ჩუსტები ძვირფასი ქვებითა და სამოთხის ჩიტების ბუმბულებით იყო მორთულ-მოკაზმული, იმ დროისთვის მიივიწყეს ჩვეულება — კვირის ყოველი დღისათვის სხვადასხვა წყვილი ჰქონოდათ — რომელიც საფრანგეთის დედოფლმა მარია ანტუანეტამ შემოიღო.

ჩუსტებით ვარსკვლავებისკენ

თვითმხილველები ირწმუნებიან, რომ მსოფლიოს პირველ კოსმონავტს — იური გაგარინს ისე უყვარდა ჩუსტებით სეირნობა, რომ ზოგჯერ სწორედ ჩუსტებში „გამოწყობილი“ ჯდებოდა საცდელი თვითმფრინავის კაბინაში. ამბობენ, რომ გაგარინს მხოლოდ კონსტრუქტორმა სერგეი კოროლიოვმა გადაათქმევინა კოსმოსში ჩუსტებით გაფრენა...

ამერიკელ კინოვარსკვლავ ბარბრა სტრეიზანდს კი არავინ უშლის სამუშაოზე ჩუსტებით სიარულს. გადასაღებ მოედანზე, სადაც დღე-ღამეში 24 საათი უწევს მუშაობა, ის მუდამ ჩუსტებში „გამოწყობილი“ დაიარება.

XX საუკუნის დამლევისთვის კი, ბოლოს და ბოლოს, მოდელიერებმა და დიზაინერებმაც მიაქციეს ყურადღება ჩუსტებს და თავიანთ კოლექციებში მაღალყელიანი და მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის გვერდით ჩართეს. მათგან ხელდასხმული მანეკენები პოდიუმზე უკვე ოთახის ჩუსტებითაც ჩნდებიან. გასული საუკუნის მიწურულს კი ქუსლიანი ფლოსტები, მარკიზა დე პომპადურის სტილში, სეზონის ყველაზე მოდურ „სამოსად“ და ... საღამოს კაბის შესაფერისადაც კი მიიჩნეოდა...

M K



„ადამიანები, რომლებიც ეროვნული ინტერესებისთვის იბრძოდნენ, ხშირად ამ ინტერესებს ეწირებოდნენ. საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი მავანს და მავანს საფრთხეს უქმნიდა, ამიტომ მათ სიკვდილით, უკეთეს შემთხვევაში — გადასახლებით უსწორდებოდნენ“, — ამ სიტყვებით, რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი სისხლიან 1937 წელს და რეპრესირებულ მამას — არჩილ კოკოჩაშვილს იხსენებს (მამას, რომელსაც 2 წლის ასაკში დააშორეს). დედისგან იცის, რომ როდესაც გვიან ღამით, „ჩეკისტები“ მათ ბინაში არჩილის დასაპატიმრებლად მისულან, მას გაოგნებულს, მეუღლისთვის უთქვამს: ეტყობა, რაღაც გაუგებრობაა, მალე გამომიშვებენ, მერაბს არ ვაკოცებ, სძინავს და არ გაეღვიძოსო. ერთ-ერთი „ჩეკისტი“ სხვებისგან განსხვავებით, ბოლომდე „გულგრილი“ ვერ დარჩენილა და... — აკოცე, აკოცეო! — უთქვამს არჩილისთვის, მან იცოდა, რომ დაპატიმრებულს აღარავინ გამოუშვებდა და ეს მამისთვის შვილის მოფერების უკანასკნელი შანსი იყო...

რეპრესიების მსხვერპლნი და საფლავში ჩაბანილი საიდუმლო

„არ ვიცი, სად არის მამაჩემის საფლავი“

თამუნა კვინიკაძე

— მამას პოლიტიკასთან არასდროს არანაირი შეხება არ ჰქონია. ის მუსიკოსი გახლდათ. ჯერ ქუთაისის სამუსიკო სასწავლებელში სწავლობდა მელიტონ ბალანჩივაძესთან, შემდეგ — თბილისში, კონსერვატორიაში. უკრავდა კვარტეტში, შემდეგ — ევგენი მიქელაძის

მერაბ ჯორჯაძე ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი გახლდათ...

ორკესტრში. დედაც მუსიკოსი იყო, პიანისტი. ისინი ერთად მუშაობდნენ... მამა ახლობლობდა სანდრო ახმეტელთან. ის მუსიკალური საზოგადოებისთვის საინტერესო ფიგურას წარმოადგენდა. შესაძლოა, მიქელაძესთან და ახმეტელთან ურთიერთობამ გადაწყვიტა მისი ბედი. მამა დააპატიმრეს.

— რა ბედი ეწია მამათქვენს დაპატიმრების შემდეგ? იყო თუ არა ეს ცნობილი ოჯახისთვის?

— 1957 წლამდე, რეპრესირებულთა რეაბილიტაციამდე არაფერი ვიცოდით, ისიც კი — დახვრიტეს თუ გადაასახლეს. მოგვიანებით, მასთან ერთად საკანში მყოფმა მიხეილ მგალობლიშვილმა მითხრა (ის შემდეგ, გადასახლებაში გაგზავნეს): არჩილი კამერაში დავტოვე. რომ გამოვდიოდი, დავემშვიდობეო. მაგრამ რა ბედი ეწია მას, — ეს მგალობლიშვილისთვისაც უცნობი იყო. რეაბილიტაციის გამოცხადების შემდეგ გავიგეთ: როდესაც გადასახლებაში მიჰყავდათ, ფილტვების ანთებით, მატარებელში გარდაიცვალაო. მამას ციხეში ყოფნის დროს გულიც აწუხებდა. შესაძლოა, ესეც იყო გარდაცვალების მიზეზი. ჩვენ დღეს ისიც კი არ ვიცით, სად არის მისი საფლავი... საინტერესოა ის ფაქტი, რომ დედამ იცოდა იმ ადამიანთა ვინაობა, ვისი ხელიც ერია მამაჩემის დაპატიმრების საქმეში, მაგრამ ამ თემაზე არავისთან ლაპარაკობდა. როცა წამოვიზარდე, ვთხოვე, ჩემთვის ყველაფერი ეამბნა, იმ პირთა ვინაობა გაემხილა, მაგრამ არაფერი მითხრა. შესაძლოა, შეეშინდა, შურისძიება არ განმეზრახა. მაშინ 18-20 წლის ბიჭი ვიყავი. მოგვიანებით, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მითხრა: ვიცი, შენ სულ გაწუხებს მამაზე ფიქრი; დაწყნარდი, ის პიროვნება, ვისაც მის დაპატიმრებაში ბრალი მიუძღვის, ცოცხალი აღარ არისო.

— ვინაობა თუ გაგიმხილათ?

— არა. ეს საიდუმლო თან ჩაიტანა საფლავში.

— იმ წლებში რეპრესირებულთა მეუღლეებსაც იჭერდნენ. თქვენ აღნიშნეთ, რომ მშობლები ორკესტრში ერთად უკრავდნენ. ევგენი მიქელაძესთან და სანდრო ახმეტელთან ურთიერთობა დედათქვენსაც ექნებოდა. როგორ ფიქრობთ — რატომ არ დააპატიმრეს იგი?

— ის, რაც მამას „დანაშაულად“ ჩაუთვალეს (მაგრამ რა — გაურკვეველია), ეტყობა, მათთვის იმდენად დიდი მნიშვნელობის არ იყო, რომ დედაც დაეპატიმრებინათ. თუმცა, საბაბი ადვილად შეიძლებოდა მოეძებნათ. მისი ძმა — მერაბ ჯორჯაძე იმ დროს საფრანგეთში იმყოფებოდა. ასეთი ოჯახები მათ მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ. ბიძაჩემი კი საზღვარგარეთ 1924 წლიდან იმყოფებოდა. იგი ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი გახლდათ. ამის გამო დააპატიმრეს და დახვრეტა მიუსაჯეს. განაჩენის აღსრულებამდე ერთი დღით ადრე, ქაქუცას რაზმმა მისი გათავისუფლება მოახერხა.

— როგორ?

— დუშეთის ციხეში იმყოფებოდა. ამ ციხეს ძლიერი დაცვა არ ჰყავდა. ქაქუცა და მისი რაზმელები ღამით თავს დაესხნენ, გააღეს კარი და სხვა პატიმრებთან ერთად, მერაბ ჯორჯაძეც გაათავისუფლეს. ისინი იმავე ღამეს წავიდნენ საქართველოდან. 1924 წლის შემდეგ, მერაბი ოჯახის წევრებს აღარც უნახავთ. იცოდნენ, რომ ჯერ საფრანგეთში ჩავიდა, შემდეგ კი — ბელგიაში.

— ოჯახი თუ ჰქონდა?

— მოგვიანებით შეირთო რუსეთიდან

არჩილ კოკოჩაშვილი

ბოლშევიზმის შემოტევის შედეგად საფრანგეთში გახიზნული ოლგა შჩერბატოვა. მათ შვილები არ ჰყოლიათ, ბიძაჩემი ადრე გარდაიცვალა, ბიცოლა კი, ახლაც ბელგიაში ცხოვრობს, 94 წლის არის. მეორე მსოფლიო ომის დროს, ოკუპირებულ საფრანგეთში მოქმედებდა წინააღმდეგობის მოძრაობა. ოლგა შჩერბატოვა ამ მოძრაობის აქტიური წევრი გახლდათ. რამდენჯერმე დაიჭრა. ფეხიც კი დაკარგა. სწორედ იმ პერიოდში გარდაიცვალა ბიძაჩემი, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, მერაბი საფრანგეთში, სამხედრო სკოლაში სწავლობდა. იმისთვის, რომ სამხედრო კარიერა გაეგრძელებინა, იქაური მოქალაქეობა უნდა მიეღო. ამაზე უარი თქვა. ყოველთვის ჰქონდა იმედი, რომ ოდესმე სამშობლოში დაბრუნებას მოახერხებდა. სურდა, რომ თავის ქვეყანაში ისევ ქართველი (და არა ფრანგი) დაბრუნებულიყო... ალბათ ეს იყო მისი ბედისწერა. მერაბ ჯორჯაძის თანამებრძოლი გახლდათ მისი სიძე (დის — ივლიტა ჯორჯაძის მეუღლე), ცნობილი ოფიცერი, ბაქია თუთბერიძე. იგი 1924 წელს, მეტეხის ციხეში დახვრიტეს... ასეთია ჩემი ოჯახისა და ახლო ნათესავთა ისტორია. ჩემი წინაპრები ყოველთვის ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დასჯდომოდათ.

— რეპრესირებული მამის გამო, რაიმე დაბრკოლება ხომ არ შეგხვედრიათ ცხოვრებაში? ხშირად ასეთ ოჯახებს ახლობლებიც კი ივიწყებდნენ, იმის გამო, რომ მათთან ურთიერთობა სარისკო იყო.

— იმის გამო, რომ რეპრესირებულის შვილი ვიყავი, პრობლემები ნამდვილად არ შემქმნია. იქნებ, ეს იმის ბრალიც იყო, რომ როცა წამოვიზარდე, ომი დაიწყო და ასეთი ოჯახებისთვის აღარავის ეცალა. ■

ბაქია თუთბერიძე (მარჯვნივ) 1924 წელს მეტეხის ციხეში დახვრიტეს...

ჯუსმთივ ლოვსმ ვფ ღგუნოვტმთივ ფტპუდწჭმ

„ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი“, — ამ სიტყვებით მოიხსენიებენ წმინდა გრიგოლ ხანძთელს, რომელსაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 18 ოქტომბერს იხსენიებს. წმინდა გრიგოლს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ტაო-კლარჯეთში სამონასტრო ცხოვრების აღორძინებაში, ამ მხარეში მან ორი მამათა (ხანძთასა და შატბერდში) და ორი დედათა (მერესა და გუნათლეში) მონასტერი დააარსა. მანვე დააარსა დასავლეთ საქართველოში უბის მონასტერი, რომელიც ამჟამად, უბისის წმინდა გიორგის მონასტრის სახელწოდებითაა ცნობილი.

შორენა მერკვილაძე

წმინდა გრიგოლ ხანძთელი დაიბადა 759 წელს: „იგი იყო შვილი წარჩინებულთა, დიდებულთა და მართლმორწმუნეთა მამა-დედაითა და სახლსა შინა სამეფოსა დიდისა ნერსე ერისთავისასა აღზრდილ. იყო ხელით კეთილად მსახურისა დედოფლისა — ნერსეს ცოლისაითა, რომელსაცა ეშვილა, რამეთუ იყოცა ძმისწული მისი“, — მოგვითხრობს გიორგი მერჩულე. სწორედ ქართლის ერისთავის — ნერსეს კარზე მიიღო მან ქრისტიანული აღზრდა. სხვა მხრივაც ბრწყინვალე სწავლა-განათლება მიიღო: მაშინ ცნობილ თითქმის ყველა ენაზე წერდა და ლაპარაკობდა, შეისწავლა ფილოსოფია და თეოლოგიაც. ყრმობიდანვე მონაზვნური ცხოვრებისკენ იყო მიდრეკილი — არასდროს უგემნია ღვინისა და ხორცის გემო, არც გემრიელ საზრდელს იხმევდა. სულის განსამტკიცებლად ყოველთვის მწირ საკვებს ამჯობინებდა. არც ბავშვური თამაშები იზიდავდა, მარტოობა უყვარდა, ამის გამო დაყუდებულსაც კი უწოდებდნენ. პირისახეც მშვიდი და ზეციური სათნოებით სხივდაფენილი ჰქონდა.

სრულიად ახალგაზრდა მღვდლად აკურთხეს, თუმცა თავად გრიგოლი ერიდებოდა მღვდლობის პატივს: „თქვენ იცით წმინდა მოციქულთა და ნეტარ მღვდელმოძღვართა დაწესებული კანონი წმინდა სამოციქულო ეკლესიისა, თუ როგორი კრძალულება და სრული სიწმინდე მართებს მღვდელს არა მხოლოდ საქმით, არამედ გონებითაც და სიტყვითაც... მღვდლის დიდება ყოველ ხორციელ და სულიერ დიდებას აღემატება, რამეთუ მღვდლობა ქრისტეს ნაცვალობაა. კაცთა ცხონება მღვდელთაგან მოდის. პატივს ვხედავ, მაგრამ სასჯელისაგან მეშინის“, — განაცხადა მღვდლად ხელდასხმის წინ, რადგან ეშინოდა ესოდენ დიდი პატივისა. მაგრამ საბოლოოდ მაინც დაიყოლიეს — დაემორჩილა მვედრებელთ და მღვდლად აკურთხეს.

მალე წმინდა გრიგოლს ეპისკოპოსად კურთხევა დაუპირეს, მაგრამ რადგან მას უფალი განდეგილი ცხოვრებისკენ მოუწოდებდა, თავის სამ მოწაფესთან — საბასთან, თეოდორესა და ქრისტეფორესთან ერთად, ფარულად დატოვა ქართლი და მურვან ყრუსგან აოხრებულ და გაუდაბურებულ ტაო-კლარჯეთს მიაშურა, სადაც იმხანად არაბთა მიერ ქართლიდან დევნილი აშოტ კურაპალატი იმყოფებოდა, რომელსაც ვახტანგ გორგასლის მიერ აშენებული არტანუჯი სატახტო ქალაქად გამოეცხადებინა და საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლის გასაახლებლად სამზადისს შესდგომოდა.

ტაო-კლარჯეთის უდაბნოში მაშინ მხოლოდ ერთი — ოპიზის მონასტერი არსებობდა, სადაც რამდენიმე ბერი მოღვაწეობდა. მამა გრიგოლი და მისი მოწაფეები სწორედ ოპიზის მონასტერში მივიდნენ და ორი წლის განმავლობაში იქვე მოღვაწეობდნენ. იმ პერიოდში ტაო-კლარჯეთში ბევრი განდეგილი და დაყუდებული ბერი მოღვაწეობდა. მამა გრიგოლი ხშირად მიდიოდა მათთან, სწავლობდა ლოცვას, მარხვას, სიმდ-

აბლეს, სიყვარულს, სიმშვიდეს, უპოვრობას, მიწაზე წოლას, დუმილით ხელსაქმობასა თუ სხვა სათნოებებს. მას თავადაც სურდა, განდეგილად მოღვაწეობას შესდგომოდა, მაგრამ უფლისგან „უდაბნოთა ქალაქყოფნა“ ებრძანა, რათა მრავალთა სულიერი წინამძღოლი გამხდარიყო და მრავალთათვის გაეღო ზეციური სასუფევლის კარი.

კლარჯეთის უდაბნოში განდეგილ მოღვაწეთა შორის, წმინდა ცხოვრებით მცხოვრები ბერი — ხუედიოსი მოღვაწეობდა, რომელმაც სწორედ იმ ადგილას, სადაც ამჟამად ხანძთის ეკლესია დგას, ეკლესიის სახედ გამოსახული ნათლის ღრუბელი იხილა და ეუწყა, რომ ამ ადგილზე მამა გრიგოლის ხელით ეკლესია უნდა აგებულიყო. გრიგოლმა მართლაც იწყო ხანძთას ეკლესიათა შენება. პირველად, ძმობის წევრებთან ერთად ძელის ეკლესია ააგო. მალე მასთან მოღვაწეობის სურვილმა მრავალი ადამიანი მიიყვანა ხანძთის უდაბნოში. ძმობის წევრები თანდათან მრავლდებოდნენ. ისინი უმანკოებით, სიმდაბლითა და მორჩილებით მსახურებდნენ უფალს.

ხანძთის მახლობლად ერთ-ერთ აზნაურს, გიორგი (გაბრიელ) დაფანჩულს სოფლები ჰქონდა. ის და მისი მეუღლე კეთილმორწმუნე ქრისტიანები იყვნენ. გრიგოლმა სწორედ მას მიმართა დახმარებისთვის. „ჩვენთან ხორციელი სიკეთეა, თქვენთან კი — სულიერი. კარგი იქნება, თუ ერთმანეთს შევუზავებთ“, — უთხრა გაბრიელმა გრიგოლს და ეკლესია-მონასტრების მშენებლობაში დახმარება აღუთქვა. მისცა სამშენებლო მასალა, იარაღი და მუშახელი, თან სთხოვა: „ჩვენთვის ლოცვა უკუნისამდე განაწესეთ თქვენს მონასტერში, თუკი ჩემი შთამომავლობიდან რომელიმე მამაკაცი მოწესეობას — ბერმონაზვნურ ცხოვრებას ისურვებს, ხანძთის მონასტერში მიიღეთ. დედაკაცებისთვის კი სამონასტრე ადგილი შეარჩიე და დედათა მონასტერი დააარსე“. დედათა მონასტრის დასაარსებლად გრიგოლმა გუნათლე შეარჩია და მალე სავანეც დააარსა. იმ ადგილას კი, სადაც მამა გრიგოლისა და მისი მოწაფეების მიერ აშენებული ძელის ეკლესია იდგა, ქვიტკირის ეკლესია ააგეს, რომელიც დიდმოწამე გიორგის სახელზე იკურთხა.

გაბრიელ დაფანჩულმა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობისა და მისი ღვაწლმოსილების შესახებ აშოტ კურაპალატსაც აუწყა. როდესაც ღვთივმორწმუნე მეფემ მის საბრძანებელში მოღვაწე წმინდა გრიგოლის შესახებ შეიტყო, ფრიად გაიხარა. ეპისტოლე მისწერა და კრძალვით სთხოვა, რომ თავის ძმობის წევრებთან ერთად სასახლეში სწვეოდა. გრიგოლი მეფეს ეახლა. აშოტმა და მისმა ვაჟებმა უდიდესი პატივით მიიღეს ნეტარი მამა. სწორედ ამ სტუმრობისას შეიტყო ხელმწიფემ ხანძთის სავანის შესახებ და მონასტერს აგარაკად შატბერდი შესწირა, თავისი ვრცელი შემოგარენით. აშოტ კურაპალატის ვაჟებმაც ხანძთის მონასტერს სამონასტრო ცხოვრებისთვის საჭირო უხვი საბოძვარი უბოძეს. ნეტარი მამა გახარებული დაბრუნდა თავის სავანეში.

მალე გრიგოლ ხანძთელთან სამცხიდან სანატრელი და სასწაულთა მიერ შემკული დედა ფებრონიაც ჩავიდა. ნეტარი დედა მერეს დაემკვიდრა და დედათა მონასტერი დააარსა. ასე იკიდებდა ფეხს სამხრეთ საქართველოში სამონასტრო ახალშენები.

გრიგოლ ხანძთელთან მოღვაწე ბერებს — თეოდორესა და ქრისტეფორეს თავადაც გაუჩნდათ მონასტერთა დამოუკიდებლად შენების სურვილი და ფარულად წავიდნენ დასავლეთ საქართველოში. როდესაც ნეტარმა გრიგოლმა ამის შესახებ შეიტყო, მათ საძებნელად გაემართა. ამას დასავლეთ საქართველოში კიდევ ერთი წმინდა სავანის დაარსება მოჰყვა: „მაშინ მამამან გრიგოლ, აღაშენა მონასტერი და უწოდა სახელი მისი უბე“. მამა გრიგოლს მონასტრის აშენება აფხაზთა მეფემ — დემეტრემ სთხოვა და მშენებლობისთვის დიდძალი შესაწირიც გაიღო, თვითონ მამა გრიგოლს კი ათი ათასი დრამა უბოძა საჩუქრად, ეკლესია-მონასტრების მშენებლობისა და სამონასტრო ცხოვრების ასაღორძინებლად.

გრიგოლ ხანძთელმა კიდევ ერთი მონასტერი დააარსა შატბერდს, რომელიც მეფე აშოტ კურაპალატმა უბოძა ხანძთის მონასტერს აგარაკად. ამ საქმეში მას აშოტ კურაპალატის ძე, ბაგრატ კურაპალატი დაეხმარა — მისცა ყოველი „სახმარი“ მის საშენებლად. შატბერდის მამათა სავანე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელზე აკურთხეს. მამა გრიგოლმა მისი წინამძღვრობაც თავად იტვირთა, ამიტომ ხან შატბერდს იმყოფებოდა, ხან — ხანძთას. იმ პერიოდში წმინდა მამა ას წელს იყო მიტანებული. მიუხედავად ამისა, მისი სხეული, მართალი და ღვთივსათნო ცხოვრებით, უფლის ძალით იმდენად იყო გაძლიერებული, რომ მაინც მხნედ ატარებდა ესოდენ მძიმე ტვირთს.

წმინდა მამა უფრო მეტ დროს შატბერდის მონასტერში ატარებდა. ხანძთელი ბერები დრტვინავდნენ, ეშინოდათ — იქ არ აღესრულოსო და მის წამოსაყვანად წარემართნენ, რათა პირველმოღვაწეობის ადგილას დაებრუნებინათ. ნეტარი მამა შატბერდში მოღვაწე მამებს გამოემშვიდობა და ხანძთას წარემართა.

ხანძთაში დაბრუნებულმა გრიგოლმა მცირე ხანს კიდევ იღვაწა, მაგრამ მალე ამა სოფლიდან გასვლის ჟამის შესახებ უფლის მიერ ეუწყა. მან მონასტრის ძმები იხმო და დაავალა — დიდი სანთლები დაემზადებინათ, რომლებიც მახლობელ მონასტრებში უნდა გადაეგზავნათ, იქ მოღვაწე ბერებს ის დღეც აუწყა, როდესაც ეს სანთლები უნდა დაენთოთ.

ბერები მიხვდნენ, რასაც მოასწავებდა ყოველივე ეს, ამიტომ ყველა ახლომახლო მონასტერში მოღვაწე ბერმა ხანძთას მიაშურა, რათა უკანასკნელად ეხილათ ნეტარი მამა, პატივი მიეგოთ და მისგან ლოცვა-კურთხევა მიეღოთ. თან შეევედრნენ, რომ სამარადისოდ ელოცა და ეშუამდგომლა მათთვის უფლის წინაშე, რადგან წინასწარ უწყოდნენ, რომ მას სიმართლის გვირგვინით შემკობა და ციურ სასუფეველში უფლის სიახლოვეს დამკვიდრება მოელოდა. ნეტარმა გრიგოლმა ყველას აღუთქვა, რომ თუ პოვებდა კადნიერებას უფლის წინაშე, სამარადისოდ ილოცებდა მათთვის. ამ სიტყვების წარმოთქმისას, მისი სხეული და პირისახე არაამქვეყნიურმა ნათელმა შეამკო. ანგელოზთა კრებული დასტრიალებდა თავს და მთელი არემარე საკმევლის კეთილსურნელებით ავსებულიყო.

ზეცის მკვიდრნი — წმინდა ანგელოზები, ყველა იქ მყოფმა ბერმა იხილა. ზოგიერთს ანგელოზთა ხმაც ესმა, ნეტარი გრიგოლის მიმართ წარმოთქმული: „ნუ გეშინია, ქრისტეს მსახურო, ქვეყნის კაცსა და ზეცის ანგელოზს გიხმობს ზეცათა მეუფე. მოვედ სიხარულით და დაუსრულებლად იხარე მის წინაშე“, — აუწყებდნენ უფლის მაცნენი.

წმინდა გრიგოლმა უკანასკნელად დალოცა და აკურთხა ძმანი, ილოცა უფლის წინაშე და მშვიდობით შეჰვედრა სული უფალს. ეს მოხდა 861 წლის 5 ოქტომბერს (18 ოქტომბერს — ახ. სტილით.). იმ დროს ნეტარი გრიგოლი 102 წლის იყო.

■

ესე ყოველი ცხორებაი, ვითარცა ყვავილი ველთაი, წარმავალ არს და დაუდგრომელ, და ვინ სთესა — მოიმკო, და ვინ განაბნია გლახაკთათვის — შეკრიბა. და რომელმან წარწყმიდოს თავი თვისი, მან პოოს იგი, რომელმან ადიდა იგი.

იაკობ ხუცესი (ცურტაველი)

ფრაზები

გენიალური

გოჩა მანველიძე

თეთრი სიკვდილი

დასაწყისი იხ. „გზა“, №34-40

ნაპატიმრალი ზაზა გორგაძის მკვლელობის დაფარვის მიზნით, კრიმინალური პოლიციის უფროსი, მერაბ მესხი და მისი დამქაშები, ზაზას მეგობარს — გიო ჭელიძეს და მოკლულის ძმას — ვახოს აპატიმრებენ. ორივეს, ნარკოტიკებით ვაჭრობაში ადანაშაულებენ. ადვოკატი შიოშვილი, რეზო ჭელიძეს აიმედებს, რომ მისი ძმა ერთ-ორ დღეში შინ დაბრუნდება. მაგრამ ყველაფერი სრულიად საპირისპიროდ ხდება: ბიჭს წინასწარ პატიმრობას მიუსჯიან, რადგან სასამართლოზე პროკურორი ორი უმძიმესი დანაშაულის ჩადენაში წაუყენებს ბრალს — ნარკოტიკებით ვაჭრობა და ძმაკაცის — ზაზას მკვლელობა. რეზო ხვდება, რომ ამ საქმის შეთითხნაში გიოს ადვოკატი შიოშვილიც მონაწილეობს. ამასვე უდასტურებს ახალგაზრდა ჟურნალისტი გოგა, რომელიც სასამართლო სხდომის შემდეგ გამოეცნაურება და ძმის გადასარჩენად ბრძოლაში დახმარებას სთავაზობს.

საპატრულო პოლიციის წარმომადგენლების გამოჩენისას, ადგილზე შემთხვევითი გამვლელების მცირერიცხოვან ჯგუფს მოეყარა თავი. ქალები ხევის პირას იდგნენ და შეშფოთებული სახეებით ქვემოთ იცქირებოდნენ, რამდენიმე მამაკაცი კი ხევში ჩასვლას ცდილობდა, სადაც ავტოავარიისას დამსხვრეული მიკროავტობუსი ეგდო. პოლიციელები სწრაფად შეუდგნენ მოვალეობის შესრულებას. ერთ-ერთი მათგანი სირბილით მოშორდა მანქანას და ხევში ჩასასვლელ ბილიკს დაადგა, მეორე ორიოდე წუთით შეყოვნდა. მან რადიოკავშირით „სასწრაფო დახმარება“ გამოიძახა და მერე, კოლეგას მიჰყვა.

— ცოცხალი გადარჩა ვინმე? — მიკროავტობუსთან მიახლოებისთანავე მიმართა პოლიციელმა მამაკაცებს, რომლებიც ფანჯრის ჭრილებიდან ათვალიერებდნენ სალონს.

ერთ-ერთმა მამაკაცმა უიმედოდ გააქნია თავი და პოლიციელებს გზა გაუთავისუფლა.

მიკროავტობუსი საშინელი სანახავი იყო. დიდი სიმაღლიდან გადავარდნისას, ის სახურავით დაცემულიყო უზარმაზარ ლოდებზე და მთლიანად დამსხვრეულიყო. პირველი გვამი პოლიციელებმა წინა სავარძელზე, საჭესთან აღმოაჩინეს. დარტყმისას მიკროავტობუსის დეფორმირებულ დეტალებს მძღოლი ისე მიეჭყლიტა სავარძელზე, რომ სპეციალური მოწყობილობის გარეშე მისი გადმოყვანა შეუძლებელი იყო. მეორე მამაკაცი მიკროავტობუსის ბოლოში მოჩანდა. მას, ერთი შეხედვით, შედარებით მსუბუქი დაზიანებები ჰქონდა მიღებული, თუმცა, ისიც გარდაცვლილი იყო.

მოგვიანებით, პოლიციელებმა მესამე გვამიც აღმოაჩინეს, რომლის თაობაზეც მოქალაქეებმა არაფერი იცოდნენ. როგორც ჩანს, ავარიისას ის მანქანიდან გადმოვარდნილიყო და შემდეგ, მიკროავტობუსი ზემოდან დასცემოდა; ახლა სახურავის გვერდით მხოლოდ მისი ხელის მტევანი მოჩანდა...

— ვეღარაფერს ვუშველით... „სასწრაფო დახმარება“ გამოიძახე? — მიუბრუნდა კოლეგას პოლიციელი.

— გამოვიძახე, — დაუდასტურა მან.

— ტექნიკური დახმარებაც გამოიძახე. მის გარეშე გვამებს ვერ ამოვიღებთ, — დაამატა პოლიციელმა და მოქალაქეებს მიუბრუნდა: — თვითმხილველის ჩვენება მჭირდება...

მათ ერთმანეთს გადახედეს და ბოლოს, ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცზე შეაჩერეს მზერა.

პოლიციელი მიხვდა, რომ სწორედ ის უნდა ყოფილიყო ავარიის თვითმხილველი და პირდაპირ მიმართა:

— როგორ მოხდა ავარია?

— წარმოდგენა არა მაქვს, — მიუგო კაცმა.

— როგორ?! — გაუკვირდა პოლიციელს, — შემთხვევას არ შესწრებიხართ?

— არა, — თავი გაიქნია მამაკაცმა.

— მაშინ, როგორ აღმოჩნდით აქ და ჩვენ ვინ გამოგვიძახა? — განაგრძო პოლიციელმა.

— მე გამოგიძახეთ, — დაუდასტურა კაცმა, — მაგრამ ავარიის მომენტი არ მინახავს.

— კარგი. მითხარით, რა ნახეთ, — პოლიციელმა კალამი და უბის წიგნაკი მოიმარჯვა.

— ბევრს ვერაფერს გეტყვით. სამტრედიიდან თბილისში მივდივარ. მგზავრობამ ჩემი შვილიშვილი დაღალა. დასასვენებლად გავჩერდით, რომ ბავშვს ფეხი გაემართა. სწორედ მაშინ შევნიშნეთ ეს მიკროავტობუსი... დანარჩენები ჩემ შემდეგ მოვიდნენ... — სწრაფად დაასრულა მამაკაცმა.

— მართალია... ასე იყო, — დაემოწმნენ დანარჩენები, — ის აქ იყო, როდესაც ჩვენ გავჩერდით...

ვიდრე პოლიციელი თვითმხილველებს ელაპარაკებოდა, შემთხვევის ადგილას ტექნიკური სამსახურის მანქანა და პოლიციის რაიონული სამმართველოს ხელმძღვანელები მივიდნენ. ისინი ვითარებაში გარკვევას შეუდგნენ, ტექნიკურმა სამსახურმა კი მიკროავტობუსიდან გვამების ამოყვანა დაიწყო. პირველი, მიკროავტობუსიდან შედარებით დაუზიანებელი გვამი გადმოასვენეს. ორმოციოდე წლის მამაკაცი იქნებოდა. პოლიციელებმა გარდაცვლილს ჯიბეები მოუჩხრიკეს, მაგრამ პირადობის დამადასტურებელი საბუთი არ აღმოაჩნდა. მეორე დაღუპულის ამოსასვენებლად ტექნიკოსებს მანქანის გაჭრა მოუხდათ. ამას თითქმის 20 წუთი მოანდომეს. არც მას აღმოაჩნდა რაიმე დოკუმენტი. ამის შემდეგ ჯერი მესამე გარდაცვლილზე მიდგა. პოლიციელებმა მოქალაქეების დახმარებით, მიკროავტობუსი გვერდზე გადასწიეს, რათა გვამის ახლოდან დათვალიერების შესაძლებლობა მისცემოდათ. სანახაობამ თავზარი დასცა მოქალაქეებს, რომლებიც უმალ შებრუნდნენ და რამდენიმე ნაბიჯით მოშორდნენ იქაურობას. მანქანის ქვეშ მოყოლილი გვამი იმდენად დაზიანებულიყო, რომ სახის ნაკვთები სრულიად წაშლოდა. პოლიციელებმა მხოლოდ ის დაადგინეს, რომ დაღუპული, ახალგაზრდა მამაკაცი იყო.

— გაჩხრიკეთ! — ცივი ხმით ბრძანა ერთ-ერთმა სამმართველოს უფროსმა, როდესაც ხელქვეითებს ყოყმანი შენიშნა.

პოლიციელებმა ერთმანეთს გადახედეს. შემდეგ, ჯგუფს ორი მათგანი გამოეყო. მათ გვამთან ჩაიმუხლეს და ფრთხილად შეუდგნენ ჩხრეკას. მალე მიაგნეს იმას, რასაც ეძებდნენ: დაღუპულს ქურთუკის ჯიბეში საქართველოს მოქალაქის პასპორტი აღმოაჩნდა. ამ პასპორტის მიხედვით, ის იყო თბილისის მკვიდრი, 30 წლის ივანე დარახველიძე. გარდა ამისა, პოლიციელებმა კიდევ ერთი აღმოჩენა გააკეთეს: გაირკვა, რომ დარახველიძეს წინაღამეს გადმოეკვეთა საქართველო-თურქეთის საზღვარი.

ამ გარემოების გარკვევის შემდეგ, პოლიციის ხელმძღვანელმა მიკროავტობუსის სანომრე ნიშანი მოიძია, დააქერდა და ერთხანს ჩაფიქრდა. მერე ბრძანა:

— კიდევ ერთხელ გაჩხრიკეთ ის ორი გვამი და მანქანაც.

პოლიციელები უმალ შეუდგნენ ბრძანების შესრულებას. მაგრამ ჩხრეკას შედეგი არ მოჰყოლია. მათ ვერანაირ დოკუმენტს ვერ მიაკვლიეს.

— გამორიცხულია, რაიმე დოკუმენ-

ტი არ ჰქონოდათ... კაი, დავუშვათ, მიკროავტობუსი თურქეთიდან არ შემოსულა. მაგრამ მძღოლს ხომ მაინც უნდა ჰქონოდა მართვის მოწმობა და მანქანის პასპორტი?!. შეიძლება, საბუთები ავარიის დროს მიმოიფანტა... კარგად დაათვალიერეთ აქაურობა! — მორიგი ბრძანება გასცა მან. განკარგულება გაცემული იყო და პოლიციელები მის აღსრულებას შეუდგნენ. ისინი მიმოიფანტნენ და მდინარის ნაპირს გაჰყვნენ, თავად უფროსმა კი, ტელეფონი მოიმარჯვა, სამმართველოს დაუკავშირდა, მიკროავტობუსის სანომრე ნიშნები ჩააწერინა და მისი მფლობელის ვინაობის დადგენა სთხოვა.

ვიდრე სამმართველოში მფლობელის ვინაობას არკვევდნენ, მდინარის ნაპირზე კიდევ ერთი უსიამოვნო აღმოჩენა გააკეთეს.

— ბატონო გივი!.. — ყვირილით მოიჭრა ერთ-ერთი პოლიციელი, — აქეთ მობრძანდით!..

გივი სწრაფად დაიძრა ადგილიდან და პოლიციელს უკან მიჰყვა. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ის თანამშრომლების გვერდით აღმოჩნდა, რომლებიც დაძაბული სახეებით ათვალიერებდნენ ბუჩქებით დაფარულ ახალგაზრდა მამაკაცის გვამს.

— საბუთები ამასაც არა აქვს... — უკმაყოფილო სახით გააქნია თავი ერთ-ერთმა პოლიციელმა, რომელსაც უკვე მოესწრო გარდაცვლილის ტანსაცმლის გაჩხრეკა. — მაგრამ ეს ავარიისას არც დაღუპულა!..

— მაშ, რითია მკვდარი? — ჰკითხა გივიმ.

— ამას შეხედეთ, — პოლიციელმა გარდაცვლილის გვერდზე მიუთითა, — ნატყვიარებია!

— გადმოაბრუნეთ! უკეთ უნდა შევათვალიერო, — ბრძანა გივიმ.

პოლიციელმა განკარგულება შეასრულა. გვამის გადმობრუნების შემდეგ, ყველამ დაინახა, რომ გარდაცვლილს შუბლზეც ჰქონდა ნატყვიარი.

— მდაა... — გივიმ მძიმედ მოისრისა საფეთქლები.

— იქნებ, დამთხვევაა?.. — გაუბედავად ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა პოლიციელმა.

გივიმ სწრაფი მზერა ესროლა ხელქვეითს, შემდეგ ჰკითხა:

— ე.ი. შენ ფიქრობ, რომ ამ ორ შემთხვევას შორის კავშირი არ არის?! ვიღაცას ამ ხევში მოუნდა ანგარიშსწორება და სწორედ იმწამს გზატკეცილიდან მიკროავტობუსიც გადმოფრინდა?!.

პოლიციელმა უპასუხოდ დატოვა კითხვა.

— მე ასე არ ვფიქრობ!.. — განაგრძო გივიმ, — ამიტომაც, ასე მოვიქცევით: ორ ჯგუფად გაიყავით და ნაპირის გაყოლებაზე, ერთმა მარჯვენა, მეორემ კი — მარცხენა მხარე საგულდაგულოდ გაჩხრიკეთ...

ის იყო, პოლიციელები მდინარის ნაპირზე გაიშალნენ, რომ გივის, სამმართველოდან დაუკავშირდნენ და მიკროავტობუსის მფლობელის ვინაობა აცნობეს. ის ბათუმის მკვიდრი, ჯემალ ბერიძე აღმოჩნდა.

— შეგიძლიათ მისი ოჯახის წევრებთან დაკავშირება? — იკითხა გივიმ.

— რა თქმა უნდა, — უპასუხეს სამმართველოდან.

— მაშინ, სასწრაფოდ ჩამოიყვანეთ სამტრედიაში, გვამის ამოსაცნობად, — დაასრულა გივიმ, შემდეგ თავის მოადგილეს მიუბრუნდა და უბრძანა: — ნიკა ბარამიძე გამოიძახე!..

— ნიკა?! — იკითხა გაოცებულმა მოადგილემ. — რაში გვჭირდება აქ ის „სტუდენტი“?!

ნიკა ბარამიძე მოადგილემ იმის გამო მოიხსენია სტუდენტად, რომ ის სამმართველოში ახალი მიღებული გამომძიებელი იყო და პრაქტიკულად, არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა. მაგრამ მისთვის ცნობილი არ იყო, რომ ნიკას მამას, დავით ბარამიძეს — შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანსა და გივის, ერთმანეთთან ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდათ. სწორედ ამიტომ აღმოჩნდა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული, გივის სამმართველოში. ერთადერთი ვაჟის მიბარებისას, დავითმა კიდევ ერთი თხოვნით მიმართა გივის: მას სურდა, რომ ნიკას რთული დანაშაულების გახსნაში მიეღო მონაწილეობა, რაც სამომავლოდ, მას თბილისში, პროკურატურაში გადასვლაში შეუწყობდა ხელს.

— გამოიძახე ბარამიძე! მე ის კაბინეტში გამოსაკეტად არ მიმიღია სამმართველოში. სხვა გამომძიებლები ისედაც დატვირთულები არიან. ის კი, მთელი თვე უსაქმოდ ზის კაბინეტში და ჩემს მდივანთან ლაზღანდარობით ირთობს თავს!.. — ცივად მოჭრა გივიმ და მოადგილეს ზურგი შეაქცია.

შემთხვევის ადგილზე ნიკას გამოჩენის მომენტისთვის, ექსპერტთა ჯგუფს უკვე დასრულებული ჰქონდა თავისი სამუშაო. გამოკვლევისას დადგინდა კიდევ ერთი გარემოება, რომელმაც საბოლოოდ გამორიცხა ამ ორი შემთხვევის უბრალო დამთხვევის ვერსია: მიკროავტობუსის ერთ-ერთი მგზავრიც ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით იყო მოკლული.

— რატომ დაიგვიანე? — გივი უკმაყოფილო მზერით შეეგება ფერდობზე დაშვებულ ნიკას.

ის ბავშვობიდან იცნობდა სამმართველოში ახალმიღებულ გამომძიებელსა და ახლო მეგობრის ერთადერთ ვაჟს. მის თვალწინ ჩაიარა ნიკას ბავშვობამ, სიყმაწვილემ, სტუდენტობამ... და ერთ მშვენიერ დღეს ბიჭუნა, რომელიც პატარაობისას, მისი თხოვნით, საახალწლო ლექსებს წარმოთქვამდა, იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულ ახოვან ვაჟკაცად მოევლინა სამმართველოში.

— აღარ შემიძლია უსაქმოდ ყოფნა, ბიჭებს გავყევი გამოძახებაზე, — თავი იმართლა ნიკამ.

— სად?

— უმნიშვნელო შემთხვევა იყო. ვიღაც ვიგინდარამ ქალს 10 ლარი მოჰპარა, — ნიკამ უკნაყოფილო გამომეტყველებით ჩაიქნია ხელი.

— ჯიბგირიც სერიოზული დამნაშავეა... — შენიშნა გივიმ.

— მესმის, მაგრამ მე უფრო სერიოზული საქმის წარმოება მსურს, — ჩაილაპარაკა ნიკამ და თან, მიკროავტობუსის გვერდით, საკაცეზე დასვენებულ გვამს გახედა. — ეს საქმეც არ მეჩვენება მაინცდამაინც საინტერესოდ...

— რატომ? — დააკვირდა გივი.

— რა უნდა იყოს აქ საინტერესო?! — გაიკვირვა ნიკამ. — ავტოავარიაა და მეტი არაფერი.

— ცდები. ეს მკვლელობაა და თანაც — ჯგუფური!

— მკვლელობა?! — ნიკას უმალ დაუბრუნდა სერიოზული გამომეტყველება.

— ჰო, — დაუდასტურა გივიმ.

— და ამ საქმეს...

— მართალი ხარ: ამ საქმეს შენ გამოიძიებ... როგორ ფიქრობ, მოერევი? თუ საქმე რთულად გეჩვენება, სხვას დავაკისრებ.

— არა! — უმალ უპასუხა ნიკამ.

— რა — არა? — ჩაეძია გივი.

— ნუ გადასცემთ სხვას. საქმეს მე გამოვიძიებ.

— კეთილი... ჯერჯერობით მხოლოდ ფაქტის ოფიციალურად გაფორმება და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა გეკისრება. ძიებისას კი, თუ თავს ვერ გაართმევ, დაგეხმარებით... — ჩაილაპარაკა გივიმ, შემდეგ ხელით ანიშნა — გამომყევიო და მიკროავტობუსისკენ დაიძრა.

პირველადი მონაცემების გაცნობისას, ნიკა ყურადღებით უსმენდა საექსპერტო ჯგუფის ხელმძღვანელს და დროდადრო კითხვასაც უსვამდა. მოგვიანებით კი, გივის მოეჩვენა, რომ გამომძიებლის ინტერესმა იკლო და იმის ნაცვლად, რომ ექსპერტისთვის მოესმინა ან შემთხვევის ადგილი დაეთვალიერებინა, მოპირდაპირე ქედს მიაპყრო მზერა.

— ყურადღებით! — უკმაყოფილო ტონით ჩაილაპარაკა გივიმ, როდესაც ნიკა საერთოდ გვერდით გადგა, თვალები მოიჩრდილა და ქედს დააკვირდა.

— აქ ყველაფერი გასაგებია, — მისკენ არც გაუხედავს, ისე ჩაილაპარაკა ნიკამ, — მაგრამ იქ!..

— რა ხდება იქ? — გაიკვირვა გივიმ და თვითონაც საპირისპირო ქედს გახედა.

— იქიდან გვაკვირდებიან...

— გვაკვირდებიან?! — გივიმ უფრო ყურადღებით შეათვალიერა ქედი, მაგრამ ტყეში ჩამალული, გვერდზე გადაქანებული ქოხის გარდა ვერაფერი შენიშნა. — რაღაც ქოხია, თან, როგორც ჩანს, მიტოვებული...

— არა მგონია, რომ მიტოვებული იყოს. აქაურები მეფუტკრეობას მისდევენ და საზაფხულოდ მიუვალ ადგილებში გაჰყავთ ფუტკარი. ეს ქოხიც მეფუტკრეს ეკუთვნის, — მიუგო ნიკამ.

— მაგრამ იქ ხომ არავინაა!..

— ახლა მართლაც არავინაა, — დაეთანხმა ნიკა, — მაგრამ იყო და ამასთან ერთად, სწორედ მაშინ მიიმალა, როდესაც ჩემი მზერა შენიშნა...

— მოიცა, ნიკა, რა დროს ფუტკარი და მეფუტკრეა?! ჩვენ შემთხვევის ადგილიც კი არ გამოგვიკვლევია, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა გივიმ.

— შემთხვევის ადგილი არსად გამექცევა. კაცი კი, რომელსაც ყველაფრის ხილვა შეეძლო და ამასთან ერთად, რატომღაც გვემალება, პირველ რიგში უნდა დაიკითხოს, — უპასუხა ნიკამ, შემდეგ, გივის ზურგი შეაქცია და მდინარეში შევიდა.

— რას აპირებს? — გივის მოადგილემ გაოცებული მზერით გააცილა ახალბედა გამომძიებელი.

— თავი დაანებე, ძიება მას დავაკისრე და ჯერჯერობით, ერთი შეცდომის უფლებასაც ვუტოვებ, — ჩაილაპარაკა გივიმ და მისდა გასაოცრად, ფეხდაფეხ მიჰყვა ნიკას.

იმ მომენტისთვის, როდესაც გივიმ მდინარე გადაკვეთა და ქედზე ასასვლელ ბილიკს შეუყვა, ნიკას უკვე მოეძებნა ტყეში ჩაკარგული ქოხის მფლობელი. ის მართლაც, მეფუტკრე აღმოჩნდა. თუმცა, მოახლოებული უცნობის შემჩნევისას, მეფუტკრემ ტყეში დარჩენა ამჯობინა და მხოლოდ მაშინ გამოჩნდა, როდესაც დაუპატიჟებელი სტუმარი სკების სიახლოვეს შედგა.

— გამარჯობა! — ნიკა მშვიდად მიესალმა მზისგან გახუნებულ შარვალსა და ხალათში გამოწყობილ სამოციოდე წლის ჭაღარა მამაკაცს.

— გაგიმარჯოს! — დაძაბული სახით მიუგო მეფუტკრემ.

— კარგი ადგილი შეგირჩევიათ ფუტკრისთვის, — შეაქო ნიკამ.

— არა უშავს რა... — ჩილაპარაკა მოხუცმა.

— სუფთა ადგილია და ხედიც კარგია... — ნიკამ საქმიანი იერით გახედა მდინარის მეორე ნაპირს, შემდეგ ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, კუნძზე ჩამოჯდა და მეფუტკრეს გაუწოდა.

მოხუცმა უხმოდ გამოართვა სიგარეტი, მოუკიდა და თვითონაც გვერდზე მიუჯდა.

— რას მეტყვი კარგს და ახალს, ძიაკაცო? — საუბარი განაგრძო ნიკამ.

— აბა, რა უნდა გითხრა?.. — გაიკვირვა მოხუცმა. — თვიდან თვემდე აქა ვარ, ტყეში... ტელევიზორი მე არ მაქვს, რადიო და გაზეთი... არც მეზობელი მყავს, რომ მილეთის ამბებზე მითხრას რამე...

— მე მაგას არ გეკითხები, — გახედა ნიკამ.

— მაშ, რას მეკითხები?.. — პაუზის შემდეგ ჰკითხა მოხუცმა.

— ძიაკაცო, მე პოლიციის გამომძიებელი ვარ...

— ძალიან ახალგაზრდად გამოიყურები გამომძიებლისთვის... — უნდოდ ჩაილაპარაკა მოხუცმა.

— შენ კი საკმაოდ ხანში შესულად იმ ადამიანისთვის, რომელიც ყურადღებას არ მიაქცევდა მისი სახლის სიახლოვეს ამტყდარ სროლას... — შენიშნა ნიკამ.

— მე... — შემცბარი სახით წამოიწყო მოხუცმა, მაგრამ ნიკამ არ დაასრულებინა. ჯიბიდან პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ამოიღო, მოხუცს უჩვენა და თქვა:

— მე პოლიციის გამომძიებელი ვარ და ძალიან მაინტერესებს, რა მოხდა იმ ნაპირზე!..

ვიდრე მეფუტკრე რაიმეს იტყოდა, სკების სიახლოვეს გივი გამოჩნდა. მეფუტკრემ სწრაფი მზერა ესროლა მის ქამარში გარჭობილ პისტოლეტს, მერე ისევ ნიკას გახედა.

— ჩვენი სამმართველოს უფროსია, — უთხრა მან. — მაშ, რა მოხდა იმ ნაპირზე და რატომ გვემალებოდი?

— არც კი ვიცი, რა გითხრათ... — მოგუდული ხმით დაიწყო მეფუტკრემ. — სამოც წელს გადავაბიჯე და ასეთი რამე არასოდეს მინახავს...

— შეგიძლიათ დააზუსტოთ? — საუბარში ჩაერთო გივი.

— შემიძლია... — მეფუტკრემ პაუზა გააკეთა და შემდეგ განაგრძო: — ყველაფერი გამთენიისას მოხდა. ქოხიდან რიჟრაჟზე გამოვედი. იმ დღეს რამდენიმე სკაში ახალი ფიჭები უნდა ჩამეწყო, მაგრამ გრილი დილა იყო და ვიდრე

ცვარი არ აშრა, ფუტკარი არ შემიწუხებია. აქ ვიჯექი, ამ კუნძზე და ყალიონს ვაბოლებდი, როდესაც პოლიციის სირენის ხმა ჩამესმა. სირენისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია: გზატკეცილია და ასეთი რამე ხშირად ხდება. მაგრამ სირენას, სროლის ხმაც მოჰყვა. მაშინვე გზატკეცილისკენ შევბრუნდი და იმ მანქანას მოვკარი თვალი...

— მიკროავტობუსს? — ჩაეძია ნიკა.

— ჰო, — დაუდასტურა მოხუცმა, — დარეტიანებული მტრედივით მოძრაობდა, უკან კი, სროლა-სროლით, სხვა მანქანა მისდევდა...

— რა იარაღით ისროდნენ — ავტომატით თუ პისტოლეტით? — დაინტერესდა გივი.

— ავტომატით, — უყოყმანოდ მიუგო მოხუცმა, — ჯარში ვიყავი და ვიცი, რომ ავტომატი გაბმით ისვრის. იქ კი ისეთი კაკანი იდგა, რომ მგონი, ორი ავტომატიდანაც ისროდნენ... და მიკროავტობუსიდანაც პასუხობდნენ...

— რა მოდელის მანქანა იყო? — ჰკითხა ნიკამ.

— აი, მაგას კი ვერ გეტყვით, — მხრები აიჩეჩა მეფუტკრემ, — მაგაში ვერ ვერკვევი. პატარა მანქანა იყო.

— რუსული თუ უცხოური წარმოების? — გამოკითხვა განაგრძო ნიკამ.

— რუსულში „ვოლგას“ და „ჟიგულს“ გულისხმობთ? — კითხვა შეუბრუნა მეფუტკრემ.

— „მოსკვიჩსაც“.

— არა... არა... უცხოური მანქანა იყო, თანაც ძალიან დიდი.

— როგორ თუ დიდი?.. — დაიბნა გივი. — ახლა არ თქვი — პატარა მანქანა იყოო?!

— პატარა იყო... უბრალოდ, მინდოდა მეთქვა, რომ არც სატვირთო იყო და არც მიკროავტობუსი, პატარა იყო, მსუბუქი მანქანა, მაგრამ — დიდი, — უპასუხა მოხუცმა, — მაღალი და განიერი საბურავები ჰქონდა.

— ჯიპი! — ნიკას გახედა გივიმ.

— „უაზს“ ჰგავდა? — მიუბრუნდა ნიკა მოხუცს.

— ჰო... — დაუდასტურა მოხუცმა.

— კეთილი, ყველაფერი გასაგებია. შემდეგ რა მოხდა?

— მოსახვევს გამოსცდნენ თუ არა, მიკროავტობუსმა მართვა დაკარგა და პირდაპირ ხევისკენ აიღო გეზი. ამ დროს თვალი მოვკარი — მიკროავტობუსიდან კაცი გადმოხტა. მანქანა ისე სწრაფად მოდიოდა, რომ გადმოხტომისას ის ცოცხალი ვერ გადარჩებოდა, მაგრამ ეტყობა, სწორედ ჯებირთან შეჯახებისას გადმოხტა — მაშინ, როდესაც მიკროავტობუსმა სისწრაფეს მოუკლო... როგორც კი ის კაცი ასფალტზე დაენარცხა, მანქანამ ჯებირი გაანგრია და ხევში გადაფრინდა... იმავწამს დაამუხრუჭა მეორე მანქანამ. იქიდან ოთხნი გადმოცვივდნენ. ოთხივეს ავტომატი ეჭირა ხელში...

— ჯიპში დარჩა ვინმე? — შეაწყვეტინა ნიკამ.

— არა, — თავი გააქნია მოხუცმა, — კარგად მახსოვს, მანქანიდან მძღოლიც გადმოვიდა... ისინი მანქანიდან გადმომხტარ კაცს დაედევნნენ, მაგრამ მან ხევში გადახტომით უშველა თავს. ისინიც მაშინვე უკან მიჰყვნენ, თანაც, არ ესროდნენ. ის კაცი დაშავებული იყო. ეტყობა, ხევში გადახტომის დროს რაღაც იტკინა. ჰოდა, ძალიან მალე დაიჭირეს... მეგონა, რომ ჯიპიდან გადმოსულები, პოლიციელები იყვნენ, მაგრამ...

— რა — მაგრამ? — ჩაეძია ნიკა.

— მათ ის კაცი დაიჭირეს. თავიდან, სცემეს... თანაც, ეტყობოდათ, რომ ჩქარობდნენ... სცემდნენ და რაღაცას უყვიროდნენ, რას — არ ვიცი... მერე აქეთიქით გადგნენ და ერთ-ერთმა ის კაცი ავტომატიდან დაცხრილა. შემდეგ მკვდარი გაჩხრიკეს და მიკროავტობუსს მიუბრუნდნენ. რა მოხდა იქ, არ ვიცი. მაგრამ იქაც რამდენჯერმე გაისროლეს, ალბათ, კიდევ ვიღაცას მოუღეს ბოლო... ბოლოს, მიკროავტობუსიდან გრძელი ყუთი გადმოიღეს, ფერდობზე აათრიეს და თავიანთ ჯიპში ჩადეს...

— რა ზომის იყო ყუთი? — დაინტერესდა გივი.

— საკმაოდ მოზრდილი. იმდენად დიდი, რომ ოთხმა კაცმა ძლივს შეძლო ფერდობზე მისი ატანა და ჯიპში ჩადება...

გივიმ გაოგნებული მზერა ესროლა ნიკას. მეფუტკრე მართლაც, დაუჯერებელ ამბავს ჰყვებოდა.

— როგორც კი ყუთი მანქანაში ჩადეს, თვითონაც უცებ ჩასხდნენ და მაშინვე გაშორდნენ აქაურობას... — მეფუტკრემ თხრობა დაამთავრა.

— ჩვენ რატომ გვარიდებდი თავს? — ხანმოკლე პაუზის შემდეგ ჰკითხა ნიკამ.

— არ გარიდებდით, — ყრუ ხმით ჩაილაპარაკა მოხუცმა.

— გვარიდებდი!.. — მკაცრად გაიმეორა ნიკამ.

— არ მიყვარს სხვის საქმეში ჩარევა, — მზერა აარიდა მოხუცმა.

— სხვა არაფერი?..

— არაფერი, — მიუგო მეფუტკრემ.

— არა ხარ მართალი... — ცივად უთხრა ნიკამ. — იმ დროს, როცა შენ თვალწინ ოთხ ადამიანს კლავენ...

— ვინ კლავს?!. — ბრაზით სავსე მზერა ესროლა მოხუცმა.

— მკვლელები... მათ სახელებს კი, მოგვიანებით დავადგენთ!..

— ჰოდა, დაადგინე, მე კი თავი დამანებე!.. — ბრაზით განაგრძო მოხუცმა.

ნიკამ პაუზა გააკეთა, შემდეგ თვალი თვალში გაუყარა მეფუტკრეს და მკაცრად თქვა:

— ძიაკაცო, შენ რაღაცას გვიმალავ!..

— არაფერს არ გიმალავ. უბრალოდ, თქვენს საქმეში არ მინდა ჩარევა. ერთმანეთში გაარკვიეთ, ვის და რისთვის კლავთ!.. — წამოიძახა მოხუცმა და ფეხზე წამოიჭრა.

— ერთმანეთში?! — გაოცებული მზერა მიაპყრო გივიმ.

— ჰო, სწორედ ერთმანეთში!.. მე ხომ გითხარით, რომ ის ჯიპი პოლიციის სირენებით მისდევდა მიკროავტობუსს!..

— სირენა არაფერს ნიშნავს, სხვასაც შეეძლო მისი გამოყენება, — შენიშნა გივიმ.

— მაშუქის?.. — არ შეეპუა მოხუცი. — იმათ მანქანას სწორედ ისეთი მაშუქი ჰქონდა, როგორიც პოლიციელებს აქვთ!.. ავტომატები?!.

— კარგი, რა, ძიაკაცო!.. — ხელი ჩაიქნია ნიკამ. — რომელი საუკუნეა?! პოლიციელის გარდა, ავტომატით ხელში არავინ გინახავს?!

— სწორედაც რომ არ მინახავს!.. და თუ თქვენ მართლაც, გაინტერესებთ მათი დაჭერა, ჩემთან ნუ კარგავთ დროს, წადით და ის მკვლელები თქვენ შორის მოიძიეთ!..

— ძიაკაცო!.. — ბრაზნარევი ხმით წამოიწყო გივიმ, მაგრამ მობილური ტელეფონის ზარმა დასრულების საშუალება აღარ მისცა.

— გისმენთ, — მოიმარჯვა აპარატი გივიმ.

— დარახველიძის ნათესავებს დავუკავშირდით. მათ დაადასტურეს, რომ მიკროავტობუსი მას ეკუთვნის. შემდეგ აღვუწერეთ მისი ჩაცმულობა და ასევე დასტური მივიღეთ, რომ გარდაცვლილი ნამდვილად დარახველიძეა... ისინი უკვე გამოემგზავრნენ ბათუმიდან, — მოახსენა გივის მოადგილემ.

— კეთილი, — ჩაილაპარაკა გივიმ, შემდეგ, ნიკას მიუბრუნდა: — სამმართველოში უნდა დავბრუნდეთ. დარახველიძის ოჯახის წევრები უკვე წამოვიდნენ ბათუმიდან.

— მოხუცი?.. — მალულად ანიშნა ნიკამ.

— გამომძიებელი შენ ხარ და ამის გადაწყვეტა მთლიანად შენთვის მომინდვია.

ასეთმა პასუხმა ნიკა მიახვედრა, რომ გივი კმაყოფილი იყო მისით და ამით გახარებული, სწრაფად მიუბრუნდა მოხუცს.

— როგორ გირჩევნია, ძიაკაცო — სამმართველოში წაგიყვანო, თუ აქვე გაიმეორებ იმას, რაც უკვე მიამბე?

— სამმართველოში არაფერი მესაქმება!.. — ცივად მოსხიპა მეფუტკრემ, — და არც რამის გამეორებას ვაპირებ!..

— არა, არა... — თავი გააქნია ნიკამ, — ასე ვერ შევთანხმდებით: ან ერთი უნდა აირჩიო, ან — მეორე.

— აქ მირჩევნია... — ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ამოიოხრა მოხუცმა.

— ესე იგი, შევთანხმდით... ახლა შენთან ერთი ჩვენი მეგობარი ამოვა და ყველაფერს სიტყვასიტყვით გაუმეორებ, — კმაყოფილი ტონით ჩაილაპარაკა ნიკამ და წამოდგა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ვარსკვლავური შიშველი სიმართლე

პამელა ანდერსონმა კიდევ ერთხელ შეახსენა ყველას, რომ ის ნამდვილი ვარსკვლავია! ამ საქმეში სექსუალურ ქალბატონს ფოტოგრაფი დევიდ ლა შაპელი დაეხმარა. პოზირების დროს, პამელამ ინტიმური ადგილები ვარსკვლავის ფორმის სტიკერებით დაიმშვენა. ეს ბრწყინვალე ფოტოსურათი ლა შაპელის ახალ ალბომს — „მსახიობები და მეძავები“ დაამშვენებს. დევიდმა მხოლოდ პამელა ანდერსონის გაშიშვლება როდი მოახერხა. მისი კამერის ობიექტივის წინ პერის ჰილტონიც გაშიშვლდა. სასტუმროების ქსელის მემკვიდრის ფოტოსურათები სასტუმროს ნომერშია გადაღებული. მომაკვდინებელად სექსუალურ ქუსლებზე შემდგარი, ქამრის ფორმის ქვედაბოლოსა და ბადისებურ ზედატანში გამოწყობილი პერისის ფოტოსურათი, მამაკაცებს ფანტაზიისათვის არანაირ გასაქანს არ უტოვებს. დევიდ ლა შაპელის ახალი ალბომის უნიკალურ ფოტოსურათთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ცნობილი ამერიკელი რეპერი ქალის — ლილ კიმის ფოტო, რომელსაც სხეულს მხოლოდ ლუი ვუიტონის საფირმო სიმბოლიკა და... საკუთარი ხელები უფარავს.

ლა შაპელს შიშველ მდგომარეობაში ჰყავს გადაღებული ემინემი. უმუშავია ისეთ ცნობილ ადამიანებთან, როგორებიც არიან: მადონა, ელიზაბეტ ტეილორი, დევიდ ბექჰემი, ჰილარი კლინტონი და მუჰამედ ალი. ■

მეიონს ნოულზი კვლავ გამართლდა!

ცნობილი ამერიკელი მომღერალი ბეიონს ნოულზი წყლიდან ამჯერადაც მშრალი ამოვიდა! ამ დღეებში დასრულდა სასამართლო პროცესი. ბეიონსს სხვისი სიმღერის ტექსტის მითვისება ედებოდა ბრალად. მუსიკალურ წრეებში კარგად ცნობილმა პოეტმა ჯენიფერ არმოურმა მომღერალს სასამართლოში უჩივლა და მისი სიმღერის Baby Boy ტექსტის მითვისებაში დაადანაშაულა. არმოური ირწმუნება, რომ მისმა მენეჯერმა ტექსტი და კომპოზიციის დემოჩანაწერი ხმის ჩამწერ სტუდია Columbia Records-ს გაუგზავნა, სტუდია კი ნოულზთან თანამშრომლობს. ტიპური საქმის არსებითი განხილვის შემდგომ, მოსამართლემ დაასკვნა, რომ ორი კომპოზიცია ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდება და მხარეებს შორის დავის საგანს არ წარმოადგენს. ■

ჯორჯ კლუნი პაპარაცებს მრძოლაში იწვევს

ჯორჯ კლუნიმ პაპარაცებს სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა, მაგრამ ამისთვის სრულიად განსაკუთრებულ მეთოდს მიმართა; მსახიობი ამ უშელავათო ბრძოლაში ხელჩართული ჩხუბის გამართვას ან დაცვის გაძლიერებას სულაც არ აპირებს. კლუნიმ სხვა გზა გამონახა: მან პაპარაცები დამქანცველი შრომისთვის გაწირა. სერიალ „სასწრაფოს“ ვარსკვლავმა განაცხადა, რომ შეეცდება, მაქსიმალურად ბევრი რომანი გააბას. „სამი თვის განმავლობაში, ყოველ საღამოს ახალ-ახალ მომხიბვლელ ქალბატონთან ერთად გამოვჩნდები. დღეს — ჰოლი ბერისთან ერთად, ხვალ სელმა ჰაიეკთან და ა.შ. ერთ მშვენიერ დღეს, შესაძლოა, ლეონარდო დი კაპრიოსთან ერთად პლაჟზე მოსეირნეც მიხილონ. პაპარაცებმა კი კუდში მდიონ“, — განუცხადა კლუნიმ ჟურნალისტებს. ■

ნიკ კარტერის ინტიმური საიდუმლოებანი

ჯგუფის Backstreet Boys წევრმა ნიკ კარტერმა შოუს King of All Media`s მაყურებელს იმის შესახებ მოუთხრო, თუ როგორ დაკარგა მან უმანკოება. მომღერალმა განაცხადა, რომ ეს ამბავი სკოლაში, მასწავლებელ დებილეფეივთან 13 წლის ასაკში გადახდა თავს. კარტერმა თავისი პირველი სექსუალური გამოცდილების დეტალურად გაზიარება არ მოისურვა და საუბარი პერის ჰილტონთან ურთიერთობაზე გადაიტანა, რომელსაც მომღერალი 2 წლის წინ დაშორდა. „ვერც კი წარმოიდგენთ, პირველ ხანებში, პერისი ჩინებული დიასახლისივით იქცეოდა; მახსოვს, ჩემს სახლში ხალიჩაც კი გაწმინდა, მაგრამ ეს მხოლოდ 2-3 თვეს გაგრძელდა. შემდეგ ყველაფერი ჩვეულებრივად წარიმართა“, — ამბობს ნიკ კარტერი. ■

მერილინისა და ელვისის საიდუმლო რომანი

როკ-ენ-როლის მეფის, ელვის პრესლის ყოფილმა აგენტმა ბაირონ რაფაელმა 50-წლიანი დუმილი დაარღვია და ერთ-ერთი ცნობილი გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ კინოსა და როკის ყველაზე სახელგანთქმულმა ვარსკვლავებმა — მერილინ მონრომ და ელვის პრესლიმ ერთხელ ღამე ერთად გაატარეს! აღსანიშნავია, რომ Sky News-ში გამოქვეყნებული 2004 წლის გამოკითხვის თანხმად, სწორედ მონრო და პრესლი აღმოჩნდნენ იმ ცნობილი ადამიანების სიის სათავეში, რომელთან დაწოლასაც ისურვებდნენ ამერიკელები. დღემდე არავის უფიქრია, რომ ვარსკვლავებს შორის შესაძლოა ინტიმური კავშირი არსებობდა. ბაირონ რაფაელმა განაცხადა, რომ ერთხელ ელვისმა დაურეკა და სთხოვა, მერილინ მონრო მასთან მიეყვანა. „მერილინი ბევერლი ველშირში მივიყვანე. ელვისის ოთახში ერთად შევედით. სიტყვის უთქმელად ერთმანეთს კოცნა დაუწყეს და ორიოდე წუთის შემდეგ, საძინებელ ოთახში გავიდნენ, — იხსენებს სენსაციური სასიყვარულო პაემნის ერთადერთი მოწმე, — მე ჩამეძინა, როდესაც გამომეღვიძა, ოთახში სრულიად შიშველი მერილინი და ელვისი შემოვიდნენ“. ვნებიანი ღამის შემდგომ მერილინმა პრესლის სახლი დატოვა და ტაქსით წავიდა. მოგვიანებით კი, როკის მეფემ აღიარა: „მერილინი კარგი გოგოა, მაგრამ ჩემთვის, ცოტა არ იყოს, მაღალია“. ■

რენე ზელვეგერი:

„პირველსავე შემხვედრს ცოლად არასდროს გავყვები“

„ექსპერიმენტები მიყვარს. მათ შორის, პირად ცხოვრებაშიც. მეორე ნახევრის პოვნის იმედს არ ვკარგავ. გულხელდაკრეფილი ჯდომა და ლოდინი ჩემი სტილი არ არის, მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით ვიცი: პირველსავე შემხვედრს ცოლად არასდროს გავყვები“, — განაცხადა ერთხელ რენე ზელვეგერმა, რომელსაც კინოექსპერიმენტებმა ჰოლივუდის ოლიმპისკენ მომავალი გზა გაუკვლია, მაგრამ ცხოვრების თანამგზავრის პოვნაში ვერაფრით დაეხმარა... რენეს გადაწყვეტილებას, ცხოვრება როკ-მუსიკოსს დაუკავშიროს, მისი ახლობლები მორიგ ექსპერიმენტად აღიქვამენ.

როკჯგუფის — White Stripes — 28 წლის მუსიკოსი, ჯეკ უაიტი რენემ 2003 წლის დასაწყისში, რუმინეთში, ფილმის — „ცივი მთა“ გადაღებებზე გაიცნო. წყვილი თავდაპირველად, გრძნობას მალავდა, მაგრამ გასულ ზაფხულს მაინც „გაიშიფრა“. რენე და ჯეკი გვიან ღამით კონცერტიდან ბრუნდებოდნენ. ჯეკი საჭეს ვერ გაუმკლავდა და შემხვედრ მანქანას შეეჯახა. პოლიციამ ინციდენტი დააფიქსირა და როგორც წესი და რიგი მოითხოვს, აღნიშნა, რომ მეორე მგზავრი, სახელად რენე ზელვეგერი, საბედნიეროდ არ დაშავებულა. მძიმე ტრავმები არც უაიტს მიუღია, თუ არ ჩავთვლით იმ ფაქტს, რომ მან მარცხენა ხელზე თითი მოიტეხა, რაც გიტარისტისთვის სერიოზული პრობლემაა. მართალია, ჯეკ უაიტი მუსიკალური კრიტიკოსების კეთილგანწყობილებით სარგებლობს და უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს (ჟურნალმა „როლინგ სთოუნმა“ უაიტს ყველა დროის საუკეთესო გიტარისტთა ასეულში მეჩვიდმეტე ადგილი მიაკუთვნა), მაგრამ ტრავმის გამო საგასტროლო ტურნეს გადადება მისი ჯგუფის წევრებზე უარყოფითად აისახა. ჯგუფი კი ორი წევრის — თავად ჯეკისა და დასარტყმელ ინსტრუმენტებზე დამკვრელი მეგ უაიტისგან შედგება. ოდესღაც ჯეკი მეგს ღვიძლ დად ასაღებდა, მაგრამ მოგვიანებით, პრესაში ორი საინტერესო დოკუმენტი დაიბეჭდა. პირველი მათგანი ვინმე ჯონ გილისისა და მეგ უაიტის ქორწინების მოწმობაა, მეორე კი — ამავე პიროვნებების განქორწინების დამადასტურებელი საბუთი. როგორც აღმოჩნდა, გილისი — ჯეკის ნამდვილი გვარია, უაიტი კი, არტისტული ფსევდონიმი, რომელიც მან მეგზე დაქორწინების შემდეგ აიღო.

როგორც ჩანს, რენეს ეს ამბავი ნაკლებად აღელვებს — შოუბიზნესის სამყაროში უარესი ამბებიც ხდება. ჰოლივუდის ვარსკვლავი ჯეკთან პირველმა სერიოზულმა შეკამათებამ უფრო შეაშფოთა. მაშინ რენე ფილმის — „ბრიჯიტ ჯონსის დღიური“ გადაღებისთვის ემზადებოდა. წონაში მომატება დასჭირდა, რათა ეკრანზე დაკომპლექსებული, უიღბლო და პუტკუნა ქალის შესანიშნავი სახე კიდევ ერთხელ შეექმნა. პუბლიკამ „გრანდიოზული“ ახალი ამბავი სწრაფად აიტაცა. ყველა გაფაციცებული ითვლიდა, თუ რამდენი ფილა შოკოლადი, რამდენი პიცა და ფუნთუშა უნდა ჭამოს რენემ, რომ კილოგრამების საჭირო რაოდენობა აკრიბოს! როგორ იხუმრებს ჰიუ გრანტი, როდესაც გადასალებ მოედანზე მსახიობის ქვედა საცვალს კვლავ იხილავს! ამ საყოველთაო ალიაქოთს რომელიღაც კომპანიის წარმომადგენლებიც დაემატნენ, რომლებიც რენეს წონის დასაკლებად საკუთარ პრეპარატებს სთავაზობდნენ და მზად იყვნენ, რომ მისთვის 2 მლნ დოლარი გადაეხადათ.

რიჩარდ გირთან ერთად. გასულ წელს ორივე ვარსკვლავი ფილმისთვის – „ჩიკაგო“ „ოქროს გლობუსით“ დაჯილდოვდა

ჯეკის პროტესტი გასაგებია — ვის სიამოვნებს, როდესაც მის შეყვარებულს საჯაროდ აშიშვლებენ?! ჯეკმა განაცხადა, რომ რენეს კილოგრამების გარშემო ამტყდარი სულელური ალიაქოთი ყელში ამოუვიდა, რომ ეს აჟიოტაჟი მას შემოქმედებით მოღვაწეობაში უშლის ხელს. ისინი ერთმანეთს დაშორდნენ, მაგრამ მალევე შერიგდნენ. რენე „ბრიჯიტ ჯონსის დღიურის“ გადაღებებიდან მარტოსული და სატრფოს მონატრებული დაბრუნდა. ჯეკიც იმავე გრძნობებს შეეპყრო. შეყვარებულებმა შობის დღეები ერთად გაატარეს. რენე ბედნიერი იყო და უნდა ითქვას, რომ ზედმეტი წონის მიუხედავად, შესანიშნავადაც გამოიყურებოდა! ეს თავად ჰიუ გრანტმაც კი აღნიშნა, რომელმაც გადაღებების დასრულების შემდგომ, რენესგან სამახსოვროდ

მისი გმირის ქვედა საცვალი მიიღო წარწერით, სადაც ნათქვამია, რომ რენე ჩვეულებრივ, 10 ზომით პატარა ტრუსებს ხმარობს. ჰიუმ გამოთხოვებისას პარტნიორი უამრავი ქათინაურით შეამკო და აღიარა, რომ მისი ჩამრგვალებული ფიგურა ერთ რამედ ღირს. ამ აზრს ჯეკიც იზიარებდა და გაზაფხულზე, „ოსკარების“ ცერემონიის აღსანიშნავ საღამოზე, რენემ საქვეყნოდ განაცხადა, რომ ჯეკს ცოლად მიჰყვება!

რენეს ახლობლებმა ახალი ამბავი გააპროტესტეს. მსახიობს ყველა ერთხმად არწმუნებდა, რომ ჯეკი მისი შესაფერისი არ არის. მამამ, ემილ ზელვეგერმა, ქალიშვილს პირდაპირ ჰკითხა: „შენ, ჭკვიან გოგოს და სერიოზულ მსახიობს, ეს როკერი რაში გჭირდება? ნუთუ უკეთესს არ იმსახურებ?“ ემილ ზელვეგერი შვილს აღმერთებს და როგორც საზოგადოდ მამებს სჩვევიათ, გულწრფელად სწამს, რომ მის ქალიშვილს მხოლოდ მსოფლიოში



ჯიმ კერიმ რენეს გული ვერ მოინადირა

საუკეთესო მამაკაცი შეეფერება. მამის სიტყვებზე რენემ მხოლოდ ამოიხვნეშა... მისი მშობლებისთვის ამგვარი სიტყვები იოლი სათქმელია. მათი რომანტიკული სიყვარული, რომელიც უკვე 40 წელი გრძელდება — შვილებისთვის ღირსეული მაგალითია! რენე ზელვეგერი მუდამ სიამოვნებით ჰყვება იმას, თუ როგორ გაიცნეს მისმა მშობლებმა ერთმანეთი. რენეს დედა, სამშობლოს მკაცრი კლიმატით თავგაბეზრებული ნორვეგიელი ქალბატონი, ამერიკის თბილ მხარეში დასახლებაზე ოცნებობდა. მედდის პროფესია კელფორიდს ჰიუსტონში სამსახურის შოვნაში დაეხმარა. სამშობლოს საბოლოოდ დატოვებამდე, ქალმა სკანდინავიაში მოგზაურობა გადაწყვიტა. დანიისკენ მიმავალ გემზე, სიმპათიური ახალგაზრდა, შვეიცარიელი ინჟინერი — ემილ ზელვეგერი გაიცნო. „დედას ემილი დანახვისთანვე მოეწონა. რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება, როდესაც შეიტყო, რომ ემილიც დანიაში სამოგზაუროდ მიდიოდა, შემდეგ კი ისიც ჰიუსტონში დამკვიდრებას აპირებდა!.. მათ ამერიკაში იქორწინეს და დღემდე ბედნიერი შეყვარებულები არიან“, — ამბობს რენე. ჰიუსტონის გარეუბანში დაბადებული რენე ზელვეგერი — მუდამ მოწესრიგებული, მშობლების დამჯერი გოგონა — სიყვარულისა და მზრუნველობის ატმოსფეროში იზრდებოდა. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მისმა არჩევანმა მზრუნველი მამის მოწონება ვერ დაიმსახურა.

ჯეკთან შეხვედრამდე რენე მისი პირველი ტრაგიკული სიყვარულის ამბის დავიწყებას გულწრფელად ცდილობდა. ეს ამბავი 1990 წელს, ოსტინში დაიწყო. რენემ ტეხასის უნივერსიტეტის ინგლისური ლიტერატურის ფაკულტეტი დაამთავრა და ბაკალავრის დიპლომი აიღო, მაგრამ უფროსი ძმის, დრიუს წყალობით, თეატრის სამყაროს ჯერ კიდევ სკოლაში ეზიარა და ინტუიციამ უკარნახა, რომ მისი მომავალი პროფესია მსახიობობა უნდა ყოფილიყო. დრიუს თეატრით გატაცებამ მალე გაუარა, რენემ კი, რომელსაც მოკრძალებული გარეგნობის გამო, მხოლოდ სტატისტის კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ, გასინჯვებსა და მოსმენებზე სიარულს მოუხშირა, მაგრამ თავდაპირველად, მხოლოდ სარეკლამო რგოლებში მოხვდა. მაგალითად, რენე წარმატებით უწევდა რეკლამას „მსოფლიოში საუკეთესო, შესანიშნავ ტეხასურ ბიფშტექსს“. ლუკმაპურისა და ბინის ქირის გადასახდელად, რენემ სტრიპტიზბარში — „გემრიელი გოგონები“ ოფიციანტად დაიწყო მუშაობა. სწორედ იქ შეხვდა ადამიანს, რომელმაც მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ეს ადამიანი სიმს ელისონი იყო. ახალგაზრდა, ოქროსფერთმიანი, ტანმაღალი ჭაბუკი ჯგუფის — Pariach სოლისტი იყო. მისი ჯგუფი ოსტინში ბარის სტუმრების გასართობად ერთი კვირით ჩავიდა. ლოს-ანჯელესში დაბრუნებისთანვე სიმსმა რენეს დაურეკა და მასთან გადასვლა შესთავაზა. მისი გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მშობლებს რენემ მხოლოდ ის უთხრა, რომ ჰოლივუდში ძალების მოსინჯვაზე დიდხანს ოცნებობდა. ელისონის მუსიკალური ჯგუფი ჰიტაღლუმებზე დაკავებული პირველი ადგილებით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ რენესთან შედარებით სიმსი ვარსკვლავი იყო. გოგონაზე ორი წლით უფროსი ჭაბუკი რენესთვის შეყვარებულის გარდა, მეგობრადაც იქცა. სწორედ სიმსის დახმარებით მიიღო დამწყებმა მსახიობმა პირველი, პატარა როლები. მალე სიმს ელისონის ცხოვრებაში შემოქმედებითი კრიზისი დაიწყო. ხმის ჩამწერმა სტუდიამ ჯგუფთან დადებული კონტრაქტი გაწყვიტა, რადგან მათი ალბომები არ იყიდებოდა. სიმსს უმძიმესი დეპრესია დაეწყო. მუსიკოსმა ხსნა ნარკოტიკებში პოვა... შეყვარებულთა ბედნიერი ცხოვრება მალე ჯოჯოხეთად გადაიქცა. რენეს მცდელობა, სიმსი ნარკოტიკების ჭაობიდან ამოეყვანა, უშედეგოდ დასრულდა. რენემ თავი დაირწმუნა, რომ სიმს ვერაფრით დაეხმარებოდა და წავიდა. 1995 წლის ზაფხულში ზელვეგერმა შემზარავი ამბავი შეიტყო — მათ ყოფილ ბინაში სიმსმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა! თავზარდაცემულმა რენემ ლოს-ანჯელესი დატოვა და მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა. მის გულში დანაშაულის შეგრძნებამ სამუდამოდ დაიბუდა. სიმსის დედა, ბონი ელისონი რენეს ნუგეშისცემას ამაოდ ცდილობდა. მას შვილის სიკვდილში რენე არასდროს დაუდანაშაულებია. „რენე შესანიშნავი გოგონაა, ისინი ცოლ-ქმარი არ იყვნენ, მაგრამ 4 წელი ერთად გაატარეს და ერთმანეთს მშვენივრად ეწყობოდნენ. დაკრძალვაზე სასოწარკვეთილი რენეს ამაღელვებელმა სიტყვებმა ყველას გული აუჩუყა. რენე ძალზე კეთილია. ხშირად მნახულობს. მოგზაურობიდან კი ღია ბარათებსა და სუვენირებს მიგზავნის. რენე ძალიან მიყვარს!“ — ამას წინათ, ბონიმ ეს სიტყვები რენეს დედას უთხრა. თავად რენემ კი, ერთ-ერთ ინტერვიუში (რენე ზელვეგერი ამ თემაზე ძალზე იშვიათად საუბროობს) განაცხადა: „ზოგჯერ მეჩვენება, რომ ჩემი სიყვარული ისევ ცოცხალია. როდესაც ბონის მორიგ სუვენირს ვუგზავნი, ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს სიმსთან კავშირს ვამყარებ. ჩვენ ასეთი რიტუალი გვქონდა — როდესაც სხვადასხვა ქალაქში აღმოვჩნდებოდით, ერთმანეთს ყოველდღე სამახსოვრო საჩუქარს ვუგზავნიდით“...

ჰოლივუდში დაბრუნებულმა რენემ მარტოობას ვერ გაუძლო და ახალგაზრდა მსახიობს, რორი კოკრეინს დაუახლოვდა. ისინი ერთმანეთს მხარში ედგნენ, მაგრამ მხოლოდ იმ დრომდე, ვიდრე რენე წარმატებას მოიპოვებდა... რეჟისორ კემერონ ქროუსა და ტომ კრუზთან დანიშნულ შეხვედრაზე მიმავალ რენეს ვერც კი წარმოედგინა, რომ თავად „მისტერ ჰოლივუდს“ გაუწევდა პარტნიორობას. „მის, ტომ კრუზი გელოდებათ! ღმერთო ჩემო! კინაღამ უგონოდ დავეცი!“ — იხსენებდა რენე ზელვეგერი. ფილმში „ჯერი მაგუაირი“ ტომ კრუზის შეყვარებული გოგონას როლზე უამრავი სახელგანთქმული ვარსკვლავი და დამწყები მსახიობი, მათ შორის: უაინონა რაიდერი, ბრიჯიტ ფონდა, მირა სორვინო და სხვები დაიწუნეს. კემერონ ქროუს სურდა, ეს როლი გამოუცდელ, უცნობ და ამასთან დამაჯერებელად გულწრფელ მსახიობს ეთამაშა. რეჟისორსა და პროდიუსერებს მსახიობისადმი კიდევ ერთი, მთავარი მოთხოვნა ჰქონდათ — მსახიობს კრუზთან არშიყობა არ უნდა დაეწყო! რენეს დანახვაზე ქროუმ და ტომმა ერთმანეთს გადახედეს. მათ წინაშე თავად ფილმის გმირი იდგა! რენეს ტომ კრუზთან რომანის გაბმაზე არც უფიქრია, მაგრამ მისი ბოიფრენდი სხვაგვარად ფიქრობდა. რორი სატრფოს ეჭვიანობის სცენებსა და სკანდალებს უწყობდა. რენე მოგვიანებით მიხვდა, რომ ტომ კრუზი არაფერ შუაში იყო. განხეთქილების მიზეზად ის ტრიუმფი იქცა, რომელიც მას ელოდა. უიღბლო მამაკაცს როდი შეუძლია იმ ქალის გვერდით ცხოვრება, რომელსაც მოულოდნელად ბედმა გაუღიმა. მით უმეტეს, თუ ეს მამაკაციც მსახიობია!

1999 წლის მიწურულს, ფილმის — „მე, ისევ მე და ირენი“ გადაღებების დროს, ჯიმ კერის რენე ზელვეგერი თავდავიწყებით შეუყვარდა. ჯიმი რენეს შეყვარებული ლეკვივით სულ თან დასდევდა, მაგრამ რენე ყურადღებას არ აქცევდა. სერიოზული ურთიერთობისთვის კერი მეტისმეტად მდიდარი და სახელოვანია. მას (რენეს), ჭორები და სკანდალები არაფერში სჭირდება. ეს ხომ ჰოლივუდია! მით უმეტეს, რომ მამაც გამუდმებით შეახსენებდა — ჯიმ კერის მსგავს თავდაჯერებულ და დიდებით განებივრებულ მამაკაცებთან ურთიერთობას ხეირი არ მოაქვსო! ემილმა ჟურნალ-გაზეთებში

გამოქვეყნებული უამრავი პუბლიკაცია შეისწავლა და დაადგინა, რომ კერი „სამსახურებრივი რომანების“ მოყვარული ყოფილა, ამიტომ რენემ მისგან თავი შორს უნდა დაიჭიროსო! მაგრამ შთაგონების მიუხედავად, რენემ თაყვანისმცემლის შეტევებს ვეღარ გაუძლო და ბოლოს განუცხადა: „თუ პაემნის დანიშვნა გსურს, დამპატიჟე. შენს დასამშვიდებლად, წინასწარ გეტყვი, რომ წინააღმდეგი არ ვიქნები!“ ჯიმი ყურადღებიანი და მზრუნველი კავალერი აღმოჩნდა. საყვარელ ქალს 200.000-დოლარად ღირებულ ბრილიანტის ბეჭდებს ჩუქნიდა და ბინის მოწყობაში ეხმარებოდა. „მისი ზედმეტად ენერგიული მიმიკის გამო, ხალხი ვერ ამჩნევს, რომ ჯიმი ძალზე ლამაზი და მომხიბვლელი მამაკაცია, სიცილის ხელოვნებაში კი ბადალი არ ჰყავს“, — ამბობდა აღფრთოვანებული რენე. ინტერნეტსაიტები სანაძლეოებით აივსო იმის შესახებ, თუ რომელი წყვილი უფრო ადრე იქორწინებდა: ჯიმი და რენე, ბრედ პიტი და ჯენიფერ ენისტონი, თუ ჯულია რობერტსი და ბენჯამენ ბრეტი. შობის წინა დღეებში კერისა და ზელვეგერის პრესატაშეებმა მოულოდნელი ოფიციალური განცხადება გააკეთეს: „ჩვენმა კლიენტებმა გადაწყვიტეს, ერთმანეთს დაშორდნენ... მიზეზი — განსხვავებული ცხოვრებისეული მიზნები და მისწრაფებებია“. რა მოხდა სინამდვილეში? ჯიმი და რენე ქორწინებისთვის ფსიქოლოგიურად მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ. კერი ცოლთან, მსახიობ ლორენ ჰოლთან მტკივნეული განქორწინების გამო; რენემ კი... რენემ ძველი ჭრილობა ვერ მოიშუშა, ვერაფრით დაივიწყა, რომ მისმა პირველმა და ჭეშ-

საქმროსთან, ჯეკ უაიგთან ერთად

ფილმის — „ბრიჯიტ ჯონსის დღიური“ პრემიერაზე. პიუ გრანტთან ერთად, 2001

მარიტმა სიყვარულმა, სიმს ელისონმა თავი მოიკლა. მან კი საყვარელი ადამიანის გადარჩენა ვერ შეძლო. ერთხელ რენემ ისიც აღიარა, რომ ამერიკის მთავარ კომიკოსთან ერთად, „ზომიერად ბედნიერმა და მოსაწყენმა“ ცხოვრებამ დაღალა.

რენე ზელვეგერი ჯიმ კერის დაშორდა და ზედმეტ კილოგრამებთან შებრძოლება მარტოს მოუხდა. ამ მძიმე ბრძოლაში რენეს გვერდს მისი 12 წლის, ართრიტით დაავადებული ძაღლი უმშვენებდა, რომელიც სარბენ ბილიკებზე საყვარელ პატრონთან ერთად დარბოდა და რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება, როდესაც ვარჯიშის პირველ დღეს აქოშინებული რენე უკან ადვილად ჩამოიტოვა. რენე ზელვეგერმა გამხდარი, მოხდენილი აღნაგობა დაიბრუნა, მაგრამ ფილმის — „ბრიჯიტ ჯონსის დღიური“ — პრემიერაზე ძალზე ნაღვლიანი ფრაზა წამოსცდა: „საოცნებო მამაკაცის ძიებაში დამჭკნარი ჩემი გმირი, ჩემთვის სულიერად ძალზე ახლობელია“...

საბედნიეროდ, მალე სურათის — „ჩიკაგო“ გადაღებები დაიწყო. რენესთვის 2001 წელი იღბლიანი აღმოჩნდა. მსახიობმა ძველი ფორმა დაიბრუნა, წონაში დაიკლო და მეტისმეტიც კი მოუვიდა. „რენე იმდენად გამხდარი იყო, რომ კეტრინ ზეტა-ჯონსი მასთან შედარებით ფაშფაშა დედაკაცს წააგავდა“, — იხსენებს რეჟისორი ბობ მარშალი. ემილ ზელვეგერმა ის-ის იყო, შვებით ამოისუნთქა, რომ ქალიშვილმა ახალი ამბავი აცნობა: ის ამერიკის ყველაზე სასურველ სასიძოს, ჯორჯ კლუნის ხვდება! რენემ ჯორჯი დაბადების დღეზე დაპატიჟა. ისინი მთელი საღამო ერთად ცეკვავდნენ, ერთმანეთს ნაზად კოცნიდნენ, ჯორჯი საალერსო სიტყვებს ჩასჩურჩულებდა ყურში. რენეს პირველად ჰყავდა ესოდენ მოდური სატრფო, ჯორჯს კი ჭეშმარიტად სახელოვანი, დაფასებული და ნიჭიერი მეგობარი ქალი. „მშვენიერია, როდესაც ორ ზრდასრულ ადამიანს ისეთი ურთიერთობა აკავშირებს, რომელიც მათ არაფერს არ ავალდებულებს. პრესინგის, და გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობისგან თავისუფალი კავშირი, თავისუფლებისა და ბედნიერების შეგრძნებას მანიჭებს“, — უმტკიცებდა რენე მამას. ის დარწმუნებული იყო, რომ სერიალ „სასწრაფოს“ გმირ დოქტორ როსში შეყვარებულ მის ახლობლებს კლუნი აუცილებლად მოეწონებოდათ. სრულიად განსხვავებული ხასიათების მიუხედავად, მათ ერთმანეთი იპოვეს! ჯორჯ კლუნის თაყვანისმცემელ ქალებს ის აზრი აგიჟებდა, რომ მათმა მოუხელთებელმა უფლისწულმა საოცნებო პრინცესა იპოვა, მაგრამ ფანატები მალე დამშვიდდნენ. პაპარაცებმა კლუნი ღამის კლუბში სტრიპტიზის მოცეკვავე ქალთა საზოგადოებაში დააფიქსირეს, შემდეგ ყოფილ საყვარელ, ბრიტანელ მოდელ ლიზა სნოუდონთან ერთად გამოიჭირეს და... 2001 წლის მიწურულს, რენე ზელვეგერმა გადაწყვიტა, რომ „თავისუფალი სიყვარული“ ყელში ამოუვიდა; მით უმეტეს, რომ ცოდვა გამხელილი სჯობს და, ზოგჯერ ჯორჯთან სტაბილური ურთიერთობების დამყარების ილუზიის ტყვეობაშიც იმყოფებოდა. მაგრამ სამწუხაროდ, ემილ ზელვეგერის წინასწარმეტყველება გამართლდა: კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს და ცოცხალი მექალთანე ჩვეულებას არ უღალატებსო!

ჰოლივუდის ერთ-ერთ წვეულებაზე რენე დემი მურს ჩაეხუტა და მწარედ აქვითინდა. გამოუტყდა, რომ ძალზე უბედურია, რომ მას მარტოსული სიბერე ელოდება... დემიმ მისი გამხნევება სცადა, მისტერ „წესიერი კაცის“ საძებნელად სამოგზაუროდ წასვლა ურჩია და რენეც რუმინეთში გაემგზავრა... ფილმის — „ცივი მთა“ გადაღებების დაწყებამდე, ზელვეგერმა „ბრიჯიტ ჯონსის დღიურის“ გაგრძელებაში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა. რადგან ასეთი უბედურია, ის ძველ მეგობარს — მასავით უიღბლო ბრიჯიტს დაუბრუნდება; ამ ფიქრებში ჩაფლულმა რენემ მისი გმირის — რუბის ქმრის როლის შემსრულებელი მსახიობი ვერც კი შეამჩნია; მხოლოდ მოგვიანებით შეიტყო, რომ ჯეკ უაიტი მუსიკოსია. შავგვრემანი უაიტი რენეს გარდაცვლილ შეყვარებულს არაფრით ჰგავს, მაგრამ მასთან ურთიერთობამ თავდაპირველად, მტკივნეული მოგონებები გაუღვიძა, შემდგომ კი, რაღაც მომენტში, დაკარგული სიყვარულით გამოწვეული ტკივილი დაუამა, მოგონებები კი, ნაკლებად მტანჯველი გახდა... ერთ მშვენიერ დღეს, რენე მიხვდა, რომ მას კვლავ როკერი უყვარს! წრე შეიკრა — ამ აზრმა რენეს შვება და ბედნიერება მოჰგვარა.

სწორედ ამიტომ, ნანატრი „ოსკარის“ მიღების შემდგომ გადაწყვიტა, რომ ბედნიერებას და საოცნებო მამაკაცს ჩაებღაუჭოს. რენე ზელვეგერი მისტიციზმში არ გადავარდნილა, იგი სულაც არ ფიქრობს, რომ გარდაუვალმა ბედისწერამ როკერ-მუსიკოსის ცოლობა დაბადებიდან შუბლზე დააწერა. არა! უბრალოდ, მას შემდეგ, რაც რენეს ცხოვრებაში ჯეკ უაიტი გამოჩნდა, მას სინდისის ქენჯნა და ღამეული კოშმარები აღარ ტანჯავს. რენე ზელვეგერს ისღა დარჩენია, მშობლებს ყველაფერი კარგად აუხსნას და ქორწილისთვის მოემზადოს.

„ძალიან იშვიათად მემართება „გამონათება“ ანუ ისე ვიცვამ და ისე ვიპრანჭები, რომ მეც მიკვირს და ჩემს შვილებსაც, რომლებიც მეუბნებიან: ვა, დედი, დღეს რა მაგრად გამოიყურებიო! — მითხრა კომპოზიტორმა ნატო გელაშვილმა, რომელიც თინეიჯერულ ასაკში 2 ყურის „ინსტიტუტით“ ხელმძღვანელობდა და რომელსაც ძმა უმწარებდა სიცოცხლეს, რადგან როგორც თვითონ ნატო ამბობს: ყველა ჩემს „პაკლონიკს“ „მიჟეჟავდა“ ხოლმე და ლამის გაუთხოვარი დამტოვაო...

„მიჟეჟილი“ თაუვანისმცემლები, გიჟპოეტა ასინეთას მიერ „გაუვანუვალეგული“ ლექსები და სასლში „მიტანილი“ ეეგოზრები

„ეტუობა, გაუთხოერები არიან და ეველაფერში რაღაც უცნაური ელანდებათ...“

ლიკა ქაჯაია

— ცუდი ბავშვობა ნამდვილად არ მქონდა, მაგრამ რატომღაც, ყოველთვის უცნაური ვიყავი და ამის გამო, დედაჩემი მეჩხუბებოდა ხოლმე.

— უცნაურობაში რას გულისხმობთ?

— ზოგჯერ კარჩაკეტილი ცხოვრება მიზიდავდა, ოთახში ჩავიკეტებოდი და რაღაცრაღაცებს ვჯღაბნიდი. ის, რაც ჩემს თანატოლებს აინტერესებდათ, არასდროს მიზიდავდა.

— კონკრეტულად?

— არასდროს მქონია ჩაცმულობასა და ვარცხნილობაზე გართულება. მყავდა ჩემი ჭკუის მეგობრები და როცა ვიკრიბებოდით, სულ სხვა საკითხებზე ვჭორაობდით. დღეს თინეიჯერები ზედმეტად თამამ ადამიანებთან ასოცირდებიან. ისიც კი არ ვიცი, ამ ასაკში ჩვენ რა გვერქვა.

— ყმაწვილები...

— ჰო, ალბათ. სიტყვა „თინეიჯერი“ კი, მთელი თავისი ბრწყინვალებით, ზედმეტმა თავისუფლებამ, უცნაურმა მანერებმა მოიტანა და მან ამ ასაკს მეტი სიმძაფრე შემატა.

— თქვენ და თქვენი მეგობრები რაზე ჭორაობდით ხოლმე?

— საჭორაო თემას რა გამოლევდა?! ჩვენს „სასტავში“ ყველა რაღაცას წერდა. ერთს ჟურნალისტობა უნდოდა, წერდა სტატიებს — სკოლაზე, მასწავლებლებზე და მერე გვიკითხავდა; მეორე ლექსებს წერდა, მესამე — მუსიკას და ყველაზე სასაცილო ის არის, რომ ბოლოს, კომპოზიტორი მე გამოვედი. ვჭორაობდით ბიჭებზეც და კიდევ სხვა „საჭირბოროტო“ თემებზე.

— იმ პერიოდში თქვენ რას წერდით?

— ლექსებს. ცოტა რომ წამოვიზარდე, მერე სიმღერების წერაც დავიწყე. ჩემი თინეიჯერული ცხოვრება დატვირთული იყო სიმღერებით. რამდენიმე გოგონას ჩამოყალიბებული გვქონდა კვარტეტი, სულ კონცერტები გვქონდა, ყველა სიმღერას ხმებში ვშლიდით, ხშირად ვქეიფობდით.

— ქეიფის დროს ალკოჰოლურ სასმელსაც სვამდით?

— სკოლის პერიოდში კი არა, დღესაც ვერ ვსვამ. თუმცა, ჩემს კლასში იყვნენ ისეთი გოგონებიც, რომლებსაც ალკოჰოლის მიღება შეეძლოთ და ისინი ბევრჯერ „მიგვიტანია“ სახლში... ქეიფის დროს ძირითადად, ვმღეროდით, გაჩაღებული გვქონდა ტაშფანდური მაგნიტოფონის გარეშე და ჩვენი ეს „კონცერტი“ სრული ანშლაგით მიმდინარეობდა.

— ეი. „ცოცხლად“ ქეიფობდით, არა?..

— ჰო, „მინუსზე“. სხვანაირად ქეიფს მუღამიც არ ექნებოდა.

— ამბობენ: ადამიანს ლექსს სიყვარული აწერინებსო...

— ლექსის წერა ისეთ ასაკში დავიწყე, რომ მაშინ არც კი ვიცოდი, რა იყო სიყვარული.

— პირველად როდის შეგიყვარდათ?

— ყოველ შემთხვევაში, თინეიჯერი არ ვყოფილვარ. თუმცა, ბავშვობის ასაკში პატარა-პატარა გატაცებები მქონდა, ვიპრანჭებოდი.

— ბიჭებს რომ შეჰყვარებოდით, ამისთვის რაიმე მეთოდი თუ გქონდათ შემუშავებული?

— მეთოდი კი არა, ძალიან ცუდი და უკარება გოგო ვიყავი, თუმცა „სტერვა“ და ამპარტავანი არასდროს ვყოფილვარ. არ ვიცი, ეს ყველაფერი როგორ აგიხსნა... იყვნენ აქტიური გოგონები, რომლებიც ბიჭებს თავიანთ გრძნობებს უმხელდნენ, მე კი მიმაჩნდა, რომ ამის ჩადენა არ შეიძლებოდა. მაგრამ ასე იმიტომ კი არ ვფიქრობდი, რომ კომუნისტურად ვაზროვნებდი — უბრალოდ, ეს ჩემს ხასიათში იჯდა.

— სკოლაში როგორ მოსწავლედ მიგიჩნევდნენ?

— აქტიური მოსწავლე გახლდით, თან — თავმოყვარე და აქედან გამომდინარე, ვერ ავიტანდი, ვინმეს თუნდაც იმიტომ დავემცირებინე, რომ გაკვეთილი არ ვიცოდი. ემოციური ვიყავი — ხუთიანს თუ დამიწერდნენ, გახარებული ვიყავი, ოთხიანს როცა ვიმსახურებდი, ეს ჩემთვის სიკვდილის ტოლფასი იყო.

— თქვენი თავმოყვარეობა, დამაკმაყოფილებელი ნიშნით არასდროს შელახულა?

— როგორ არა?! ფიზიკა ის ერთადერთი საგანი იყო, რომელსაც არ ვსწავლობდი, წიგნს არც კი ვშლიდი.

— პროტესტს მასწავლებელს უცხადებდით თუ ფიზიკას?

— რა თქმა უნდა, მასწავლებელს. საერთოდ, პედაგოგზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. მას შეუძლია, შეგაყვაროს ან შეგაზიზღოს საგანი. იმ ქალს კი, რატომღაც, ამოჩემებული ვყავდი, თავიდან რაღაცას რომ ვსწავლობდი, ნიშანს ყოველთვის მაკლებდა და ბოლოს, შევიძულე.

— მასწავლებელი თუ საგანი?

— არ ვიცი, მგონი, ორივე... ასე რომ, მის საგანს არ ვსწავლობდი და ის სიმბოლურად მიწერდა სამიანს. რადგან სხვა საგნებში მაღალი ნიშნები მეწერა, ე.ი. დებილი არ ვიყავი და ორიანს ვერ დამიწერდა... ბოლოს, გამოსაშვებ გამოცდებზე ფიზიკაც უნდა ჩაგვებარებინა. გავედი, ბილეთი ავიღე და მერე სახალხოდ განვაცხადე, რომ ამ საგანში არაფერი ვიცოდი და თუ ორიანს დამიწერდნენ, ბილეთს მხოლოდ ზრდილობის და იმის გულისთვის ვისწავლიდი, რომ სკოლაში არ დავრჩენილიყავი. კომისიის თავმჯდომარე ძალიან მკაცრი ქალი იყო. მან ჩემს ნიშნებს გადახედა და რომ ნახა, კარგი მოს-

MK

წავლე ვიყავი, მკითხა: რომელი ბილეთი გინდაო? ვუთხარი: არც ერთი საკითხი არ ვიცი-მეთქი. იმ ქალმა ოთხიანი დამიწერა და საჯაროდ განაცხადა: როცა ბავშვი ყველა საგანს ერთნაირად კარგად სწავლობს, არ შეიძლება, ის ერთ-ერთ საგანში არ ვარგოდეს; მოდით, ამის მიზეზი პედაგოგმა საკუთარ თავში ეძებოსო.

— ჯიუტი ბავშვი იყავით?

— კი და ამას არც ვნანობ. დღეს რომ იმავე სიტუაციაში ვიყო, ისევ ისე მოვიქცეოდი, რადგან როცა ადამიანს ვერც კარგს დაანახვებ და ვერც ცუდს, ის მერე უნდა „დაიკიდო“.

— „შატალოზე“ არ დადიოდით?

— აბა, ამას როგორ გამოვაკლდებოდი?!

— სად მიდიოდით ხოლმე?

— სკოლა ბორჯომში დავამთავრე, სადაც ერთადერთი ნათელი წერტილი ბორჯომის პარკი იყო. ჩვენც იქ მივდიოდით ხოლმე. წინასწარ ვიცოდით, რომ მეორე დღეს „შატალოზე“ უნდა წავსულიყავით, სახლიდან რაღაც-რაღაცები მიგვქონდა და გამოდიოდა, რომ „ლაშქრობაზე“ მივდიოდით, მერე ფოტოებსაც ვიღებდით. მეორე დღეს კი მასწავლებლები კუთხეში გვაყენებდნენ, ნოტაციას გვიკითხავდნენ *(იცინის)*.

— ისეთი კლასელები არ გყავდათ, რომლებიც „შატალოზე“ არ მოგყვებოდნენ?

— ასეთები ხომ ყველგან არიან. ჩვენ მათი არსებობაც კი გვავიწყდებოდა, აღარ ვეკონტაქტებოდით და ხშირად ვუმეორებდით, რომ არც ერთი ნიშანი არ ღირს იმად, რომ კლასელებს გამოაკლდე... დედაჩემს რომ გაეგო — მთელი კლასი გაიპარა, ნატო კი მათ არ გაჰყვაო, შეიძლება ვეცემე. ყოველთვის მეუბნებოდა: სადაც შენი მეგობრები იქნებიან, შენც იქ უნდა იყოო.

— მასწავლებლებს არ ამწარებდით?

— არა, რადგან გოგო ვიყავი. მაგრამ ბიჭები მათ სიცოცხლეს უწამლავდნენ... სამაგიეროდ, მასწავლებლებზე ლექსებს ვთხზავდი და ასე ვერთობოდი.

— ერთ-ერთი ლექსი მაინც თუ შეგიძლიათ წამიკითხოთ?

— როგორ არ შემიძლია, მაგრამ რომ წაიკითხავენ, მერე შეიძლება თავი მომაჭრან.

— რატომ? მათზე ბოროტად ხუმრობდით?

— არა, მაგრამ... კარგი, ერთ-ერთს წაგიკითხავ. ძალიან ტანმორჩილი მასწავლებელი გვყავდა. ერთხელ შევნიშნეთ, რომ ეს ქალი სიმაღლეში იყო გაზრდილი. დავინტერესდით და ვნახეთ, რომ ჯირკი მოუტანია და იმაზე იდგა (რადგან კლასში ძალიან მაღალი ბიჭები გვყავდა და მათ რომ ელაპარაკებოდა, არც კი ჩანდა). ჰოდა, ხომ გაგიგონია: ქურდს რა უნდა? — ბნელი ღამეო! ყველამ ჩემკენ მოიხედა და მითხრეს: აბა, ნატალია, „გაშვანშვალეო“ (გიჟპოეტას მეძახდნენ). ჰოდა, ასეთი ლექსი დავწერე: „ჩვენი სკუპა პატარა/ თურმე ჯირკზე დამდგარა/ გაუკვირდა სუყველას/ უფ, რამხელა გამხდარა!“

— დღეს ასეთი ლექსების წერით ველარ ერთობით?

— სამწუხაროდ, ვერა. იცი, რა ხდება? იმ წლებში, სიცოცხლე რაღაც სხვანაირად გიხარია, დღეს კი ვფიქრობ, რომ დღეები მონოტონურად მიდის. დამღალა უაზრო შეკრებებმა, მოკითხვებმა, სხვის დასანახავად გაცინებამ... ალალი ურთიერთობა მიყვარს. აი, ძალიან ვიწრო წრეში ნამდვილი „გიჟი“ ვარ, რადგან ბუნებით გახლავართ ანცი.

— თინეიჯერულ ასაკში ბიჭები სიყვარულს როგორ გამოხატავდნენ?

— მთელი დღე სკოლასთან ატუზულები იდგნენ, იცდიდნენ, როდის გამოვიდოდა კლასიდან მათი შეყვარებული. მერე იყო ერთი აურზაური — დაქალები ერთმანეთს აფრთხილებდნენ: იქით არ წახვიდე, ის დგას, ამ კართან ესაა ჩასაფრებულიო. ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ დაქალების შეყვარებულებთან ვძმაკაცობდით, ჩვენს „პაკლონიკებს“ კი, ვერ ვიტანდით. მერე დაქალებს შორის



იყო გარჩევები, მთელი დღის განმავლობაში ტელეფონის მეშვეობით ვჭორაობდით და ა.შ.

— როგორ ფიქრობთ, გოგოსა და ბიჭს შორის მეგობრობა „მოსული“ პონტია?

— ორივე ხელს მაღლა ვწევ. ის კი არა, იმასაც გეტყვი, რომ დაქალებს შორის განხეთქილება ხშირად ხდება, მაგრამ ბიჭი და გოგო თუ გულწრფელად დამეგობრდნენ, მათ ურთიერთობაში ბზარი არასდროს გაჩნდება. ახლა, თუ ვიღაცას მოსწონხარ და შენთან იმისთვის მეგობრობს, რომ ასე „შეგაბას“, ეს სხვა ამბავია. ისე, რატომ მკითხე, რა, ვინმეს არ სჯერა ასეთი მეგობრობის?

— ძალიან ბევრი ამბობს, რომ გოგოსა და ბიჭს შორის ძმაკაცობა გამორიცხულია...

— ჩემმა მეგობარმა სხვანაირად რომ შემომხედოს, შეიძლება, ისეთი „ვეტკლიცო“, რომ მთელი ცხოვრება დაამახსოვრდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს არ მოხდება. ვინმეს ასეთი მეგობრობის თუ არ სჯერა, ის ეტყობა, გაუთხოვარია და ყველაში რაღაც უცნაური ელანდება *(იცინის)*.

— ცდილობდით თუ არა, რომ სხვებისგან რაიმეთი გამორჩეული ყოფილიყავით?

— არასდროს. კიდევ ვიმეორებ, ჩაცმაზე გართულება არასდროს მქონია და დღემდე ასე ვარ. შემიძლია, ერთი ჯინსის შარვლით გავატარო მთელი ზამთარი. ხშირად ვამბობ: მღვდელი ჭილოფშიც იცნობა-მეთქი. ძალიან იშვიათად მემართება „გამონათება“ ანუ ისე ვიცვამ და ისე ვიპრანჭები, რომ მეც მიკვირს და ჩემს შვილებსაც, რომლებიც მეუბნებიან: ვა, დედი, დღეს რა მაგრად გამოიყურებიო!

— თინეიჯერობის ასაკში ვისი ფანი იყავით?

— იპოლიტე ხვიჩიასი, სესილია თაყაიშვილის და დღემდე განვიცდი იმას, რომ მათ არ ვიცნობდი. უზომოდ მიყვარს ორივე. ვფიქრობ, ქალბატონი სესილია და მე ერთმანეთს კარგად გავუგებდით. რატომღაც ყველა, სესილიას მეძახის, მას მამსგავსებენ: ასინეთა ხარ, მასავით კვიმატი ენა გაქვსო და ა.შ. ის ჩემთვის ბებიის კულტია, ყველა როლში უგონოდ მიყვარდა... ცოტა მოზრდილ ასაკში, ძალიან მომწონდნენ — ზურა ყიფშიძე, ნინელი ჭანკვეტაძე. ვგიჟდებოდი ალა პუგაჩოვაზე, რომლის ყველა სიმღერას ვსწავლობდით და მერე, ჩვენი კვარტეტი, ხმებში ვშლიდით. დიდ პატივს ვცემდი ანსამბლ „ორერას“, რომლის სიმღერებზეც გავიზარდე. მოკლედ, ყოველთვის მიყვარდა მუსიკა და ყველაფერი ის, რაც მას უკავშირდებოდა.

— როგორ ფიქრობთ, სესილია თაყაიშვილის გმირების მსგავსი ბებია იქნებით?

— არ ვიცი, ამას რამდენად შევძლებ, მაგრამ დიდი სურვილი კი მაქვს... ძალიან მაღიზიანებს 40 წლის, ჯიპზე „შემომხტარი“ ბებიები, რადგან ეს სახელი ჩემთვის ჭაღარა თმასთან, ნაოჭებთან ასოცირდება.

— თაყვანისმცემლებს თქვენი გულისთვის თუ უჩხუბიათ?

— რა თქმა უნდა.

— და ამ დროს როგორი რეაქცია გქონდათ?

— მათ საქმეში არ ვერეოდი, ამისთვის ჩემი ძმა არსებობდა... სხვათა შორის, ყველა ის გოგონა მეცოდება, რომელსაც ძმა ჰყავს, იმიტომ, რომ მეც ყოველთვის სული მქონდა გამწარებული — თუ ბიჭი დამელაპარაკებოდა, ის აუცილებლად უნდა „მიეჟეჟათ“. ნათესავებში ერთადერთი გოგო ვიყავი და ყველა ჩემს დაცვას ცდილობდა. ბოლოს თავი ველარ შევიკავე და მათ ვუთხარი: ალბათ, გაუთხოვარს დამტოვებთ-მეთქი.

— იქნებ გაიხსენოთ თინეიჯერულ ასაკში ჩადენილი ყველაზე დიდი სიგიჟე?

— 4 წელი იმისთვის ვემზადებოდი, რომ სამედიცინო ინსტიტუტში ჩამებარებინა, მაგრამ ერთ დღეს ტვინი გადამიბრუნდა და განვაცხადე: სამედიცინოზე კი არა, მუსიკალურ ტექნიკუმში უნდა ჩავაბარო-მეთქი. დედაჩემი კინაღამ გადაირია და ლამის ინფარქტმა დაარტყა. იფიქრა, რომ გავაფრინე, რადგან ამას დალაგებული ადამიანი 2 თვით ადრე მაინც იტყოდა, მაგრამ მე გადაწყვეტილება

ბოლო მომენტში მივიღე. ამის გამო, მამაჩემს თმაში ერთი-ორი ჭაღარაც კი გამოერია, მაგრამ რა უნდა ექნა და მუსიკალურ სასწავლებელში მაინც გამომყვა. დღეს მეუბნება: რომ არ გაგმართლებოდა, მერე რას იზამდიო?

— მართლა, რას იზამდით?

— არ ვიცი, ალბათ ვერაფერს, რადგან მერე სამედიცინოზე ვეღარ ჩავაბარებდი. მაგრამ ეტყობა, გული კარგს მიგრძნობდა და გავრისკე.

— როგორ ფიქრობთ, თინეიჯერულ ასაკში შეცდომას ხშირად უშვებენ...

— რა თქმა უნდა და ეს ბუნებრივიცაა. როცა თინეიჯერი ვიყავი, მეც 2 ყურის „ინსტიტუტით“ ვხელმძღვანელობდი — ანუ ვიღაცის ნათქვამს ერთ ყურში ვუშვებდი და მეორიდან გარეთ გამოდიოდა... საერთოდ, რატომ იტეხავს ადამიანი ცხვირს? იმიტომ, რომ იმ წუთში არაფერი ესმის, ხოლო როცა რაღაცას იტკენს, მერე ჭკუას სწავლობს. თუ არ წაიქეცი, ცხოვრებას ვერასდროს ისწავლი. დღეს, როცა შვილებს ნოტაციას ვუკითხავ, ჩემში დედაჩემს ვიჭერ — რაღაცას ვლაპარაკობ და თან ვფიქრობ: ეს სიტყვები საიდან მოვიდა-მეთქი? — და მახსენდება, რომ ასე დედა მელაპარაკებოდა...

— დღევანდელი თინეიჯერები თქვენ თაობის თინეიჯერებისგან რითი განსხვავდებიან?

ნაცნობი, *16 წლის:*

„თეო, ძალიან ლამაზი თვალები გაქვს, მაგრად მომეწონე და სიამოვნებით გაგიცნობდი“.

თეონა ცერცვაძე:

— დიდი მადლობა.

ლოთი მნერალი სოფია, *17 წლის:*

„თეო, შენს ინტერვიუზე ბევრი ვიცინე და დაგცინე კიდეც. შენ თუ წიგნებთან „თქვენობით“ ხარ და ყველა ასეთი გგონია (რაც აშკარაა), მაგის თქმას გერჩივნოს, ერთი დღე ლიტერატურულ საღამოზე გაატარო და დარწმუნდები, რომ იმ ახალგაზრდების 98%, რომლებიც ოპერის ბაღში „აბირუავებენ“ და სვამენ, უნიჭიერესი თინეიჯერები არიან და იმდენი წიგნი აქვთ წაკითხული, რომ არც დაგესიზმრება. შენ იმით „მარიაჟობ“, რომ მასწავლებლის წინ იდექი და იგინებოდი. ამას ჯობდა ზღაპრები მაინც წაგეკითხა“.

— ესენი რაღაც, სხვანაირები არიან, იმ გაგებით, რომ ჩემს თაობაში ჯერ კიდევ იყო უფროსუმცროსობა. თინეიჯერობა არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად თავხედი უნდა იყო. ჩვენ ნამდვილი „ოჯახის შვილები“ ვიყავით: როცა უფროსი ადამიანი შემოვიდოდა, ფეხზე ვდგებოდით, ადგილს ვუთმობდით, მათი გვერიდებოდა. დღეს კი, სიგარეტს ცხვირწინ გიბოლებენ. მათ ჩაცმულობას და ვარცხნილობას არ გავაკრიტიკებ, რადგან მესმის, რომ ეს არის მოდა, ევროპული სტილი, რაც ჩვენს დროს არ იყო... ჩაიცვან ის, რაც უნდათ, მაგრამ შინაგანად იყვნენ კარგები... დღესაც, როცა ჩემს ყოფილ პედაგოგს სადმე ვხვდები, სიწითლე გადამკრავს, თითქოს ისევ ის პატარა ნატო ვხდები. ესენი კი, უცებ გიშინაურდებიან და „შენობით“ გელაპარაკებიან... ბიჭები მეზრდება, ვიცი, რომ ისინი თავის დროზე, შეიგინებიან, ვიღაცასთან იჩხუბებენ, მაგრამ ეს იქ უნდა გააკეთონ, სადაც საჭიროა და ოჯახში შემოსვლამდე ყველაფერი ცუდი ქუჩაში დატოვონ.

— როგორ ფიქრობთ, ბიჭებმა „ქუჩის ინსტიტუტი“ აუცილებლად უნდა გაიარონ?

— ჩემთვის მიუღებელია ის, რომ ბიჭი ოთახის მცენარესავით გაიზარდოს, ასეთი ნასწავლი შვილი არ მჭირდება. მან უნდა იცოდეს, რა არის ქუჩა, ყველგან უნდა ჰყავდეს მეგობარი. გოგო ვიყავი და ეზოში იმის გამო თუ არ ჩავიდოდი, რომ წიგნი მქონდა წასაკითხი, დედაჩემი ძალით ჩამიყვანდა (თუმცა, ძალდატანება არ მჭირდებოდა...).

— დაბოლოს, რას ურჩევდით თინეიჯერებს?

— იყვნენ ალალები, ბუნებრივები, ნუ დაემსგავსებიან ვიღაცებს, პატივი სცენ ერთმანეთს და უაზროდ ნუ აჰყვებიან მოდას — ჯერ სარკეში ჩაიხედონ და მერე შეარჩიონ ის სტილი, რომელშიც უფრო ლამაზები, მიმზიდველები გამოჩნდებიან. ბევრი თინეიჯერი მოსწავლე მყავს და ვგიჟდები, როცა ისინი ლაპარაკს იწყებენ. რატომღაც, მთელ სკოლას ერთი ბიჭი ან ერთი გოგო უყვარს და მათი გულისთვის ერთმანეთს ხოცავენ. მე რომ მათ ადგილას ვიყო, ასეთ „ამოჩემებულ“ ტიპს არ შევიყვარებდი, რადგან ის უკვე გატუტუცებული იქნება და თვალებს ცოტა უფრო ფართოდ გავახელდი. დამიჯერეთ, ასე თქვენ გარშემო უკეთეს პიროვნებას აღმოაჩენთ.

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: 8(99) 17-35-27.*

ვამტკიცებ

თეონა ცერცვაძე:

— თუ ასეთი განათლებული ბავშვი ხარ, ისიც უნდა იცოდე, რომ 17 წლის ასაკში ბაღში „ბირუაობა“ და ლოთობა ცუდი საქციელია. ჯობს, სხვა საქმეს მოჰკიდო ხელი და ინტელექტი გაიღრმავო, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ შენ ადამიანთა იმ კატეგორიას მიეკუთვნები, რომლებიც „მუდოები“ არიან.

დათო ბ., *16 წლის:*

„თეო, „პრივეტ“! ჩემი დაქალიც შენნაირი გიჟი და ჭკუამხიარულია. სულ ვეჩიჩინები, რომ დასერიოზულდეს, მაგრამ ჩემი ბრალია, რაიონში „გავაბლატავე“ და ახლა ველარ ვუძლებ. მირჩიე, როგორ უნდა მოვარჯულო?“

თეონა ცერცვაძე:

— ჩემო კარგო, ადრე თუ გვიან, ყველა დასერიოზულდება, მაგრამ იცოდე, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს. აბა, ის გინდა, რომ ახალგაზრდა ბიჭს გვერდს „მუდო“ გიმშვენებდეს?..

ტ@კუშკეები, *15 წლის:*

„გთხოვთ, რამე მირჩიოთ. ვუყვარვარ ერთ ტიპს, რომელიც სულ პლანის „კაიფშია“. მეც მაქვს მისდამი რაღაც გრძნობა, მაგრამ ეს სიყვარული ნამდვილად არაა“.

თეონა ცერცვაძე:

— პლანი სერიოზულ საშიშროებას არ წარმოადგენს *(ვითომ?.. — ავტ.)*. დღეს გოგონების თუ ბიჭების 90% პლანით „ბოლდება“. მისი გადაგდებაც სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ სანამ რამეს გადაწყვეტ, შენს გრძნობებში კარგად გაერკვიე და თუ მიხვდები, რომ ის არ გიყვარს, მაშინ თავიდან მოიცილე.

ფიქრია, *17 წლის:*

„თეო, მაგარი გოგო ხარ. მაინტერესებს, მარტყოფში აგარაკი რა ადგილას გაქვს? მე იქ ვცხოვრობ“.

თეონა ცერცვაძე:

— აგარაკი წილაშვილების უბანში მაქვს — დიდი, სვანური კოშკის ტიპის ვარდისფერი სახლია.

ეშმაკუნა, *16 წლის:*

„გთხოვთ, დამეხმაროთ. ერთ ბიჭს, რომელსაც ვუყვარვარ, ვუთხარი, რომ მომწონს, იმედი მივეცი, მაგრამ რომ დავფიქრდი, მივხვდი, რომ მისი შეყვარება არ შემიძლია, იმიტომ, რომ მისი გარეგნული მონაცემები არ მაკმაყოფილებს. ვიცი, სულიერი სილამაზე უფრო მეტს ნიშნავს, მაგრამ მაინც... ის ძველი ბიჭია, ქურდობა უნდოდა და გადაიფიქრა. ყოველთვის ამბობდა — ბედი არა მაქვს, ჩემთან ბედნიერი ვერავინ იქნებაო, მაგრამ მერე მაინც მითხრა: მიყვარხარ და შენს თავს ვერავინ წამართმევსო. არ მინდა, გული ვატკინო, მაგრამ მისი შეყვარებაც არ შემიძლია და რა ვქნა? როგორ ვუთხრა, რომ არ მიყვარს და ვერც შევიყვარებ? ცუდად ვარ, მირჩიეთ რამე“.

თეონა ცერცვაძე:

— დაიმახსოვრე, ბიჭის შეცოდება არ შეიძლება, მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე სიყვარულს ეხება. მიდი და იმ ბიჭს გაბედულად უთხარი ის, რასაც ფიქრობ. დამიჯერე, ორივესთვის ასე აჯობებს.

დასაწყისი იხ. გვ. 14

ნინი, *15 წლის:*

„თეო, შენი ფანი ვარ. იცი, მეც შენნაირი ხასიათის და თვისებების მქონე ადამიანი ვარ — თავისუფალი და ჭკუამხიარული. სკოლაში კი მასწავლებლები პარაზიტად მიმიჩნევენ“.

თეონა ცერცვაძე:

— ზომიერების ფარგლებში ყველაფერი დასაშვებია. სკოლაში სწავლის პერიოდი არაჩვეულებრივია. ეს დრო მაქსიმალურად უნდა გამოიყენო და გაერთო, დაღვინებას მერეც მოასწრებ.

SMILE, *15 წლის:*

„თეო, ტელეეკრანიდან სულ სხვანაირ შთაბეჭდილებას ტოვებ, მაგრამ ინტერვიუ წავიკითხე თუ არა, მივხვდი, რომ მაგარი ხარ. ყველაფერში გეთანხმები“.

თეონა ცერცვაძე:

— დიდი მადლობა იმისთვის, რომ მიხვდი, სინამდვილეში როგორი ვარ, მაგრამ არა მგონია, ტელეეკრანიდან ცუდი შთაბეჭდილება დამეტოვებინა.

ანა, *13 წლის:*

„გამარჯობა. თეო-თეო, არ მეგონა, თუ ასეთი მოუსვენარი ბავშვი იყავი. იცი, თუ მე და ჩემი დაქალი კარგ ხასიათზე ვართ, მთელ კლასს (ჯერჯერობით) ვანგრევთ. დასვენებაზე ზოგიერთი „მუდოსავით“ ხომ არ ვიჯდებით?! — დასვენება ჯერ დაწყებული არაა, რომ უკვე პირი გამოტენილი აქვთ „ბულკებით“. ონავარული ხმაური ჩვენი თანამდევია, ამიტომაც მუდმივად ისმის მასწავლებლების განწირული კივილი — ახლავე გადით გარეთ, რა გაყვირებთ?! აბა, უფრო ხმამაღლა დაიყვირეთ! ახლავე დირექტორთან წაგიყვანთ! — და ა.შ. ამის გამო, სხვადასხვა რიგში დაგვსვეს, მაგრამ გაკვეთილზე ლაპარაკს მაინც ვახერხებთ — პატარ-პატარა ფურცლებზე ვწერთ რაღაცებს, მერე შუა გაკვეთილზე ერთმანეთს ვესვრით. ჰოდა, ასე დაფრინავენ მთელი გაკვეთილის განმავლობაში ჩვენი ფურცლები, მასწავლებლების ცხვირწინ. ასეც მოუხდებათ, არა?“

თეონა ცერცვაძე:

— შენი მესიჯი რომ წავიკითხე, ჩემი ბავშვობა გამახსენდა. მართალი ხარ, აბა, რა! ეს ის პერიოდია, როცა სიცოცხლით სავსე უნდა იყო, მერე რომ დაღვინდები, ისიც გეყოფა.

ზლარბი, *17 წლის:*

„გამარჯობა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ გადაწყვიტე, მოგწეროთ. ახლა ძალიან ცუდად ვარ. რა საზიზღრობაა ცხოვრება, არა?.. დიდი სიამოვნებით გავუცვლიდი რომელიმე მოხუცს სიცოცხლის დღეებს. ვფიქრობ იმაზე, თუ რამდენი საზიზღარი ადამიანი ცხოვრობს ამქვეყნად და ისინი გულს ტყუილუბრალოდ გვტკენენ“.

თეონა ცერცვაძე:

— ვაიმე, საწყალი! ნეტავ, რა მოუვიდა?.. შენს ასაკში ხშირად განიცდიან იმედგაცრუებას, რადგან ქვეყნად არსებობს თეთრი და შავი ზოლები. გული არ გაიტეხო. ამქვეყნად ერთხელ მოვდივართ და ეს დრო მაქსიმალურად მხიარულად უნდა გავატაროთ. დამიჯერე, შენს ცხოვრებაშიც გამოჩნდება თეთრი ზოლები და მერე იტყვი, ცხოვრება მშვენიერიაო! ■

„ქართულის“ მოცეკვავე ბიჭებმა, საზეიმო მიღებამ პუტინთან და თავდამსხმელი სკინჰედები

„არაგვის“ მოცეკვავე ბიჭები ქვემოთ გველოდებოდნენ მე და გოგონებს. საერთოდ, რეპერები „ჩანჩურა“ შარვლებით დადიან, სკინჰედები კი — ტყავის ტანზე მომდგარი ტანსაცმელით. ჩვენი ბიჭებიც რეპერებივით იყვნენ ჩაცმულები. ამიტომაც სკინჰედები მათკენ გამოემართნენ. როდესაც აღმოაჩინეს, რომ ბიჭები რეპერები კი არა, ქართველები იყვნენ, უფრო გახელდნენ. ჩვენები ზემოთ ამოცვივდნენ, თან ყოველ სართულზე კარს კეტავდნენ. ფაშისტებმა სულყველაფერი დაამტვრიეს პირველ სართულზე. გოგონები მეხუთე სართულზე, სარეპეტიციო დარბაზის სცენის ქვეშ დავმალე. ბიჭები კი ცეცხლსაქრობებით შეეიარაღე. ისღა დაგვრჩენოდა, თავში ჩაგვერტყა თავდამსხმელებისთვის. ანერვიულებულებმა, ვერ მოვახერხეთ მობილურ ტელეფონზე მილიციის ნომერი აგვეკრიბა. ამასობაში დაბლა სკინჰედებს რუსი დარაჯი უნახავთ და გაქცეულან. მას არც უფიქრია ამოსულიყო და ჩვენთვის ეთქვა, რომ საშიშროებამ გაირა. ბოლოს, ერთ ბავშვს დაურეკა მშობელმა: რა ხდება, ავტობუსი ცარიელი რატომ დაბრუნდა სკოლიდანო? უკანა გასასვლელებით გავიყვანე ბავშვები სამშვიდობოზე. სკინჰედების ნაცემი ადამიანები ფაქტობრივად, სასიკვდილოდ არიან განწირულნი. უნდა გაიქცე, მათთან შებმას აზრი არა აქვს. ისინი ხელით არ სცემენ, აქვთ კასტეტები, მეტალის ნივთები.

— შარშან „ჩვენებურებზე“ რუსეთიდან ჩამოსული ქართველი ბავშვები ქართულად ვერ ლაპარაკობდნენ. თქვენ მოცეკვავეები ისევე კარგად ფლობენ ქართულ ენას, როგორც ცეკვის ილეთებს?

— ეს საკითხი ძალიან მტკივნეულია ჩემთვის. ჩვენ ბავშვებს მალე ავიწყდებათ მშობლიური ენა. ამიტომაც ვცდილობთ, ყველა პირობა შევუქმნათ იმისთვის, რომ ერთმანეთში ილაპარაკონ ქართულად, რაღაც ჰქონდეთ ქართულ ენაზე მოსამზადებელი. „კოლხიდაში“ შევქმენით ხალხური საკრავების განყოფილება, ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფი. საერთოდ, ქართველები ენას ძალიან მალე ივიწყებენ. ჩემი ებრაელი მოწაფეები უფრო უკეთ ლაპარაკობენ ქართულად, ვიდრე ქართველები, განსაკუთრებით — აფხაზეთიდან დევნილები. ამიტომაც ბავშვებისთვის საქართველოდან ჩაგვაქვს ქართული ფილმები, მულტფილმები და ვაჩვენებთ მათ.

— ამ მხრივ, რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურა თუ გეხმარებათ საქართველოდან?

— „ჩვენებურებამდე“ ფაქტობრივად, კავშირი არ არსებობდა. რამდენიმე წლის წინ „არაგვისთვის“ საცეკვაო ფორმების შესაძენად, დასახმარებლად მივმართე საქართველოს კულტურის სამინისტროს, თანახმა ვიყავით, ძველი ფორმები, — ნაგავში გადასაყრელიც კი წაგვეღო მოსკოვში და გაგვეახლებინა. კულტურის სამინისტროდან რკინიგზის სახლის დირექტორს დაურეკეს და დაავალეს, დაეხმარეო. როცა მასთან მივედი, მკითხა: როდის მიბრძანდებით, გენაცვალეო? — პირველ სექტემბერს-მეთქი. შვიდში გამოიარეთო(?!), — მითხრა. ჩემს დას ვთხოვე, მისულიყო. იცი რა უთხრა, გაგვქურდეს და ყველაფერი წაიღესო... ამის შემდეგ არავისთვის არაფერი მითხოვია. პირველი ფორმები შეგვიკერა ქართულ-რუსულმა საზოგადოებამ, შემდეგ, მალხაზ კაკაბაძის ელჩობის დროს, მისი მეუღლე ნინო კაკაბაძე დაგვეხმარა. მისი შუამდგომლობით, ფირმა „გრიშკომ“ შეგვიკერა საუკეთესო ფორმები და ფეხსაცმელი. „კოლხიდას“ ჯერ კიდევ კომუნისტების დროს შეკერილი ფორმები აქვს, მაგრამ ძალიან კარგი ხარისხის. ყველაფერი აქ, ოპერაში იკერებოდა. ამ ეტაპზე, საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა შესამჩნევად შეიცვალა დიასპორების მიმართ. სამშობლო მობრუნდა ჩვენკენ. რუსეთის დიასპორას არ სჭირდება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მატერიალური მხარდაჭერა. ჩვენ იქით დავეხმარებით სამშობლოს, ოღონდ ვიგრძნოთ, რომ ვჭირდებით. ახლახან მოსკოვში ჩამოსული იყო ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე თამარ მახარაშვილი, შეხვდა მოსკოვში ქართული საზოგადოების წარმომადგენლებს. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ შეიქმნება ქართული სათვისტომოების საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც ექნება კავშირი საელჩოსთან და სამინისტროებთან. იმის გამო, რომ ერთ დროს ერთ სახელმწიფოებრივ სივრცეში ვიყავით მოქცეული, რუსეთში მცხოვრები ქართველები სამშობლოსთან სიშორეს ვერ გრძნობდნენ, ამიტომაც, მათი, როგორც ემიგრანტების ფსიქოლოგია, განსხვავდება სხვა ქვეყნებში მცხოვრები ქართველების ფსიქოლოგიისგან, თუ თურქეთის ქართველობა გამუდმებით ისტორიულ სამშობლოსთან კავშირზე ფიქრობდა, რუსეთში მცხოვრები ქართველები მხოლოდ თავიანთი საქმით იყვნენ დაკავებულნი. ძალიან საინტერესო ხალხი გვყავს რუსეთში, მათ ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ საქართველოსთვის, მაგრამ ჰგონიათ, რომ საჭირონი არ არიან და მხოლოდ თავიანთ საქმეზე ზრუნავენ. რუსეთში მცხოვრები ქართველები საქართველოდან მოქნილმა ხელმა უნდა გააერთიანოს. ■

სოსო პავლიაშვილი, ქეთი ჩალათაშვილი და თამრიკო გვერდწითელი

„ბედნიერი კაცი ვარ, რომ სამი დედა მყავს: დედაჩემი და დეიდები: ქეთო და ნინა“

ლელა ხიყამეილი

„ბედნიერი კაცი ვარ, რომ სამი დედა მყავს: დედაჩემი და დეიდები: ქეთო და ნინა“, — ამბობდა ხოლმე მსახიობი ზურა ყიფშიძე. ახლა, როცა ქალბატონი ელენე ზეციურ საქართველოშია, ორი დედა დარჩა მზრუნველად და გულშემატკივრად. ორივეს საფიცარი ზურაა, მისით ცოცხლობენ და სუნთქავენ.

საკუთარი ოჯახები არ შეუქმნიათ — ზურას ზრდიდნენ. ის, რაც ასე ძვირფასია ადამიანისთვის — სულიერი ღირებულებები — სწორედ ოჯახისგან მიიღო ზურა ყიფშიძემ. და მართლაც, არასოდეს იქნებოდა ასეთი ინტელექტუალური, მოხდენილი, ნიჭიერი და მგრძნობიარე, რომ არა მისი ოჯახი და რომ არა სამი დედა: ელენე, ქეთო და ნინა... რა თქმა უნდა, ყიფშიძეც უნაკლო არ არის.

ყიფშიძეებს დიდი ტრადიციების მქონე ოჯახი ჰქონდათ. გრიგოლ ყიფშიძე, ზურას დიდი პაპა, ილია ჭავჭავაძის მეგობარი და თანამებრძოლი იყო. მისი სახლი იქ იდგა, სადაც ახლა უნივერსიტეტის მეორე კორპუსია. წითლები რომ შემოვიდნენ, მათ სახლში შეიჭრნენ. ძვირფას წიგნებს ფანჯრიდან ყრიდნენ და წვავდნენ. რომელიმე წიგნი რომ არ გადაერჩინა, გრიგოლს თურმე კონდახით იგერიებდნენ...

ილია ჭავჭავაძე ძალიან ენდობოდა. როცა თვითონ სადმე იყო წასასვლელი, „ივერიის“ რედაქციას გრიგოლს უტოვებდა. ყიფშიძეების სოფელ საღოლაშენში რომ სტუმრობდა, შესთავაზეს, თავად გიზი ამირეჯიბთან გაეთია ღამე. იუარა, ყიფშიძეებთან დარჩენა არჩია...

გრიგოლის მეუღლე, ბაბო კორინთელი ქართული თეატრის პირველი დასის მსახიობი იყო. სულ ჩიხტიკოპით დადიოდა...

ეს ყველაფერი უნახავთ ან გადმოცემით იციან ქეთო და ნინა ყიფშიძეებმა. სიამოვნებით მიამბობენ კიდეც და თვალებში წინაპართაგან ნამემკვიდრალი ნათელი სხივი უციაგებთ. მაგრამ საუბარი თავისთავად ზურასკენ მიდის. ასეა, რაზეც არ უნდა ჩამოვაგდოთ სიტყვა, უნებურად გადავდივართ ზურას ბავშვობაზე, სტუდენტობაზე, პირველ სპექტაკლზე და მაშინ დედა ქეთო და დედა ნინა სულ იცვლებიან. თითქოს ადამიანები კი არა, ხორცისგან თავისუფალი, გამოცალკევებული სიყვარულები ხდებიან. თვალზე ხან ცრემლი ადგებათ, ხანაც იღიმებიან და, რაც მთავარია, არ იღლებიან თავიანთ დედისერთაზე ლაპარაკით. „ზურა ძალიან მგრძნობიარეა, ყველაფერს განიცდის“, — ამბობს დედა ქეთო. „ჩვენ გვეუბნება, ჩემი დედები ხართო... ისე ენატრება ლენა, არ იცის, რა ქნას, ჩვენ გვეფერება“, — დასძენს დედა ნინა.

— მარტო ახლა კი არა, თქვენზე ყოველთვის ასე ამბობდა, — ჩემი დედები არიანო, — ვპასუხობ და ვხედავ, სევდიანი თვალები ბედნიერებით ევსებათ. მართალიაო, — მეთანხმებიან.

დედა ქეთო:

— ზურა პატარა იყო, კითხვაც არ იცოდა. დიდედა დაისვამდა და უკითხავდა. რაკი მან მხოლოდ რუსული იცოდა, წიგნებსაც რუსულს უკითხავდა. ზურა რომ სკოლაში წავიდა, ამიტომაც არ იცოდა ქართული. მერე გაზეთშიც კი დაიწერა, — ბავშვმა ქართული არ იცოდა და შესანიშნავად ისწავლაო. მშობლიური ენის სწავლაში ძალიან შეუწყო ხელი ჩვენს სოფელში, საღოლაშენში ყოფნამ — ზაფხულობით ჩაგვყავდა. მეზობლის ბავშვები მხოლოდ ქართულად მეტყველებდნენ. ზურაც იძულებული იყო, ესწავლა. საღოლაშენში ვუხდიდით დაბადების დღეს. მთელი სოფლის გოგო-ბიჭები მოდიოდნენ. შუშაბანდი სავსე იყო ბავშვებით. პატარა იყო, საღოლაშენში ურემზე პირველად რომ დაჯდა. ხელში ჯოხი უჭირავს და ხარებს უქნევს: „ჰამო, შე ბეზპატრონო, შენა! — მერე ჩვენკენ მოიხედა — Ой, что-то не так сказал...“. აი, ასე ურევდა ქართულსა და რუსულს. სკოლას რომ ამთავრებდა, წაიკითხა ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებიდან“. კომისიის თავმჯდომარემ თქვა, — ასეთი კარგი პასუხი ჯერ არ მომისმენიაო... სკოლაში ყალთაბანდი იყო, მაინცდამაინც კარგად არ სწავლობდა. რუსული და ქართული ლიტერატურა მოსწონდა. ინგლისური ვერ ვასწავლეთ. ახლა გვსაყვედურობს, — ძალით რატომ არ მასწავლეთო. როგორც კი დავსხდებოდით სამეცადინოდ, ინგლისურის წიგნს შორს გასწევდა. მეზობლის ბავშვები მოგვყავდა სამეცადინოდ — იქნებ ერთად ისწავლონო. არაფერი გამოგვივიდა. მუსიკაც არ ისწავლა. ჩვენ ინსტრუმენტი არ გვქონდა — ომის დროს გავყიდეთ. მუსიკაზე მაინც დაგვყავდა. უკრავდა რაღაცას... ავყვებოდი ხოლმე მეზობლებთან, რომ ფორტეპიანოსთან ემეცადინა. იქ ხომ არ დავუწყებდი ჯიჯღინს, ნებით კი არ მეცადინეობდა. ახლა — დაკვრაც ძალით რატომ არ მასწავლეთო!.. ფიზიკოსი დეიდა შინ ჰყავდა, არც ფიზიკას სწავლობდა. მათემატიკაზე დაგვყავდა, რომ ესწავლა.

ლენა, ნონა და ქეთო

დედა ნინა:

— მოსკოვში ნათესავები გვყავდა. ზურას „შუსტრიკს“ ეძახდნენ, ვერცხლისწყალივით სწრაფი იყო. მათ მოტორიანი ნავი ჰქონდათ. ხშირად ასეირნებდნენ ზურას იმ ნავით, იქაც კი ძლივს აჩერებდნენ. V კლასში იყო, რამდენიმე კლასელთან ერთად გაიპარა — თურქეთში მიდიოდნენ თავისი ჭკუით. მოხვდნენ საღოლაშენში. იქ ჩვენმა მეზობელმა, დეიდა ოლღამ უმასპინძლა, თავისთან დააძინა. ვიდრე ვიპოვიდით, საშინლად ვღელავდით, დედაჩვენს კი რა ვიცი, რა ემართებოდა... საღოლაშენში რომ ჩავედით, ისე გემრიელად ეძინათ...

დედა ქეთო:

— ზურა პირველ სკოლაში სწავლობდა. მეცხრე კლასიდან პროფსასწავლებელში გზავნიდნენ... გადავწყვიტეთ, სხვა სკოლაში გადაგვეყვანა. დავურეკეთ ახლობელს. მან რომელიღაც სკოლის დირექტორს სთხოვა. იმ კაცს ქვა აუგდია და თავი შეუშვერია, — რას ბრძანებთ, მაგას როგორ მივიღებ ჩემს სკოლაშიო... ცელქობის გამო, რა თქმა უნდა. ეს რომ გაიგო თამარ ჩიხლაძემ — ჩემი სკოლის დირექტორმა, მითხრა: ხვალვე მოიყვანეო. ზურა რომ მოვიდა ჩვენს სკოლაში, დირექტორმა უთხრა: ისე უნდა მოიქცე, თითქოს კიბეზე ადიხარ და წყლით სავსე ჭიქა მოგაქვს. ფრთხილობ, არ დაიღვაროსო. ასე რას მოიქცეოდა! გაიკეთა აპენდიციტის

ოპერაცია, ამოიჭრა გლანდები, მერე ფეხი გაიფუჭა... ბევრი გაკვეთილი უცდებოდა. ფეხი, იცით, როგორ გაიფუჭა? რაღაცის გამო გავუბრაზდი. მან კი ჰკრა კარს ფეხი და ჩამსხვრეული მინა დაეცა... ედიშერ მაღალაშვილმა წაგვაყვანინა საავადმყოფოში — ჩვენ მეზობლები ვიყავით... ბოლოს, თამარ ჩიხლაძემ მითხრა, ზურამ ექსტერნად ჩააბაროს გამოცდები, ყველასათვის ასე ჯობიაო. ჩააბარა გამოცდები...

დედა ნინა:

— მსახიობობა რომ უნდოდა, ძალიან კარგად მოემზადა კიდეც. მოსკოვში წავიდა ჩასაბარებლად. მაშინ საბჭოთა კავშირის კომპარტიის ისტორია ბარდებოდა. აი, მაგაში კი ძალიან მოიკოჭლებდა... რაკი ასეთი ნიჭიერი იყო, პარტისტორიის გამო აღარ დატოვეს გარეთ. მოსკოვში ჯარიდან გაათავისუფლეს... ჯარის საკითხი რომ დადგა, ლენამ თქვა, — წავიდეს, მერე რა, ჯარში მწერლად იქნებაო. ჩვენ გავგიჟდით. რუსეთში საშინლად ექცეოდნენ ქართველებს, მწერლად ვინ დანიშნავდა! ძლივს გავათავისუფლეთ ჯარიდან...

დედა ქეთო:

— მოსკოვში 8 თვე ვიცხოვრე. ზურას პატრონობა სჭირდებოდა. რომ ჩავედი, ტაქსის მძღოლმა მკითხა: Вы к кому? Я к племяннику, у него экзамены и я должна помочь, у меня тоже есть тётя, но не такая, — მითხრა გაკვირვებულმა.

სტუდენტობაშიც მაბრაზებდა — გვიან მოდიოდა შინ. არადა ზამთარი იყო, გზები — მოყინული. ფეხი რომ გასრიალებოდა და დაცემულიყო... სულ ფანჯარასთან ვიდექი, ავტობუსებს ვუყურებდი, ჩამოვა თუ არა-მეთქი. ერთხელ ვუთხარი: — ზურა, აი, ფული, ხვალვე მიყიდე ბილეთი და თბილისში ვბრუნდები-მეთქი. თან გული მისკდებოდა — მართლა არ მიყიდოს-მეთქი. წავიდა. მეორე დღეს დაბრუნდა და მითხრა: — ქეთო, არ ვიყიდე ბილეთიო. ხან რას მოიგონებდა, ხან — რას. ერთხელ თქვა, ფრანგული დიეტა უნდა დავიცვა, მარტო წყალზე უნდა ვიყოო. მე ერთ ამბავში ვიყავი, ათასნაირ კერძს ვუმზადებდი, რომ კარგად ეკვება... მთელი დღე წყლის მეტს არაფერს იკარებდა, ღამის თორმეტ საათზე კი გამომიცხადებდა, — ქეთო, მშია, მაჭამეო!

დედა ნინა:

— გამოცდებზე მეც ჩავედი, ლენაც, „მაკბეტის“ ნაწყვეტი დადგეს. ზურა, რა თქმა უნდა, მაკბეტს თამაშობდა. შეუდარებელი იყო. სერგეი გერასიმოვი „მასტერს“ ეძახდა.

ტამარა მაკაროვას იუბილეზე დაპატიჟეს ზურა. წავიდა. მან გამოიყვანა სცენაზე მაკაროვა... მოსკოვში სულ ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა, რადგან საერთო საცხოვრებელში სათანადო ყურადღება არ ექნებოდა. ისე, ერთხელ ჩავედი და ბინაში არეულობა დამხვდა. აივანზე აურაცხელი ბოთლი ეყარა. დავულაგე სახლი, ის ბოთლებიც მოვაშორე. ზურა ამბობდა, — ნინამ რემონტი გამიკეთაო.

დედა ქეთო:

— ზურას დაბადების დღე განსაკუთრებული, ბედნიერი დღეა. მინდოდა, მიმელოცა, ერთხელ დავურეკე. ყურმილი არ აიღო. ეტყობა, ეძინა. ღამით გადაღებები აქვს, დღისით კი ისვენებს... ვეღარ შევაწუხე. საღამო ხანს თვითონ დარეკა. გავიხარეთ. ვუთხარი, — ნამცხვარი გამოვაცხვე შენს სახელზე, მოდი-მეთქი. ხომ იცი, არ მცალიაო... რა ქნას, ამხელა ოჯახი აქვს სარჩენი...

ზურა ბიფშიძე:

— საინტერესო ადამიანები არსებობენ ყველგან: არავითარი მნიშვნელობა არა აქვს არც მათ გვარს, არც წარმომავლობას. ჩემთვისაც კი ძალიან საინტერესო და უცნაურები არიან ჩემი დეიდები — ჩემი დედები. იმდენად არარეალურად მიმაჩნდნენ ყოველთვის, რომ არ მესმოდა, როგორ ასწრებდნენ ყველაფერს — სახლის დალაგებას, დედის მოვლას, ჩემს მოვლას, საკუთარი თავის მოვლას, უნივერსიტეტსა და სკოლაში გაქცევას. იქ ორ-ორი საათის ჩატარებას, მერე ქეთო 42-ე სკოლაში გარბოდა, სადაც რუსულს ასწავლიდა... როგორ ასწრებდნენ ყველაფერს, ვერასოდეს გავიგებ... შინაც სადილი ყოველთვის გვქონდა — პირველი, მეორე, მესამე — დესერტი. არ გათხოვდნენ. ფაქტობრივად, ჩემი ბრალია. მე შემომწირეს თავიანთი პირადი ცხოვრება. განიცდიან, რომ დედაჩემი ცოცხალი აღარ არის... ბოლოს შინიდან პანაშვიდსა და დასაფლავებაზე გამოვიდნენ... მეშინია კიდეც გაფიქრების — მათ გარეშე არ მინდა წარმოვიდგინო ეს ქალაქი, საერთოდ სამყარო. მათი არსებობა ჩემთვის დიდი სიმშვიდისა და დიდი ღელვის საფუძველია. ამას სიყვარულიც არ ჰქვია მხოლოდ. სიტყვას ვერ ვპოულობ, რომ ჩემი მათდამი დამოკიდებულება გამოვხატო. იცით, როგორები არიან? არაფრით არ უნდათ, რომ ვინმე ეხმარებოდეთ. ნებას არ მაძლევენ, ვინმე მივიყვანო, ვინც იზრუნებს მათზე. ის კი არა და, მატერიალურ დახმარებასაც არ იღებენ... განა რა არის პენსია — 33 ლარი, უნდა ავიღო ბანკში და მივუტანო. თუ არ ავიღე და ჩემი ფული მივუტანე, ოდნავ მეტი დავუტოვე, ძალიან სწყინთ. ზოგჯერ დამირეკავენ: У нас появились деньги на бензин. Заезжай... როგორ ახერხებენ ამას... 66 ლარად ორი ადამიანი ცხოვრობს, იხდის გადასახადებს და კიდევ ჩემთვის „რჩებათ“?! მე თუ ჩუმად გადავუხადე ქირა, ეს მათთვის ტრაგედიაა. იბუტებიან. შემიძლია სრული პასუხისმგებლობით ვთქვა: თავი შემომწირეს უანგაროდ და არა მარტო მე — ზოგადად ქვეყანასაც. ძალიან უყვართ სოფელი, სადაც გაატარეს ბავშვობა, სადაც მეც ვიზრდებოდი. უნდოდათ, შეენარჩუნებინათ ის სახლი. ჩუმ-ჩუმად თავიანთი დანაზოგით მოახერხეს პატარა ქოხის აღდგენა *(დეიდები ამბობენ, — ზურა დავტანჯეთ, სულ ჩვენ სამნი დავდიოდით მშენებლობის საკითხებზე. რომ დაგვინახავდნენ, გვეტყოდნენ, ისევ ძირითადი შემადგენლობა მოხვედითო? — ავტ.)* ამ სოფელში პაპაჩემის მამის აშენებული პატარა ეკლესია დგას. როცა ის მოქმედი გახდა, აღმოჩნდა, მღვდელს არ ჰქონდა საცხოვრებელი სახლი და დეიდებმა, სახლი, რომელსაც გადაკვდნენ, მოძღვარს აჩუქეს. სამწუხაროდ, ახლა ის ძველებური იერი აღარც სოფელს აქვს, ძველებური სუნიც დაკარგა... საერთოდ, ვგრძნობ, რომ თაობა, რომელიც მიდის, ძალიან დიდი დანაკლისია. მათი მსგავსი აღარ განმეორდება, ის „სუნიც“ იმიტომ აღარ იქნება აღარასოდეს. ხშირად ვეუბნები ჩემს დედებს, — აბა ნახეთ,

ქეთო და ნინა

ფრთები ხომ არ ამოგდით-მეთქი. ჩვენი ერთად ცხოვრება არ შეიძლებოდა. მე „ნერიახა“ ვარ. მათ ამისი ატანა არ შეუძლიათ, სულ აწკრიალებდნენ ყველაფერს. ხშირად მითქვამს მათთვის: — თქვენი ბრალია, რომ კუჭ-ნაწლავი არ მივარგა. ბავშვობიდან ზედმეტად სტერილურად მზრდიდით. მგონი, ვაშლსაც „ნედეთი“ მიხეხავდით, იმუნიტეტი დამიქვეითდა-მეთქი. დედაჩემი არტისტი იყო, როგორც ხელოვანს, ჩემი არ იყოს, სულ ეჩქარებოდა, სულ გარბოდა... ამათ იმედზე ვიყავი. ყველაზე მეტად ბებია მიყვარდა. ყველანი რომ სამსახურში იყვნენ, მე მასთან ვრჩებოდი... უბედნიერესი კაცი ვარ, რომ ასეთი ბებია და სამი დედა მყავდა...

უმამობის კომპლექსი მქონდა ყოველთვის. მერე კი გავიგე, ვინ იყო მამა, რომ უფროსი ძმაც მყოლია, დღემდე ვმეგობრობ ამ ოჯახთან. ყველაფერი კარგად აეწყო, მაგრამ მაინც განვიცდიდი. ნინა და ქეთო ყველანაირად ცდილობდნენ, ეს კომპლექსი არ მქონოდა... მე მაინც გამომყვა. ძალიან განვიცდი ჩემი შვილების ოჯახური მდგომარეობის არევას. მათ არ ესმით ჩემი... მიხეილ თუმანიშვილს უსაზღვროდ უყვარდა ჩემი დეიდები. „ჩვენი პატარა ქალაქი“ ხომ გახსოვთ? იქ არის ერთი ოჯახი — ქეთო და ნინა... მიხეილ თუმანიშვილი ყოველ რეპეტიციაზე ამბობდა: — წადით, გაიცანით ზურას დეიდებიო... ზურას ოდნავ მაინც რომ გამოჰყოლოდა მათი ტაქტი, მათი ზრდილობა, სხვანაირი იქნებოდაო... ...მეც ვიცი, თუკი რაიმე ღირებული გამაჩნია, მათი დამსახურებაა.

ალანა გაგლოევა: „ცხინვალში საკუთარი ქუჩა მაქვს"...

პრეზიდენტის პრესსპიკერი, ჟურნალისტი ალანა გაგლოევა მართალია, თბილისში დაიბადა, მაგრამ თითქმის მთელი ბავშვობა ცხინვალში აქვს გატარებული...

— დედა თბილისელია, მამა ცხინვალიდან იყო. ის ჩემი დაბადების შემდეგ, მალევე გარდაიცვალა. ამიტომ მისმა მშობლებმა, მე და დედა საცხოვრებლად ცხინვალში გადაგვიყვანეს. საბავშვო ბაღში იქ დავდიოდი, მერე სკოლაში შემიყვანეს და შემიძლია ვთქვა, რომ სკოლის პერიოდი ბებია-ბაბუასთან, ცხინვალში მაქვს გატარებული.

— თავიდან რომელ ენაზე ლაპარაკობდი?

— ჩვენს ოჯახში სამ ენაზე — ოსურად, ქართულად და რუსულად ლაპარაკობდნენ. მართალია, ოსურ ბაღში დავდიოდი, მაგრამ სახლში სამივე ენაზე ვლაპარაკობდით.

— იმ პერიოდში თბილისთან ურთიერთობა გქონდა?

— როგორ არა. თბილისი ჩემთვის უცხო ქალაქი არ იყო. რადგან დედაჩემი თბილისელია, აქ სახლიც გვქონდა და დედას მეორე ბებია-ბაბუასთან დედაქალაქში ჩამოვყავდი. თბილისში მყავდა მეგობრები, ახლობლები, მეზობლები. კარგად მახსოვს, ბავშვობაში მუშთაიდის ბაღში დავყავდით, სადაც კარგად ვხალისობდი: საქანელები, მანქანები, კარუსელი... გადასარევად მახსოვს ყოფილი ლენინის მოედანი, სადაც ლენინის ძეგლი იდგა... გარკვეული პერიოდის შემდეგ, მე და დედა საცხოვრებლად თბილისში გადმოვედით და ვაზისუბანში, 157-ე საშუალო სკოლაში ვსწავლობდი.

— შენთვის რას ნიშნავს ცხინვალი?

— საყვარელი ქალაქია. მასთან კარგი მოგონებები მაკავშირებს. იქ მყავს ნათესავები, ახლობლები. ცხინვალში დავტოვე ჩემი საყვარელი ქუჩა, რომელიც ადრე ილია ჭავჭავაძის სახელობის იყო და რომელსაც შემდეგ, ვალდიმერ გაგლოევის სახელი დაარქვეს.

— ვინ არის ვლადიმერ გაგლოევი?

— ჩემი ბაბუა (მამაჩემის მამა), რომელიც მწერალი გახლდათ. ასე რომ, იქ საკუთარ ქუჩაზე ვცხოვრობდი. იქვეა ბაბუაჩემის სახლი, სადაც გავიზარდე. მამაჩემი მწერალი იყო, მას ცალკე სახლი ჰქონდა ცხინვალში, რომელსაც მწერლების სახლს ეძახდნენ... ხშირად მახსენდება ხეხილით სავსე ბებიაჩემის ეზო: ალუბლის, ბლის, ლეღვის, ტყემლის ხეები, რომლებზეც დავძვრებოდი ხოლმე.

— მიწის დამუშავება თუ გეხერხება?

— როგორ არა და ეს პროცესი ძალიან მიყვარდა — ადრე ბებიას ვეხმარებოდი, ერთად ვბარავდით, ვთოხნიდით... ბოლოს, მოსავალს რომ შევავლებდი თვალს, ამაყი ვხდებოდი. ახლა ეს ყველაფერი დავივიწყე.

— რამდენი ხანია, რაც ცხინვალში აღარ ჩასულხარ?

— ბოლოს იქ 2004 წელს ვიყავი. მაშინ ტელევიზიაში მუშაობა ახალი დაწყებული მქონდა. მერე იქაურები გამინაწყენდნენ და ცხინვალში აღარ მიშვებენ.

— უცხოელს თავს როგორ წარუდგენდი?

— საქართველოა ჩემი სამშობლო, ანუ ჩემი მამულეთი, დედულეთი კი — ოსეთია...

— მგონი, პირქით უნდა გეთქვა, არა?

— სწორად ვთქვი. ოსეთი, სადაც მე ვიზრდებოდი, ისევე, როგორც რაჭა, სვანეთი, გურია და ა.შ. საქართველოს ნაწილია. ამიტომაც, ჩემი სამშობლო საქართველოა!

FM-დიაპაზონზე ქართული სიმღერა შემცირდა

ბოლო პერიოდია FM-დიაპაზონის რადიოსადგურებზე, შეიძლება ითქვას, რომ ქართული სიმღერა გაიშვიათდა. მაგალითად, თუ აქამდე „ფორტუნა-+"-ის ეთერში, ერთი საათის განმავლობაში სამი ქართული სიმღერა გადიოდა, ახლა ერთი ძლივს გადის, რადგან მსმენელი მის მიმართ ნაკლებად იჩენს ინტერესს. ალბათ, იმიტომ, რომ ახალი არაფერი იქმნება, ძველი კი მოპბეზრდათ. ახალი ნამუშევრების მსმენელამდე მიტანას შესაბამისი თანხები სჭირდება, რისი საშუალებაც ქართველ მომღერლებს, ფაქტობრივად, არა აქვთ. ამიტომ, FM-დიაპაზონზე ის მუსიკა გაისმის, რომელსაც მსმენელი უკვეთს. ეს ძირითადად, უცხოური მუსიკაა, — მსუბუქი როკი. თუ დროულად არ იღონეს რაიმე, ისედაც ჩიხში მოქცეული თანამედროვე ქართული სიმღერა, აღარ გვექნება.

ნატო გელაშვილმა შეიძლება ხატვაც დაიწყოს

ცოტა ხნის წინ, რამდენიმე აუდიო-ვიდეომაღაზიის კარი შეაღე და ყველა გამყიდველს ერთი და იმავე კითხვით მივმართე — ქართველი მომღერლებიდან ყველაზე კარგად ვისი მუსიკალური პროდუქცია იყიდება-მეთქი. ყველასგან ერთნაირი პასუხი მივიღე. დღეს ყველაზე დიდი მოთხოვნილება ავტორ-შემსრულებელ — ნატო გელაშვილის აუდიოკასეტებსა და დისკებზეაო. შემდეგ კი, თავად მუსიკოსის პროდიუსერს, მის მეუღლეს, ***ვახო გორგაძეს*** *დავუკავშირდი.*

— მართლაც დიდია ნატო გელაშვილის მუსიკალურ პროდუქციაზე მოთხოვნილება?

— მართლაც ასეა. დიდი ხანია ნატო მსმენელმა შეიყვარა. ბოლო დროს კი მისი სიმღერების მიმართ ისინი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ. ეს, ალბათ, იმან განაპირობა, რომ სიმღერები ქართულია და თითოეული ქართველის სულთან და გულთან ახლოს არის. ამასთან, ნატო ხომ ის შემოქმედია, რომელიც ტექსტსაც და მუსიკას თავად წერს და თავადვე ასრულებს. ეტყობა, მსმენელს ესეც მოსწონს. მინდა, მისი თაყვანისმცემლები გავახარო და ვაუწყო, რომ ის ცოტა ხანში, მათ ახალ სიმღერას შესთავაზებს სახელწოდებით — „მხატვარი". არ არის გამორიცხული, ხატვა თავადაც დაიწყოს.

Wreli kiTxvebi

ეკა კახიანი: „ჩემდა სამარცხვინოდ, ცხოველები არ მიყვარს...“

— ეკა, როგორ ხარ?

— ძალიან კარგად.

— რა არის ამის მიზეზი?

— ბევრი რამ.

— მაინც?

— ვგრძნობ, რომ ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში რაღაც ახალი დაიწყო. კარგად ყოფნის მიზეზი ასევე, ჩემი შვილები და ოჯახია.

— ცოტა ხნის წინ სასწავლო წელი დაიწყო... მოსწავლეობის პერიოდში როგორ ემზადებოდი სკოლაში წასასვლელად?

— მუდმივად ახლის მოლოდინში ვიყავი. ვამზადებდი წიგნებს, რვეულებს, სკოლის ფორმას...

— სკოლის ფორმა გიყვარდა?

— პიონერის ყელსახვევი მიყვარდა და მას გულმოდგინედ ვაუთოებდი. თუმცა სასწავლო წლის ბოლოს, უკვე ჩანთაში დაჭმუჭნილი მეგდო ხოლმე.

— რა გეზარებოდა მაშინ?

— დილით ადრე ადგომა, როიალთან ჯდომა და მუსიკაში მეცადინეობა.

— რეპეტიციები „მზიურში“?

— ეს მიყვარდა. ასევე მიყვარდა კონცერტებზე გამოსვლა და გასტროლებზე სიარული, მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი დიდ ენერგიას მოითხოვდა.

— ახლა რას წაიმღერებდი?

— დათო ევგენიძის სიმღერას, რომელსაც მაია ჯაბუა არაჩვეულებრივად ასრულებს: „მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის, ქალწულებივით ხიდიდან ფენა“...

— იქნებ საყვარელი ფრაზაც მითხრა?

— გჯეროდეს შენი თავისა და მიზნის. თუ სურვილი გაქვს, მიზანს აუცილებლად მიაღწევ!

— გჯერა შენი თავის?

— დავიჯერე, მაგრამ ამას დრო დასჭირდა.

— რომელია შენი საყვარელი ცხოველი?

— ჩემდა სამარცხვინოდ, ცხოველები არ მიყვარს. მათ ხელს ვერ

ვკიდებ და ახლოს ვერ ვეკარები. ისე, ვიზუალურად მომწონს „პანტერა“, ვეფხვი...

— საკუთარ თავს რომელიმე ცხოველს თუ შეადარებ?

— ჩემს თავს უფრო ფრინველს ვადარებ. ბუ ვარ! (*იცინის*).

— ყვავილები გიყვარს?

— ძალიან. ჩემს ოჯახში ბევრი ქოთნის ყვავილია. ყვავილების სიყვარული დედისგან მომყვება. უკვე მათი მოვლა ჩვევად მაქვს გადაქცეული. თუ ყვავილი ჭკნება ან ფუჭდება, ამას ძალიან განვიცდი...

— რას „გეუბნება“ ყოველ დილით სარკე?

— დილას რომ ვიღვიძებ, სარკეში ვიყურები და საკუთარ თავს ვუღიმი იმიტომ, რომ მერე მთელი დღის განმავლობაში კარგი განწყობილება მქონდეს.

— დაბოლოს, რას გვეტყვი?

— მიყვარს ჩემი ქვეყანა და მინდა, რომ ის მალე ვიხილო გაბრწყინებული!..

სუნამო და ბილიარდი ქართველებმა ერთმანეთს კარგად შეუხამეს...

საბილიარდო კლუბ „იმპერიალში“ დიდი მხიარულება იყო. იქ თავი მოეყარათ როგორც ბილიარდის მოყვარულებს, ისე სუნამოს მოყვარულებსაც. აღნიშნულ დაწესებულებაში „ვულე-ვუმ“ „ბოსის“ ახალი სპორტული ხაზის — „ბოს იან მოუშენ“-ის პრეზენტაცია მოაწყო, რომლის ორგანიზატორი (ზუზუ) ნინო ნოდია იყო. სუნამოს ბოთლს ბილიარდის ბურთის ფორმა აქვს, თავად სუნამო კი აქტიური, სპორტული, მოძრავი და სიცოცხლისმოყვარული მამაკაცებისთვისაა განკუთვნილი. ჰოდა, ზუზუმაც ასეთი ქართველები დაპატიჟა საბილიარდო კლუბში. იქ სუნამოს პრეზენტაციის პარალელურად მოეწყო შეჯიბრება ბილიარდის თამაშში. მასში თავი რეჟისორმა გიორგი კიკალეიშვილმა, იმავე კიკალამ, ანი გიუნტერმა, დათო გომართელმა და თიკო სადუნიშვილმა გამოიჩინეს. თუმცა, ყველაზე წარმატებული თამაში ანსამბლ „ფესვების“ წევრმა გიორგი ანთაძემ აჩვენა. ის მეორე ადგილის მფლობელი გახდა. ასე რომ, სუნამოს პრეზენტაციას თუ ასე მოუხდებოდა სპორტული შეჯიბრება, ძნელი წარმოსადგენი იყო. ალბათ, ყველაფერი მაინც იმან განაპირობა, რომ სუნამო სპორტული ხაზის გახლავთ. „ვულე-ვუს“ პროდუქციის მუდმივ კლიენტს, რეჟისორ ბასა ფოცხიშვილს (რომელსაც სუნამოსთან ერთად ბილიარდის თამაშიც უყვარს) კი, იმ დღეს არ გაუმართლა, რადგან სხვებმა მასზე წარმატებულად ითამაშეს.

kviris astrologiuri prognozi

(12 – 18 oqtomberi)

ᲕᲔᲠᲫᲘ 21.03-20.04

ამ კვირას ვარსკვლავები იშვიათ შანსს გაძლევენ. ცოტა მოეშვით და ნაკლებად იფიქრეთ ოჯახურ პრობლემებზე. მეტად იზრუნეთ საკუთარ თავზე და ყურადღებით მოეკიდეთ პირად ცხოვრებას. პარასკევს შეეცადეთ, მოერიდოთ კონფლიქტურ სიტუაციებს.

ᲙᲣᲠᲝ 21.04-20.05

გაითვალისწინეთ, რომ ამ დღეებში ხელმძღვანელებთან კონფლიქტმა შეიძლება მთელი თქვენი გეგმები ჩაშალოს. ზედმეტად გულს ნურავის გადაუშლით, არ გააკრიტიკოთ კოლეგები. სამსახურებრივ პრობლემებზე ოჯახის წევრებთანაც კი ნუ ისაუბრებთ.

ᲢᲧᲣᲘ 21.05-21.06

საინტერესო ადამიანებთან კონტაქტი დიდ სიამოვნებას მოგგვრით. ერთადერთი რამ, რისთვისაც ნაკლებად იცლით, სამსახურია. არ გირჩევთ მხოლოდ საოჯახო საქმეებზე ზრუნვას, ჯობს, სხვა სფეროშიც გამოავლინოთ თქვენი შესაძლებლობები.

ᲙᲘᲑᲝ 22.06-22.07

ეს კვირა საკმაოდ იღბლიანი იქნება თქვენთვის, მაგრამ ხუთშაბათსა და კვირას ფრთხილად იყავით, რადგან შესაძლოა, დაუფიქრებლობის გამო, სერიოზული შეცდომა დაუშვათ. შეეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას.

ᲚᲝᲛᲘ 23.07-23.08

ამ კვირაში მეოცნებე ლომები მიწაზე დაეშვებიან და ნათლად დაინახავენ იმ მიზეზებს, რაც ხელს უშლით, თავი ბედნიერ ადამიანად იგრძნონ. ნუ მიმართავთ აგრესიას ოჯახის წევრებისკენ — ისინი ხომ თქვენი ჭეშმარიტი გულშემატკივრები არიან.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ 24.08-23.09

ეს კვირა განვლილი მოვლენების ანალიზსა და საქმიანი ქაღალდების მოწესრიგებას უნდა მოანდომოთ. რაც მთავარია, თქვენს სულიერ მდგომარეობას ჩაუფიქრდით და ახალი გეგმები დაისახეთ. უქმე დღეებში სასიამოვნო შეხვედრა და რომანტიკული თავგადასავალი გელით.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ 24.09-23.10

ამ დღეებში დიდი ენერგიის დახარჯვა მოგიწევთ. არ გირჩევთ ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებში გარისკვას. კვირის ბოლოს თავს დასვენების უფლება მიეცით. გაემგზავრეთ სადმე, თუნდაც ახალგაცნობილ ადამიანთან ერთად.

ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲘ 24.10-22.11

როგორც კი თავში ახალი იდეა მოგივათ, მაშინვე მის განხორციელებაზე დაიწყეთ ფიქრი. ნებისმიერი საქმე, რომელსაც ამ კვირაში წამოიწყებთ, წარმატებით დაგვირგვინდება. შაბათ-კვირა მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ.

ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ 23.11-21.12

ამ კვირაში ნებისმიერი სახის კონფლიქტი თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება. შესაძლოა, ამის წყალობით, ბევრი ძველი მოწინააღმდეგე თქვენს მოკავშირედ იქცეს. კოლეგების მხარდაჭერაც გარანტირებული გაქვთ. უქმეებში აუცილებლად გაისეირნეთ ქალაქგარეთ — ბუნებასთან კონტაქტი ახალ ძალებს შეგმატებთ.

ᲗᲔᲗᲠᲘᲡ ᲠᲫᲐ 22.12-20.01

ეს კვირა თქვენთვის აქტიური სასიყვარულო ურთიერთობით იქნება გამორჩეული. შეეცადეთ, გულის სწორს უბრალო მიზეზის გამო არ აწყენინოთ. ეჭვიანობის არანაირი საფუძველი არა გაქვთ. დატკბით მასთან სიახლოვით. შაბათ-კვირას თქვენთვის ყველაზე სასიამოვნო დასვენება ძველი ფოტოსურათების დათვალიერება იქნება.

ᲛᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ 21.01-19.02

განსაკუთრებული კვირა გელით. პირად ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი. შესაძლოა, დიდი ხნის უნახავ მეგობართან ან სატრფოსთან უთანხმოება მოგივიდეთ. თუმცა, ახალი სიყვარული არც ისე შორსაა.

ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ 20.02-20.03

თავს მკაცრი კონტროლი გაუწიეთ და ფული უყაირათოდ არ დახარჯოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სერიოზული პრობლემები შეგექმნებათ. კარგი იქნება, თუ ამ კვირაში მაღაზიებს საერთოდ არ გაეკარებით. შაბათი და კვირა სპორტს დაუთმეთ. სასურველია, თუ ახლობელი ადამიანების რჩევას გაითვალისწინებთ.

პარიზული მსოფლიო პრემიერები

პარიზის საერთაშორისო ავტოსალონზე მისულ დამთვალიერებლებს Porsche 911-ის ყველაზე ექსტრემალური ვერსიები მოსჭრიდა თვალს. სახელგანთქმულმა კომპანიამ „პორშე 911“-ის ბაზაზე შექმნილი ორი მოდელი — 911 GT3 RS და Targa წარმოადგინა.

პირველი მათგანი 3,6 ლ მოცულობის, 415 ცხ.ძ. სიმძლავრის ბენზინის ძრავათია აღჭურვილი, რაც Porsche 911 Carrera-ს აგრეგატის სიმძლავრეს 40 ცხ.ძ-ით აღემატება. ტექნიკური მახასიათებლებისა და მცირე წონის წყალობით (კარბონისა და ნახშირ-პლასტიკის გამოყენების შედეგად, მანქანა წინამორბედზე 20 კგ-ით მსუბუქია), ის 100 კმ/სთ სიჩქარეს 4,2 წმ-ში, 200 კმ/სთ-ს — 13,3 წმ-ში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 310 კმ/სთ-ს აღწევს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახალი მოდელი, საბაზო Porsche 911 GT3-ისგან მცირე წონით განსხვავდება. ეს უპირველესად, იმის წყალობითაა მიღწეული, რომ ძალზე მსუბუქი უკანა მინა — პლასტიკისგან, ე.წ. ანტიფრთა — კარბონისგან, ხოლო ახალი სპორტული სავარძლები, ასევე მსუბუქი თანამედროვე მასალისგან — ნახშირპლასტიკისგანაა დამზადებული.

ამ მოდელის გაყიდვა უკვე მიმდინარე თვის დამლევს დაიწყება. მისი ფასი გერმანიაში 129.659 ევრო იქნება. მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება, ოთხიდან ერთ-ერთი — სტაფილოსფერი, შავი, ვერცხლისფერი ან თეთრი — აირჩიოს.

Porsche 911 Targa ერთობ ეგზოტიკური, ოღონდ, „თანამომძესთან“ შედარებით, არააგრესიული, ელეგანტური ძარათი გამოირჩევა. წინა პარპრიზიდან მოყოლებული, უკანა ანტიფრთამდე გადაჭიმული გამჭვირვალე სახურავი, ძარას უკანა დგარის ახალი ფორმა, ფანჯრების უჩვეულო მონახაზი და ალუმინისგან დამზადებული ფრაგმენტები, — ეს ყველაფერი ძალზე მოხდენილ იერს ანიჭებს Targa-ს.

საბაზო მოდელი — 911 Targa 4S — 3,6 ლ მოცულობის, 325 ცხ.ძ. სიმძლავრის, ხოლო Targa 4S — 3,8 ლ მოცულობის, 355 ცხ.ძ. სიმძლავრის აგრეგატითაა აღჭურვილი. 100 კმ/სთ სიჩქარეს ისინი შესაბამისად, 5,3 და 4,9 წმ-ში განავითარებენ, მათი მაქსიმალური სიჩქარე კი — 280 და 288 კმ/სთ-ია.

ყველაზე ელეგანტური „პორშეს“ რეალიზაცია ნოემბრისთვისაა დაგეგმილი. გერმანიის ბაზარზე Porsche 911 Targa 4-ის ფასი 91.843, ხოლო Targa 4S-ს ფასი — 102.167 ევრო იქნება. ■

როგორც იაპონელი ავტომწარმოებლები ამბობენ, პარიზში მათ არა რევოლუციური, არამედ ევოლუციური ყველგანმავლები წარმოადგინეს. ლაპარაკია ცნობილი მარკის — „მიცუბიში პაჯეროს“ ახალ ნიმუშებზე, რომლებიც ერთი შეხედვით, დიდად არ განსხვავდება წინამორბედებისგან. იაპონელები აღნიშნავენ: „ჩვენ ვაწარმოებთ იმავე პროდუქციას, რომელსაც ადრე ვაწარმოებდით, ოღონდ — გაცილებით უკეთესი ხარისხისას“...

დიზაინის შემუშავების დროს, „მიცუბიშის“ კონსტრუქტორები სწორედ ამ — ევოლუციური პრინციპით ხელმძღვანელობდნენ: ახალი Pajero ძველისგან მხოლოდ ძარას წინა ნაწილის გაფორმებით გამოირჩევა, რომელიც ორიგინალური ფორმის მქონე მაშუქებით, ახალი კაპოტით, ბამპერითა და რადიატორის ცხაურით იპყრობს მნახველის ყურადღებას. უფრო დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ მთლიანად ძარას მონახაზმაც განიცადა ცვლილებები და ამის წყალობით, Pajero-ს, თუმცა ტრადიციული, მაგრამ გაცილებით სოლიდური იერი მიეცა.

ფირმის ინჟინრებმა ამ მანქანის ძრავების პალიტრაც გააფართოეს: ძველი — 3,5 ლ მოცულობის V6 წარსულს ჩაჰბარდა და მისი ადგილი, 250 ცხ.ძ. სიმძლავრის 3,8-ლიტრიანმა აგრეგატმა დაიკავა. მომხმარებელს აგრეთვე საშუალება ექნება, შეიძინოს 3,2 ლ მოცულობის დიზელის ძრავათი აღჭურვილი „პაჯერო“, რომლის სიმძლავრეც 160 ცხ.ძ-ა.

ახალი Mitsubishi Pajero იაპონიაში უკვე ერთი თვეა, იყიდება. ევროპაში ის უახლოეს თვეებში გამოჩნდება.

იაპონელებმა პარიზში ახალი თაობის Mitsubishi Outlander-იც წარმოადგინეს, ოღონდ, რატომღაც, — როგორც კონცეპტუალური მოდელი — არადა, ეს მანქანა სამშობლოში უკვე მთელი წელია, რაც იყიდება. მაგრამ კომპანიის მესვეურები ამბობენ, რომ ევროპის ბაზარზე ამ კროსოვერის გატანა იმიტომ ფერხდება, რომ მისი შასი და კონსტრუქციის ზოგიერთი სხვა დეტალი იქაური მომხმარებლის გემოვნებას უნდა მიუსადაგონ.

ევროპელ ავტომოყვარულებს უმთავრესად, 2-ლიტრიანი ტურბოდიზელის ძრავათი აღჭურვილ Mitsubishi Outlander-ს შესთავაზებენ. ამ აგრეგატს იაპონელები კონცერნ „ფოლკსვაგენს“ დაესესხნენ. 140 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე ძრავას, ექვსსაფეხურიანი მექანიკურ გადაცემათა კოლოფი ახლავს თან. მოგვიანებით, ევროპელებს V6 ტიპის, 220 ცხ.ძ. სიმძლავრის ახალ ბენზინის ძრავასაც შესთავაზებენ, რომლის სამუშაო მოცულობა 2,4 ლ, ხოლო სიმძლავრე — 170 ცხ.ძ. იქნება.

ახალი Mitsubishi Outlander-ის გაყიდვა ევროპაში 2007 წლის პირველი კვარტალისთვისაა დაგეგმილი. ■

დასაწყისი იხ. გვ. 30

იციან, რომ ყოველი შემდეგი მკურნალობის კურსი, ბევრად უფრო მძიმეა, ვიდრე წინა. ფსიქიკა უფრო დაზიანებული, სისხლძარღვები დასუსტებული აქვთ, ძნელდება მათთან ურთიერთობა.

— ბოლო წლებში, მომხმარებელთა ასაკი გაახალგაზრდავდა. თქვენ ყველზე პატარა პაციენტი რამდენი წლის იყო?

— 2005 წელს დაადგინეს, რომ მომხმარებელთა ასაკი 18 წლამდე გაახალგაზრდავდა, მაგრამ სამწუხაროდ, მყავდა 16 წლის პაციენტიც და მყავს 13 წლის მარიხუანის (პლანის) მომხმარებელიც.

— თამაშობს თუ არა გენეტიკა მთავარ როლს პიროვნების ნარკომანად ჩამოყალიბებაში?

დღეს წამლის „გაჩხერა“ და პლანით „დაბოლება“ მოდაშია. სამწუხაროდ, ამას გოგოებიც აკეთებენ

— ჩვენ პაციენტის გენეტიკას ყოველთვის ვიკვლევთ. ხშირ შემთხვევაში, ნარკოტიკის მომხმარებლებს ან მძიმე სტრესი აქვთ გადატანილი, ან არასრულფასოვან ოჯახებში არიან აღზრდილნი. ნარკომანის შვილი შესაძლოა, რაიმე ფიზიკური ნაკლით არ დაიბადოს, მაგრამ მას ნერვული სისტემა აუცილებლად დაზიანებული ექნება. ასეთი ბავშვები ძალიან გაღიზიანებულები და ისტერიკულები არიან. ისინი სარისკო ქცევებითაც გამოირჩევიან და არ არის გამორიცხული, რომ მშობლის გზა გაგრძელონ. ამ ბოლო დროს, ძალზე გახშირდა მამა-შვილის ერთად მკურნალობის ფაქტებიც.

— მამა-შვილი წამალს ერთად იკეთებს?

— სამწუხაროდ, ასეთი პაციენტებიც მყოლია. ნარკომანია უფსკრულისკენ სვლაა. წარმატებული ადამიანები ხდებიან „ბომჟები“ — ქუჩაში იმისთვის მათხოვრობენ, რომ როგორმე ერთი დღე „გადააგორონ“. ერთი ნარკომანი, სტატისტიკური მონაცემებით, 6-7 კაცს აყენებს ზიანს. ამიტომ სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს ნარკომანთა მკურნალობაზე. ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ასე ხდება. მკურნალობენ ნარკომანებს და იჭერენ რეალიზატორებს.

მალე თბილისში ახალი სარეაბილიტაციო ცენტრი გაიხსნება, სადაც მეტადონით მკურნალობის შემდეგ, პაციენტებს ფსიქოლოგიურ და სულიერ დახმარებასაც გაუწევენ.

დავით ციცქიშვილი, *საპატრიარქოსთან არსებული წმინდა გაბრიელ ქიქოძის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრის ფსიქოლოგი:*

— მარტო ფსიქოლოგიური დახმარება შედეგის მომტანი ვერ იქნება, თუ მას ზურგს სულიერება არ უმაგრებს. თუ პიროვნება არ მიიყვანე ეკლესიამდე, არ თქვა აღსარება, არ ჩამოუყალიბდა სხვაგვარი ცნობიერება, ამ პრობლემის დამარცხება შეუძლებლად მიმაჩნია. ეკლესიური გაგებით არსებობს ღვთის საწინააღმდეგო ძალა, რომელიც ადამიანში მავნე ჩვევებს ახელებს. ამ ძალას მარტო მედიკამენტებით ვერ დაამარცხებ.

— როგორია ნარკომანთან ფსიქოლოგის მუშაობის პროცესი?

— რთულია. ახალი ადამიანი უნდა შვა, მასში სულიერი გარდატეხა უნდა შეიტანო, სულ სხვა კუთხით უნდა დაანახვო ცხოვრება, მდგრად პიროვნებად აქციო, ნებისყოფა განუვითარო. სხვადასხვა მიზეზი არსებობს იმისა, თუ რატომ ხდებიან ნარკომანები! ზოგი — ცნობისმოყვარეობის გამო, ზოგიც იმიტომ, რომ უფრო კარგად ახერხებს საკუთარი თავის რეალიზებას, უფრო კონტაქტური ხდება. ნარკომანია რეალობიდან გაქცევაა. ჩვენი სარეაბილიტაციო ცენტრი ხიდის როლს შეასრულებს ეკლესიასა და ამ პრობლემის მქონე ადამიანთა შორის.

— ვინ უზრუნველყოფს პაციენტს ფინანსურად?

— ეს არის პროექტი, რომელიც გლობალ-ფონდის მიერ დაფინანსდა. პაციენტს თანხის გადახდა არ მოუწევს. ნარკოლოგების და ეკლესიური ხაზის ფსიქოლოგების ერთობლივი ძალისხმევა, ვფიქრობ, რომ შედეგის მომტანი იქნება.

— სახელმწიფო ნარკოპოლიტიკის განმსაზღვრელმა საბჭომ, რომლის წევრიც თქვენ ბრძანდებით, პრიორიტეტად გამოაცხადა სკოლებში ანტინარკოტიკული ღონისძიებების ჩატარება. როგორი ფორმით და ვინ ჩაატარებს ამ გაკვეთილებს?

— ბავშვს „არ შეიძლება! არ შეიძლებას!“ ძახილით შესაძლოა, ნარკოტიკისადმი ინტერესი უფრო გაუმძაფრდეს, ამიტომ საჭიროა მათთან ურთიერთობის სწორი ფორმა მოიძებნოს. დარგის ექსპერტების მიერ ფსიქოლოგებს ჩაუტარდებათ ტრენინგები. ამ წამოწყებას მხარს უჭერს განათლების სამინისტროც. ჩვენ ყველამ ერთიანი ძალისხმევით უნდა დავამარცხოთ ნარკომანია — ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საცდური. ■

არაგონესის არჩევანი გუტის არ ხიბლავს

როგორც ცნობილია, ესპანეთის ნაკრები ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მორიგ მატჩში სტუმრად შვედებთან დამარცხდა (0:2). ესპანელთა მთავარმა მწვრთნელმა ლუის არაგონესმა შემადგენლობა დაასახელა და ყველა გააოცა იმით, რომ გუნდში არ შეიყვანა რაული და გუტი. „შემადგენლობაში რაულის არყოფნას უკომენტაროდ დავტოვებ, — დასძენს გუტი, — მხოლოდ ვიტყვი, რომ ეს უსამართლობაა, თუმცა მწვრთნელის გადასაწყვეტი იყო... ჩემი აზრით, რაული, რომელიც მადრიდის „რეალისა“ და ესპანეთის ნაკრების სიმბოლოა, შემადგენლობაში უნდა მოხვედრილიყო. არა მგონია, რომ ნაკრებში რაულის ეპოქა დასრულდა. რაც შემეხება მე, — ამჯერად იმედი აღარ მქონდა, რომ ნაკრებში გამომიძახებდნენ. აი, მუნდიალზე წასვლას კი ვიმედოვნებდი, მაგრამ ვერ წავედი. ვფიქრობ, მაშინ ნაკრების კარი ჩემთვის კიდევ უფრო ჩაიკეტა. „რეალში“ კარგად უნდა ვითამაშო, სხვა არაფრის გაკეთება არ შემიძლია. ისე კი, რაულს ჩემი დაცვა სულაც არ სჭირდება. ამ სეზონში მისი თამაში ყველაფერზე თავისთავად მეტყველებს“.

გუტი ეტო'ოს ტრავმაზეც აკეთებს კომენტარს: „ძალზე სამწუხაროა ჩემთვის, რადგან სამუელი ძალიან მიყვარს. ის ჩემი ყოფილი პარტნიორი და კარგი მეგობარია. არც ერთ პროფესიონალს არ უხარია, როდესაც მისი კოლეგა ტრავმას იღებს. ეტო'ო „ბარსას“ საუკეთესო თავდამსხმელია. მისი არყოფნა გუნდს ძალიან დაეტყობა. დარწმუნებული ვარ, როდესაც შეეძლებ, აუცილებლად შეეხვდები ან დავურეკავ მას, რათა მეგობრულად გავამხნევო“. გუტი მიიჩნევს, რომ ჩემპიონთა ლიგის უმთავრესი ფავორიტი კვლავაც „ბარსაა“. „მათ შესანიშნავი შემადგენლობა ჰყავთ, გაძლიერდნენ კიდეც. ტიტულისთვის ბრძოლაში „ბარსელონა“ მთავარი პრეტენდენტია, თუმცა მიმდინარე სეზონში ლა ლიგაში კატალონიელებს გაუჭირდებათ, რადგან მათ „რეალთან“, „სევილიასთან“, „ვალენსიასთან“ და „ატლეტიკოსთან“ ბრძოლა მოუხდებათ“. ■

რონალდინიოს და მესის, «ბარსას» წარმატების სეკერატ

ნოემბერში რონალდინიო საკუთარი მარკის ტანისამოსის გამოშვებას გეგმავს. ბრაზილიელ სუპერვარსკვლავთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, მისივე სპონსორის, კომპანია „ნაიკის“ დიზაინერებმა მაისურების, შარვლებისა და ბენდენების უნიკალური მოდელები შეიმუშავეს. მთელ ამ პროდუქციას „10R“-ის სახელწოდების ბრენდით გამოუშვებენ. „ნაიკის“ ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ზემოთ ხსენებული პროდუქცია ისეთივე პოპულარული იქნება, როგორიც გასული საუკუნის 80-იან წლებში მაიკლ ჯორდანის მარკა იყო.

თავად რონალდინიომ ცოტა ხნის წინ „ბარსას“ მაისურით ლა ლიგაში „ატლეტიკთან“ საიუბილეო — მეასე მატჩი გამართა. ჯერ კიდევ ამ შეხვედრამდე ერთი დღით ადრე უკვე მზად იყო, პრესტიჟული საკონდიტროს — Escriba-ს მიერ დამზადებული უზარმაზარი ნამცხვარიც.

სხვათა შორის, ესპანეთის ჩემპიონატში თავისი პირველი მატჩი რონალდინიომ სწორედ „ატლეტიკის“ „სან მამესზე“ გამართა. ძველ შეხვედრებზე საუბრისას, კატალონიური გრანდის ლიდერს არაერთი შთამბეჭდავი მომენტის გახსენება შეუძლია, თუმცა, ხანდახან უსიამოვნო ეპიზოდებიც იყო. „რა თქმა უნდა, ეს იყო შეხვედრა „ბეტისის“ წინააღმდეგ, რომელშიც ტრავმა მივიღე და გუნდს მთელი თვის განმავლობაში ვეღარ ვეხმარებოდი. ეს ყველაზე საშინელი შემთხვევა იყო, რაც კი ამ 3 წლის მანძილზე გადამხდენია თავს. ჩემი პარტნიორების ასპარეზობას ტრიბუნებიდან ვადევნებდი თვალყურს, — დასძენს რონალდინიო, რომელსაც ყელზე უზარმაზარი ოქროს ჯვარი ჰკიდია, — ჩემი პირველი გოლი კარგად მახსოვს. საუკეთესოს ამორჩევა ალბათ ძნელი იქნება, რადგან ასეთი გოლი მრავლად იყო. ყველა გატანილი ბურთი მახარებს. ცხადია, დასამახსოვრებელი იყო „ნოუ კამპზე“, „სევილიის“ კარში გატანილი გოლი. მაშინ ხომ პირველად გამოვიჩინე თავი პრემერადივიზიონში. მახსოვს, „რეალის“ კარში გატანილი გოლებიც, განსაკუთრებით, დუბლი გასულ სეზონში, „სოსიედადთან“ წარმატებულად შესრულებული საჯარიმო ან მაგალითად, ის, როდესაც საჯარიმო მოედანზე მოხერხებულად ჩამოვიშორე მცველები და „ოსასუნას“ გავუტანე... რომელიმე ერთის გამოყოფა მიჭირს, თითოეული მათგანი ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ“.

2004-2005 წლების სეზონში, ლა ლიგაში გამარჯვება რონალდინიოსთვის ყველაზე ბედნიერ მომენტად იქცა მას შემდეგ, რაც მან კატალონიური გრანდის მაისური მოირგო: „ეს ტიტული მძლავრი სტიმული აღმოჩნდა ფეხბურთელებისთვისაც და კლუბის ხელმძღვანელობისთვისაც. „ბარსაში“ ბევრი ახალი მოთამაშე გამოჩნდა, ავირჩიეთ ახალი პრეზიდენტი. სულ რაღაც ორ სეზონში, ნულიდან დაწყებულმა პროექტმა წარმატება მოგვიტანა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ, ვინც მოედანზე გამოდიოდნენ და მათ, ვინც ყველა ამ პროცესს ხელმძღვანელობდნენ, კლუბს სარგებლობა მოუტანეს. ლა ლიგა ორი ტურით უფრო ხანგრძლივი რომ ყოფილიყო, „ბარსაში“ ჩატარებულ ჩემს პირველსავე სეზონში გაჩემპიონებას შევძლებდით. თუმცა, ჩვენ ცუდი სტარტისათვის დავისაჯეთ. მიუხედავად ამისა, გუნდმა დიდი მიზანი დაისახა და მშვიდად ვიყავი, როდესაც ვაცნობიერებდი, რომ შემდეგ სეზონში წარმატებას აუცილებლად მივაღწევდით“, — აცხადებს რონალდინიო, რომელიც თავისი კლუბის ხელმძღვანელობას კარგად ჩატარებული სამუშაოსთვის აქებს: „გუნდში ძალიან კარგი და სასარგებლო ფეხბურთელები მოვიდნენ. ძველ მოთამაშეებთან ერთად, ახლებმა ძალზე ბრძოლისუნარიანი კოლექტივი შექმნეს. ამიტომ საშინელ ტრავმებს გავუძელით, რომლებიც მოტამ, გაბრიმ, ედმილსონმა და ლარსონმა გადაიტანეს. 2005-2006 წლების სეზონში გამარჯვებით დავამტკიცეთ, რომ უმოქმედობას არ ვაპირებთ და ჩვენი გუნდი კიდევ უფრო დიდი მწვერვალების დასაპყრობადაც მზადაა“.

„ბარსაში“ ჩატარებულ მესამე სეზონში ბრაზილიელ ნახევარმცველს გუნდის კაპიტნობის საპატიო მისიაც დააკისრეს. „ეს არაჩვეულებრივი გრძნობაა და ამ ნდობის გამართლებაა საჭირო. ყველამ კარგად იცის, თუ რას ნიშნავს „ბარსელონა“ ქომაგთათვის“, — აღნიშნავს რონალდინიო.

ამბობენ, რომ გასული სეზონი განსაკუთრებულად იოლი იყო კატალონიური კლუბისათვის, თუმცა ბრაზილიელი ასეთ შეხედულებას არ იზიარებს: „ყველაფერი, რასაც მივაღწიეთ, ჩვენი დაუღალავი შრომის შედეგი გახლავთ. მართალია, თამაშით სიამოვნებას ვიღებთ, ჩვენ საკუთარი სტილი გვაქვს, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ყველაფერი იოლად მივიღეთ. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ ვისწავლე. მსურს, რომ „ბარსაში“ კიდევ არაერთი წელიწადი დავრჩე და ჩვენს ქომაგებს კვლავ განვაცდევინო ბედნიერების წუთები. ჯერჯერობით ისევ განვიცდით ტიტულების უკმარისობას, ამიტომ გამარჯვებებს კვლავაც მივაღწევთ“.

„ბარსელონის“ მიმართ სკეპტიკურად განწყობილ კრიტიკოსებს არ ეთანხმება არგენტინელი ვარსკვლავი ლეო მესი, რომელიც აცხადებს: „ჯერ მხოლოდ სეზონის დასაწყისია. ჩვენ უკეთესები გავხდებით და უფრო ძლიერ თამაშს ვაჩვენებთ“.

მესი დღეს „ბარსას“ განუყოფელი ნაწილია. მისი აზრით, კლუბში არავითარი კრიზისი არ არის: „ჩვენი კრიტიკის არავითარი საფუძველი არ არსებობს. თავადაც კარგად ვგრძნობ თავს და ყოველ მატჩში უკეთესად ვთამაშობ“. არგენტინელი ფეხბურთელი კლუბში მიმდინარე როტაციის პროცესსაც ეთანხმება. „წინ უამრავი მატჩი გვაქვს ჩასატარებელი, ამიტომ ყოველთვის კარგია, როდესაც შიგადაშიგ დასვენების საშუალება გეძლევა. როდესაც გამარჯვებებს აღწევ, საკუთარ ძალებში უფრო დაჯერებული ხდები“, — დასძენს ლეო.

ბოლო შეხვედრებში რონალდინიოს არცთუ ისე სახარბიელო თამაშის შესახებ მესიმ თქვა: „ის ცუდად არ ასპარეზობს. რონალდინიოზე ხშირად იმას ამბობენ, რასაც ის არ იმსახურებს. ნუ დაგვავიწყდება, რომ მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელზე ვლაპარაკობთ...“

ვენგერის შოკო-შოკი «მეთოფეთათვის»

ცოტა ხნის წინ 10 წელი შესრულდა იმ დღიდან, როდესაც არსენ ვენგერი ლონდონის „არსენალის“ მთავარი მწვრთნელი გახდა. ამ ამბავმა ინგლისში ცხარე კამათი გამოიწვია იმის შესახებ, თუ რა გავლენა მოახდინა ფრანგმა სპეციალისტმა პრემიერლიგაზე. უმრავლესობამ აღიარა, რომ ვენგერმა მართლაც, დიდი გავლენა იქონია ინგლისური საკლუბო ფეხბურთის განვითარებაზე. რაში მდგომარეობს მისი წარმატების საიდუმლოება? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მწვრთნელისთვის სირთულეს ნამდვილად არ წარმოადგენს. „ფეხბურთელებს შოკოლადის ჭამა ავუკრძალე, — იხსენებს ვენგერი, „ნაგორია გრამპუს ეიტიდან“ „არსენალში“ გადასვლის შემდეგ ჩატარებულ თავის პირველ მატჩს. — ბლექბერნიდან ავტობუსით ვმგზავრობდით, როდესაც ფეხბურთელები სკანდირებდნენ: „მოგვეცით ჩვენი შოკოლადი! ჩვენ ვხედავთ, რომ ვენგერისაგან კარგი დიეტოლოგი გამოვიდოდა, მაგრამ აი, ექსკურსიამძღოლის პროფესიას ის ნამდვილად ვერ აითვისებს...“ მე ფრანგი ვარ და ინგლისელი არ გავმხდარვარ. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს ვცხოვრობ კუნძულზე, რომელსაც „არსენალი“ ჰქვია. თუ ლონდონის დათვალიერება გსურთ, რჩევას მე ნუ მკითხავთ, რადგან თავგზას აგიბნევთ“. ■

როგორი რეაქცია გაქვთ პირუთვნელ სიმართლეზე?

როგორ რეაგირებთ, როცა სიმართლეს პირში გეუბნებიან? ზოგჯერ ხომ ადამიანებს ძალზე უჭირთ პირში ნათქვამ მწარე სიმართლესთან შეგუება და ისინი ხშირ შემთხვევაში, ჭეშმარიტებისთვის თვალის გასწორებას, თავის მოტყუებას ამჯობინებენ.

პასუხების შემოთავაზებული სამი ვარიანტიდან აირჩიეთ ერთ-ერთი. ბოლოს კი, დაითვალეთ, რამდენჯერ აირჩიეთ „ა“, „ბ“ თუ „გ“ ვარიანტი.

1) წარმოიდგინეთ, რომ ახალგაზრდა ქალბატონი იხდის დაბადების დღეს და უკვე მეექვსე წელია, ურცხვად აცხადებს, რომ ოცი წელი შეუსრულდა. როგორი რეაქცია გექნებათ მის საქციელზე?

ა) მის სურვილს, დამალოს თავისი ასაკი, გაგებით მოეკიდებით;

ბ) მისი მხრიდან, ეს დროის შეჩერების სულელურ მცდელობად მიგაჩნიათ;

გ) პრინციპში, თქვენთვის ასეთი ტყუილი მიუღებელია.

2) წარმოიდგინეთ, რომ ეგზოტიკურ ქვეყანაში მოგზაურობთ და აღმოსავლურ ბაზარში მოხვდით. დაინტერესდებით თუ არა ბაზრის დახლებზე გამოტანილი თქვენთვის უცხო საქონლით?

ა) არც ისეთი ცნობისმოყვარე ხართ, რომ ამ საქონლის დანიშნულების გასარკვევად თავი შეიწუხოთ;

ბ) დახლზე გამოტანილ საქონელს კარგად შეათვალიერებთ და არც თქვენთვის უცხო ნივთების დანიშნულების გარკვევას დაიზარებთ;

გ) სამახსოვროდ უამრავ წვრილმანს შეიძენთ.

3) ვთქვათ, შენიშნეთ, რომ ძველი ტაძრის ნანგრევებს შორის ბავშვი ბურთს თამაშობს, უპირველეს ყოვლისა, რას გაიფიქრებთ?

ა) ასეთ ადგილზე ბურთით თამაშის უფლება მშობლებმა არ უნდა მისცენ ბავშვებს;

ბ) ტაძრის რელიგიური თუ ისტორიული მნიშვნელობის შესახებ, ბავშვს ინფორმაცია მშობლებმა უნდა მიაწოდონ, თავად მან ხომ ამის შესახებ არაფერი იცის;

გ) თქვენთვის გაუგებარია, რატომ არ უნდა ითამაშოს ბავშვმა.

4) შემთხვევით შეიტყვეთ, რომ ერთ-ერთ პიროვნებას მომავლის წინასწარმეტყველების უნარი აქვს. როგორ მოიქცევით?

ა) სულაც არა გაქვთ იმის სურვილი, რომ ვინმეს ჭკუის დარიგებას უსმინოთ;

ბ) მოუსმენთ მას, მაგრამ საკუთარ აზრს ვერავინ შეგაცვლევინებთ;

გ) თქვენი მომავლის შესახებ ყველაფრის გაგებას მოისურვებთ.

5) ძველთაგანვე ბედნიერების სიმბოლოდ აღიარებული ცხრათვალა მზის თილისმა რომ გქონდეთ, რა ფრად შეღებავდით მას?



ა) ყავისფრად;

ბ) ნარინჯისფრად;

გ) მწვანედ.

6) იმის შეტყობის შანსი რომ მოგეცეთ, თუ რამდენი ხნის სიცოცხლე დაგრჩათ — გამოიყენებდით თუ არა ამ შესაძლებლობას?

ა) არა, ეს სიცოცხლის ხალისს დაგიკარგავდათ;

ბ) რაღაც მომენტში, შესაძლოა, დათანხმებულიყავით ამაზე;

გ) ამ ამბავს დიდი სიამოვნებით შეიტყობდით.

ტესტის შედეგები

თუკი თქვენს პასუხებში ჭარბობს ვარიანტი — „ა“, ეს მეტყველებს იმაზე, რომ თქვენი ცხოვრების დევიზია: „არ მაინტერესებს ის, რაც არ ვიცი!“ ე.ი. გამოდის, რომ ცხოვრების სტილით ძალზე ჰგავხართ სირაქლემას, რომელიც საფრთხის მომენტში თავს ქვიშაში ჩარგავს ხოლმე. გაფრთხილებთ, თქვენი ასეთი დაუდევარი ქცევის წყალობით, დროთა განმავლობაში შესაძლოა, რეალობის შეგრძნება საერთოდ დაკარგოთ.

თუკი თქვენს პასუხებში ჭარბობს ვარიანტი — „ბ“, ეს ცხადყოფს იმას, რომ თქვენ შეგიძლიათ, ნორმალურად აღიქვათ სხვის მიერ ნათქვამი მწარე სიმართლე, წარმოქმნილ უსიამოვნებებთან გამკლავების უნარიც გაქვთ და თქვენი ცხოვრების დევიზია: „შეუძლებელია, ადამიანმა ყველაფერი იცოდეს!“ თქვენ სიმართლეზე არასოდეს ხუჭავთ თვალს და სამართლიანი შენიშვნის სამომავლოდ გათვალისწინებას თითქმის ყოველთვის ახერხებთ.

თუკი თქვენს პასუხებში ჭარბობს ვარიანტი — „გ“, ეს მეტყველებს იმაზე, რომ საკუთარი თავის მიმართ საკმაოდ მკაცრი და მომთხოვნი ხართ. „შიშველი სიმართლე“ თქვენი ცხოვრებისეული კრედოა. ირგვლივ მყოფებს ყოველთვის პირში მიახლით ხოლმე სათქმელს და მათგანაც მოითხოვთ, რომ საკუთარი სათქმელი ყოველგვარი შელამაზებისა და პირმოთნეობის გარეშე მოგახსენონ. თქვენი დევიზია: „სწავლა — სინათლეა, უცოდინარობა — სიბნელე!“ გირჩევთ, ერთი რამ აუცილებლად გაითვალისწინოთ: ეცადეთ, თქვენი სათქმელი უფრო დელიკატური ფორმით გამოთქვათ, რადგან მეტისმეტად პირდაპირი ხასიათის გამო, თავადაც ირთულებთ ცხოვრებას და ირგვლივ მყოფებსაც პრობლემებს უქმნით.

1 უვარგისი ქაღალდები
2 შოტლანდიური ნაგაზი
3 მცენარეთა სამყარო
4 უალკოჰოლო სასმელი
5 ბილიარდის წითელი ბურთი
6 თაფლიანი ფიჭა
7 საოჯახო სამყოფლო თამაში
8 ნახატის ამოჭრა ლითონზე
9 დიდი გომბეშო
10 ლიტერატურული ჟანრი
11 სვანური სიმღერა
12 ავსტრალიელ აბორიგენთა იარაღი
13 ერთგვარი ქანდაკება
14 წვრილი ქვიშა
15 მასწავლებელი
16 კომპოზიტორი ... ხაჩატურიანი
17 ზღაპრული შინაარსის ლექსი
18 ციებ-ცხელება
19 დაუმუშავებელი, გამოუყენებელი
20 ბრაზილიელი ფეხბურთელი
21 კლდიანი ღრმა ხევი
22 ქალაქი იტალიაში
23 წყალსაცავი რაჭაში
24 კორიდის მონაწილე
25 ფრანგი ფერმწერი
26 მიწის საზომი ინვლისში
27 სათამაშო სახლი
28 ფერთა შეხამება
29 მოხდენილი აღნაგობის
30 ჭრიჟელი ყველგანმყალი ავტომობილი
31 აღლუმი
32 სიმებიანი მუს. საკრავი
33 წამლის ფორმა
34 ამერიკის შტატი
35 მარცვლეულის სალეწი ადგილი
36 ტაძარი თბილისში
37 პერუს დედაქალაქი
38 პატარა მარხილი
39 იაპონიის ფულის ერთეული
40 ერთგვარი კანფეტი
41 კინოლენტი
42 შიში სიახლის წინაშე
43 ქაღალდის ფულის გამოშვება

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. ბოლოკი; 2. ორბი; 3. გელათი; 4. დინარი; 5. სპა; 6. დიაკონი; 7. ობლიგაცია; 8. ლიანა; 9. გამაში; 10. ფალავანი; 11. კვირა; 12. თამბაქო; 13. ხაბაზი; 14. ნატურა; 15. კანადა; 16. იშხანი; 17. თაბახი; 18. ხახა; 19. ინტერი; 20. იავა; 21. შტო; 22. ხვადი; 23. ბატი; 24. სიათა; 25. სამბა; 26. ნარტა; 27. რიზე; 28. ლემა; 29. ნერონი; 30. პკე; 31. ჯემი; 32. ლანა; 33. კოლეჯი; 34. მაკაკი; 35. კეტი; 36. იდეა; 37. ტოგა; 38. კამეა; 39. ფიროსმანი; 40. კორონაცია; 41. კოკაი; 42. პრადო; 43. დარი; 44. პრაქტიკა; 45. მაკარონი; 46. პროფილი; 47. ინდიანა.

სურათზე: ბრედ პიტი; ანჯელინა ჯოლი.

იტალიას უცნობი შედევრით აშანტაჟებენ

იტალიელ ანტიკვარსა და კონტრაბანდისტ ჯაკომო მედიჩის, ხელოვნების ნიმუშებით არალეგალურად ვაჭრობისათვის, რომის სასამართლომ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და 10 მლნ ევროთი დაჯარიმება მიუსაჯა. მედიჩიმ პროკურორს პატიმრობის ვადის შესამცირებლად, განსაკუთრებით ძვირფასი რაღაც ნივთი შესთავაზა. „იქს ობიექტის“ ადგილმდებარეობა და ის, თუ რას წარმოადგენს ნივთი რეალურად, შეთანხმების დადებამდე უცნობი იქნება. პროკურორმა პაოლო ფერიმ არაკანონიერი შეთანხმების დადებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ჯაკომო მედიჩიმ გადაკვრით მიანიშნა, რომ „იქს ობიექტი“ შესაძლოა, ანტიკვარული შედევრი იყოს. ჯაკომო მედიჩი ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებულ დანაშაულშია გარეული, რომელიც საბერძნეთიდან და იტალიიდან აშშ-ში ანტიკური შედევრების უკანონოდ გატანას უკავშირდება. კერძოდ, მედიჩიმ 1972 წელს ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ-მუზეუმს“ უძვირფასესი ანტიკური ჭურჭელი — ეფრონიუსის კრატერი მიჰყიდა. ეს შედევრი ცოტა ხნის წინ იტალიის მუზეუმს დაუბრუნდა.

ამჟამად მედიჩის საქმეს სააპელაციო სასამართლო განიხილავს. გრძელდება კალიფორნიის მუზეუმის კურატორის — გეტი მარიონ ტრუს საქმის გამოძიებაც, რომელსაც კონტრაბანდისტთათვის ხელშეწყობაში ადანაშაულებენ. ■

კალიფორნიაში უფასო გაზეთების მოპარვა აიკრძალა

კალიფორნიის გუბერნატორმა არნოლდ შვარცენეგერმა ხელი მოაწერა კანონს, რომელიც უფასო გაზეთების მოპარვისთვის დამნაშავეს სასჯელად ჯარიმის გადახდას დააკისრებს. ამ დოკუმენტის თანახმად, ქურდობად მიიჩნევა ისეთი შემთხვევა, როდესაც მოქალაქე 25 გაზეთზე მეტს აიღებს და მას გაყიდის, გადაცვლის ან კონკურენტს დაუზარალებს ან გამოცემის გავრცელებას ხელს შეუშლის. დანაშაულისთვის 250 დოლარის ჯარიმა დაწესდა. რეციდივისტ დამნაშავეებს 500 დოლარის გადახდა და ათდღიანი პატიმრობა ემუქრებათ. ახალი კანონის შემოღება აუცილებელი მას შემდეგ გახდა, რაც გამოცემათა გაქრობის ფაქტი გახშირდა. მაგალითად, ერთ მშვენიერ დღეს, Chula Vista Star-ის მთელი ტირაჟი ყუთებიდან გაქრა. როგორც შემდგომ დადგინდა, უფასო გაზეთების დიდი პარტია მექსიკაში გადაიტანეს და მაკულატურად ჩააბარეს. კიდევ ერთი უფასო გაზეთის ნომრები უკვალოდ მას შემდეგ გაქრა, რაც მასში, ჩინეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ ფაქტები გამოქვეყნდა. უფასო გაზეთების გამომცემლებმა დახმარებისთვის პოლიციას მიმართეს, მაგრამ სამართალდამცავები უძლურნი აღმოჩნდნენ, რადგან უფასო პრესის მოპარვისათვის კანონი სერიოზულ სასჯელს არ ითვალისწინებდა. მაგალითად: 2002 წელს ქალაქ ბერკლის მერმა ტიმ ბეიტსმა Daily California-ის ასობით ეგზემპლარი გაანადგურა, რადგან გაზეთი მკითხველს ალტერნატიული კანდიდატის მხარდაჭერისკენ მოუწოდებდა და ამისათვის მხოლოდ 100 დოლარით დაჯარიმდა! ■

იაპონური სენსაცია სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდმანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

1	5	7	8	9	3	2	6	4
8	9	3	2	6	4	7	1	5
4	2	6	1	5	7	8	3	9
2	3	8	4	7	6	5	9	1
7	4	1	5	8	9	6	2	3
5	6	9	3	1	2	4	7	8
9	8	2	7	4	1	3	5	6
3	1	5	6	2	8	9	4	7
6	7	4	9	3	5	1	8	2

9	4	2	6	8	5	7	3	1
5	3	7	9	1	4	2	6	8
1	6	8	2	3	7	9	5	4
2	7	6	5	9	1	8	4	3
8	1	5	7	4	3	6	2	9
4	9	3	8	6	2	5	1	7
7	5	1	3	2	8	4	9	6
3	2	9	4	7	6	1	8	5
6	8	4	1	5	9	3	7	2

1	2	9	3	8	6	7	5	4
7	8	3	2	5	4	9	6	1
4	5	6	9	7	1	2	8	3
3	7	8	5	4	9	1	2	6
9	6	1	7	3	2	5	4	8
5	4	2	1	6	8	3	9	7
8	1	5	4	9	7	6	3	2
6	9	7	8	2	3	4	1	5
2	3	4	6	1	5	8	7	9

* მარტივი

		9	6		2		8	
		8	9				3	
5	7		4			1	9	
3	4				1			8
		2		9	6	5		
9			3				1	7
	9	1			3		2	6
	2				7	4		
	5		8		9	3		

** საშუალო

	8			3		5		
	5			2				9
	3			6		8	1	
6					1			2
		7	8			3		
8			9		2			1
	7	4		1			5	
5				9			4	
		2		8			6	

*** რთული

		7	9			6		
		8						9
	5			4				
3								1
	2				3		9	
6				5				4
				3			2	
4						7		
		5			7	9		

ფოტოკუთხეები



პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

TB STARS

587/38

საშემოდგომო ფასდაკლება 15 ოქტომბრამდე

ბინები 400$-დან

ბინა შენდება PASCHAL-ის (გერმანია) სამშენებლო ტექნოლოგიის სრული გამოყენებით

ლიმალელი — M ..... M — გურამიშვილი

PASCHAL

ბინები 57 m^2 – დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე – ბარი
იზოლირებული, კეთილმოწყობილი ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")